ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

F 721
1988

# შემოქმედებითი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე

სამეცნიერო შრომების კრებული

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
თეატრალური ინსტიტუტი

# შემოქმედებითი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე

**სამეცნიერო შრომების კრებული**

თბილისი
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УДК 3КСМ7+37(С):3К+
+3КП21 XXVII

შემოქმედებითი ახალგაზრდობის
კომუნისტური აღზრდის აქტუალური
საკითხები სკკპ XXVII ყრილობის
გადაწყვეტილებათა შუქზე
სამეცნიერო შრომების კრებული,
თბილისი, 1987, გვ.233

კრებულში მოთავსებულ სტატიებში ნაჩვენებია კულტურის, სოციალური მიკროგარემოს, ინტერნაციონალური აღზრდის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლების, ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის მნიშვნელობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების როლი შემოქმედებითი ახალგაზრდობის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი: თ.ლ.ქვარიანი (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი)

სარედაქციო კოლეგია: ე.ნ.გუგუშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი), ვ.ვ.კიკნაძე (პროფესორი), დ.ს.ჯანელიძე (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი)

კრებული გამოსაცემად მოამზადეს: ვლ.ბურდულამ და ნ.ფურცელაძემ.

© საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, 1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის
კათედრა

ი. ჯ. კალანდია
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

## კულტურის როლი ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებაში

კულტურა, როგორც ცნობილია, საზოგადოების და, შესაბამისად, პიროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და ამავე დროს იგი ამ განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, პირობაა. კულტურას რამდენიმე ფუნქცია აქვს. ანათგან ძირითად ფუნქციებად კულტუროლოგები მიიჩნევენ შემდეგს: სამყაროს გარდაქმნისა და ათვისების ფუნქცია; კომუნიკაციური ფუნქცია; სიგნიფიკაციური ფუნქცია (სხვადასხვა სიმბოლოებითა და ნიშნებით საგანთა და მოვლენათა აღნიშვნის გზით ამ უკანასკნელთა შეფასება-დახასიათების ფუნქცია); ინფორმაციის დაგროვებისა და შენახვის ფუნქცია; ნორმატული ფუნქცია; დაცვის ფუნქცია; განმანათლებლური და აღმზრდელობითი ფუნქცია და სხვ.

ამ ფუნქციათა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, რომ კულტურა ურთულესი სოციალური ფენომენია. იგი სრულიადაც არ დაიყვანება ტექნიკასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებზე (ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება, ზნეობრივი ნორმები და ა.შ.), არამედ გულისხმობს აგრეთვე ადამიანური ცხოველქმედების, მოღვაწეობის გარკვეულ ხერხებს, აზროვნების წესს და სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების ხასიათს. ამ გაგებით, კულტურა, არ შეიძლება გავაიგივოთ საზოგადოების, საერთოდ,კაცობრიობის მიერ უკვე დაგროვილი ცოდნისა და ინფორმაციის მარაგს, კომუნიკაციისა და ინფორმაციის სხვადა-

F626

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვა საშუალებათა, ან გაყიდული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რაოდენობას.

მაშასადამე, კულტურა გამოხატავს არა მხოლოდ იმას, თუ რას მიაღწია კაცობრიობამ ბუნებაზე გაბატონების მხრივ, არამედ კულტურის მთავარი მახასიათებელია ადამიანურ ურთიერთობათა თავისუფლება-ჰუმანიზაციის დონე. ეს გარემოება ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როცა საქმე ეხება კულტურისა და ადამიანის ურთიერთობას, მით უფრო, თუ კულტურის აღმზრდელობით ფუნქციაზეა მსჯელობა.

კულტურა ადამიანის არსობრივ ძალთა გამოვლენის სარბიელია, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების დონის მაჩვენებელი ფენომენია და ამდენად იგი არამარტო მიზანია, არამედ ადამიანის, პირველ რიგში, ახალგაზრდის გრძნობების აღზრდის საშუალებაც. კულტურა უყალიბებს ახალგაზრდას სხვათა მიმართ "მგრძნობელობის", თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვისი გულისტკივილის "გულთან ახლოს მიტანის" უნარს, სხვების გაგების, მოსმენის უნარს, ანუ იგი ახალგაზრდას, საერთოდ, ადამიანს ხდის (უნდა ხდიდეს) დიალოგურს. ამიტომაც კულტურა უბრალოდ ღირებულებათა სისტემა, ღირებულებათა ერთიანობა როდია, არამედ გარკვეული აზრით, "კატეგორიების ბადეც", რის შესაბამისადაც აღიქმება ადამიანთა მიერ სამყარო და რომლის საშუალებითაც წვდება ადამიანი თავისი ცხოვრების აზრს, დანიშნულებას, ხოლო ამის საფუძველზე კი მიდის მისი ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპების გაცნობიერებამდე.

კულტურის მიზანია არა უბრალოდ ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, გონებრივი თვალთახედვის არის გაფართოება, არა უბრალოდ ადამიანის განათლება, არამედ მისი სულიერი სამყაროს განვითარება, სულის გაფაქიზება, გულისა და გრძნობების აღზრდა, ანუ პიროვნების სულიერი ორგანიზაციის საყოველთაო მგრძნობელობისა და აღმქმელობის უნარის განვითარება. ამიტომაც, აღმზრდელობითი ფუნქცია კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. ამის თაობაზე ამბ-

ობდა სწორედ მ.კალინინი: "რაც უფრო კულტურულია ადამიანი, რა თქმა უნდა, მით უფრო პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ყოველივეს, მით უფრო ფრთხილია თავის პირად ცხოვრებაში და თავის ქცევებში... როდესაც საკითხი დგება კულტურული რევოლუციის შესახებ, ეს არსებითად, არის ყოფა-ცხოვრების, ფსიქოლოგიისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის სრული შეცვლის პრობლემა".[I]

ასეთი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება რთული, მრავალმხრივი პროცესია. იგი არ არის არც წმინდა თეორიული და არც წმინდა პრაქტიკული ამოცანა, არამედ ორივეს ორგანული ერთიანობაა. მარქსიზმი ითვალისწინებს იმას, რომ ახალი ღირებულებების ჩამოყალიბება, ახალ ღირებულებათა სისტემაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნაშინ და იმდენად, როდესაც ღირებულებათა ახალი სისტემა ადამიანთა ორიენტაციებად იქცევა, ანუ "გადატრიალება" მოხდება ადამიანთა მთლიან პიროვნულ წყობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ცხოვრების გარკვეული მიმართულებით წარმართვისას, უნდა ემყარებოდნენ არამარტო მეცნიერებას (თეორიულ მოღვაწეობას), არამედ აგრეთვე ხელოვნებას და ზნეობას (პრაქტიკულ-ღირებულებითს დამოკიდებულებას). მაგრამ, ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ, თუ საზოგადოებაში ადამიანთა ინტერესები ცალმხრივადაა წარმართული, თუ საზოგადოების სულიერი კულტურის განვითარება ჩამორჩება მის მატერიალურ კულტურას, ანუ ადგილი აქვს კულტურისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას, მაშინ "კულტურისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების დასაძლევად საბოლოოდ... ადამიანთა ზნეობრივ ორიენტაციებზე, მათ ღირებულებით მიმართებებზე ზემოქმედება აუცილებელია, როგორც არ უნდა ავამაღლოთ მასების ესთეტიკური კულტურა, როგორც არ უნდა განვუმარტოთ მათ მხატვრული შემოქმედების ბუნება, თუ საზოგადოებაში ჰედონისტური ეთიკაა გაბატონებული,

- - - - - - - - -

I კალინინი მ. კომუნისტური აღზრდის შესახებ. რჩეული მოხსენებები და სტატიები. მ., 1956, გვ.62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კულტურისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებაც ამ საზოგადოებაში გაბატონებული იქნება".[I]

ყოველივე ეს კი გამოხატულებას პოულობს ადამიანთა შრომისა და დასვენების, აზროვნებისა და გრძნობების კულტურაში, ინტერესებისა და მოთხოვნილებების, წარმოებისა და მოხმარების, ცხოვრების წესისა და ადამიანურ ურთიერთობათა ხასიათში.

ამდენად, ადამიანის კულტურის დონე გაიზომება არამხოლოდ მისი განსწავლულობის, ე.წ. ერუდიციის დონით, კულტურის ღირებულებათა ზედაპირული ათვისებით, არამედ ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღებისა და, შესაბამისად, შინაგანად თავისუფალი მოქმედების განხორციელების ხასიათით.

სოციალისტური საზოგადოების, მისი კულტურის მთავარი და უმაღლესი მიზანია ადამიანი მთელი მისი ინტერესებით, მოთხოვნილებებით. ცხადია, კულტურის ყველა ფუნქცია სათანადო ყურადღების ღირსია და ჩვენს საზოგადოებაში ეს ფუნქციები ძირითადად ჰარმონიულ ურთიერთობაშია, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარების საწინდარია. ადამიანი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მიზანს. "სამამულო ჩანაწერების" რედაქციისადმი მიწერილ წერილში კ.მარქსი ამის თაობაზე წერდა, რომ ადამიანის, როგორც თვითმიზნის, განვითარება უნდა გახდეს ისტორიული კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ჰუმანისტური ფრაზა სხვა არაფერი იქნება, თუ არა უბრალო დონ კიხოტობაო.

განვითარების თანამედროვე დონეზე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, სოციალიზმი და მისი ცხოვრების წესი უზრუნველყოფენ ადამიანთა კულტურის დონის შემდგომ ამაღლებას, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ქმნიან ობიექტურ, ეკონომიკურ საფუძვლებს ისტორიულ პროცესში მასების მონაწილეობის თვისებრივად ახალი ფორმების წარმოშობისა და განვითარებისათვის. თანდათანობით იქმნება ისეთი პირობები,

---

I ჯიოევი ო. კულტურა როგორც შემოქმედება. კრბ.: კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი. თბ., 1977, გვ.55.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა ადამიანებს უჩნდებათ არა მხოლოდ კულტურის ათვისების, არამედ კულტურის შექმნაში უშუალო მონაწილეობის მოთხოვნილება." კ.მარქსის დებულება რევოლუციური პრაქტიკის შესახებ, რომლის არსებასაც სამყაროს და, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრების ობიექტური პირობების გარდაქმნა შეადგენს, მნიშვნელოვანი მომენტის სახით შეიცავს სუბიექტის მიერ რევოლუციური თვითგარდაქმნის მოთხოვნას. ეს მომენტი განსაკუთრებით ამჟამად იჩენს თავს.

საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში ადამიანთა ფართო მასების აქტიური ჩართვა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაცია, საზოგადოების წევრთა ფართოდ დაკავშირება კულტურასთან წარმოადგენს თანამედროვეობის მეტად მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას, რაც საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებით არის გამოწვეული.

ასეთ პირობებში აქტუალობასა და დიდ მნიშვნელობას იძენს კულტურის აღმზრდელობითი ფუნქცია. როგორც უკვე ითქვა, კულტურის ყველა ფუნქციას ჩვენში სათანადო ყურადღება ექცევა, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია ამჟამად წინა პლანზე წამოიწევს, რადგან ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის ამოცანა გულისხმობს ადამიანებში სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბებას და იმ სულიერი ღირებულებების განმტკიცებას, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა ჰუმანისტური სულისკვეთებით აღზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურის აღმზრდელობითი ფუნქცია გულისხმობს ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბებას, ანუ იმას, თუ როგორ აღიქმება ადამიანის მიერ სამყაროსადმი დამოკიდებულება, როგორაა გაგებული ადამიანის დანიშნულება, ცხოვრებისა და სიცოცხლის საზრისი და, შესაბამისად, როგორია ის ძირითადი ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მიხედვითაც მოქმედებენ ადამიანები. ეს ასეა, ვინაიდან "...ინდივიდის ღირებულებითი ორიენტაცია, ღირებულებათა ის სისტემა, რომლითაც იგი თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს, თითქმის ცალსახად განაპირობებს იმას, თუ რა მიზნებს ისახავს იგი თავის საზოგადოებრივ საქმიანობაში, საზოგადო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ების რა ძალებს უკავშირდება იგი და რომელს ეწინააღმდეგება, რა სფეროს ირჩევს თავის საქმიანობისათვის და რა ჩარჩოებში ათავსებს იგი თავის მოქმედებას ზნეობრივი თვალსაზრისით".[1]

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდის, საერთოდ, ადამიანის აღზრდაში განათლების როლი. განათლების პროცესის სწორი წარმართვა მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ ადამიანი კულტურას ეზიაროს, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად განათლების როლი დაყვანილია ზნეობრივი ნორმების, იდეალების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, მორალური პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერების, ადამიანის მოვალეობისა და სხვა ცნებათა ანალიზზე. მოსწავლეთა და, საერთოდ, მოზარდი თაობის უკეთ აღზრდის მიზნით ასევე დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებების რაოდენობრივ ზრდას და ამ მხრივ ახალ-ახალი ფორმების გამოძებნას. მაგრამ, ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა, მათი ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბება გაცილებით რთული და მრავალმხრივი პროცესია, ვიდრე ამ პროცესის შესახებ უბრალოდ ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება მოზარდი თაობისათვის. ჰ.პესტალოცის პედაგოგიურ-განმანათლებლური მოძღვრების ანალიზისას, პ.ნატორპი (ასევე გამოჩენილი განმანათლებელი), სავსებით სწორად შენიშნავს, რომ "რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის ზნეობრივი ხასიათის დაავადებასთან, რამდენადაც ეს არის ნების ავადმყოფობა, ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მხოლოდ ისეთ ზემოქმედებას, რომელიც არსებულ ტენდენციას შებოჭავს და ნ ე ბ ა ს წარმართავს გარკვეული საჭირო მიმართულებით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ვითარების მხოლოდ გონებისეული წვდომა, მისი შესწავლა, ცოდნა საკმარისი არაა... კეთილი ნების ადამიანების აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ზემოქმედებით, რომელიც ადამიანის სულსა და გულში ღრმა კვალს ტოვებს".[2]

- - - - - - - -

I ნათაძე ნ. მიზნისა და ღირებულების ფაქტორისათვის კულტურაში.კრბ. კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1975, გვ.91.

2 ნატორპი პ. ხალხის კულტურა და პიროვნების კულტურა. ს.-პეტერბურ-გი, 1912, გვ.83-84 (რუს.ენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართალია, თვითონ ნატორპი, ისევე, როგორც ყველა სხვა განმანათლებელი, ბევრი რამის გამო იმსახურებს კრიტიკას და გაუკრიტიკებიათ კიდევაც, მაგრამ მთლიანად მისაღებია მისი აზრი იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ცოდნა, გონებით დაგენილი ცნებები არაა საკმარისი პირობა ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, სწორი ღირებულებითი ორიენტაციისათვის. ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების ქმედითობა მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ეს პრინციპები და ნორმები ადამიანთა გ რ ძ ნ ო ბ ე ბ შ ი განმტკიცდებიან, მათი ქცევის რეალურ მოტივებად გადაიქცევიან.

ამიტომაც, ვ.ი.ლენინი ნ.მიხაილოვსკისთან კამათის დროს წერდა: "...რა ნიშნების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ რეალურ პიროვნებათა რეალურ "ზრახვებსა და გრძნობებზე?" ცხადია, ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება, - ხოლო რადგან ლაპარაკია მხოლოდ საზოგადოებრივ "ზრახვებსა და გრძნობებზე", ამიტომ უნდა დაემატოს კიდევ: პიროვნებათა საზოგადოებრივი მოქმედება, ე.ი. სოციალური ფაქტები".[I]

ადამიანის პიროვნულობა იმაშია, თუ რამდენადაა მასში მიღწეული ცოდნის, რწმენისა და მოქმედების ორგანული ერთიანობა. ცოდნა იმდენადაა პიროვნების კულტურის მაჩვენებელი, თუ რამდენად იქცა იგი მისი აქტიური, შეგნებული და თავისუფალი ქცევის საფუძვლად. კულტურა სწორედ პიროვნებათა შინაგანი მოთხოვნილების შესაბამისად თავისუფალი ზნეობრივი ქცევის მთავარი მაჩვენებელია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ პიროვნებაზე იტყვიან კულტურულიაო იმის გამო, "რომ სუფთად და მოხდენილად იცვამს, საზოგადოებაში თავის დაჭერა იცის, გარეგნულად თავაზიანობას ამჟღავნებს, ერთი სიტყვით, ე.წ. ეტიკეტის ნორმებს და შესატყვის ჩვევებს ფლობს. არ კითხულობენ, თუ როგორია ამ კაცის მიერ აღიარებული ღირებულებების ცხრილი და, შესატყვისად, მისი შინაგანი მიმართულებები გარემომცველი სამყაროსადმი;

- - - - - - - -

I ლენინი ვ.ი. თხზ.,ტ.I, გვ.487.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იქნება მას უმაღლეს ღირებულებად, ვთქვათ, ქონებრივი სიმდიდრე მიაჩნია და მისი ძირითადი საქმიანობა სპეკულაციაში გამოიხატება, იქნებ მას თეთრ ხელთათმანში გახვეული ხელი ზოგჯერ ქრთამის აღებაშიც კი გაუსვრია?! ყოველივე ეს თითქოს არ ეხება კულტურას და ამიტომაც ასეთ შემთხვევაში გამართლებულად მიაჩნიათ გამოთქმა: "კულტურული სპეკულანტი". ცხადია, კულტურის ასეთი გაგება ერთობ ზედაპირულია. კულტურის ცნების ღრმა და ზუსტი გაგების მიხედვით "კულტურული სპეკულანტი" ისეთივე წინააღმდეგობრივი გამოთქმაა, როგორც "მრგვალი კვადრატი".[I]

აქედან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, რომ პიროვნების კულტურის დონის მაჩვენებელია არა ქცევის ეტიკეტების გარეგნული დაცვა, არამედ ღირებულებათა ის სისტემა, რითაც ცხოვრობს და "სუნთქავს" პიროვნება. ღირებულებათი ორიენტაციის ჩამოყალიბება კი, როგორც უკვე ითქვა, რთული პროცესია. ამ პროცესის გაგებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია თვითონ ღირებულების ცნების ანალიზი.

როგორც მარქსისტულ, ისე არამარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ღირებულების შესახებ უამრავი თვალსაზრისია გამოთქმული. ერთ-ერთი ზოგადი დებულება, რომელიც ამ მხრივ მარქსისტულ ფილოსოფიაშია ჩამოყალიბებული, არის ის, რომ ეთიკა – ესაა ზნეობრივ ღირებულებათა შესახებ მოძღვრება. ასევე არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც "ღირებულების თეორია, როგორც მარქსისტული შემეცნების თეორიისა და სოციოლოგიის შემადგენელი ნაწილი, ეთიკისათვის წარმოადგენს ფილოსოფიურ საფუძველს და მეთოდოლოგიურ ბაზას".[2]

ამასთანავე, ზოგიერთი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ღირებულების თეორიის აღმზრდელობითს ასპექტზე. ეს ავტორები[3]

- - - - - - - - - - -

I კაკაბაძე ზ. კულტურის ზოგიერთი საკითხი. კრბ.: კულტურა და სოციალიზმი. თბ., 1975, გვ.27.

2 ტუგარინოვი ვ. ღირებულების თეორია მარქსიზმში. ლ.,1968, გვ.39 (რუს. ენ.).

3 რუვინსკი ლ. ზნეობრივი აღზრდა. მ., 1981 (რუს.ენ.); ვ.ტუგარინოვი, დასახ.ნაშრომი და სხვ.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აღზრდა გულისხმობს აღსაზრდელის მიერ კონკრეტულ მოვლენათა როგორც ღირებულების ან არაღირებულების გაგებას, საერთოდ ღირებულებათა ერთობლიობასთან ადამიანის ასეთ თუ ისეთ დამოკიდებულებას.

ამ საკითხის ანალიზი დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ხდება ღირებულებათა, კერძოდ, ზნეობრივ ღირებულებათა ათვისება. მივმართოთ ისევ ზემოთ ციტირებულ ერთ-ერთ ავტორს. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია საკამათო მის ამ დებულებაში: "ღირებულებანი წარმოადგენენ საგნებს, მოვლენებს და მათ თვისებებს, რომლებიც სჭირდებათ ადამიანებს (აუცილებელია, სასარგებლოა, სასიამოვნოა მათთვის), საზოგადოებას, კლასს, ცალკეულ პიროვნებებს თავიანთი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად; ასევე ღირებულებას წარმოადგენენ იდეები და შეხედულებები ნორმებისა და იდეალების სახით".[I]

როგორც ცნობილია, არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ღირებულება გაგებულია სუბიექტურ მოვლენად, როგორც ადამიანის წმინდა სუბიექტური დამოკიდებულება სამყაროს საგნებისა და მოვლენებისადმი. ვ.ტუგარინოვის განსაზღვრებისთვისაც, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია ეს ცალმხრივობა.

ღირებულების ასეთი გაგება ემყარება ცნებათა აღრევას, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ცალკეულ ავტორებთან და რაც შემდეგში მდგომარეობს: ისინი სწორად მიუთითებენ იმაზე, რომ ღირებულების ცნება ჩამოყალიბდა ადამიანის წარმოშობასთან კავშირში, ანუ ღირებულების ცნება შესაძლებელია, საზრისიანი მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში; ამ შემთხვევაში ადამიანის ცნება იხმარება როგორც მთელი მისი გვარის სინონიმი, ხოლო შემდეგ აიგივებენ მას პიროვნების, ინდივიდის ცნებასთან და ამიტომაც ღირებულების არსებობა საბოლოოდ დაიყვანება პიროვნების, ინდივიდის ცნობიერებაზე, ამ ცნობიერებაში არსებობაზე.

ღირებულების ცნების თავისებური გაგება აქვს მოცემულ თავის შრო-

---

I ტუგარინოვი ვ. დასახ.ნაშრ., გვ.11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებში ო.დრობნიცკის. მისი თვალსაზრისი რამდენადმე განსხვავებულია საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისთაგან, ამიტომ შედარებით დაწვრილებით შევეხოთ ამ თვალსაზრისს.

ღირებულების ბუნების გარკვევისა და ადამიანისთვის მისი მნიშვნელობის ჩვევების მიზნით, ო.დრობნიცკი ასე მსჯელობს: "ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ არ აუთვისებია სოციალური კულტურის მთელი სიმდიდრე, იძულებულია თავის მოღვაწეობაში ორიენტირებდეს რეგულატური ნორმებით, მორალური მოთხოვნებით... ეს ჩვეულებრივ უკავშირდება "გასაგნების" პრობლემას, ყოველდღიური ცნობების მეცნიერულ ცნობიერებად და გარედან რეგულირებადი შემოქმედებიდან თავისუფალ თვითშემოქმედებაზე გადასვლის საკითხს".[1]

მაგრამ, თუ ღირებულების საფუძველი ის არის, რომ "ადამიანს ჯერ კიდევ არ აუთვისებია სოციალური კულტურის მთელი სიმდიდრე", ხომ არაა მოსალოდნელი, რომ მომავალში, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულება გაუქმდება, დაიძლევა? ყენებს კითხვას ო.დრობნიცკი და ამ კითხვაზე შემდეგნაირად პასუხობს: სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულება მუდმივად კვლავიწარმოება ( воспроизводится ) საზოგადოებრივი კულტურისა და ცალკეული ინდივიდის განვითარების პროცესში. საგანთა და მოვლენათა ნაწილობრივიდან სრულ ათვისებაზე გადასვლა ყოველთვის მიმდინარეობს როგორც სოციალ-ისტორიულ, ისე ინდივიდუალურ პლანში. ადამიანი სულ უფრო უნივერსალურად ითვისებს კაცობრიობის მიერ შექმნილ კულტურას, მაგრამ ამ უკანასკნელის განვითარების სწრაფი ტემპები მოითხოვს ახალ-ახალი ნორმების შემოღებას. არამარტო ცალკეული ინდივიდი, საზოგადოებრივი სუბიექტიც, კულტურის ახალ მოვლენათა ათვისებისას, აუცილებლად გადის ამ მოვლენებისადმი ნორმატულ-ღირებულებითი დამოკიდებულების ფაზას. ამიტომ, ეს დამოკიდებულება მუდმივად კვლავ იწარმოება, ანუ ახალ-ახალი ფორმით აღდგება.

- - - - - - -

I დრობნიცკი ო. ღირებულების პრობლემა მარქსისტულ ფილოსოფიაში. Вопросы философии , 1966, N7, გვ.43.

მაშასადამე, დრობნიცკის მიხედვით, ღირებულების შინაარსს განსაზღვრავს ის, რომ ადამიანს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს მისაღწევი, ბევრ რაიმეს უნდა დაეუფლოს და ეს ხდის საგნებს ღირებულად. სწორედ ასე განსაზღვრავს იგი ღირებულებას: "ობიექტი ღირებულად გვევლინება, სახელდობრ, როგორც ჯერ კიდევ არარეალიზებული მოთხოვნილება, როგორც ადამიანისთვის ჯერ კიდევ გარეგანი საგანი, რომელიც უნდა იქნეს ა თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი ... მოხმარების საგანი ღირებულებად იქცევა იმის წყალობით, რომ არსებობს მისით ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება... იგი გვევლინება როგორც დაუფლების ობიექტი ანუ უპირისპირდება მოთხოვნილებას, როგორც რაღაც გარეგანი, რომელიც ექვემდებარება მიღწევას ან დაუფლებას".[I]

ო.დრობნიცკის ეს განსაზღვრება არაა დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. კერძოდ, ღირებულების ასეთი გაგების ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ აქ ღირებულება დაიყვანება მხოლოდ იმაზე, რაც უნდა იყოს, ე.ი. ჯერარსობაზე. მართალია, ღირებულებისათვის არსებითია ჯერარსობა, მაგრამ ღირებულების დაყვანა მხოლოდ ჯერარსობაზე ნიშნავს ამ ცნების ზედმეტ დავიწროებას.

ო.დრობნიცკის განსაზღვრების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ისიც არის, რომ მასში ღირებულება გაიგივებულია სარგებლიანობასთან, იმასთან, რომ ადამიანებს შეუძლიათ რაღაც საგნებს და მოვლენებს დაეუფლონ და ამით თავიანთი მოთხოვნილებები და ინტერესები დაიკმაყოფილონ. ცხადია, ღირებულების ცნებასთან გარკვეულ კავშირშია სარგებლობის ცნება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ღირებულება და სარგებლობა იდენტური ცნებებია. ღირებულება მოიცავს სარგებლობის ასპექტსაც, მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი ღირებულებანიც, რომელთა უტილიტარულ, სასარგებლო თვისებებზე ლაპარაკი უსაზრისოა. ე.ი. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, ღირებულებანი, რომელნიც განპირობებული არიან ადამიანთა ისტორიულად ცვალებადი და განვითარებადი

- - - - - - -

I დრობნიცკი ო. დასახ.ნაშრ., გვ.44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილებებით და, მეორე მხრივ, უპირობო ღირებულებანი, ანუ მიზნები, რომლებიც ადამიანებისთვის გვევლინებიან როგორც კატეგორიული მოთხოვნები, ნორმები."

მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, ღირებულება არ არის არც წმინდა სუბიექტური და არც წმინდა ობიექტური კატეგორია. მისი ბუნება სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკურ ერთიანობაში უნდა ვეძებოთ. ამ მხრივ მართებულ თვალსაზრისს გამოთქვამს ო.ლარმინი, რომელსაც მიაჩნია, რომ "ღირებულება საგნის, მოვლენის, ხდომილების და ა.შ. არა ბუნებისეული, არამედ სოციალური თვისებაა. ეს სოციალური თვისება თავს იჩენს არა მაშინ, როცა ობიექტი აღებულია თავისთავად, არამედ ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან მიმართებაში. ამრიგად, ღირებულებითი დამოკიდებულების სუბიექტი არის არა შემმეცნებელი ინდივიდი, არამედ ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა, თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. თვითონ ღირებულება არის მოცემული მოვლენის, პროცესის, ქცევის და ა.შ. ობიექტური შესაბამისობა ან შეუსაბამობა ობიექტურ მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან".[1]

ღირებულების, კერძოდ, ზნეობრივი ღირებულების ობიექტურობის, მისი საზოგადოებრივი ხასიათის დასაბუთებაა მოცემული ა.ჰუსეინოვის, გ.კვასოვის, ო.დრობნიცკის, ვ.ეფიმოვის და სხვათა შრომებში.[2] ისინი მიუთითებენ, რომ მორალურ ღირებულებაში ყველაზე უფრო ჩანს ღირებულების საზოგადოებრივი ბუნება.

ზნეობრივი ღირებულების ათვისების თეორიაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან საზოგადოებრივი ღირებულებანი პიროვნების ღირებულებად, როგორ განსაზღვრავენ ისინი ინდივიდის ქცევებს. როგორ ხდება, რომ მორალურ პიროვნებაში, მის ინტელექტუალურ და ემოციურ "პრიზმაში" თავისებურად გარდატეხილი

---

I ლარმინი ო. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურის შესახებ. წგნ.: სოციალურ მოვლენათა შემეცნების მეთოდოლოგიის ნარკვევები. მ., 1970, გვ.71–72 (რუს. ენ.).

2 ჰუსეინოვი ა., კვასოვი გ. ეთიკის მეცნიერება სოციალისტურ საზოგადოებაში. "კომუნისტი", 1976. N3. დრობნიცკი ო. გაცოცხლებულ საგანთა სამყარო. მ.,1967; ეფიმოვი ვ. სოციალური დეტერმინიზმი და მორალი. მ., 1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახით თავს იჩენენ ისეთი ღირებულებანი, როგორიცაა მოვალეობის, პატიოსნების, ღირსების და სხვა გრძნობები, რომლებიც იქცევიან მორალურ პიროვნებათა ქცევის შინაგან მარეგულირებელ პრინციპებად.

ამ საკითხის განხილვა მოითხოვს, გავაანალიზოთ ღირებულებისა და შეფასების ურთიერთმიმართება. როგორც ს.ანისიმოვი აღნიშნავს, შეფასების პროცესში განისაზღვრება ამა თუ იმ მოვლენის ღირებულება პიროვნებისათვის და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ღირებულება ამ შემთხვევაში წარმოადგენს ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის, ურთიერთქმედების ფორმას".[1]

ღირებულების თეორიაში ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სუბიექტური ფაქტორი; ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ გარეგანი სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან ადამიანთა მოთხოვნილებების და ინტერესების გარკვეული მიმართება სწორედ შეფასების გზით მყარდება. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შეფასება წმინდა სუბიექტური მომენტია და თითქოს მასში ობიექტური არაფერია. შეფასებაში სუბიექტური მომენტის მონაწილეობა არ მოასწავებს მასში ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკური ერთიანობის უარყოფას, რადგანაც შეფასება ემყარება მოვლენათა ობიექტური თვისებების შემეცნებას, ცოდნას.

შეფასებაში ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთობის ანალიზს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ღირებულებების ათვისების საკითხის გასარკვევად, ვინაიდან სწორედ შეფასებაში აისახება, თუ რამდენად იქცა ზოგადი ღირებულებანი პიროვნების შინაგან ღირებულებებად, ან რამდენად სწორად, ადექვატურად ჩამოუყალიბდა პიროვნებას საზოგადოებრივი ღირებულებანი.

შეფასებაში ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთობა უკავშირდება მასში ინტელექტუალური და ემოციონალური კომპონენტების ურთიერთკავშირის საკითხს. არსებობს ამ საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა. ეს ერთობ ფაქიზი საკითხია იმ მხრივ, რომ საკმარისია მოხდეს რომელი-

- - - - - - -

1 ანისიმოვი ს. ნამდვილი და არანამდვილი ღირებულებანი. მ.,1970, გვ.20 (რუს.ენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მე კომპონენტის როლის გაზვიადება და, შესაბამისად, მეორის როლის უგულებელყოფა, რომ ეს გამოიწვევს შეფასებაში ობიექტური და სუბიექტური მომენტების დიალექტიკური ერთიანობის არასწორ გაგებას. კერძოდ, თუ ყურადღება გადატანილი იქნება ინტელექტუალურ მომენტზე და მოხდება ემოციონალური მხარის იგნორირება, მაშინ შეფასებაში სუბიექტური ფაქტორის როლი იკარგება. ხოლო ამ უკანასკნელზე აქცენტირების შემთხვევაში, იჩქმალება ობიექტური მომენტის მნიშვნელობა.

ღირებულების თეორიაში უფრო გავრცელებულია შეფასების პროცესში სუბიექტური ასპექტის როლის გაზვიადება. ეს ტენდენცია ვლინდება შეფასებაში ემოციონალური კომპონენტის აბსოლუტიზაციაში, იმის მტკიცებაში, რომ თითქოს ემოციური მხარე ყოველთვის დომინირებს შეფასებაში. ერთ-ერთ საბჭოთა მკვლევარს, მაგალითად, მიაჩნია, რომ "ემოცია - ეს არის ღირებულების შესახებ ცოდნის პირველწყარო". მისი აზრით, "რაციონალურად გამოხატული შეფასება შეიძლება ემყარებოდეს ემოციების უშუალო მაჩვენებლებს (ემპირიული შეფასება) და შეიძლება იყოს ემოციურ-შეფასებითი გამოცდილების სისტემატიზაციისა და ადრე მიღწეული შეფასებითი ცოდნიდან ახალი შეფასებითი ცოდნის გამოყვანისათვის აზროვნების ხანგრძლივი მუშაობის შედეგი". I

შეფასებაში ინტელექტუალური და ემოციონალური მომენტების ურთიერთობის სწორი ანალიზი საშუალებას იძლევა ასევე სწორად განვსაზღვროთ შეფასების როლი პიროვნების მიერ ღირებულებათა ათვისების, მისი თვისებების ჩამოყალიბების პროცესში. ღირებულებათა შემეცნება და შესაბამისი ემოცია ხელს უწყობს ღირებულებითი დამოკიდებულების გამომუშავებას. შეიცავს რა თავის თავში შემეცნებითს და ემოციონალურ კომპონენტებს, შეფასება ხელს უწყობს როგორც შემეცნებას, ისე გარკვეული ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულება მჭიდრო კავშირშია

---

I ვასილენკო ვ. ღირებულება და შეფასება. კიევი, 1964, გვ.154 (რუს.ენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუბიექტის როგორც შემეცნებითს-შეფასებითს, ისე მის გარდამქმნელ მოღვაწეობასთან და შეადგენს მთელი მისი მოღვაწეობის მთავარ ღერძს. ზნეობრივ-ღირებულებითი დამოკიდებულების საფუძველია შეფასება, ზნეობრივი ღირებულების გარკვეული გაგება. მაგრამ, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობრივი მოვლენის არაყოველი შეფასება უზრუნველყოფს შესატყვის ღირებულებითს ზნეობრივ დამოკიდებულებას. ობიექტური, საზოგადოებრივი ზნეობრივი ღირებულების პიროვნულში გადასვლა არ წარმოადგენს სწორხაზოვან და ცალსახა პროცესს, მაგრამ იგი ზნეობრივი დამოკიდებულების საფუძველია ზნეობრივი მოვლენის, საბოლოოდ, როგორც ღირებულების შეფასება. თუმცა, ეს უკანასკნელი გარემოება იმას როდი ნიშნავს, რომ მოვლენის უარყოფითი შეფასება, რომელიც სუბიექტივისათვის არ წარმოადგენს ღირებულებას, ხელს არ უწყობდეს ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. როგორც ცნობილია, ამორალურ, არაზნეობრივ მოვლენათა უარყოფის გზითაც პიროვნება ასევე ღრმად და მტკიცედ აცნობიერებს და ითვისებს დადებით ზნეობრივ ღირებულებებს.

ღირებულებითი დამოკიდებულების, პიროვნების მიერ ზნეობრივი ღირებულების ათვისების პროცესის უფრო სრული დახასიათებისათვის მკვლევარები მიმართავენ ისეთ ცნებას, როგორიცაა "მნიშვნელობა". ზოგიერთი მკვლევარი ამ ორ ცნებას იდენტური მნიშვნელობით ხმარობს.[1] ხოლო მკვლევართა უმრავლესობა ამ ორ ცნებას ერთმანეთისაგან განასხვავებს მაგალითად, ვ.ტუგარინოვს მიაჩნია, რომ "მნიშვნელობა" აქვს როგორც დადებით ისე უარყოფით ღირებულებებს. მნიშვნელობა გააჩნია ომებს, დანაშაულობებს, ავადმყოფობებს და ა.შ." მაგრამ მათ ღირებულებებს არავინ უწოდებს, - ამბობს ვ.ტუგარინოვი." ღირებულების ცნება დაკავშირებულია მხოლოდ დადებით მნიშვნელობასთან.[2]

- - - - - - - -

1 იხ. ამის თაობაზე: ლ.რუვინსკი. პიროვნების ზნეობრივი აღზრდა.მ., 1981, გვ.66-67 (რუს.ენ.).

2 ცნობილია, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი, ემყარება რა ღირებულების ასეთ გაგებას, კულტურიდან გამორიცხავს ყოველივეს, რაც პროგრესული, დადებითი მნიშვნელობის არ არის.

3.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მნიშვნელობისა და ღირებულების ცნებათა განსხვავებას ის უპირატესობა აქვს, რომ შესაძლებლობას გვაძლევს ასევე განსხვავებულად, დიფერენცირებულად დავახასიათოთ ზნეობრივ ღირებულებათა ათვისების პროცესში უარყოფითი და დადებითი მოვლენების როლი და მნიშვნელობა.

"მნიშვნელობის" ცნების ანალიზი მოცემული აქვს თავის შრომაში ა.ლეონტიევს. მან ეს ცნება დაახასიათა "პიროვნული საზრისის" ცნებასთან მიმართებაში. წიგნში "ფსიქიკის განვითარების პრობლემები" იგი წერს: "საკუთრივ ფსიქოლოგიურ ფაქტს – ჩემი ცხოვრების ფაქტს – წარმოადგენს ის, რომ მე ვეუფლები ან არ ვეუფლები მოცემულ მნიშვნელობას, ვითვისებ ან არ ვითვისებ მას და ის, თუ რამდენად ვეუფლები მე მას და რად ხდება ის ჩემთვის, ჩემი პიროვნებისათვის; უკანასკნელი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სუბიექტური, პიროვნული საზრისი აქვს მას ჩემთვის".[I]

ამჟამად ჩვენი მიზნისთვის მიზანშეწონილია "პიროვნული საზრისის" ცნება განვიხილოთ "მნიშვნელობის" ცნებასთან მიმართებაში, ვინაიდან ის უკანასკნელი ასევე გარკვეულ მიმართებაშია პიროვნების მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან მისი მოღვაწეობის, ქცევების განხორციელების პროცესში. ასევე იადებით პიროვნულ საზრისს წარმოადგენს ღირებულების სუბიექტური ასპექტი.

პიროვნების ფორმირებაში დადებითი და უარყოფითი შეფასების ურთიერთკავშირის დიალექტიკა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მათ როლს ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების გარდაქმნისა და სრულყოფის საქმეში. საკუთარი თვისებების დადებითი შეფასება ხელს უწყობს მათ მიმართ ღირებულებითი დამოკიდებულების კიდევ უფრო განმტკიცებას; ამავე დროს, იმის გაცნობიერება, რომ შესაძლებელია დადებით თვისებათა კიდევ უფრო განვითარება, ანუ იმის შეგნება, რომ საჭიროა იდეალთან შედარებით მათი კრიტიკული შეფასება, ე.ი. უარყოფითი დამო-

- - - - - - - -

I ლეონტიევი ა. ფსიქიკის განვითარების პრობლემები. მ.,1959, გვ.223.

კიდებულება საკუთარი ნაკლოვანებებისადმი, ხელს უწყობს პიროვნების გააქტიურებას სრულყოფისა და თვითაღზრდის მიმართულებით. სუბიექტის მიერ საკუთარი ქცევების პიროვნული საზრისის, საკუთარი ღირებულებებისა და ნაკლოვანებების შეფასებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თუ რამდენად გადაიქცევა ინდივიდი საკუთარი პიროვნების შემოქმედად.

ადამიანის მიერ თავისივე პიროვნების ღირებულების შეფასება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ზნეობრივი აღზრდის პროცესში. საქმე ის არის, რომ პიროვნებაში ხდება ღირებულებების არამარტო აკუმულირება, არამედ გარდაქმნაც და ეს გარდაქმნა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აფასებს ადამიანი მის თვისებებს, აფასებს მათ როგორც იდეალურ ღირებულებებს, თუ მიიჩნევს მათ ისეთ ღირებულებებად, რომელნიც შემდგომ სრულყოფას საჭიროებენ; თუ აფასებს მათ არაღირებულებად, ე. ი. ისეთ რამედ, რისი დაძლევა და გადალახვაა საჭირო.

თვითშეფასება როგორც შეფასების თავისებური სახე, როგორც სუბიექტის მიერ საკუთარი თვისებების პიროვნული საზრისის შეფასება, განსაზღვრავს აგრეთვე სუბიექტის პოზიციას ახალ ზნეობრივ ნორმათა, ღირებულებათა ათვისების მხრივ. ამიტომაც, თვითშეფასება, როგორც შეფასების ნაირსახეობა, ასევე ხელს უწყობს პიროვნების მიერ ზნეობრივ ღირებულებათა ათვისებას და იგი ამ ათვისების მექანიზმის საფუძველია.

მაშასადამე, ადამიანის მიერ ობიექტურ ზნეობრივ კატეგორიათა - მორალური პრინციპების, მოთხოვნების - შეფასების მეშვეობით ზნეობრივ ღირებულებაში მყარდება ობიექტურისა და სუბიექტურის გარკვეული ერთიანობა, რომელიც პიროვნულ დონეზე ადეკვატურად ასახავს საზოგადოებრივი ცნობიერების, ზნეობრივი შეგნებისა და პიროვნების მოქმედების ღირებულებას.

როგორც ზემოთ ითქვა, შეფასება ინტელექტუალური და ემოციონალური

მომენტების ერთიანობას წარმოადგენს. საბჭოთა ფსიქოლოგებმა აჩვენეს, რომ პიროვნების ზნე. რივი თვისებების საფუძველს შეადგენს სწორედ ინტელექტუალურ-ემოციონალური კომპლექსები.[I] მათვე აჩვენეს, რომ შეფასებისა და თვითშეფასების ერთიანობა გაპირობებულია იმით, რომ მათ საფუძვლად უდევს ინტელექტუალურ-ემოციონალური კავშირების არსებობა.

მათი აზრით, ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების ათვისების საფუძველია ამ პრინციპებისადმი გაცნობიერებულ-ემოციონალური მიდგომა, ცოდნისა და ქცევის ზნეობრივი პიროვნული საზრისის განცდის ერთიანობა. ქცევის ზნეობრივი პიროვნული საზრისისა და მისი განცდის ორგანული კავშირი არის ის პირობა, რომელიც განსაზღვრავს ზნეობრივ ღირებულებათა ათვისების მექანიზმის ამოქმედებას და ხელს უწყობს ზნეობრივი ცნობიერებისა და მოქმედების, ქცევის ერთიანობას.

ობიექტთა პიროვნული საზრისის შეფასება და შესაბამისი განცდა ადამიანისათვის იქცევა ისეთ სუბიექტურ მნიშვნელობად, რომლის ფიქსირება ხდება მისი პიროვნების სტრუქტურაში. კომპლექსების წარმოქმნის პროცესში შესაბამისად წარმოიშობა გარკვეული ინტელექტუალურ-ემოციონალური მდგომარეობის აუცილებლობა. ასე ჩნდება მოთხოვნილება, რომლის საფუძველია ინტელექტუალურ-ემოციონალური კომპლექსი და რომლის ბუნება, არსი შეიძლება გავიგოთ როგორც სუბიექტივისათვის ამა თუ იმ კომპლექსთა აქტუალიზაციის აუცილებლობა. ამის თაობაზე ლ. ბოჟოვიჩი აღნიშნავს: "განცდა... გვევლინება იმ ფსიქოლოგიურ რეალობად, რომელშიც ადამიანი გრძნობს მოთხოვნილებას. ასე წარმოიშობიან თითქოსდა გაუმაძღარი მოთხოვნილებანი... რომლებიც განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნიან

- - - - - - - -

I იხ. ტიხომიროვი ო. ადამიანის ქცევების სტრუქტურა. სადოქტ. დის. ავტორეფერატი, მ., 1974 (რუს.ენ.), ლეონტიევი ა. ფსიქიკის განვითარების პრობლემები. მ., 1959; მისივე: შემოქმედება, ცნობიერება. პიროვნება, მ., 1975 (რუს.ენ.); ბოჟოვიჩი ლ. პიროვნებისა და მისი ონტოგენეზში ჩამოყალიბების შესწავლა. წგნ.: პიროვნების ჩამოყალიბების მართვის პრობლემა. მ.,1972 (რუს.ენ.); ვიგოტსკი ლ. ხელოვნების ფსიქოლოგია. მ., 1968 (რუს.ენ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ადამიანის ფსიქიკური განვითარებისათვის".[1]

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიც კი, თავიანთი "გაადამიანურების", გაცნობიერებისა და ინტელექტუალურ-ემოციონალურ კომპლექსში ფსიქიკურ მოთხოვნილებებად გარდაქმნის პროცესში იძენენ იმავე არსებით თავისებურებას, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. ეს დებულება სავსებით შეესაბამება თეზისს-პიროვნების განვითარებაში სოციალურისა და ბიოლოგიურის დიალექტიკური ურთიერთკავშირის შესახებ.

მრავალ ავტორს მიაჩნია, რომ მოთხოვნილებები შეადგენენ ადამიანური აქტივობის არსს, მის საფუძველს. ისინი განაპირობებენ პიროვნების ინტერესებს, მისწრაფებებს და სხვა არსებით თვისებებს. ასე, მაგალითად, შ.ჩხარტიშვილის აზრით, "...განვითარების პირველი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა აქტივობის მოთხოვნილება, რომელიც თვითონ სიცოცხლის ბუნებას გამოხატავს და მთლიანი ინდივიდისადმი დაქვემდებარებული ფსიქიკური სტრუქტურების მიხედვით განიცდის დიფერენცირებას".[2]

აქტივობის ანუ ფუნქციობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება გარკვეული მიმართულებით ქცევის მეშვეობით ხორციელდება.

თუ მოთხოვნილების წარმოშობის საკითხს ისტორიულ ჭრილში - ცოცხალი არსების ფილოგენეტური და ონტოგენეტური განვითარების კუთხით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე აქტივობის პირველწყაროს ყოველთვის ორგანული და ფუნქციონალური მოთხოვნილებები წარმოადგენს. განვითარების შემდგომ, მაღალ საფეხურზე, საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმოშობასთან ერთად კი, ინდივიდთა მოთხოვნილებების წრეც ფართოვდება. ადამიანთა ორგანული და ფუნქციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში ხდება თვითონ ამ მოთხოვნილებათა დიფერენციაცია. ხოლო შემდგომში კი ცხოვრებისეული გამოცდილების ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნილებათა წრეც და როგორც კ.მარქსი

---

1 ბოჟოვიჩი ლ. დასახ.ნაშრ., გვ.8.

2 ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ.30.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამბობს, "მოხმარება ქმნის მოთხოვნილებას".[1] ამის თაობაზე მართებულად მიუთითებს ო. ჯიოევი: "საზოგადოების ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობა უნდა გავიგოთ როგორც პროცესი, რომლის მიზანი იყო ადამიანთა არსებობის უზრუნველყოფა, მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. კულტურის წარმოშობაც ამ პროცესის ნაწილია. ადამიანთა არსებობის უზრუნველყოფა დიდი ხნის განმავლობაში ნიშნავდა ადამიანთა თვით სიცოცხლის უზრუნველყოფას, მათი ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვას. მაგრამ, ამ მოთხოვნის შინაარსი უცვლელი როდი დარჩა. უკვე ძველ რომში პლებეები მოითხოვდნენ არამარტო პურს, არამედ სანახაობასაც. როდესაც კულტურის შექმნა პროფესიად იქცა, ის უკვე მარტო საშუალება კი არ იყო ადამიანის არსებობის შესანარჩუნებლად, არამედ ადამიანის არსების გამოვლენის ასპარეზიც: არამარტო ბერძნული ხელოვნება და მეცნიერება ემსახურებოდა, მაგალითად, მონათმფლობელურ სახელმწიფოს, არამედ ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოებაც იყო ანტიკური კულტურის განვითარების საშუალება".[2]

ამიტომ, სწორია დებულება, რომლის მიხედვით კულტურა ადამიანის ქმნადობის, მისი "გაადამიანების" პროცესია. თუ ღირებულების ცნება გულისხმობს ყოველივეს, რისკენაც ადამიანები მიისწრაფვიან როგორც მიზნისაკენ ან რასაც ადამიანები მიიჩნევენ საშუალებად მიზნის მისაღწევად, კულტურაში იგულისხმება ყოველივე ის, რაშიც განხორციელებული და ხორცშესხმულია ის ღირებულებანი, რომელთაც ადამიანები (ჯგუფები, კლასები, ერები და ა.შ.) აღიარებენ. ღირებულებათა რეალიზაციის პროცესი, ანუ კულტურა ასახავს იმას, თუ რამდენად გარდაიქმნა თვითონ ადამიანი, რამდენად "ადამიანური" გახდა იგი. ამ აზრით ამბობენ, რომ "კულტურა ადამიანურობის სინონიმიაო". ამავე აზრით, კულტურა არის არა

- - - - - - -

1 მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბ., 1953, გვ. 270.
2 ჯიოევი ო. კულტურის პრობლემა მარქსისტულ ფილოსოფიაში. კრბ.: კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1975, გვ. 10.

მხოლოდ მიზანი, არამედ საშუალებაც ადამიანში მგრძნობელობის უნარის განვითარებისათვის.

რამდენადაც ჩვენ ვიხილავთ საკითხს კულტურის აღმზრდელობითი ფუნქციის თაობაზე, იმის თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს კულტურა პიროვნების აღზრდის პროცესში, მიზანშეწონილად მივაჩნია ყურადღება გავამახვილოთ იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ კულტურისა და ადამიანის ურთიერთობა გაშუალებულია ისეთი ფენომენით, როგორიცაა შრომა. მაგალითად, შრომისა და კულტურის სფეროები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ შრომის პროცესის განხორციელების ხერხები და დონე აუცილებლად მიეკუთვნება კულტურას. ამდენად, შრომისა და კულტურის სფეროები ჰკვეთენ ერთმანეთს არამარტო იმიტომ, რომ შრომაც და კულტურაც წარმოადგენს საშუალებას ადამიანის არსებობის უზრუნველყოფისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ორივეს გარკვეული ღირებულებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. ის, რითაც შრომა და კულტურა ღირებულებითი მნიშვნელობის მქონეა ადამიანისათვის, არის შემოქმედება. შემოქმედება იმ აზრით, რომ, როგორც კულტურა, ისე შრომა წარმოადგენს ადამიანის არსობრივი ძალების გამოვლენის ასპარეზს. ამას გულისხმობს კ. მარქსი, როცა ამბობს: "მრეწველობის ისტორია და მისი შესაბამისი მრეწველობის საგნობრივი ყოფიერება არის ადამიანის არსობრივ ძალთა გაშლილი წიგნი, ჩვენ წინაშე გრძნობადად მოცემული ადამიანური ფსიქოლოგია, რომელსაც დღემდე მხოლოდ სარგებლიანობის კუთხით განიხილავდნენ და არა ადამიანის არსებასთან კავშირში".[I] კ. მარქსის ამ სიტყვებში ნათლადაა მითითებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომას ადამიანისათვის, რაც მხოლოდ იმაში როდი მდგომარეობს, რომ ადამიანი შრომით მოიპოვებს საარსებო საშუალებებს, არამედ იმაში, რომ შრომის მეშვეობით ადამიანი ქმნის თავის თავს როგორც ადამიანს, გაშლის და განავითარებს თავის არსობრივ ძალებს.

- - - - - - - -

I მარქსი კ., ენგელსი ფ. თხზ., ტ. III, მ., 1955, გვ. 628 (რუს. ენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შრომა მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საფუძველი. კერძოდ, შრომის პროდუქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება "თავისუფალი აუცილებლობის" განხორციელება, თუ იგი წარმოადგენს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის პროდუქტს.

სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი თავისებურების გამოსავლენად აუცილებელია სწორედ იმის ანალიზი, რომ შემოქმედება არის კულტურისა და შრომის ისეთი საერთო ნიშანი, რომელიც ერთნაირად არ ვლინდება შრომისა და კულტურის ყველა სფეროში და მათი განვითარების ყველა ეტაპზე.

ცნობილია, რომ სულიერი კულტურა მოიცავს არა მხოლოდ სულიერ წარმოებას, არამედ კულტურის ღირებულებათა მოხმარებასაც, რაც გარკვეულწილად ხორციელდება ადამიანთა არასაწარმოო, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ანუ ყოფა-ცხოვრებაში.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ წარმოების, საზოგადოებრივი მოღვაწეობის და ყოფა-ცხოვრების მკვეთრი გამიჯვნა, გათიშვა დამახასიათებელია ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის, სადაც ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრება უპირისპირდება საზოგადოებრივს. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანური ცხოვრებისა და ადამიანის არსის ასეთი გახლეჩილობა ისტორიულად გარდამავალი მოვლენაა.

კაცობრიობის არსებობის გარიჟრაჟზე წარმოება და ყოფა-ცხოვრება ერთიანი, შერწყმული პროცესი იყო. თუმცა, უკვე პირველყოფილ საზოგადოებაში, მისი განვითარების ბოლო სტადიაზე. შეინიშნება წარმოებისა და ყოფის, ცხოვრების წესის განცალკევება, მაგრამ ფეოდალიზმის დროს მოსახლეობის ძირითადი ფენისათვის დამახასიათებელია საწარმოო პროცესებისა და ყოფა-ცხოვრების ელემენტების გარკვეული ერთიანობა. მაგალითად, შუა საუკუნეების ხელოსნის ან გლეხის მთელი პირადი, ინდივიდუალური ცხოვრება განმსჭვალული იყო საწარმოო ინტერესებით, რადგანაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თვითონ წარმოებაც ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა. კაპიტალიზმის პირობებში კი წარმოება საზოგადოებრივი ხასიათისაა, მაგრამ ეს იწვევს სწორედ იმას, რომ ადამიანური მოღვაწეობის, მოქმედების საზოგადოებრივი მხარე, ამ მოღვაწეობის შედეგები უპირისპირდებიან მის შემქმნელს. პირადი ცხოვრება უპირისპირდება საზოგადოებრივს, წარმოება - ყოფაცხოვრებას. ასეთ პირობებში წარმოებითი საქმიანობა, მუშის შრომა იქცევა მხოლოდ ადამიანის ერთადერთი მოთხოვნილების - ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფის საშუალებად. ამ მოვლენის ანალიზი მოგვცა კ.მარქსმა "1844 წლის ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში".

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლაში ადგილი აქვს საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას; საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ყოველი შემდგომი საფეხური ბუნების ძალებზე ადამიანის გაბატონების გაძლიერების დადასტურებაა, ადამიანის ერთ-ერთი არსობრივი ძალის რეალიზებაა. მაგრამ ადამიანის ძალების მიზნების რეალიზაციას, გარკვეულ პირობებში, ისეთი შედეგები მოსდევს, რომლებიც სრულებით არ არის ნაგულისხმევი მიზანში. ასე, მაგალითად, თემური წყობილებიდან მონათმფლობელობაზე გადასვლა, ე.ი. საერთო საკუთრების ფორმებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა, ბუნებაზე ადამიანის გაბატონების გაფართოებას და, შესაბამისად, ადამიანის გარკვეული არსობრივი ძალის რეალიზაციას ნიშნავდა, მაგრამ ამას თან მოყვა ადამიანის სხვა არსობრივი ძალების შებოჭვა: ადამიანი კი თავისუფლდება თანდათან ბუნების ძალთა ბატონობისგან, მაგრამ კარგავს თავის თავს, სოციალური ძალების მონა ხდება. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში ადამიანის ბატონობის გაძლიერებას ბუნებაზე თან ახლავს ადამიანის გაუცხოება, ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნულობის დაკარგვა, ადამიანური არსების დამახინჯება. "1844 წლის ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში" კ.მარქსმა ნათლად აჩვენა, რომ კერძო საკუთრების პირობებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ში, იძულებითი შრომის დროს იშლება და ინგრევა მუშის პიროვნება, ნადგურდება მისი ნამდვილი ადამიანური სახე. ეკონომიური ცხოვრების გაუცხოება, რასაც ადგილი აქვს კერძო საკუთრების დროს, აისახება ადამიანის სულიერ სფეროში. შრომის დამახინჯება აღარიბებს მუშის შინაგან სულიერ სამყაროს. ასეთ პირობებში, კ.მარქსის მიხედვით, შრომა მუშისთვის გარეგანია; ის არ ეკუთვნის მუშის არსებას, მუშა შრომის პროცესში კი არ ადგენს, არამედ უარყოფს საკუთარ თავს, გან-ცდის არა ბედნიერებას, არამედ უბედურებას, თავისუფლად კი არ ავითარებს ფიზიკურსა და გონებრივ ენერგიას, არამედ აუძლურებს თავის ფიზიკურ ბუნებას და ანგრევს გონს... შრომა მისთვის ნებაყოფილობით კი არ არის, არამედ იძულებითია. იგი შრომის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი არ არის, არამედ სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. შრომა აღარ ეკუთვნის მუშას, თვითონ მუშაც შრომის პროცესში არ ეკუთვნის თავის თავს. აქ გაუცხოებას ადგილი აქვს არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ მუშას უპირისპირდება მისი შექმნილი პროდუქტი, ან მუშა თვითგაუცხოებულია, არამედ იმ მხრივაც, რომ ადამიანებ გაუცხოებული არიან რა თავიანთი გვარეობითი არსის მიმართ, ამით ერ-მანეთის მიმართაც გაუცხოებულნი ხდებიან.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ადამიანი კნინდება, ვიტალური თვითშენახვის ინტერესები იქცევა ერთადერთ და უკანასკნელ მიზნად გონებრივი ენერგია კი ვერ პოულობს რეალიზაციას. როგორც კ.მარქსი ამბობს, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ადამიანი თავისუფლად მოქმედებს მხოლოდ მისი ცხოველური ფუნქციების შესრულებისას - ჭამის, სმის, სქესობრივი აქტის დროს და ა.შ. ხოლო ადამიანურ ფუნქციებში ის თავს მხოლოდ ცხოველად გრძნობს. მართალია, შენიშნავს კ.მარქსი, ჭამა, სმა, სქესობრივი აქტი და სხვ.წარმოადგენს ნამდვილ ადამიანურ ფუნქციებს, მაგრამ თუ ამ აქტებს წარმოვიდგენთ როგორც ადამიანთა უკანასკნელ და ერთადერთ მიზანს და მოვწყვეტთ მათ ადამიანური მოღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწეობის სხვა სფეროებისგან, ეს აქტები, მართლაც, მხოლოდ ცხოველური ხასიათის გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ცხოველის მსგავსად, შიშველი მომხმარებელი ხდება, ვითარდება ცალმხრივად. ასეთ პირობებში მაღალი ადამიანური გრძნობებისა და ინტერესების ადგილს იკავებს ფლობის გრძნობა, ასე ცალმხრივად განვითარებული ადამიანისათვის საინტერესო ხდება მხოლოდ ის, რისი ფლობა და მოხმარებაა შესაძლებელი. აქედან კი სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ მომხმარებლური ინტერესი, ფლობის გრძნობა ვრცელდება არამარტო საგნებზე, არამედ ადამიანებზეც. გაუცხოებული შრომის პირობებში, ერთ ადამიანს მეორე მიაჩნია არა მის ტოლფასოვან, ღირსებებით შემკულ ადამიანად, არამედ საკუთარი ინდივიდუალისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად.

გაუცხოებული შრომისა და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის შედეგად მარქსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დადებითი გაუქმება კერძო საკუთრებისა არის დადებითი გაუქმება ყოველგვარი გაუცხოებისა, ანუ, რელიგიიდან, ოჯახიდან, სახელმწიფოდან და ა.შ. ადამიანის დაბრუნება მისი ადამიანური ყოფიერებისადმი. კ.მარქსის მიხედვით, შრომის გაუცხოების მოსახსნელად საჭიროა საზოგადოების ძირეული გარდაქმნა. მაგრამ საზოგადოების გარდაქმნით (კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ლიკვიდაციით) როდი წყდება საბოლოოდ შრომის გარდაქმნის ამოცანა. საქმე ისაა, რომ შრომა იმდენად ძირეულად უნდა გარდაიქმნას, რომ არაშრომად იქცეს.

კ.მარქსის ეს დებულება შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: შრომა, ჩვეულებრივ, უპირისპირდება თავისუფალ დროს. თუ შრომის პროცესში ადამიანი საზოგადოებრივი, წარმოებითი ურთიერთობებით არის შებღუდული, თავისუფალ დროს მას შეუძლია აკეთოს ის, რაც მოესურვება. თავისუფალ დროს ადამიანი გამოიყენებს მისი ყველა უნარის განვითარებისათვის, "ძალთა განახლებისათვის", ხოლო შრომის პროცესში მოიხმარს ამ უნარს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომის "არაშრომად" გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ აზრი დაეკარგება შრომისა და თავისუფალი დროის დაპირისპირებას. როგორც შრომა, ისე არაშრომა ადამიანის ყველა უნარის, მისი თავისუფალი მოღვაწეობის გამოვლენა იქნება. სწორედ ასეთი შრომა შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის არსების გამოვლენად და არა ყოველგვარი შრომა. შემდგომში, კულტურის მონაპოვართა სისტემატური დანერგვა წარმოების პროცესში თანდათან უზრუნველყოფს შრომის გათავისუფლებას არაშემოქმედებითი ფუნქციებისაგან, ასევე თანდათან შეიცვლება თავისუფალი და სამუშაო დროის თანაფარდობა - სულ უფრო შემცირდება აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობა და შეიქმნება პირობები შრომის არაშრომად გადაქცევისათვის. პიროვნების სიმდიდრის მაჩვენებელი, როგორც მარქსი აღნიშნავს, იქნება არა სამუშაო, არამედ თავისუფალი დროის სიდიდე, როდესაც შრომის პროცესი და თავისუფალი დრო ერთნაირად იქნება ადამიანის ყველა უნარის გამოვლენისა და განვითარების ასპარეზი და საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო. ადამიანს ისეთივე მოთხოვნილება ექნება შრომისა, როგორი მოთხოვნილებაც გააჩნია საერთოდ შემოქმედებისა - შემოქმედებისა, როგორც ყველა ადამიანური უნარის გამოვლენის ასპარეზისა. ამ აზრით ამბობს მარქსი, რომ შრომა იქცევა სასიცოცხლო მოთხოვნილებად, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ შრომა აღარ იქნება საზოგადოების არსებობის უზრუნველყოფის საშუალება, არამედ იმას, რომ ცალკეული ადამიანისათვის შრომითი მოქმედების მიზანი იქნება უკვე არა თავისი საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა, არამედ სპეციფიკური მოთხოვნილების - შრომის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სოციალისტური კულტურა ბოლოს უღებს პიროვნების გაუცხოებას მის მიერ შექმნილი ღირებულებისაგან და ამით უზრუნველყოფს კულტურისა და ჰუმანიზმის ორგანულ ერთიანობას, რაც ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია.

რამდენადაც ნამდვილი კულტურა შემოქმედებითი ხასიათისაა, ამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნად კულტურისაგან პიროვნების გაუცხოების გადალახვა, უწინარეს ყოვლისა, არის პიროვნების დაკავშირება შემოქმედებასთან, თანაც ისეთ შემოქმედებასთან, რომელიც მოცემული პროფესიის ვიწრო ჩარჩოებით კი არ იქნება განსაზღვრული, არამედ გამსჭვალავს ადამიანური ცხოველქმედების ყველა სფეროს. სწორედ ამიტომ, კულტურის განვითარება აუცილებლობითაა დაკავშირებული დემოკრატიის გაფართოებასთან, საზოგადოების ყველა საქმეების მართვაში მასების უშუალო მონაწილეობასთან, ვინაიდან კულტურა სწორედ პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება-ჰუმანიზაციის დონეს გამოხატავს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვევლინება პიროვნება როგორც კულტურის სუბიექტად, ასევე კულტურის ობიექტად, რადგანაც ყოველივე, რაც იქმნება საზოგადოების მიერ კულტურულ-ისტორიულ პროცესში, უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს. ამასთანავე, ცალკეულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს კი არა, ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა (არა აბსტრაქტული, არამედ რეალური) თავისუფლად ისარგებლოს კულტურის სიკეთით, რომელიც მარტო მის მიერ კი არა, მთელი კაცობრიობის მიერაა შექმნილი.

სოციალისტური კულტურა, როგორც კულტურის განსაკუთრებული ტიპი, წარმოადგენს წინა თაობათა მიერ მიღწეული შედეგების შემოქმედებითი, კრიტიკული გადამუშავების პროდუქტს. თავის მხრივ, კომუნისტური კულტურა, კულტურის უმაღლესი ტიპი, იქნება ყველა იმ მონაპოვართა შემცველი, რაც კი კაცობრიობას თავისი ისტორიის მანძილზე პროგრესული შეუქმნია.

კულტურის სხვა ტიპებისაგან განსხვავებით, კომუნისტური კულტურა რეალურად შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუკი მისი ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ყოველი ცალკეული ინდივიდისათვის იქნება დამახასიათებელი. კულტურისა და პიროვნების შეერთება, პიროვნების სრუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლი და ჰარმონიული განვითარების პირობების შექმნა, კულტურისა და საზოგადოების ისტორიათა დამთხვევა – აი, ის სიახლე და თავისებურება, რაც კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს შეაქვთ კაცობრიობის კულტურულ-ისტორიულ განვითარებაში.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა, ამ საზოგადოებათა შესაბამისი კულტურის შექმნა კი მხოლოდ თავისუფალი, აქტიური, შეგნებული და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების მეშვეობითაა შესაძლებელი.

თანამედროვე პირობები ცხადჰყოფენ, რომ საზოგადოების განვითარებაში სულ უფრო იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი და მნიშვნელობა, ანუ სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეულ პიროვნებათა თავისუფალი, შეგნებული მოღვაწეობა. პიროვნების მოღვაწეობა საზოგადოებრივ ხასიათს მხოლოდ მაშინ ატარებს, თუ მისი მიზნები და მოთხოვნილებები შეესაბამებიან ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებებსა და მიზნებს. პიროვნების, როგორც კულტურულ-ისტორიულ პროცესის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება ხასიათდება სწორედ ინდივიდუალურის, პიროვნულისა და საზოგადოებრივ-ობიექტურის ორგანული ერთიანობით. სოციალიზმი, როგორც "არასრული კომუნიზმი", ქმნის გარკვეულ წანამძღვრებს ასეთი ერთიანობისათვის.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ამის თაობაზე საგანგებოდაა მითითებული: "პარტია ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ სრულად გამოიყენოს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გარდამქმნელი ძალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, აწარმოოს მიზანმიმართული მუშაობა საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც შეხამებული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კური სრუქმნილება".[I]

სოციალისტური საზოგადოების და, შესაბამისად, სოციალისტური კულტურის მთავარი ამოცანაა სწორედ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის გვარეობითი არსიდან გამომდინარე მოთხოვნილებების მიხედვით მოქმედი პიროვნების ჩამოყალიბება; ისეთი პიროვნებისა, "რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იქნება იქითკენ, რათა გამოამჟღავნოს და განავითაროს არამარტო საკუთარი უნარი და შესაძლებლობანი, არამედ გაამდიდროს სხვა ადამიანებიც, იმპულსი მისცეს მათს შემოქმედებითს მოღვაწეობას. ადამიანი, რომელშიც იმოქმედებს ჭეშმარიტების შემეცნების დაუცხრომელი წყურვილი... ადამიანი, რომელიც იქნება თავისი სოციალური ყოფიერების ბატონ-პატრონი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების მართვაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების შემოქმედებაში, ადამიანი რომელიც თავის ესთეტიკურ და ზნეობრივ მოღვაწეობაში იქნება არა უბრალო მჭვრეტელი, არამედ შემოქმედებითად აითვისებს ესთეტიკურ და ზნეობრივ ღირებულებებს და იცხოვრებს მათი მოთხოვნილების მიხედვით".[2]

ამგვარი პიროვნების მოღვაწეობა იქნება თავისუფალი შემოქმედება, ანუ თვითშემოქმედება. ეს იქნება "ნახტომი" ინდივიდისათვის გარეგანი პირობებით რეგულირებადი შემოქმედებიდან თვითშემოქმედებისაკენ; "ნახტომი" ცალმხრივად განვითარებული პიროვნებიდან ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებისკენ, რომელიც მისი შინაგანი მრწამსის, მისი შეხედულებებისა და ღირებულებითი ორიენტაციების მიხედვით იმოქმედებს.

- - - - - - - -

I სკკპ პროგრამა (ახალი რედაქცია). თბ., 1986, გვ. 43-44.

2 ბაქრაძე არჩ. შემოქმედებითი აქტივობის როლი ახალი ადამიანის ფორმირებაში, კრბ.: ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები. ნაწ. VI, თბ., 1979, გვ. 121-122.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Каландия И.Д.

## РОЛЬ КУЛЬТУРЫ В ФОРМИРОВАНИИ ЛИЧНОСТИ

### А н н о т а ц и я

В статье показано, что культура, с одной стороны, отражает уровень господства людей над природой, т.е. показывает, чего достигло общество в направлении развития науки и техники, с другой – характеризует степень гуманизации человеческих отношений, так как, преобразуя природу, общество руководствуется не только практическими потребностями и целями, но и ценностями.

В этом смысле, культура является процессом реализации социально значимых ценностей, вследствие чего происходит формирование и становление самого создателя и субъекта культуры – личности.

სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის
კათედრა

რ. ა. ლომინაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## ინტერნაციონალური აღზრდა
## თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნამ, რასაც დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, კიდევ უფრო აამაღლა ხელოვნების მნიშვნელობა. იგი ხალხის აღზრდის, საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნის უმნიშვნელოვანესი ინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრუმენტი ხდება; განსაკუთრებით იზრდება თითოეული შემოქმედის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა მისი შრომისადმი. ამიტომაა, რომ პარტია ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლებისაგან მოითხოვს არამხოლოდ პროფესიული, არამედ იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც სათანადოდ მომზადებული შემოქმედებითი ცვლის აღზრდას, რომელიც შეძლებს სულიერ სფეროში მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, ბრძოლას ულმობლობისა და უიდეობის წინააღმდეგ, მხატვრული სიმართლის დამკვიდრებას, ე.ი. დღეს ისე, როგორც არასდროს ჩვენს საზოგადოებას სჭირდება პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი ხელოვანი-მოქალაქე, ხელოვანი-პატრიოტი და ინტერნაციონალისტი.

ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახული ამ ამოცანების შესრულების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდის ახალ დონემდე აყვანა.

სოციალიზმმა მოსპო ეროვნებათაშორის ურთიერთობაში ანტაგონიზმის კლასობრივი საფუძვლები და ამით შექმნა ნაციონალიზმის დაძლევის პირობები. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ეროვნული არათანასწორუფლებიანობა, სულ სხვაგვარი გახდა ერებს შორის ურთიერთობა, შეიქმნა თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა - საბჭოთა ხალხი. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის მძლავრი პროცესი ასახვას პოულობს საბჭოთა ადამიანების ფსიქოლოგიაშიც. სოციალისტური ყოფიერება ობიექტურად ახდენს ზემოქმედებას პიროვნების ინტერნაციონალისტური მრწამსის ფორმირებაზე. მაგრამ მისი ამ პოტენციის რეალიზება ჯერ კიდევ სრულად არ ხდება. საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავს ობიექტურ სოციალურ პროცესებს. ძვრები ადამიანთა ფსიქოლოგიაში გაცილებით უფრო ნელა ხდება, ვიდრე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. წინანდელი ფსიქოლოგიური განწყობილებანი არსებობენ მაშინაც, როდესაც აღარ არის მათი გამომწვევი ფაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორები. ნაციონალისტური ცრურწმენა, ეროვნული გრძნობის გადაჭარბებული თუ დამახინჯებული გამოვლინებანი ისეთი მოვლენებია, რომლებიც დიდხანს ძლებენ პოლიტიკურად უმწიფარი ადამიანების ფსიქოლოგიაში და რომლებიც სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეგოიზმის ერთ-ერთი გამოხატულებაა, იმისადმი მისწრაფებაა, რომ პრივილეგიები შესძინოს მის ეროვნებას სხვათა ხარჯზე. ამიტომ, არ შეიძლება კვლავ და კვლავ დიდი ყურადღება არ მივაქციოთ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას, ხალხთა ურღვევი მეგობრობის პირობებშიც კი ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად მივიჩნიოთ. ინტერნაციონალისტების აღზრდა მოითხოვს მუდმივ "კვლავწარმოებას", ე.ი. ახალი თაობები ასევე უნდა აღიზარდონ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტა იმ სახით, როგორითაც წარსულმა დაგვიტოვა, სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევაა. მაგრამ ჩვენმა მიღწევებმა არ უნდა შეგვიქმნას წარმოდგენა, თითქოს ეროვნულ პროცესებში პრობლემები არ იყოს. ცხოვრება წინ მიდის, აქაც ჩნდება ახალი პრობლემები და ამიტომ ინტერნაციონალური აღზრდის წინაშეც დგება ახალი ამოცანები. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდაქმნის პირობებში, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, "ნეგატიური მოვლენები და დეფორმაციები, რომელთა წინააღმდეგაც წამოვიწყეთ ბრძოლა, ეროვნული ურთიერთობის სფეროშიც გამომჟღავნდა."[I]

"საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იმით ხელმძღვანელობს, - ნათქვამია პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, - რომ ჩვენს სოციალისტურ მრავალეროვან სახელმწიფოში ასზე მეტი ერისა და ეროვნების ერთობლივი შრომისა და ცხოვრების პროცესში კანონზომიერად წამოიჭრება ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის ახალი ამოცანები. პარტია წყვეტდა და გადაწყვეტს ამ ამოცანებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაცადი პრინ-

- - - - - - - - -

I გაზ. "კომუნისტი", 1987 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციპების საფუძველზე".[1]

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდა იმითომაცაა აქტუალური, რომ იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავების, იმპერიალიზმის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გაჩაღებული "ფსიქოლოგიური ომის" პირობებში ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს გამოაცოცხლოს ნაციონალიზმი, დაახშოს საბჭოთა ადამიანების, უწინარესად ახალგაზრდობის, პატრიოტული გრძნობები, დაასუსტოს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ინტერნაციონალიზმის აღზრდა - ადამიანთა ინტერნაციონალური შეგნებისა და ფსიქოლოგიის ფორმირების პარტიის მიერ წარმართული პროცესია. "პარტია, ჩვენი სახელმწიფო დაინტერესებული არის იმით, - ჩაწერილია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, - რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს ახასიათებდეს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების გამაერთიანებელი მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურა, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ეროვნული ეგოიზმის გამოვლინების, იმ ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების შეუწყნარებლობა, რომლებიც ხელს უშლიან ცხოვრების კომუნისტურ განახლებას".[2]

ინტერნაციონალური აღზრდის ფართოდ გაშლისათვის პარტიის XXVII ყრილობის მიერ შექმნილ ხელშემწყობ პირობებს მაქსიმალურად იყენებს საქართველოს კომპარტია, რომელიც ეყრდნობა წინა წლებში დაგროვილ დიდ გამოცდილებას. რესპუბლიკაში შექმნილია ერთა ურთიერთობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი. მასების ინტერნაციონალური შეგნების ფორმირების საკითხები სპეციალურად იხილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის

- - - - - - - -

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ.242

2 იქვე, გვ.256.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კრებებსა და თათბირებზე, ხელმძღვანელთა შეხვედრებზე მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, სადაც პრინციპული შეფასება ეძლევა ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას, ისახება მუშაობის ახალი გზები და საშუალებები.

ერთა შორის ურთიერთობის, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს სწავლობენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლებლების კათედრები. მათი გამოკვლევების კონკრეტული მასალები საშუალებას იძლევიან უფრო სრულად გამოვავლინოთ ამ სფეროში არსებული ტენდენციები და პრობლემები, ნაკლოვანებანი ინტერნაციონალურ აღზრდაში, შევიმუშავოთ მათი დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ სოციალიზმისათვის უცხო ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინებების, ინტერნაციონალისტური პოზიციებიდან გადახვევების აღმოფხვრისათვის. კომუნისტები დარწმუნდნენ: უშრომელი შემოსავალი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, სხვა ნეგატიური მოვლენები დიდ საშიშროებას წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის, მათი პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საქართველოს კომპარტიის მიზანსწრაფული საქმიანობის, ეროვნული პოლიტიკის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საკითხებისადმი ლენინური მიდგომის შედეგად რესპუბლიკაში თანდათანობით იქმნება ჯანსაღი მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო, რაც, თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის უფრო ნაყოფიერად წარმართვას.

სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდის დიდი გამოცდილება აქვს საქართველოს უმაღლეს სკოლას, რომელიც ისე, როგორც მთელი საბჭოთა უმაღლესი სკოლა, მისი ბუნებით ინტერნაციონალურია. რესპუბლიკაში შექმნილია სტუდენტ-ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პროცესის მართვის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს აღზრდისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სწავლის პროცესების დიალექტიკურ ერთიანობას, მთელი იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინაციას.

უმაღლეს სასწავლებლებში ინტერნაციონალური აღზრდის კონკრეტული ფორმები და მეთოდები ჭეშმარიტად ამოუწურავია. ბოლო ხანებში გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა ამ საქმიანობის ბევრი ახალი ინიციატივა და მიმართულება. შეიქმნა დასკვნების გამოტანის, დაგროვილი გამოცდილების კრიტიკული გააზრების რეალური საშუალება და მწვავე აუცილებლობა მისი ახალ თვისებრივ დონეზე აყვანისათვის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ დააყენა. ამისათვის საჭიროა უარი ვთქვათ მოძველებულზე, გაბედულად და ენერგიულად დავნერგოთ ახალი და მოწინავე. ძალზე მნიშვნელოვანია აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკიდან საბოლოოდ გამოვრიცხოთ ბიუროკრატიზმი, არაგულწრფელობა და სიყალბე, მუშაობის ფორმალური მეთოდები, რომლებიც არათუ ხელს არ უწყობენ, ზოგჯერ ვნებასაც კი აყენებენ სტუდენტთა ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას."

* * *

ინტერნაციონალური აღზრდა მოითხოვს კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას, ადგილობრივი პირობების, ადამიანთა ტრადიციებისა და ჩვეულებების, ასაკისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებას. ე.ი. ინტერნაციონალური აღზრდის მეთოდები, თუმცა, მრავალფეროვანია, მაგრამ მოითხოვენ კონკრეტიზაციას ისტორიული ვითარების, კოლექტივის სოციალური ფუნქციის, მისი წევრების ეროვნული შემადგენლობის, ასაკის, განათლებისა და კულტურული დონის გათვალისწინებით. კოლექტივის ეს თავისებურებანი მთელ მის ცხოველმოქმედებაში ვლინდება. ამიტომ, კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების კომპლექსის გამორკვევას, მისი ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლების ცოდნას, მისი წევრების ინტერესების, მოთხოვნილებების და ფსიქოლოგიური "შეთავსებადობის" გათვალისწინებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალური აღზრდის სწორად წარმართვისათვის. ყოველივე ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ისეთ სპეციფიკურ კოლექტივში, როგორიცაა ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა.

ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა კონტინგენტი, ისევე, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლების, მრავალეროვანია. ინტერნაციონალური აღზრდის მიზანსწრაფულად წარმართვისათვის სასწავლებლის ქვედანაყოფებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ და თავის მუშაობაში ითვალისწინებდნენ სტუდენტთა ეროვნულ შემადგენლობას, ვინაიდან ამ მუშაობის ჩატარება შეუძლებელია იმ ერებისა და ეროვნებების ისტორიულად განპირობებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ცოდნის გარეშე, რომელთა წარმომადგენლებიც აქ სწავლობენ. მათში ხომ, ასე თუ ისე, აისახება ხალხის ისტორია და ცხოვრების წესი, აღზრდის ტრადიცია და ეროვნულ-ეთნიკური სიმბოლიკა, რაც ეროვნულ სპეციფიკას ანიჭებს პიროვნების სოციალიზაციას, მისი ჩამოყალიბების პროცესს. ამიტომ, ინტერნაციონალური აღზრდის მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის და რეგულირებისათვის აუცილებელია დავაფიქსიროთ და შევისწავლოთ ის განწყობილებანი, მოტივები ა ორიენტაციები, რომლებიც იქმნება სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა ურთიერთობის პროცესში.

ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდა, ისევე, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რთული საქმეა. თანამედროვე ახალგაზრდობა დიდად განსხვავდება ადრინდელისაგან. მის მსოფლმხედველობაზე და ქცევაზე გავლენას ახდენს უამრავი ახალი, მისი ხასიათით სხვადასხვაგვარი ფაქტორი. იგი იზრდება და ყალიბდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც გიგანტურად დაჩქარებულია ცხოვრების ტემპი, კოლოსალურად იზრდება ინფორმაციის ნაკადი, მიმდინარეობს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტელექტუალიზაცია, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მწვავე და შეუპოვარი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა. ე.ი., უმაღლესი სასწავლებელი სულაც არ არის ერთადერთი, რაც გავლენას ახდენს სტუდენტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული და სხვა ფაქტორები (ოჯახი, ქუჩა, ნაცნობები და ა.შ.) ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტის ღი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რებულებითს ორიენტაციაზე. ხოლო აღმზრდელობითი თვალსაზრისით, შეუქცევად, სტუდენტი შეიძლება დამღუპველ შედეგამდე მიიყვანოს საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერმა მოვლენებმა, განსაკუთრებით ნეგატიურმა მორალურ-ზნეობრივმა ატმოსფერომ თვით სასწავლებელში (რაც, სამწუხაროდ, იშვიათი როდია), მაგალითად ისეთმა აღმაშფოთებელმა წინააღმდეგობამ სიტყვასა და საქმეს შორის, როდესაც მასწავლებლის მოქმედებაში სტუდენტი ხედავს სრულიად საწინააღმდეგოს იმისა, რასაც იგი ლაპარაკობს მეცადინეობაზე.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სწავლის პროცესში ფართოდ ეცნობიან ბურჟუაზიულ კულტურას, რამაც ზოგიერთ მათგანზე შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს. ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, როგორც წესი, უსაზღვროთ უყვართ მათი მომავალი პროფესია, რაც, ცხადია, ყოველგვარ წახალისებას იმსახურებს. მაგრამ, ყურადღების ცალმხრივი კონცენტრაცია პროფესიულ ამოცანებზე იმას განაპირობებს, რომ ზოგიერთი სტუდენტის შეგნებაში მსოფლმხედველობის, როგორც თვით პროფესიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, გაგება არც ისე მალე ხდება. ამიტომაა, რომ სტუდენტთა ერთ ნაწილს საკმაოდ დაბალი იდეურ-პოლიტიკური დონე აქვს, აკლია მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა.

ინტერნაციონალური აღზრდა პიროვნების ცალკეული თვისებების ფორმირება როდია. ინტერნაციონალური ზრდილობიანობა – ეს პიროვნების სრულიად გარკვეული წყობაა კომუნისტური მსოფლმხედველობისა და ზნეობრივი ქცევის, შრომისადმი და სოციალისტური სამშობლოსადმი დამოკიდებულების, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის მზადყოფნისა და უნარის ორგანული შეთავსების საფუძველზე. ამიტომ მომავალი თაობის აღზრდის პროგრამაში, რომლის პრინციპები შეიმუშავა ლენინმა, ხოლო ახლა შემოქმედებითად ვითარდება პარტიის ფუძემდებლურ დოკუმენტებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რეალიზაციას პოულობს მის პრაქტიკულ საქმიანობაში, პიროვნების ინტერნაციონალური აღზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული იდეურ-პოლიტიკურ, შრომით, სამხედრო-პატრიოტულ, სამართლებრივ, ესთეტიკურ, ზნეობრივ აღზრდასთან. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია საბჭოთა პატრიოტიზმთან და განუყოფელია მისგან. ამის გამო, ინტერნაციონალური აღზრდა არ შეიძლება განვიხილოთ და წარვმართოთ ცალკე. ეს კომპლექსური ამოცანაა, აღზრდის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა.

1974 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა იდეურ-აღმზრდელობით დარგში პრორექტორებისა და დეკანის მოადგილეების ინსტიტუტი, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა სასწავლებლების ყველა ქვედანაყოფის ამ საქმიანობის კოორდინაციაში. მაგრამ, დროთა განმავლობაში აშკარად იჩინა თავი ამის უარყოფითმა მხარემაც: მთელი აღმზრდელობითი მუშაობა თითქმის მარტო მათ დაეკისრათ. ამ საქმიანობას რამდენადმე ჩამოცილდნენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კათ. რები, სასწავლებლების სხვა ქვედანაყოფები. ეს მაშინ, როცა აღმზრდელობითი მუშაობა პროფესორ-მასწავლებელთა მთელი კოლექტივის უმნიშვნელოვანესი საქმეა. ინტერნაციონალური აღზრდის ასპექტში სასწავლებლის ყველა მუშაკს თავისი მისია აკისრია, ყოველი მათგანი გამონახავს თავისთვის ყველაზე მეტად ახლობელს და საინტერესოს. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ყველა თავისი პირადი მაგალითით სისტემატურად და მიზანსწრაფულად ნერგავდეს სტუდენტის გონებასა და მოქმედებაში საბჭოთა ადამიანების თაობათა კავშირსა და მემკვიდრეობითობას, ახალგაზრდების ერთგულებას და თავდადებას სამშობლოსადმი, ერთაშორისი ურთიერთობის მაღალ კულტურას.

ხელოვანის სრულყოფილი აღზრდისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტთა ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანებთან, ცხოვრებასთან კავშირი. შეხვედრები და საუბრები მუშებთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნეებთან, მშენებლებთან, სწავლულებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან აფართოებენ მათს თვალსაწიერს, აძლევენ ახალ შემოქმედებითს იმპულსს. ამ შეხვედრების კონკრეტული ფორმები მრავალფეროვანია. მაგრამ, ყველგან და ყოველთვის ამ მუშაობაში უცვლელია ერთი რამ: მისი მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, იდეურ-პოლიტიკური აქტიურობა, პატრიოტული და ინტერნაციონალური მიმართულობა. რა თქმა უნდა, ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისით ძალიან ბევრს იძლევა ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მასობრივ შემოქმედებითს და ინტერნაციონალურ დღესასწაულში - "სტუდენტურ დღეებში", აგრეთვე, საზოგადოებრივად ფართოდ აღიარებულ ხალხურ დღესასწაულებში, როგორიცაა თბილისობა, ამიერკავკასიის ახალგაზრდობის მეგობრობის ზეიმი, მემორიალურ-საზეიმო დღეები, რომლებიც ეძღვნება როგორც ქართველი ხალხის გამოჩენილ მოღვაწეებს, ისე მოძმე ხალხთა სახელოვან შვილებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა მონაწილეობას მესამე, შრომით სემესტრში. ერთობლივი შრომა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხანგრძლივად ერთად ყოფნა ხელს უწყობს ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას.

ყოფაცხოვრებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესი აქტიურად და ინტენსიურად მიმდინარეობს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში.

ინტერნაციონალურ-პატრიოტულ აღზრდას ხელს უწყობს ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში ობიექტურად არსებული ატმოსფერო და აქ ჩატარებული ღონისძიებები. მაგალითად, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, ქართული თეატრალური ხელოვნების მუშაკთა გარდა, მრავალი წელია ამზადებს სსრ კავშირის სხვადასხვა ერისა და ეროვნების თეატრალური ხელოვნების ახალგაზრდა მოღვაწეებს და ამით ასრულებს მის ინტერნაციონალურ მოვალეობას. აქ მუშაობენ რუსული, აფხაზური, ოსური, სომხური, დაღესტნური, ჩ[illegible]ქეზული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინგუშური, ყუმუხური, თურქმენული სტუდიები. ინსტიტუტში რომ სწავლობენ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდები ეცნობიან მოძმე ხალხთა კულტურას და ტრადიციებს, საქართველოს ისტორიულ წარსულ და დღევანდელ ცხოვრებას და პირადი კონტაქტებით აკონკრეტებენ ხალხთა მეგობრობას. თავის მხრივ, ინსტიტუტში ეროვნული სტუდიების არსებობა აფართოებს და აღრმავებს მსახიობთა აღზრდის გამოცდილებას, სტუდენტებთან ერთად პედაგოგებსაც აზიარებს მოძმე ხალხთა ცხოვრებასა და კულტურას.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებში კარგადაა განვითარებული მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა. მათი უმრავლესობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამხანაგების ეროვნებას. მაგრამ ობიექტურად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში გარკვეულ ადგილს ეროვნული მოტივიც იკავებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული სტუდიების სტუდენტებს, ახალგაზრდებს, რომლებიც ხანგრძლივი დროით მოწყდნენ ოჯახს, ბავშვობიდან შეჩვეულ გარემოს, განსაკუთრებით გამახვილებული აქვთ ეროვნული ღირსების გრძნობა. მათ ადაპტაციას ახალ გარემოში, საკუთარი ქცევის კორექციას უცხო ეროვნული ტრადიციებისა და ჩვევების შესაბამისად გარკვეული დრო სჭირდება. ეს რთული, წინააღმდეგობრივი პროცესია და გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა ურთიერთობაში შექმნილი, ერთი შეხედვით, ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემების მიმართაც კი.

უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ეროვნული სტუდიების სტუდენტთა სათვისტომოები განცალკევებული არ აღმოჩნდნენ ინსტიტუტის მთელი კოლექტივისგან. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდიებისა და ქართული სექტორის ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ჩვევებში, მათ ყოველდღიურ ურთიერთობაში ინტერნაციონალიზმის იდეების განმტკიცებას. ამ მიზანს ემსახურება იულიუს ფუჩიკის სახელობის ინტერკლუბი "რეპორტაჟი", რომელიც შეიქმნა 1983 წელს ინსტიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტის კომკავშირის კომიტეტთან. იგი ყველა ეროვნული სტუდიის სტუდენტს აერთიანებს და ინტერნაციონალური აღზრდის საინტერესო და მრავალფეროვან მუშაობას ეწევა: აწყობს თბილისში მოსწავლე უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრებს, ექსკურსიებს, საუბრებს და ა.შ. მაგალითად, სტუდენტებს დიდი სარგებლობა მოუტანა კლუბის მიერ ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელიც მწერალ-ინტერნაციონალისტების ი.ფუჩიკის, ი.ჰაშეკის და კ.ჩაპეკის ცხოვრების გზას და შემოქმედებას მიეძღვნა.

ინსტიტუტში ხშირად ეწყობა სამხედრო-პატრიოტული ნაწარმოებების კითხვისა და სიმღერის კონკურსები, შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან, მუშათა კლასის წარმომადგენლებთან.

1985 წელს, დიადი გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმის დღეებში, ინსტიტუტის სტუდენტებმა მატარებლით "მეგობრობა" იმოგზაურეს ვოლგოგრადსა და ნოვოროსიისკში. ისინი გაეცნენ ამ გმირი ქალაქების სახელოვან ისტორიას და თვითონაც უჩვენეს თანატოლებს სპექტაკლი "გაიხსენე, ამხანაგო!", შექმნილს ბ.ახმადულინას, მ.ალიგერის და სხვათა ნაწარმოებების მოტივებზე. ახალგაზრდა მსახიობთა გულწრფელმა თამაშმა დამაჯერებლად უჩვენა საბჭოთა ხალხის სულიერი სილამაზე, მისი სწრაფვა მშვიდობისაკენ.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ინტერნაციონალური მეგობრობისა და თეატრალურ ურთიერთობათა კაბინეტი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები აქვს ჩვენი ქვეყნის მრავალ თეატრთან. იგი სტუდენტებს აცნობს მოძმე რესპუბლიკების თეატრალურ ხელოვნებას, აწყობს შეხვედრებს ცნობილ რეჟისორებთან და მსახიობებთან, სამეცნიერო კონფერენციებს, გამოფენებს, ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, "მოძმე ხალხთა დრამატურგია ქართულ ენაზე" და სხვ.

სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ შემოქმედებით კონტაქტებს კიევის კარპენკო-კარის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტთან. ყოველწლიურად ორივე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის სტუდენტები სტუმრად ჩადიან ერთმანეთთან და თანატოლებს საკუთარ ხელოვნებას აცნობენ.

თეატრალურ ინსტიტუტში ჩატარებულ ამ და სხვა ღონისძიებათა აღმზრდელობითი ეფექტურობა მრავალმნიშვნელობიანია. ისინი დიდად უწყობენ ხელს სტუდენტთა ინტერნაციონალურ-პატრიოტულ აღზრდას. მაგრამ, ჩვენი აზრით, მეტი ყურადღება სჭირდება ამ მუშაობის კოორდინაციას, რაც გამორიცხავს ზოგიერთი ღონისძიების დუბლირებას. ინსტიტუტს აქვს სტუდენტებთან აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამა სწავლის მთელი ციკლისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პარტიულ-კომკავშირული აქტივისა და პროფესორ-მასწავლებელთა ღონისძიებების გატარება ერთიან კომპლექსში. მაგრამ პრაქტიკულად მათ გატარებაში არ არის დაცული სისტემურობა, თანამიმდევრობა და თანაბარზომიერება. ეს მუშაობა ზოგჯერ კამპანიის ხასიათს ატარებს, უკავშირდება მხოლოდ დიდ საიუბილეო თარიღებს. ღონისძიებათა კოორდინატორის როლი, ცხადია, პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს. სწორედ იგი უნდა მეთაურობდეს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის მუშაობის მთელ კომპლექსს, პროფესორ-მასწავლებელთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ერთიანი ძალებით ჩატარებულ ღონისძიებებს. იგი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ თითოეული ღონისძიება მკაფიოდ იყოს გამიზნული საქმისათვის, ერთი მიზნისათვის - ხელი შეუწყოს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, თავისუფალი იყოს მეტისმეტი პარადულობისაგან, დეკლარატიულობისა და არაკონკრეტულობისაგან, ე.ი. იმისაგან, რასაც ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა პარტიამ.

ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში უდიდესი აღმზრდელობითი პოტენციალი გააჩნია თვით სასწავლო პროცესს, რომელიც მისი ბუნებით მსოფლმხედველობითი, იდეურ-ზნეობრივი მიმართულებისაა. მეცნიერული, მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღებული შემოქმედი მუშაკის ფორმირება ყველა კათედრის, ყველა მასწავლებლის ამოცანაა. მაგრამ გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საკუთრებული მნიშვნელობა აქ მართებულად ენიჭება თვით მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას, სადაც წამყვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სკკპ ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლა, სსრ კავშირში ეროვნული საკითხის ლენინური გადაჭრის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის, სოციალისტური ერების დაახლოებისა და კულტურათა ურთიერთგამდიდრების ობიექტური პროცესის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის არსის მეცნიერული გაგება. ამის გარეშე ახალგაზრდობა ვერ გაერკვევა უკიდურესად გართულებულ, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებში, რომლებსაც ადგილი აქვს მსოფლიოში, ვერ აღიქვამს პროლეტარული ერთიანობის დიად ლოზუნგს როგორც ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველეს მოვალეობას. საზოგადოებრივი მეცნიერებანი განსაზღვრავენ მართებულ შეხედულებებს ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობაზე, რომლის დროსაც ეროვნული შეზღუდულობა ადგილს უთმობს საერთო კეთილდღეობისათვის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების განვითარებისა და დაახლოებისათვის ზრუნვას.

უმაღლესი სკოლის გარდაქმნა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, მოითხოვს საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების ძირეულ შეცვლას, მისი იდეურ-თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებას. აუცილებელია უკუვაგდოთ დისციპლინათაშორისო ბარიერები სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის სწავლებაში, რათა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის პროცესში სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების, სკკპ დოკუმენტების, მარქსის, ენგელსის, ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმა შესწავლას. ამ მიზნით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სწავლების ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა კონფერენციები, დისკუსიები, ანტიმარქსისტულ და ანტიკომუნისტურ კონცეფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციათა კრიტიკული განხილვა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, მუზეუმების, რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო დიდების ადგილების დათვალიერება.

უაღრესად აქტუალურია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პრაქტიკასთან, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებთან, კადრების მომზადების რეალურ პრობლემებთან კავშირის განმტკიცება. ამიტომ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისას საჭიროა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ვითვალისწინებდეთ ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკას. ამ ფაქტორის უგულებელყოფა ძალზე ამცირებს სწავლების აღმზრდელობით ზემოქმედებას, მის კავშირს პრაქტიკასთან. თუ სტუდენტმა ვერ დაინახა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კავშირი მის მომავალ სპეციალობასთან, იგი შეიძლება ცნობილი დებულებების ფორმალური დაზეპირების გზას დაადგეს. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მივაღწიოთ ცოდნის პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელოდ გადაქცევას. არადა, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა სწორედ ეს არის, ვინაიდან ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრაქტიკაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ადამიანთა ნორმატიული წარმოდგენები, ე.ი. მათი ცოდნა, როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობანი, მათი რეალური ქცევა. აუცილებელია ზრუნვა ცოდნის მყარ ინტერნაციონალისტურ მრწამსში გადაზრდისათვის, ადამიანის მიერ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებისათვის, რაც გულისხმობს დაინტერესებულ, საქმიან დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, მისი საზოგადოებრივი მოვალეობის მკაფიო გაგებას, კეთილსინდისიერ, შემოქმედებით შესრულებას. ეს არის შეურიგებლობა ნაკლოვანებებისა და უზნეობისადმი, ყოველგვარი ანტისოციალისტური მოვლენებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა სტუდენტს ჯერ კიდევ ვერ ჩავუნერგეთ სასწავლო შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება როგორც უმნიშვნელოვანესი პატრიოტული მოვალეობა. ზოგჯერ იმ სტუდენტებსაც კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინც კარგად სწავლობს, არ აქვთ შეგნებული, რომ ამით ისინი თავის მაღალ პატრიოტულ-ინტერნაციონალურ მოვალეობას ასრულებენ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ აღმზრდელობითი მუშაობა სუსტადაა მიმართული სტუდენტის მიერ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოთ ბეჯითი, შეგნებული და შემოქმედებითი სწავლის მნიშვნელობის გაგებისაკენ.

სტუდენტთა ერთ ნაწილში ადგილი აქვს ისეთ მიუღებელ თვისებებს, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, კარიერიზმი და მერკანტილიზმი, სურვილი, საზოგადოებისაგან მიიღოს რაც შეიძლება მეტი, ხოლო გასცეს ნაკლები. პასიურობამ ზოგიერთ სტუდენტში ასეთი მეშჩანური ფსიქოლოგიის გაჩენის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს აღმზრდელობით მუშაობას საერთოდ და ინტერნაციონალურ აღზრდას კერძოდ. აშკარაა პირდაპირი კავშირი, ერთი მხრივ, კოლექტივიზმის ფსიქოლოგიასა და ინტერნაციონალიზმის ფსიქოლოგიას შორის, მეორე მხრივ, - ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმსა და ეროვნული განკერძოების გრძნობის, ნაციონალიზმის ფსიქოლოგიას შორის. კერძომესაკუთრული ტენდენციები და კარიერიზმი მჭიდროდ არის გადახლართული ნაციონალისტურ გადმონაშთებთან. ეს ყოველთვის უნდა იყოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში, რომლებსაც ახლა მთავარი პასუხისმგებლობა აკისრიათ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების როლი ინტერნაციონალურ-პატრიოტულ აღზრდაში, ამ სამუშაოს წარმატების უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მასში მონაწილეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა ქვედანაყოფი, ყველა კათედრა, თითოეული მეცნიერების თუ სასწავლო საგნის შინაარსი და მეთოდური საშუალებანი შესაძლებლობას იძლევიან სისტემატური და ყოველმხრივი ზემოქმედება მოვახდინოთ სტუდენტთა შეგნებასა და ქცევაზე, მათ მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ების ღრმა შეთვისების მიზნით. უნდა მივაღწიოთ საზოგადოებრივ, ზოგადთეორიულ და სპეციალურ მეცნიერებათა კათედრების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას სტუდენტ-ახალგაზრდობის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების, მთელი სასწავლო პროცესის მსოფლმხედველობრივი მიმართულების უზრუნველსაყოფად. ამისათვის საჭიროა ყოველი საგნის მსოფლმხედველობითი პრობლემის დამუშავება, მეთოდოლოგიური სემინარების მოწყობა, მუშაობის ერთობლივი გეგმების შედგენა. ერთობლივი კრიტერიუმების, გზებისა და საშუალებების გამომუშავება. განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების კონტაქტები სპეციალურ დისციპლინათა კათედრებთან, სასწავლო რეპერტუარის ერთობლივი განხილვების, სტუდენტებთან საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე საუბრების ჩატარების, სპექტაკლების, სამხატვრო გამოფენების, კინოფილმების, ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვის სისტემატური ჩატარება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სტუდენტთა ცოდნის განმტკიცებას, არამედ მათი სულიერი სამყაროს განვითარებას, ცოდნის რწმენად გადაქცევას.

ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა სხვებთან - სტუდენტთა აღზრდის ფართო შესაძლებლობა თვით ხელოვნებით.

ერების, მათი ცალკეული წარმომადგენლების მორალურ-ფსიქოლოგიურ იერსახესა და მათს ურთიერთობებში არის ისეთი რთული, დინამიკური მომენტები, რომელთა მეცნიერული განზოგადება ძალზე ძნელია. ხელოვნებაში კი ხშირად უფრო ფაქიზად და სრულად, ვიდრე მეცნიერულ შრომებში, შესაძლებელი ხდება ეროვნული მსოფლშეგრძნობის, ტემპერამენტის, ცხოვრების წესის თავისებურებათა ჩვენება ადამიანის ეროვნული ღირსების შელახვის და ეროვნული განსაკუთრებულობის კულტივირების გარეშე. მაშასადამე, ადამიანთა ფსიქოლოგიასა და ყოფაქცევაში ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკის გამოვლინებისათვის და ამიტომ ინტერნაციონალური აღზრდის პრაქტიკისათვის მრავალეროვანი საბჭოთა

სოციალისტური ხელოვნების აქტიურ გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხელოვნების აღმზრდელობითი ეფექტი უდიდესია. ახდენს რა ზემოქმედებას გრძნობაზე, ხელოვნება სტიმულს აძლევს აღზრდის პროცესს, ბევრად აძლიერებს ჩატარებულ ღონისძიებათა აღმზრდელობით ეფექტურობას, ხელოვნებით აღზრდა სტუდენტს უყალიბებს მოთხოვნილებას, აკეთოს სიკეთე პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნერგავს სამშობლოსადმი სიყვარულს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ხელოვნება ეხმარებოდეს სტუდენტს ცხოვრებისადმი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამომუშავებაში, ჩაუნერგოს მას მაღალი მორალური თვისებები, ჩამოუყალიბოს პატრიოტული და ინტერნაციონალური მრწამსი. პატრიოტიზმი სულიერი გრძნობაა. მასში ვლინდება მოვლენის, ადამიანის ხასიათის ლოგიკური და ემოციური მხარეების ინტეგრაცია და ამით იგი შინაგანად უკავშირდება ხელოვნებას.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის, ზნეობრივი აღზრდის თემები ფართოდაა წარმოდგენილი თბილისის თეატრების სცენაზე, რაც დიდად უწყობს ხელს სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას. იგივე თემა განსახიერებულია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, მონუმენტურ ნაწარმოებებში, მხატვრული კოლექტივების საკონცერტო პროგრამებში, კინოში. რა თემასაც არ უნდა ეხებოდნენ ქართველი მწერლები, თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნების მოღვაწენი, მათი შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მოძმე ხალხების ერთიანობა.

მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სცენაზე და ეკრანზე იშვიათად გვხვდება ისტორიული, ეროიკულ-პატრიოტული სპექტაკლები და ფილმები. ჩვენი ხალხის ისტორიაში ხომ მრავლადაა ღირსშესანიშნავი მოვლენები და სახელოვანი, საამაყო მოღვაწენი, რ. მლებიც შეიძლება გახდნენ და უნდა გახდნენ კიდეც მისაბაძნი ახალგაზრდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაობისათვის. მათი სახეები, მათი ჭეშმარიტად ხალხური ხასიათი ის უხილავი ძაფია, რომელიც ჩვენს ისტორიასთან გვაკავშირებს. მისი განყვეტით ჩვენი სულიერი სიძლიერის ძირითად წყაროს პატრიოტიზმის და, მაშასადამე, ინტერნაციონალიზმის აღზრდის მძლავრ საშუალებას მოვიკვეთავთ.

ხელოვანის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ფორმირებაში დიდია თეატრალური ინსტიტუტის რეპერტუარის როლი. მომავალი მსახიობები და რეჟისორები სამამულო და მსოფლიო კლასიკის საუკეთესო ნიმუშებზე იზრდებიან. ისინი არამხოლოდ უფართოებენ სტუდენტებს მხატვრულ თვალსაწიერს, უვითარებენ მხატვრულ გემოვნებას, არამედ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციასაც გამოუმუშავებენ.

აღვნიშნავთ რა კლასიკური რეპერტუარის დიდ სასწავლო და აღმზრდელობით მნიშვნელობას, მაინც უნდა ვთქვათ, რომ მასში სტუდენტს უჭირს თანადროულობასთან კავშირის დანახვა, სცენაზე ცხოვრების საკუთარი გაგების გამოხატვა. თანამედროვე მაღალიდეური, ნიჭიერი ნაწარმოების შინაარსი კი მომავალ მსახიობს აახლოებს ცხოვრებასთან, აიძულებს უფრო შეგნებულად მიუდგეს მას, უფრო ღრმად გაერკვეს მის მოვლენებში. გამოსაშვები სპექტაკლის იდეური მიმართულება დიდად განსაზღვრავს იმ განწყობილებას, რომლითაც სტუდენტი დატოვებს ინსტიტუტს და დაიწყებს პრაქტიკულ საქმიანობას თეატრში. ამ მხრივ მისაბაძია, მაგალითად, თეატრალურ ინსტიტუტში სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ.თუმანიშვილის მიერ რამდენიმე წლის წინათ დადგმული სპექტაკლი "ახალგაზრდა გვარდიის სახელით". გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი სტუდენტურ სცენაზე უმნიშვნელოს, ზერელეს, მდარეს და უსახურის გამოტანაზე, იმაზე, რაც არაფერს სძენს არც გონებას და არც გრძნობას, რაც ვერ უწყობს ხელს პიროვნების აღზრდას, სტუდენტთა ყურადღების დღევანდელი პრობლემებისაკენ მიმართვას.

უმაღლესი სკოლის გარდაქმნა მოითხოვს ინტერნაციონალურ-პატრიოტუ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალზრდის უკვე ჩამოყალიბებული ფორმების და საშუალებების გაერთიანე-ბას ერთ მოქნილ და მწყობრ სისტემაში, რომელიც მოიცავს უკლებლივ ყველა სტუდენტს. ე.ი. საჭიროა ინდივიდუალური მიდგომის გაძლიერება; აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრში უნდა დადგეს ინდივიდუალური მიდ-გომა მომავალი შემოქმედის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ხშირად დიდი საერთო ღონისძიებების მიღმა დავიწყებულია სწორედ ინდივიდუალუ-რი მუშაობა თითოეულთან. დიდ ღონისძიებას ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ არ იძლევა საჭირო უკუგებას, ვინაიდან ხელოვნების უმაღლეს სასწავ-ლებელში, სასწავლო მეცადინეობით დიდი დატვირთვის გამო, მასობრივი ღონისძიებანი მოიცავენ მხოლოდ სტუდენტთა უმნიშვნელო ნაწილს.

მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას გაძნელებულია ნაციონალუ-რისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკის გამომჟღავნება პიროვნებათა ურთიერთობის დონეზე. არადა, უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ერთაშორისი ურთიერთობანი ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ კონკრეტულ პიროვნებებს შორის ურთიერთობებში ვლინდება. თითოეული ადამიანი არამხოლოდ გარკ-ვეული სოციალური ჯგუფის წევრია (ამ შემთხვევაში სტუდენტობის), არა-მედ ინდივიდუალური პიროვნებაც საკუთარი ინტერესებით, წარმოდგენებით, გრძნობებით, ემოციებით, განწყობილებით და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგი-ური პარამეტრებით. ამა თუ იმ ერთობის ეროვნული თვითშეგნების, ყოფის ტრადიციებისა და კულტურის მქონე რომ არის, პიროვნება სწორედ ერთა-შორის ურთიერთობაში ავლენს ყველაზე სრულად თავის ეროვნულობით გან-პირობებულ თავისებურებებს. და, მაშინ წარსულის გადმონაშთებმა, საზო-გადოებრივი ცხოვრების მანკიერმა მოვლენებმა, ნაციონალისტურმა პროპა-განდამ გარედან, შეცდომებმა აღმზრდელობით მუშაობაში შეიძლება გამო-იწვიოს ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის თანაფარდობის დისჰარმო-ნიული, წინააღმდეგობრივი ხასიათი პიროვნების შეგნებაში და ქცევაში. ამიტომ, აღმზრდელობითი მუშაობა აუცილებლად უნდა იყოს გამიზნული რე-

ალურ სტუდენტზე, მასში ერთაშორისი ურთიერთობის კულტურის აღზრდაზე.

თითოეული სტუდენტისადმი კონკრეტული მიდგომისას უფრო ეფექტური ხდება არამარტო დადებითი პრინციპებისა და იდეალების პოპულარიზაცია, არამედ ნეგატიური მოვლენებისა და განწყობილებების წინააღმდეგ ბრძოლა, შესაძლებელი ხდება უფრო ყურადღებით გამოვიკვლიოთ სტუდენტთა მოქმედებაში ნეგატიური მოვლენების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

აღმზრდელობითი მუშაობის მასობრივი და ინდივიდუალური ფორმების შეთავსება ყველა მასწავლებელს როდი შეუძლია. მასობრივი ფორმების სიჭარბე აიხსნება ინდივიდუალური მუშაობის სირთულით, რომელიც მოითხოვს დიდ შეუპოვრობას და თანამიმდევრობას, ღრმა ტაქტს და პედაგოგიურ ჩვევებს, ცოდნას, გამოცდილებას, ერუდიციას. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ აღმზრდელობითი მუშაობის თვისებრივი გარდაქმნის ამოცანა, რომელიც პარტიამ დღის წესრიგში დააყენა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ პროფესორ-მასწავლებლობა შეძლებს გარდაქმნას, გააცნობიეროს და ღრმად გაიაზროს იმ ახალ, უაღრესად პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე დგას.

ინდივიდუალურ-აღმზრდელობითს მუშაობას ხელს უწყობს მთელი სასწავლო პროცესის ახლა მიმდინარე ინდივიდუალიზაცია. როგორც აღვნიშნეთ, ამ მუშაობას უმაღლესი სასწავლებლის ყველა მუშაკი უნდა ეწეოდეს, მაგრამ მთავარი როლი ამ საქმეში უსათუოდ სპეციალური დისციპლინების (მსახიობის ოსტატობის, რეჟისურის, თეატრმცოდნეობის, სიმღერის, მუსიკის და ა.შ.) მასწავლებლებს ეკუთვნება, მიმნდობ, ამხანაგურ ურთიერთობას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მათ მისწრაფებათა ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელობითს მუშაობაში. მასწავლებელი სტუდენტს ასწავლის არამარტო მისი მომავალი სპეციალობის ტექნიკას, არამედ ყურადღების არეში აქვს მისი ზნეობრივი იდეალები, მისი სულიერი სამყარო და ყველგან და ყოველთვის მოხერხებულად ახდენს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზეგავლენას მათ სწორ ფორმირებაზე.

მაგალითად, მსახიობის ოსტატობის პედაგოგი ნაწყვეტის თუ მთელი პიესის იდეური მიმართულების, პიესის გმირის სახის ინტერპრეტაციის, პერსონაჟთა ქცევის და მიზნების მოტივირების ანალიზით, ცხადია, ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა ხელოვანის გარკვეული პოზიციის, იდეური რწმენის ჩამოყალიბებაზე. უაღრესად მნიშვნელოვანია, პედაგოგმა მომავალ შემოქმედს პირველივე ეტიუდებიდან გაუღვივოს მოქალაქეობრივი აქტიურობა, რათა იგი ცხოვრების არა უბრალო მეთვალყურე, არამედ იდეოლოგიური მებრძოლი გახდეს. დღევანდელი თეატრი, გარდაქმნის ეპოქის თეატრი ხომ შემტევი უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს სცენიდან ამკვიდრებდეს ცხოვრების სიმართლეს, აქტიურად ერეოდეს მიმდინარე პროცესებში და სოციალურ, ზნეობრივ შეფასებებს აძლევდეს მას.

სპეციალური დისციპლინის მასწავლებლის მნიშვნელოვანი ამოცანა ისიც არის, რომ, როგორც პარტია გვასწავლის, სტუდენტებმა ისწავლონ კულტურულ ღირებულებათა შეფასება კლასობრივი პოზიციებიდან, შეითვისონ ისინი და პროპაგანდა გაუწიონ თანამიმდევრული მარქსისტულ-ლენინური, ინტერნაციონალისტური პოზიციებიდან. აუცილებელია მუდმივი და შეუპოვარი ბრძოლა ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოებულობის წინააღმდეგ. საჭიროა მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ ეროვნული ყოყოჩობის, მოძმე რესპუბლიკების მიღწევათა უგულებელყოფის ყოველგვარ გამოვლენებს, რომლებსაც ნებსით თუ უნებლიეთ მივყავართ მიღწეული შედეგების არაკრიტიკულ შეფასებამდე. სტუდენტებს უნდა განვუმარტავდეთ: საკუთარი ეროვნული კულტურის ჩარჩოებში ჩაკეტვისაკენ მისწრაფება გარდაუვალად წარმოშობს პროვინციალიზმს, ჩამოგვარჩენს ისტორიის დინებას.

ინტერნაციონალურ აღზრდას ზიანს აყენებს, აგრეთვე, წარსულის ტრადიციებისადმი ცალმხრივი, ანტიისტორიული მიდგომა, ვინაიდან მათ არაკლასობრივ შეფასებას საბოლოო ჯამში ნაციონალიზმამდე მივყავართ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როგორც მ.ს.გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღნიშნა, "ბოლშევიზმის ტრადიციები გულისხმობს პრინციპულ ბრძოლას ეროვნული შეზღუდულობისა და ბაქიობის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, კუთხურობის, სიონიზმისა და ანტისემიტიზმის ყოველგვარ გამოვლენათა წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა გვევლინებოდნენ ისინი. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ორი საწინააღმდეგო პოლიტიკაა, ორი საწინააღმდეგო მსოფლმხედველობაა".[I]

დღეს განუხრელად ღრმავდება ერებისა და ეროვნებების სულიერი კავშირი, ვითარდება საბჭოთა ხალხის შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური ერთიანი კულტურა სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო მიღწევებისა და თავისთავადი პროგრესული ტრადიციების ბაზაზე. ძალზე საჭიროა სტუდენტებმა გაიგონ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის კულტურული სფეროს თანდათანობითი ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია კანონზომიერი და პროგრესული მოვლენაა და ისინიც მოვალენი არიან შეგნებულად შეუწყონ ხელი ამ პროცესს.

ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის თემა განსაკუთრებულ აქტუალობას და ჟღერადობას იძენს სკკპ XXVII ყრილობით დაწყებულ ეპოქაში, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს, ვინაიდან საბჭოთა ხალხის მთავარ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას წარმოადგენს რევოლუციის მონაპოვართა შემდგომი განვითარება, ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში შემოქმედი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის არსებული სისტემა ვერ პასუხობს

---

I გაზ. "კომუნისტი", 1987 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მოთხოვნებს. იგი არანაკლებ, ვიდრე სასწავლო პროცესი, მოითხოვს გარდაქმნას, რაზეც დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ხელოვნების მომავალი.

Ломинадзе Р.А.

## ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОЕ ВОСПИТАНИЕ – НА УРОВЕНЬ СОВРЕМЕННЫХ ТРЕБОВАНИЙ

Аннотация

В работе освещаются место и роль интернационального воспитания в процессе формирования молодых специалистов и на примере Грузинского государственного театрального института имени Шота Руставели показывается специфика и задачи этой работы среди творческой молодежи в современных условиях перестройки жизни советского общества.

## სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრა

გ.გ.ფაცაცია

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

## სოციალური მიკროგარემო და ახალგაზრდობის აღზრდა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში "გარდაქმნა" ყველაზე პოპულარულ ტერმინად იქცა. გარდაქმნა ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და, ბუნებრივია, ისეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მნიშვნელოვან უბანსაც, როგორიცაა ახალგაზრდობა და მის წინაშე მდგარი პრობლემები. პრობლემები კი მართლაც მომრავლდა და დროა მათი უბრალოდ კონსტატაციიდან ამ პრობლემათა გადაჭრის პრინციპული საშუალებების ძიებაზე გადავიდეთ.

უკვე საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ უნაყოფო გამოდგა საზოგადოებათმცოდნეთა მცდელობები, ეკვლიათ ახალი ადამიანის ფორმირებისა და ახალგაზრდობის პრობლემები სქოლასტიკური პოზიციებიდან, სასურველი ვითარების სიმაღლეებიდან. წლების განმავლობაში კონვეიერული პრინციპით იქმნებოდა პროდუქცია, რომლის ძირითადი არსი შემდეგნაირად შეიძლება დავაფიქსიროთ: ასე უნდა იყოს და რა კარგი იქნებოდა ასე რომ ყოფილიყო... ვწერდით სასურველი შედეგის შესახებ არსებული მიზეზების განუკითხავად, ვუხმობდით ათასგვარ ციფრებსა და არაფრისმთქმელ სტატისტიკას, გავიძახოდით ამდენი და ამდენი ახალგაზრდა, ასეთი და ასეთი ახალგაზრდული კოლექტივები გვყავსო და, ასე შემდეგ.

ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ სქოლასტიკური ინერციით შექმნილი უნიადაგო და, ამდენად, ფსევდომეცნიერული პროდუქციით, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა იმის ჩვენება, თუ რა გავლენა მოახდინა ანალოგიური კვლევის შედეგებმა თვით კვლევის ობიექტზე - ადამიანზე, გაუმჯობესდა თუ არა საკუთრივ ადამიანის ხარისხი?

"როცა სიტყვა სწყდება რეალურ საფუძველს, - აღნიშნა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, - ეს სერიოზულად აუფასურებს იდეოლოგიურ ძალისხმევას. რამდენიც უნდა ვიკითხოთ ლექციები გულისხმიერებაზე, რამდენიც უნდა ვკიცხოთ უგულობა და ბიუროკრატიზმი, წყლის ნაყვა გამოგვივა... რამდენიც უნდა მოვაწყოთ საუბრები ქცევის კულტურაზე, ისინი უსარგებლო იქნება, თუ არ განვამტკიცეთ პრაქტიკული ბრძოლით..."

დღევანდელობაში სწორედ მეცნიერული საზოგადოებათმცოდნეობის სიმართლემ უნდა გააღვივოს ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



და განასრულოს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ძირითადი იდეოლოგიური ფუნქციები. თუ მარქსისტულმა საზოგადოებათმცოდნეობამ ეს არ გააკეთა, მაშინ თანამედროვე ინფორმაციის ეპოქაში საზოგადოებას იოლად შეიძლება დაეუფლოს ბურჟუაზიული დასავლეთის ყოფისა და ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამაუცხოებელი შინაარსები.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში ჩვენ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ ფიზიკოსის, ქიმიკოსის, ბიოლოგის, ექიმის და ასე შემდეგ მორალურ და სოციალურ პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე. იმასაც ვამბობთ, ცუდი ექიმი თუ ინჟინერი კატასტროფას უდრისო. ბარემ ბოლომდე ვთქვათ: განა, ცუდ საზოგადოებათმცოდნეს ნაკლები ზიანის მოტანა შეუძლია? ცუდი, არასწორი დიაგნოზი ერთნაირად საზიანოა ფიზიკური ავადმყოფობის დროსაც და სოციალური ავადმყოფობის დროსაც.

საზოგადოებათმცოდნე დღეს საჭირბოროტო საკითხების შორიახლოს კი არ უნდა იდგეს, არამედ - შუაგულში, ამ საკითხებზე უსულგულოდ კი არ უნდა მსჯელობდეს, არამედ - გულიანად, არა გულგრილად - არამედ, სიხარულითა და სიყვარულით.

ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელ მუშაკთა და საზოგადოებათმცოდნეთა პარტნიორობის ფუნქციების გარკვევა. სამწუხაროდ, მეცნიერთა ერთ ნაწილს ზემდგომ ორგანოებთან თანამშრომლობის არსი ასე წარმოუდგენია: მაგალითად, თუ საქმე ეხება ამ ორგანოს მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, ასეთი სამეცნიერო ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს, მხოლოდ იმათი სანქციით, რომელთა მუშაობაცაა განზოგადებული. ასეთ ვითარებაში "სიმშვიდის დარღვევა", რა თქმა უნდა, გამორიცხულია, მაამებლობა კი - გარანტირებული. ამა თუ იმ ორგანოს მუშაობის მეცნიერული, ადეკვატური, კრიტიკული განზოგადება კი ხშირად არაადეკვატურ საპასუხო რეაქციას, ე.წ. "საუწყებო აღშფოთებას", "უწყებრივ ეგოიზმს" იწვევს. საზოგადოებათმცოდნეთა და ხელმძღვანელ მუშაკთა, პრაქტიკოსთა შორის დიალოგი, ისევე, როგორც დიალოგის ყველა სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმა, მოითხოვს ერთგვარ თანასწორობას, თანაბრობას, "მრგვალი მაგიდის" პრინციპის დაცვას, სადაც ყველა თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამით ავიცილებთ ორგვარ საშიშროებას: ემპირიზმს – ხელმძღვანელ პრაქტიკულ მუშაკთა მხრიდან და სქოლასტიკას – საზოგადოებათმცოდნეთა მხრიდან. დროა, საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა განასრულონ მათი როლი მირაჟული სიმშვიდის დარღვევისა და ნამდვილი სიმშვიდის დამკვიდრების საქმეში. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება სოციალისტური სინამდვილისათვის ისეთი მტკივნეული მხარის შესწავლას და შეფასებას, როგორიცაა ნეგატიური, ანტისაზოგადოებრივი მოვლენები.

ცნობილია, რომ ნეგატიური მოვლენები იქ ღვივდება, სადაც შესაფერისი პირობები, გარემოა შექმნილი, სადაც გამაუცხოებელი, გამაორებელი ინსტიტუტების დამკვიდრებას წინ არაფერი ეღობება. საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი განწმენდის აუცილებლობამ უნდა გვაიძულოს მაქსიმალური ობიექტურობით, საჯაროდ გავმართოთ ბჭობა და დისკუსიები იმ მოვლენათა წარმომშობი მიზეზების შესახებ, რომლებიც საერთოდ არადამიანურ არსს უპირისპირდება და უცხოა სოციალიზმის იდეალებისათვის. საჭიროა დაშვებული შეცდომების გულახდილი აღიარება როგორც ხელმძღვანელობის სფეროში, ასევე მეცნიერთა შეფასების ასპექტშიც. ამის საუცხოო მაგალითს გვაძლევს დღეს ჩვენი პარტია, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, ვინაიდან ყველაზე მტკივნეულად ნეგატიური გარემო და მოვლენები მათ ცნობიერებაში პოულობს ასახვას. ნეგატიურ გარემოში და ამ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდები აუნაზღაურებელი დანაკლისია საზოგადოებისათვის, ასეთი გარემო "გვპარავს", გვაკარგვინებს მათ. საბოლოო ჯამში, ამ ტენდენციამ შეიძლება პროგრესის შენელება, შეჩერებაც და რეგრესისაკენ შემობრუნებაც კი გამოიწვიოს. შეუძლებელია ამას შეეგუოს სოციალიზმი და სოციალისტური ცხოვრების წესი.

საზოგადოებრივი ცხოვრების, არსებული სოციალური გარემოს გარდა-

ქმნა-განწმენდის შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არამიანისათვის სულერთი არ იყოს, გონივრულად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, თუ არაგონივრულად. არამიანი არამიანურ გარემოს ეშურება, მაგრამ ამ გარემოს ჩაურევლად. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე გარდაქმნების ვითარებაში არამიანმა, პირველ ყოვლისა, სიმართლის აღიარების მწარე გაკვეთილი უნდა ჩაუტაროს საკუთარ თავს (ან სხვისი შეისმინოს მაინც). ეს აუცილებელია. უსათუოდ უნდა ვაღიაროთ სად, როგორ და რა გვტკივა, სადაა სნეულების კერა. მერე დგება მკურნალობის ჯერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გულის ტკივილის დროს, შესაძლოა, ფრჩხილს ვუმკურნალოთ და, ამით თავს ვერაფრით ვუშველოთ.

ბუნებრივია, რომ ახალგაზრდობამ ხშირად წესიერად არც კი იცის ნეგატიური მოვლენების გამომწვევი მიზეზები. ამიტომ მეტწილად, მათეული შეფასებაც ზედაპირულია. აქ საჭიროა სპეციალური თვალი და სპეციალური თვალთახედვა, კომპეტენტური სიტყვის თქმა და თანაც ისე, რომ ახალგაზრდობა არსებულის შეფასების გულწრფელი თანაზიარი გახდეს.

წლების განმავლობაში, როცა ამა თუ იმ დანაშაულის ძირებს ვეძებთ, ერთს და იგივეს გავიძახით, ჩამოვთვლით ხოლმე ძირითად სოციალურ უჯრედებსა და ინსტიტუტებს (ოჯახს, სკოლას, პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, შრომით კოლექტივს და ასე შემდეგ), რომლებშიც მიმდინარეობს ახალგაზრდის პიროვნების ფორმირება. სამწუხაროდ, კონსტატირებას ვახდენთ და ამის იქით აღარ მივდივართ. პიროვნება ისჯება, დაუსჯელი რჩება დანაშაულის ხელშემწყობი ვითარება, ის მიკროგარემო, რომელმაც პიროვნების უკუღმართ აქტივობას შეუწყო ხელი. რაღა დასამალია და, "სად იყო სკოლა, კომკავშირი"-ს ძახილი (რაც, საერთო ჯამში, მიზეზებზე ზუსტი მინიშნებაა) ირონიულ, ღიმილისმომგვრელ ასოციაციებს იწვევს და ალბათ იმიტომაც, რომ ჯერ არ მომხდარა პრეცედენტი დანაშაულის გამომწვევი და ხელშემწყობი გარემოს რიგიანად "დასჯისა"... მიზეზი რჩება, შედეგი მრავლდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



(თავად განსაჯეთ: სოკოს მომრავლების ამინდი რომ დგება მარტო ერთი სოკო როდი იჩენს თავს!).

აღნიშნული ვითარების საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიტან: ქი თაფლი რომ იატაკზე დაიღვაროს, ჭიანჭველების ჯარი გაჩნდება და ბუზე ბაღდადიდანაც მოფრინდება. ამ შემთხვევაში ჭიანჭველებისა და ბუზის გაჩენის გამომწვევი მიზეზი და გარემო იატაკზე დაღვრილი თაფლია. ჭიანჭველებსა და ბუზებს რამდენიც უნდა ვებრძოლოთ, მაინც ვერ მოვსპობთ, ვიდრე თაფლისაგან არ გავწმენდთ იატაკს, ანუ, მათი მომრავლების მიზეზს არ მოვსპობთ (თაფლი ადამიანში სულ სხვაგვარ ასოციაციებ იწვევს, ამიტომ ხსენებულ კონტექსტში მისი მოხმობისათვის მომიტევოს მკითხველმა).

როცა ნეგატიური მოვლენებისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზ ვლაპარაკობთ, გვაქვს თუ არა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ არსებითად ახალგაზრდობას არ სურდა და არც სურს სავალალო დასასრულამდე მიიყვანოს "ცდუნებულ მამათა" მიერ დაწყებული უიმედო და უმომავლო საქმე? უ ამ კითხვას დადებით პასუხს გავცემთ, მაშინ როგორღა გავიგოთ თაობათა ურთიერთობის "დაწყევლილი" თუ "დალოცვილი" პრობლემა ნეგატიურ მოვლენების არსებობის პირობებში?

ამ კითხვებზე პასუხი ისევ და ისევ სოციალური გარემოსაკენ გახედვის აუცილებლობას მოითხოვს.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე ბჭობისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ პირადი მაგალითების ძალას. ჩვენც უშურველად მოგვყავს და მოგვყავს ათასნაირი მაგალითები, მაგრამ ნაკლებად ვაანალიზებთ ამ მაგალითებს. ახლა, როცა მაქსიმალურად ფართოვდება მშრომელთა ინფორმირებულობა და საჯაროობის მოთხოვნა ცხოვრების ნორმად იქცა, საგანგებო მნიშვნელობას იძენს პირადი მაგალითი, განსაკუთრებით ხელმძღვანელი პირისა. ხელმძღვანელი მუშაკის პირადი მაგალითის (როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის), ზემოქმედების ძალა მით უფრო მაღალია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რაც უფრო მაღალი პოსტი უჭირავს მას სოციალურ იერარქიაში. ხელმძღვანელის მოღვაწეობა, მისი თანამდებობა და სამსახურებრივი მოვალეობანი გარკვეულ საზოგადოებრივ ინტერესებშია პერსონიფიცირებული. ხელმძღვანელს აქვს სათანადო უფლებები, მას შექმნილი აქვს აუცილებელი პირობები - სამსახურებრივი, საყოფაცხოვრებო, პრესტიჟული და ასე შემდეგ. და, ყოველივე ეს იმისათვის, რომ მან წარმატებით განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი. მის მოღვაწეობაზეა დამოკიდებული მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის ინტერესები. რაც უფრო მაღალი პოსტი უჭირავს ამა თუ იმ ხელმძღვანელს, მით უფრო დიდი რაოდენობის ადამიანებში აისახება მისი მოღვაწეობა. სწორედ ამიტომ, ხელმძღვანელი მუშაკი საზოგადოების მუდმივი ყურადღებისა და ცნობისწადილის ობიექტია; ეს ყურადღება ცხადია, გადატანილია მის ოჯახურ-ყოფით, თვით ინტიმურ ცხოვრებაზეც კი. თუ ამ მომენტებს გავითვალისწინებთ, ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელის მაგალითს მშრომელთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, რადგან, როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი აღნიშნავს "...ხელმძღვანელის პიროვნებას უკავშირებენ ადამიანები იმ კონკრეტული, რეალური ცხოვრების ავსა და კარგს, რომლითაც ცხოვრობენ".

საზოგადოების ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები საუცხოო ნიადაგს ქმნის ნეგატიური მოვლენების ვეგეტაციისათვის. თანამდებობის ბოროტად გამოყენება ღია ჭრილობებს სტოვებს ადამიანთა ცნობიერებაში. ხელმძღვანელი საერთო-სახალხო ინტერესის გამოხატულება უნდა იყოს, ხოლო როცა იგი არ იბრძვის ამ ინტერესისათვის და, პირიქით, მის მდგომარეობას საკუთარ ეგოცენტრულ ზრახვებს სწირავს, ეს ვითარება უმალ აისახება იმ მიკროსოციალურ გარემოში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. საზოგადოების თვალში სრულ კომპრომეტირებას განიცდის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც დანაშაულს სჩადის და ის ისჯება.

საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის მიუკერძოებელი და ნეიტრალურია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხადია, საზოგადოებრივი აზრი არ ირწმუნებს იმ ხელმძღვანელი მუშაკის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, თუ იგი მაღალი ტრიბუნიდან პატრიოტულ და ინტერნაციონალურ ვალზე იღაღადებს, ხოლო რეალურ ცხოვრებაში ამ მხრივ ვალმოუხდელია.

მაგალითს მაშინ აქვს ფასი, როცა იგი დადებით ღირებულებებს ამკვიდრებს ახალგაზრდებში. ერთმა უფროსმა კოლეგამ სინანულით მითხრა: საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქს მაღალი ზნეობის ხელმძღვანელები რომ ჰყოლოდა, სულ სხვა იქნებოდა დღეს საქართველოო. მოდით, გულახდილად ვიკითხოთ: რამ დაამსგავსა ტყუპის ცალებივით ერთმანეთს თანამდებობრივი კიბის ერთი და იმავე საფეხურზე მყოფი კომკავშირული მუშაკები? ან, რამ დაამკვიდრა საქართველოს კომკავშირში სახელითა და მამის სახელით მიმართვის, ლამის სასაცილოდ ქცეული ფორმა (როგორც წესი, ქვემოდან ზევით)? რამდენი დაიწერა და ითქვა ამის შესახებ (გავიხსენოთ თუნდაც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვიქტორ მირონენკოს საუბარი მკითხველთან "პირდაპირ ხაზზე", გავიხსენოთ, თუნდაც, "ახკომის" პუბლიკაციები ამ თემაზე), მაგრამ, როგორც ჩანს, ერთობ ძლიერია ნეგატიური ტრადიციით გამოწვეული ინერციის ძალა. ან იქნებ აღნიშნული ვითარების მიზეზები ცალკეული პარტიული ხელმძღვანელებისადმი ახალგაზრდობის მიბაძვის ეფექტითაა გამოწვეული, აქაოდა, ჩვენ, კომკავშირული მუშაკები პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის ყველაზე საიმედო რეზერვი ვართ და უმჯობესია აქედანვე მოვემზადოთ კარსმომდგარი კარიერისთვისო!

რამდენიმე თვის უკან საქართველოს ტელევიზიამ მოამზადა გადაცემ[ა] "სად ხართ, რაინდებო?" შესანიშნავი წამოწყებაა! ამ სტრიქონების ავტორიც გახლდათ ამ ეგრეთ წოდებული ადგილობრივი ტელეხიდის მონაწილე. თუ ხსენებული გადაცემის შინაარსს რეზიუმეს გავუკეთებთ, მეტად დამაფიქრებელ და დამაღონებელ სურათს მივიღებთ: ჩვეულებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანური, ზნეობრივი ქცევის დეფიციტის პირობებში, ახალგაზრდამ ტრამვაიში მოხუცს ადგილი რომ დაუთმოს, განა მის საქციელს რაინდული უნდა ვუწოდოთ?!

ბუნებრივია, რომ ძილში შეუძლებელია რაინდული ქმედების ჩადენა! რაინდობა და გმირობა ძნელბედობის ჟამს, ექსტრემალურ ვითარებაში მოწმდება. აკი, გულახდილად აღიარა პარტიის XXVII ყრილობაზე ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა: შეიძლება მკითხონ, რასაც ახლა ვამბობ, წინა ყრილობაზე რატომ არ თქვიო? გაბედულება არ მეყოო! აღიარება და მონანიება მაღალი ზნეობრივი საზრისის მატარებელი მაგალითებია და რაც მეტს ვაღიარებთ და მოვინანიებთ, მით უფრო მეტად დაჩქარდება და დასრულდება საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ-ზნეობრივი განწმენდის პროცესი. პარტია დღეს გვეუბნება, რომ ობიექტური კრიტიკისა და შეფასებისათვის არ არსებობს დახურული ზონები. ასეთმა ვითარებამ უნდა შეცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერება და დაამკვიდროს ახლებური აზროვნება.

თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ჭორს, უნდობლობას, მითქმა-მოთქმას, შიშს არსებითად იწვევს ან ინფორმაციის უქონლობა, ან ინფორმაციის ნაკლებობა, ანდა არასწორი ინფორმაცია. მოქალაქეთა ინფორმირებულობის მკვეთრად გაზრდის პირობებში ერთბაშად სასიკეთოდ იცვლება პიროვნებათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაცია და მიკროსოციალურ გარემოში დოგმატიზმის, დემაგოგიისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებებს ნიადაგი ეცლება.

ზემოთ მინიშნებული ყველა საკითხის მეცნიერული შესწავლა საზოგადოებათმცოდნეთა პირდაპირი კომპეტენციაა. საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის უცხო უნდა იყოს სუბიექტივიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი. მას ერთადერთი კულტი – ჭეშმარიტება აქვს და ამიტომ გარდა ჭეშმარიტების ავტორიტეტისა, სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა ინტერესების ავტორიტეტისა არანაირ ავტორიტეტს არ უნდა ეპუებოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზემოთ ჩვენ ზევრჯერ ვახსენეთ სოციალური გარემო. ბუნებრივია, ეს ის გარემოა, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს ის გარემოა, რომლის მიღმა შეუძლებელია არსებობდეს ნეგატიური მოვლენები; ეს უკანასკნელნი მხოლოდ ამ გარემოში შეიძლება იყოს. მათ მიზეზებში, სოციალური პრაქტიკის სატკივარში უნდა შეაღწიოს საზოგადოებათმცოდნეობამ და იქ დაინახოს მისი პრობლემები. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ "ცხოველუნარიანია მხოლოდ ის მეცნიერული მიმართულებანი, რომლებიც პრაქტიკისაგან მომდინარეობენ და მასვე უბრუნდებიან ღრმა განზოგადებებითა და გონივრული რეკომენდაციებით გამდიდრებული" ამის შესახებ პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირზეც.

უბანი, რომელიც საზოგადოებათმცოდნეობამ თავისი შესწავლის ერთ-ერთ უაქტუალურეს ობიექტად უნდა გაიხადოს, გახლავთ საზოგადოებრივი გარემო, კერძოდ, მიკროსოციალური გარემო, სადაც თავმოყრილია ყველა აღმზრდელობითი ინსტიტუტი და მიმდინარეობს პიროვნების ჩამოყალიბება, სოციალიზაცია. მიკროსოციალური გარემოს ჭრილში ყველაზე კარგად მოსჩანს ახალგაზრდული პრობლემები.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი გარემო ანუ მაკროგარემო ცალკეულ ინდივიდზე მხოლოდ ნაწილობრივ ზემოქმედებას ახდენს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ერთგვარი დაკონკრეტება იმ გარემოსი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე. სწორედ ამის გამო, როცა იდეოლოგიური და აღმზრდელობითი ამოცანებისა და პრობლემების კონკრეტული საქმიანი ანალიზი გვინდა, უნდა შემოვიფარგლოთ მიკროგარემოთი, მისი პრობლემებით.

ცნობილია, რომ სოციალიზმის პირობებში ცნობიერების, ისევე, როგორც სხვა პროცესების, განვითარებაც წინააღმდეგობრივი, დიალექტიკური ბუნებისაა. ერთი და იგივე მოვლენას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული მნიშვნელობა და აზრი ეძლევა. ამიტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა თუ იმ მოვლენის შეფასებას შესაძლოა ჰქონდეს უამრავი ვარიანტი. საქმე ისაა, თუ როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა შეფასების ყველაზე პროგრესული ვარიანტის არჩევა, ისეთი ვარიანტისა, რომელიც კონფლიქტში მოვა სოციალიზმის ღირებულებებთან. ეს ვითარება იწვევს იდეოლოგიური მუშაობის წარმართვის აუცილებლობას სოციალისტური შეგნებულობის ფორმირების პროცესში. ამასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ საკუთრივ სოციალურ გარემოში არსებობს ისეთი უარყოფითი მომენტები, მოვლენები და ტენდენციები, რომლებსაც ძლიერი გავლენა აქვთ მოზარდი თაობის შეგნებულობის ფორმირებაზე. თუ ნეგატიურ მოვლენათა არსი და მიზეზები არასწორადაა გაგებული, თუ მათ წინააღმდეგ არ მიმდინარეობს პრინციპული და თანმიმდევრული ბრძოლა, ისინი შეიძლება იქცნენ გამხრწნელი ხასიათის არსებით ფაქტორად. ამიტომ, გასაგებია, რომ საზოგადოებას ესაჭიროება აქტიური საკომპენსაციო მექანიზმი, რომელიც მეტ-ნაკლებად დაეხმარება მას ადამიანებზე ნეგატიური მოვლენების გავლენის დაძლევასა თუ ნეიტრალიზებაში. სწორედ ასეთი საკომპენსაციო მექანიზმია იდეოლოგიური მუშაობა. ამიტომ, აღზრდის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სოციალურ მოვლენათა იდეოლოგიური ასპექტების წვდომა. როცა იდეოლოგიურ მუშაობასა და სოციალურ გარემოს შორის წინააღმდეგობა წარმოიშობა, ამით ყველაზე მეტად იდეოლოგიური მუშაობა ზარალდება, რადგან მას ისეთი შედეგები მოჰყვება, რომლებიც მის მიზნებს უპირისპირდება.

აქედან გამომდინარე, სოციალური გარემოს ზეგავლენისა და იდეოლოგიური მუშაობის შეთანხმებულობას კანონზომიერების ხასიათი უნდა მიეცეს.

სოციალური გარემოს იდეოლოგიური ასპექტების დაუფლებას ამ გარემოს იდეოლოგიზაციაც შეიძლება ვუწოდოთ. თუ საზოგადოებრივი გარემოს ეს ასპექტები არ გავითვალისწინეთ, მაშინ უსათუოდ თავს იჩენს "ტექნოკრატიზმის" საშიშროება. ეს საშიშროება ერთობ აქტუალური. მეცნიერულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში, რომელიც აუცილებლობით მოითხოვს სოციალური მართვის ყველა დონეზე საინჟინრო-ტექნიკური პროფილის სპეციალისტების ჩართვას. თუ ეს უკანასკნელნი მოკლებულნი არიან აუცილებელ იდეოლოგიურ წრთობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცდილებას, თუ მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური პრობლემებისადმი ინტერესი, მაშინ უეჭველად თავს იჩენს "ტექნოკრატიზმი".

შრომისა და საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური განვითარების პირობებში სწრაფად იცვლება მშრომელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ღირებულებითი სისტემები. მოვლენები, რომლებიც ახლო წარსულში უარყოფით რეაქციას იწვევდნენ, ახლა უკვე ნაკლებად აღაშფოთებს ჩვენ საზოგადოებრივ აზრს. ეს განსაკუთრებით შეეხება მოდისა და ყოფის ელემენტებს. იმავდროულად წარსულის კულტურული ცხოვრების ცალკეული ფაქტების გადახალისება, გადაფასებაც ხდება. ეს და სხვა მრავალი მომენტი იდეოლოგიური მუშაობისაგან მოითხოვს სათანადო დინამიზმს. ამ ასპექტით, ყოველგვარი ჩამორჩენა იდეოლოგიურ მუშაობაში მისი ეფექტიანობის დაცემის მაუწყებელია.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სოციალური მიკროგარემო შეთანხმებულ ურთიერთმოქმედებაში უნდა იმყოფებოდეს იდეოლოგიურ მუშაობასთან, ანუ, ეს მიკროსოციალური გარემო უნდა იყოს ოპტიმალურად იდეოლოგიზებული. სწორედ ასეთ მიკროგარემოს ძალუძს ახალგაზრდობის აღზრდისათვის აუცილებელი ობიექტური ვითარების უზრუნველყოფა და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვის თქმა მართებს საზოგადოებათმცოდნეებს.

მიკროსოციალური გარემო საზოგადოებრივი გარემოს იმ ელემენტებს და ასპექტებს მოიცავს, რომელთაგანაც ცალკეული ინდივიდი ამყარებს უშუალო კონტაქტს მისი მოღვაწეობის პროცესში მთელი სიცოცხლის მანძილზე. ესაა ის უშუალო გარემო, სადაც ინდივიდის კონტაქტები რეალიზდება. უშუალო გარემოში შედის ადამიანის დაბადების და ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადგილი, საწარმო თუ დაწესებულება, სადაც იგი მუშაობდა თუ მუშაობს; მისი ამხანაგები და კოლეგები, სასწავლებელი, სადაც იგი სწავლობდა ან სწავლობს; სოფელი, ქალაქი თუ ქვეყანა, სადაც იგი იმყოფებოდა და ამჟამადაც იმყოფება; ახლო და შორეული ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს; სოციალური დაწესებულებები და ნივთები, საგნები, რომლებიც ასე თუ ისე, მის თვალსაწიერში შემოდიან; სოციალური ნორმები - იურიდიული, პოლიტიკური, ორგანიზაციული, ზნეობრივი, რომლებშიც ასახულია გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობები და ა.შ.

მიკროსოციალური გარემო, როგორც საკონტაქტო გარემო, ცალკეული ინდივიდებისათვის აშკარად არაერთგვაროვანია. დასაკვირვებელია, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე თითქმის არ მოსცილებიან დაბადების ადგილს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მთელი ქვეყანა აქვთ მოვლილი. ერთნი ადამიანთა თითზე ჩამოსათვლელ რაოდენობას უკავშირდებიან, მეორენი - კოლოსალურ რაოდენობას.

თანამედროვეობაში, საკომუნიკაციო და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად, მუდმივად ფართოვდება მიკროსოციალური გარემოს საზღვრები და ამიტომ პიროვნებაზე ფართო სოციალური გარემოს გავლენის როლი სულ უფრო მეტად იჩენს თავს.

პიროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წინა პლანზე დგება მისი მიკროგარემოს განსხვავებული ელემენტები. მაგალითად, მოსწავლისათვის - სკოლა, სტუდენტისათვის - სასწავლებელი, მუშისათვის - საწარმო, მოსამსახურისთვის - დაწესებულება და ა.შ.

მიკროგარემოში ყველაზე თვალნათლივ ვლინდება სოციალური ინსტიტუტებისა და საზოგადოებრიობის როგორც პიროვნების აღმზრდელობითი ფაქტორის როლი. აქ მხედველობაში გვაქვს ის სოციალური ინსტიტუტები, რომლებთანაც პიროვნებას გარკვეული პრაქტიკული ურთიერთობა აქვს. ესაა უშუალო საკონტაქტო სოციალური ინსტიტუტები რაც შეეხება საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადოებრიობას, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა მთლიანად სოციალისტური საზოგადოებრიობა, არამედ მისი ის ნაწილი, რომელთანაც ინდივიდი ამყარებს კონტაქტს და, ამდენად, მასაც შეიძლება ვუწოდოთ საკონტაქტო საზოგადოებრიობა.

აქ იბადება კითხვა: რაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი მიკროგარემოს იდეოლოგიური ზემოქმედების ხასიათი და ხარისხი?

საზოგადოებრივი მიკროგარემოს იდეოლოგიური ზემოქმედება, ცხადია, პირველ რიგში დამოკიდებულია მაკროგარემოს ხასიათზე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრინციპებისა და ნორმების ხასიათზე, რამდენადაც სწორედ ისინი მსჭვალავენ მიკროგარემოს და, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულნი არიან იმ სოციალურ ატმოსფეროზე, რომელშიც ფუნქციონირებს მიკროგარემო. თუმცა, მიკროგარემოს იდეოლოგიური ზემოქმედების ხასიათი და ძალა მხოლოდ სოციალური მაკროგარემოს ბუნებაზე არაა დამოკიდებული. დიდ მნიშვნელობას იძენს თვით მიკროგარემოს აქტიური მოქმედება, პასიურად ეკიდება მიკროგარემო ცალკეული პიროვნების ქცევას თუ მის ხელთ არსებული სხვადასხვა საშუალებებით ერევა ამ ქცევაში? – ამაზეა არსებითად დამოკიდებული აღმზრდელობითი ეფექტი, ნეგატიური შინაარსისგან ცნობიერების განწმენდის ბედი.

სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ სოციალისტური პიროვნების ფორმირების პროცესისათვის გამოუყენებელი შესაძლებლობები და რეზერვები. პრობლემის არსი იმაშია, რომ მიკროგარემოს აქტივობის ხარისხი, კერძოდ, საკონტაქტო საზოგადოებრიობის აქტივობის ხარისხი, აღმზრდელობით პროცესში, მათ შორის სოციალისტური ცხოვრების წესისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯერ კიდევ შორს დგას სასურველისა და აუცილებლისაგან.

ძალზე ხშირად, საკონტაქტო საზოგადოებრიობა ჩაურევლობას იჩენს ცალკეული პიროვნების მხრიდან უარყოფითი ქცევის გამოვლინებისადმი, თუმცა, ასეთი ჩარევისათვის ყველა საფუძველი არსებობს. არის შემთხვ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ევები, როცა ჩარევა საწინააღმდეგო ეფექტითაც მიმდინარეობს, ანუ როცა საკონტაქტო საზოგადოებრიობა სოციალური ნორმების დამრღვევთა ინტერესებს იცავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელ ეტაპზე საზოგადოებრივი მიკროგარემო ერთობ არასაკმარისად იყენებს მის საპასუხისმგებლო ფუნქციებს აღმზრდელობით პროცესში.

ბუნებრივია, აქაც გვებადება კითხვა: სადაა გამოსავალი? როგორ უნდა მოხერხდეს საზოგადოებრივი მიკროგარემოს ისეთნაირი აქტივიზაცია, რომ მან ბოლომდე გამოავლინოს მისი შესაძლებლობები სოციალისტური პიროვნების ფორმირებისა და განწმენდის, სოციალისტური ცხოვრების წესისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ამ კითხვებში მოსჩანს პრობლემის არსი და მათზე პასუხი დღის წესრიგში აყენებს მიკროგარემოს პიროვნებაზე ზემოქმედების საკითხს. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელშიც მიკროგარემო, განსაკუთრებით კი აღმზრდელობითი სოციალური ინსტიტუტები და საკონტაქტო საზოგადოებრიობა ოპტიმალურად ჩაერთვება აღმზრდელობით პროცესში, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საქმე ეხება ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელშიც ყოველმხრივ გამოვლინდება მიკროგარემოს დადებითი იდეოლოგიური ზემოქმედების შესაძლებლობები.

ცალკეული პიროვნების ქცევის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გამოვლინებანი, მჭიდრო და აუცილებელ კავშირშია საკონტაქტო საზოგადოებასთან, საკონტაქტო გარემოსთან. ეს კავშირი შეიძლება იყოს სამსახურებრივი, საზოგადოებრივ-ორგანიზაციული, ნათესაური, მეზობლური, მეგობრული და ა.შ.

აღნიშნული კავშირის შედეგად საკონტაქტო საზოგადოებრიობა მეტნაკლებად ყოველთვის ინფორმირებულია ამა თუ იმ პიროვნების პრობლემების, მიზნების, სურვილების, მოთხოვნილებებისა და მოქმედებების შესახებ. საკონტაქტო საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი გარკვეულწილად და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გარკვეული გზებით აუცილებლად მხარს უჭერს ამ პიროვნების მოქმედებას ან მონაწილეობს მასში. სწორედ ამით განისაზღვრება საკონტაქტო საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობა და მოღვაწეობის მიმართულება:

– ხელს უწყობს თუ არა ახალგაზრდობის დადებით ინიციატივებს, იცავს თუ არა მათ უსაფუძვლო თავდასხმებისაგან?

– იღებს თუ არა აუცილებელ ზომებს იურიდიული, ზნეობრივი და სხვა სოციალური ნორმების თანმიმდევრული გამოყენებისათვის ახალგაზრდობის ქცევის შეფასებისას და მათი სოციალური იერარქიის კიბეზე წინსვლისას?

– ახდენს თუ არა ახალგაზრდობის უარყოფით ქცევებზე რეაგირებას და თუ ახდენს, როგორ?

როგორც დადებითი ქცევების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს ყოველთვის შეიძლება საკონტაქტო საზოგადოებრიობის, როგორც მიკროგარემოს ყველაზე აქტიური ელემენტის, მხრიდან გამოვარკვიოთ ის პიროვნება ან პიროვნებები, ვინც ესა თუ ის ქმედება ჩაიდინა. მთავარია ის, თუ როგორ უნდა დავამკვიდროთ სწორი, ოპტიმალური ურთიერთდამოკიდებულება ამა თუ იმ პიროვნების ქმედებასა და ამ ქმედების განხორციელების პირობებს, გარემოს შორის. სწორედ ამაში ვლინდება მიკროგარემოს ეფექტიანი ზემოქმედების ძირითადი შინაარსი.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიკროგარემოს ეფექტიანი ზემოქმედება გულისხმობს იმას, რომ საკუთრივ მიკროგარემო, ნაწილობრივ საკონტაქტო ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი საკონტაქტო საზოგადოებრიობა, ემყარება რა პარტიის პოლიტიკას, სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, ზუსტად და თანმიმდევრულად იცავს სოციალიზმის მორალურ და სამართლებრივ ნორმებს, ყოველთვის დაიფარავს და სტიმულს მისცემს ცალკეული პიროვნებების დადებით ქცევებსა და ინიციატივებს შესაბამისი ფორმებითა თუ მეთოდებით და აუცილებელი ძალით; და, პირიქით, ნეგატიური მოვლენების მიმართ მიიღებს პრინციპულ, თანმიმდევრულ და გადამწყვეტ, მათ შორის – გამაფრთხილებელსა და ამკრძალავ ზომებს.

ამ თვალსაზრისით მიკროგარემოს ეფექტიანი ზემოქმედება წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების, სოციალიზმის დროს სოციალური მართვის ოპტიმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

რეალურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში საზოგადოებრივი მიკროგარემო, კერძოდ, საკონტაქტო ინსტიტუტები და საკონტაქტო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ შორს დგანან ოპტიმალური ზემოქმედებისაგან. ეს ვითარება ორ მომენტში ვლინდება: ჯერ ერთი, უმეტესწილად, მიკროგარემო ან არავითარ რეაგირებას არ ახდენს ან არაადექვატურად რეაგირებს ახალგაზრდების დადებით, უფრო ხშირად კი უარყოფით ქცევებზე; მეორე მხრივ, ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა მიკროგარემო რეაგირებას არ ახდენს უარყოფით ქცევებზე და თანაც იმ მოტივით, რომ დამცველია სოციალისტური სოციალური ნორმების და არცთუ იშვიათად, პირიქით, მხარში უდგას სხვადასხვა ჯურის დამრღვევებს. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ აღმზრდელობითი საქმიანობის ავ-კარგის მიზეზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985) პლენუმის შემდეგ, ჩვენი პრესა რეგულარულად გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დონის დარღვევებისა და დანაშაულის შესახებ. ჩვეულებრივ, როცა ანალოგიური ინფორმაციის მიწოდება ხდება, გაზეთი თუ ჟურნალი სავსებით ლოგიკურ კითხვას სვამს: სად იყურებოდა საზოგადოებრიობა, დროულად რატომ არ ჩაერთო და ხელი არ შეუწყო დანაშაულის აღკვეთას თუ გახსნას?

ყველასთვის ცნობილია, რომ არიან ისეთი მშობლები, რომლებიც, უბრალოდ, არ ასრულებენ მშობლის მოვალეობებს და ფაქტიურად ამით შვილების ანტისაზოგადოებრივ გზაზე დაყენებას აძლევენ ბიძგს; მეორე მხრივ, არიან ისეთი შვილები, რომლებიც, არც მეტი და არც ნაკლები, უღირსად ეპყრობიან მშობლებს; არიან ისეთი მეუღლეები, რომლებიც გაუბრალოებულად უყურებენ ქორწინების ფენომენს და ადვილად ანგრევენ ოჯახს, საზოგადოებრიობა კი ამ შემთხვევაში პასიური დამკვირვებლის როლს ასრულებს, ხშირად ინტერესითა და ინტრიგითაც კი ელოდება, თუ რა გან

ვითარებას მიიღებს დაწყებული კონფლიქტი. ყოველივე ამას, ჩვეულებრივ მივყავართ სავალალო შედეგებამდე. მოტანილი მაგალითები იმისთვის გვჭირდება, რომ ვაჩვენოთ ძირითადი სოციალური ინსტიტუტის – ოჯახის – საბაზისო მნიშვნელობა აღზრდის პროცესში.

შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს იმან (ეს გასაგებიცაა რომ საზოგადოებრიობას ყოველთვის არ შეუძლია და არცაა ვალდებული ჩაერიოს ცალკეული პიროვნების ქცევაში. ცხადია, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს გააჩნია ყველა კონსტიტუციური, კანონიერი უფლება და არავის შეუძლია შეზღუდოს მისი პირადი ინიციატივა და მოღვაწეობა, თუ იგი არ სცილდება ნებადართულის ზღვარს; თუმცა, აქ სულ სხვა რაიმეს ვგულისხმობთ. ერთი მხრივ, მხედველობაში გვაქვს დადებითი ქმედებანი, რომლებიც სავსებით ესადაგებიან პარტიული პოლიტიკის არსს, უპასუხებენ საზოგადოებრივ ინტერესებს, გვეხმარებიან სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრებაში, მაგრამ საზოგადოებრიობის მხრიდან მხარდაჭერასა და მოწონებას ვერ პოულობენ, რაც, ცხადია, ერთიორად ართულებს, ხოლო ზოგჯერ აბ.კოლებს კიდეც ამ ქმედებათა რეალიზაციას. მეორე მხრივ, საქმე ეხება ისეთ მოქმედებას, როცა ირღვევა კანონები, მორალური პრინციპები, სოციალური ნორმები, ანუ, როცა ესა თუ ის მოქალაქე ხელყოფს სოციალისტური თანაცხოვრების, სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, როცა მისი ქცევა მისივე უფლებებისა და კომპეტენციის ყოველგვარ ზღვარს სცილდება და სხვა მოქალაქეთა სოციალურ უფლებებში იჭრება. ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრიობას ჩარევის არა მხოლოდ უფლება გააჩნია, არამედ ვალდებულია კიდეც ჩაერიოს. ეს ის შემთხვევაა, როცა უფლება მოვალეობას ემთხვევა! ერთი წუთით დავფიქრდეთ: აღნიშნული ვითარებების დროს როგორ ვიქცევით ხოლმე? მეტწილად, როცა ნდობის ეროზია იწყება, ჩვენ მშვიდად ველოდებით, თუ როდის დასრულდება რღვევის ეს პროცესი.

არადა, ამ დროს ჩარევას უაღრესად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლობა ექნება, რაც მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა სოციალისტური ცხოვრების წესისაგან გადახრებს, ხელს შეუწყობდა ნეგატიურ გამოვლინებათა აღმოფხვრასა და, საბოლოო ჯამში, უდიდესი მატერიალური, ფინანსური და მორალური ზარალისაგან დაგვიცავდა, ამასთანავე, დამატებითი ეკონომიკური, მორალური და თვით პედაგოგიური რეზერვების პოვნის შესაძლებლობასაც კი მოგვცემდა.

ამასთან დაკავშირებით ერთხელაც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მოქალაქეს გააჩნია არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობებიც. მან საზოგადოებისაგან მარტო კი არ უნდა მიიღოს, არამედ უნდა გაიღოს კიდეც მისთვის.

შესაბამისად, საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: რატომ ხდება, რომ ზოგჯერ მიკროგარემო, უშუალო საკონტაქტო ინსტიტუტები და საკონტაქტო საზოგადოებრიობა რეაგირებას არ ახდენს არც დადებით და, მით უმეტეს, არც უარყოფით ქცევებზე, თუმცა, ასეთი შესაძლებლობა არსებობს და ისინი ვალდებულნი არიან მოახდინონ რეაგირება?

ჩვეულებრივ, ის რაც მიკროგარემოში ხდება, საზოგადოებრიობისათვის ყოველთვის ცნობილია, მაგრამ ჩაურევლობამ ტრადიციის ძალა მიიღო. მაგალითად, ყველამ იცის, თუ ვის და როგორ ხელეწიფება ე.წ. პრესტიჟული სასწავლებლები, სამუშაო ადგილები, წინასწარ და ზუსტად გათვლილი კარიერა... როცა ყოველივე ამას კანონზომიერების ძალა ეძლევა, საბოლოო ჯამში იგი იქცევა გამაუცხოებელ ფენომენად საზოგადოებრიობისათვის, განსაკუთრებით - ახალგაზრდობისათვის. მოდით და გულახდილად "სტატისტიკური" ფიქრის საგნად ვაქციოთ ბევრი ისეთი მოვლენა, რომელთა ანალიზს სპეციალური განსწავლულობა არ სჭირდება. მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში (ან მოსამზადებელ განყოფილებაზე) შესასვლელი აუცილებელი სტაჟის საკითხი: რამდენი მილიონი ფიქტიური შრომადღე, რამდენი ათეული წლის ფიქტიური სტაჟი დაგროვდება, რომლის მიღმა ნულოვანი პროდუქცია ძევს? ყველაზე სამწუხარო ის ახლავთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რომ ანალოგიური მოვლენებიც სტაჟიანი და ასაკოვანია! ახლა მთავარია მათ "ტკბილ დაბერებას" - შევუშალოთ ხელი.

სასურველი ვითარების მოლოდინის ამარა დარჩენა უიმედო და უმომა ვლო საქმეა. ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის ირგვლივ კეთილი სურვი არაერთხელ გამოთქმულა, მაგრამ, თუ სურვილს აწონ-დაწონილი მოქმედებ არ მოჰყვა, მაშინ იგი ან უშედეგო იქნება, ან შედეგი იმდენად უმნიშ ვნელო, რომ ვერც აისახება მიკროსოციალურ გარემოში. ჩვენი პარტიის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები იქითკენაა მიმართული, რომ რადიკალ რად შეიცვალოს შრომის ორგანიზაცია, სტიმულირების სისტემა, სახელმწ ფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის სტილი, რამაც დინამიკაში უნდა მოიყვანოს მიკროსოციალური გარემო, საკონტაქ ტო ინსტიტუტები და საკონტაქტო საზოგადოებრიობა.

მოქმედი პრაქტიკა ითვალისწინებს სამართალდარღვევათა დასჯას დ ძალზე იშვიათია, რომ მოხდეს სასჯელის გავრცელება საკონტაქტო სოცი-ალურ ინსტიტუტებზე და საკონტაქტო საზოგადოებრიობაზე. სხვა სიტყვე-ბით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი მიკროგარემო რჩება პასიური, ერთი მხრივ, იმ დროს,როცა ხდება დანაშაული და, მეორე მხრივ, იმ დროსაც, როცა ხდება მისი მიზეზით გამოწვეული შედეგის დასჯა; ერთი სიტყვით, დასჯის შინაარსი საზოგადოებრივ მიკროგარემოზე თითქმის არ ვრცელდებ პრინციპში, სამართალდამცველი ორგანოების კომპეტენცია საზოგადოებრ მიკროგარემოზე ზემოქმედების ასპექტით გარკვეულად შეზღუდულია, რო-გორც ვთქვით, უმეტესწილად იჩენს პასიურობას. აქ უკვე მთელი სიგრძე სიგანით დგება პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიული პოლიტიკის, ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის პარტიული შეფასების საკითხი. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე კარდინალური გარდაქმნების ვითარებაში ეს სფერო შესწავლის უაღრესად აქტუალური ობიექტია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგის წარმომადგენელთა საერთო ძალისხმევას მოითხოვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია ფაქტები, როცა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას და ითვისებდნენ კოლოსალურ თანხებს. აქ იბადება კითხვა: ამ ხნის განმავლობაში ნუთუ ვერაფერი გამოავლინეს მაკონტროლებელმა ინსტანციებმა? ამ ხელმძღვანელსაც ხომ ჰყავდა უშუალო ხელმძღვანელები, კოლეგები, ხომ არსებობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მიკროგარემო? ნუთუ,მათ არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ? და თუკი ეკისრებათ, მათაც ხომ უნდა აგონ პასუხი?

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ მიკროგარემოს ელემენტებს მისი ადგილის მიხედვით სოციალურ იერარქიაში, შრომის ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასე თუ ისე, გარკვეული მიმართება აქვს ნეგატიური მოვლენების არსებობასთან თუ წარმოშობასთან; ამ ელემენტებმა შეუძლებელია არ იცოდნენ, თუ რა ხდება მათს გარემოში. თუ ეს ასეა, მაშინ რის საფუძველზე ცდილობენ ისინი თავი აარიდონ მორალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სამსახურებრივ, მატერიალურ და ა.შ.პასუხისმგებლობას?

ცხადია  რომ საკონტაქტო ინსტიტუტებისა და საკონტაქტო საზოგადოებრიობის აქტიურ, დროულ და გადამწყვეტ ჩარევას ექნებოდა უდიდესი მნიშვნელობა ნეგატიური მოვლენების აღკვეთის, შეზღუდვისა და აღმოფხვრისათვის. ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება ამა თუ იმ პიროვნების მოქმედების საჯარო წარმოჩენას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ებრძოლოს ნეგატიურ მოვლენებს და ამ მხრივ ეძებს მხარდაჭერას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო დინამიკაში მოვიყვანოთ საზოგადოებრივი მიკროგარემოს, საკონტაქტო ინსტიტუტებისა და საკონტაქტო საზოგადოებრიობის აქტიურობა, რათა მათ მაქსიმალურად და დაუბრკოლებლად შესძლონ თავიანთი შესაძლებლობების, პასუხისმგებლობისა და მოვალეობების გამოყენება-რეალიზაცია. აუცილებელია შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანს გახდის მიკროგარე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მის ზემოქმედებას.

როგორც ვხედავთ მიკროგარემოს ეფექტიანობა ემყარება იმ რეალ ურთიერთკავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ინდივიდსა და მიკროგარემოს შორის, ინდივიდსა და საკონტაქტო ინსტიტუტებსა და საკონტაქტო საზოგადოებრიობას შორის. ამ ეფექტიანობის ყველაზე ღრმა და ობიექტური საფუძველი პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ინტერესების თანხვედრა-თანხმობაში ძევს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ არცერთი ინდივიდი გულგრილი არ უნდა დარჩეს ობიექტური საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, ხოლო საზოგადოებასა და კოლექტივს არ უნდა ეჭიროს ნეიტრალური პოზიცია ინდივიდის ქცევის მიმართ. მიკროგარემოს ეფექტიანობა უზრუნველყოფს ერთი მხრივ, ინდივიდისა და მისი პირადი ინტერესების, ხოლო მეორე მხრივ, კოლექტივისა და მისი ობიექტური საზოგადოებრივი ინტერესები შეთანხმებულ ინტენსიურ ურთიერთმოქმედებას.

მაკროსოციალური და მიკროსოციალური გარემოს ერთიანობა გამომდინარეობს მაკროგარემოს განმსაზღვრელი ხასიათიდან მიკროგარემოსთან მიმართებაში. იგი ვლინდება, პირველ ყოვლისა, ამ გარემოთა ხასიათ ბუნებრივია, რომ მაკროგარემო ჩვენს ქვეყანაში ატარებს სოციალისტ ხასიათს და მისი ძირითადი ნიშანი განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება გახლავთ. ეს ნიშნავს, რომ მიკროგარემოს მახასიათებლებიც სოციალისტურია და მისი ძირითადი ნიშანიც ამ ეტაპზე უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები ("უნდა იყოს" იმიტომ ვამბობთ, რომ ყველა დონის მიკროგარემოს ჯერაც არ დაუფლებია ეს ვითარება, რადგან რუტინისა და პასიურობის ტრადიციით წარმოშობილი ინერციის ძალა აქაც ერთობ ანგარიშგასაწევი ფაქტორია). მეტად საგულისხმო მნიშვნელობა აქვს ნორმატიული სისტემათა ერთიანობას. პოლიტიკური, იურიდიული, ზნეობრივი და სხვა სოციალური ნორმები, რომლებიც ასახა

ვენ სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს და რომელთა შემუშავებაც ძირითადად პარტიის ხელმძღვანელობით სოციალური მართვის ცენტრალური ორგანოების მიერ ხდება; განსაზღვრავენ მიკროგარემოს სოციალურ შინაარსს და მათ განუხრელად უნდა იცავდნენ შესაბამისი დაწესებულებები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრი კი მათ უნდა აღიქვამდეს სწორ, სამართლიან და სასარგებლო ნორმებად. ეს უკუკავშირი შეთანხმებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ ამ ნორმათა შემუშავება მოხდება მასებთან მუდმივი დიალოგისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. სოციალური მექანიზმები, რომლებიც მოცემულ მიკროგარემოში გამოიყენება, მთლიანად ქვეყნისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი და დამტკიცებული სოციალური მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

წინააღმდეგობები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ნორმებთან და მექანიზმებთან, არსებითად ორი შედეგი მიზეზის გამო წარმოიშობა:

პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მართვის შესაბამისი, უფრო მაღალი ორგანოების მიერ შემუშავებული და მოწონებული ნორმები და მექანიზმები უსათუოდ უნდა იქნას შესწავლილი და ათვისებული როგორც აუცილებელი პირობა მათი გამოყენებისა სოციალური მართვის ქვემდგომი ორგანოების მიერ. მაგრამ ეს, მეტწილად, ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ, გასაგებია, რომ მათი შესწავლისა და ათვისების თანდათანობითობამ შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი გადახრები, რაც სიცოცხლეს უხანგრძლივებს ძველ ნორმებს. აქედან წარმოიშობა ძველისა და ახალს შორის ბრძოლის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მაკროგარემოსა და მიკროგარემოს შორის არსებული წინააღმდეგობის გამოვლენას.

მეორე მხრივ, აღნიშნული ნორმები და მექანიზმები შეიძლება არც იყოს შენარჩუნებული; უფრო მეტიც, შეიძლება ისინი შეგნებულადაც კი დაირღვეს პირადი ინტერესების ზეგავლენით, როცა ეს უკანასკნელნი წინააღმდეგობაში მოდის კოლექტიურ და სახელმწიფო ინტერესებთან, ან,

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა კოლექტიური ინტერესები მოდის წინააღმდეგობაში საერთო-სახალხო ინტერესებთან. სინამდვილეში, სწორედ ამაში მდგომარეობს მაკროგარემო არსისა და პრინციპებისაგან მიკროგარემოს გადახრის ძირითადი მიზეზი.

გარდა აღნიშნულისა, მაკროგარემოსა და მიკროგარემოს შორის არსებული წინააღმდეგობების ზოგიერთი სახესხვაობა საგრძნობლად საზიანო როლს თამაშობს. ერთი მხრივ, უარყოფითი მოვლენების მატარებელი შეიძლება იყოს მართვის ცენტრალური ორგანოებიც, მაკროგარემოც (ამ მოვლენების შესახებ დაუფარავად ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987) პლენუმზე (მათ შესახებ სპეციალური მსჯელობა სცილდება სტატიის მიზნებს). ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა სოციალისტური პრინციპებისა და ნორმებისაგან ზოგიერთი გადახვევა გამოწვეული იყო მართვის ცენტრალური ორგანოების არაადექვატური გადაწყვეტილებებით. ასეთ ვითარებაში მიკროგარემოს ცალკეული ჯანსაღი ელემენტები, ბუნებრივია, ეურჩებოდნენ არასწორ მითითებებს და რეალურ ცხოვრებაში იცავდნენ სოციალისტურ პრინციპებს. აღნიშნული ვითარება ოპოზიციურადაც კი ყოფილა კვალიფიცირებული, რაც ცხადია, სხვა რომ არა ვთქვათ, "სუნთქვას უძნელებდა" მიკროგარემოს ამ ჯანსაღ ელემენტებს; მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ხანგრძლივი ტენდენციის სახე მაინც არ მისცემიათ და ამიტომ ეს მიზეზი საჯაროობისა და ინფორმირებულობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დემოკრატიული საწყისის გაფართოების ვითარებაში სულ უფრო იშვიათად იჩენს თავს.

მეორე მხრივ, უარყოფითი მოვლენების მატარებელი შეიძლება იყოს მიკროგარემოს რომელიმე ცალკე აღებული ელემენტი. ეს ყველაზე მასობრივად გავრცელებული მოვლენაა და ამ დროს მიკროგარემო ამა თუ იმ მიმართებით გადახრილია მართვის ცენტრალური ორგანოების მიერ შემუშავებული იმ ნორმებისა და მექანიზმებისაგან, რომლებიც ასახავენ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ინტერესებს. მიკროგარემოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსგავსი გადახრები ზოგჯერ ღებულობს მწვავე ხასიათს და მათ შეიძლე-ბა კარგა ხანსაც იარსებონ. ამ შემთხვევაში მიკროგარემოს უარყოფითი ზემოქმედება აღმზრდელობით პროცესზე ერთობ საგრძნობი და საჩინოა.

ნათქვამიდან გამომდინარე, დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედებები-სა და სოციალური გარემოს ზემოქმედების ამაღლების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მაკროსოციალურ და მიკროსოციალურ გარემოს შო-რის სრული თანხმობის, ერთიანობის დადგენა. სწორედ ამ ასპექტით შე-უძლია მძლავრი სიტყვის თქმა მიკროგარემოს ეფექტიან ზემოქმედებას. როცა ეს თანხმობა, ერთიანობა მიღწეულია, მაშინ რეალიზებულია პიროვ-ნების უფლებები და მოვალეობები, ამ შემთხვევაში დემოკრატიისა და ცენტრალიზმის თანაფარდობა გარკვეულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკროგარემოს ერთ ცალკეულ დემოკრატიულ ელემენტს (რომელსაც გარკვეული სტატუსი გააჩნია ამ გარემოში) ძალუძს დაამკვიდროს დემოკრატიული ცენ-ტრალიზმი, ბიუროკრატიულ ელემენტს - ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, კონსერვატიულს - კონსერვატიული ცენტრალიზმი და ა.შ. ამ ასპექტითაც მძლავრ იარაღს წარმოადგენს მიკროგარემოს ეფექტიანი ზეგავლენა.

საზოგადოებრივ მიკროგარემოს გამოვლენის რამდენიმე მთავარი სფერო გააჩნია - სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი ადგილი და, ნაწილო-ბრივ, სასწავლებელი; სამუშაო ადგილი, ბუნებრივია, მოიცავს მხოლოდ მომუშავეებს, სასწავლებელი - მოსწავლეებს, სტუდენტებს, ხოლო სა-ცხოვრებელი ადგილის უმთავრესი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოიცავს ქვეყნის ყველა მოქალაქეს.

აღნიშნულ სფეროებში მიკროგარემო განსხვავებული ელემენტების მატარებელია და თითოეულ მათგანში ფუნქციონირების წესიც განსხვავე-ბულია.შესაბამისად, ამ სფეროებში ადამიანის უფლებებისა და მოვალეობე-ბის პრინციპების რეალიზაციის მექანიზმშიც სპეციფიკური მრავალფერო-ვნებისა და არაერთგვაროვნების შემცველია.

ყველაზე ზოგადი სახით მიკროგარემოს ეფექტი სამუშაო ადგილის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხედვით დამოკიდებულია შრომითი კოლექტივის დამახასიათებელ ნიშნებზე და შრომითი კოლექტივის პირობებზე, მის შინაგან ზნეობრივ ატმოსფეროზე.

ყოველი ცალკეული პიროვნება შრომითს კოლექტივში იმყოფება მისთვის ობიექტურ გარემოში. აქ განასრულებს იგი თავის უმთავრეს სასიცოცხლო მოღვაწეობას – შრომას, აქ ქმნის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, ურთიერთობაში იმყოფება სხვებთან. შრომითს კოლექტივში ფორმირდება და რეალიზდება მისი მატერიალური ინტერესების უმეტესობა. აქ ვლინდება მისი პირადი თვისებები, ინტერესები, მოთხოვნილებები, უნარი და განწყობილებები.

შრომითს კოლექტივში უჭირავს ადამიანს გარკვეული სოციალური პოზიცია, მას თავისი ადგილი გააჩნია შრომის ორგანიზაციის სტრუქტურაში, რაც განსაზღვრავს მის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შრომითს – სოციალურ დამოკიდებულებებს ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან, იმ ადამიანებთან, რომელთა ხელმძღვანელობაც, შესაძლოა, მას უწევს.

შრომითს კოლექტივში ხდება პიროვნება პარტიის წევრი, შედის პროფკავშირულ ორგანიზაციაში და ა.შ. წლების განმავლობაში იქ ატარებს იგი დროის დიდ ნაწილს. ასეთ ვითარებაში ყალიბდება მისი დამოკიდებულება სოციალისტური შრომისა და შრომითი კოლექტივისადმი. სწორედ აქ ხერხდება ადამიანური, სუბიექტური ფაქტორის გამოვლენა, აქტივიზაცია და რეალიზაცია. თანამედროვეობაში საკითხის ამ მხარემ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

უეჭველია, რომ საკონტაქტო საზოგადოებრიობა სამუშაო ადგილის მიხედვით იღებს მრავალფეროვან ინფორმაციას შრომითი კოლექტივის ცალკეული წევრის შრომისა და ქცევის შესახებ, დროდადრო ეცნობა მას უფრო დაწვრილებით, ღრმად, მრავალმხრივად. ამასთან ერთად, საკონტაქტო საზოგადოებრიობა მატერიალურადაცაა დაინტერესებული ამა თუ იმ მუშაკის შრომისადმი დამოკიდებულებით და სხვა რამ მოღვაწეობის კოლექ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტეში. თუ იგი კეთილსინდისიერად მუშაობს, მაშინ საკონტაქტო საზოგადოებრიობა მისი წახალისებითაც უნდა იყოს დაინტერესებული. თუ პირიქით ხდება, მაშინ საკონტაქტო საზოგადოებრიობა უფლებამოსილია და მოვალეცაა, აქტიურად ჩაერიოს მის ცხოვრებაში. ამა თუ იმ ინდივიდის პასიურობისადმი ჩაურევლობის დროს თვით საკონტაქტო საზოგადოებრიობამ უნდა მოეთხოვოს პასუხი, მოეკითხოს პასუხისმგებლობა.

თუ პიროვნების მოღვაწეობა მოწმდებოდა სხვადასხვა ინსტანციების მიერ იმ დროს, როცა იგი დარღვევებს სჩადიოდა და ისინი არ იყო მხილებული, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პასუხისმგებლობა ამ სხვადასხვა მაკონტროლებელ ინსტანციებსაც ეკისრება. ამ შემთხვევაში მაკონტროლებელი სამსახურები ან არაკომპეტენტური იყო, ან - ტენდენციური, ან, სხვა რომ არა ვთქვათ რა - დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე.

ფაქტები მოწმობენ, რომ, მაგალითად, საუწყებო კონტროლი გაცილებით ნაკლებ დარღვევებს ამჩნევს ვიდრე სახელმწიფოებრივი. ეს, ბუნებრივია, გამოწვეულია ან უპრინციპობით, ან ანგარებით. საზოგადოებრივ კონტროლს თავისი საზღვრები გააჩნია, მან შეუძლებელია მოიცვას ცალკეული პიროვნების ქცევის მთელი მრავალფეროვნება და სპექტრი, ამიტომ, აუცილებელია მისი შევსება სინდისის კონტროლით, თვითკონტროლით, რაც საზოგადოებრივ უფლება-მოვალეობათა შესრულების უტყუარი გარანტიაა.

მაკონტროლებელი ორგანოების პასუხისმგებლობასაც უნდა მივუყენოთ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის ფორმები.

ცხადია, რომ, თუ მაკონტროლებელი ორგანოები სრულ პასუხისმგებლობას გამოავლენენ, მაშინ მკვეთრად ამაღლდება ამ ორგანოების მოღვაწეობის შედეგიანობა და ეფექტიანობა და მათ მიმართ ნდობაც გაიზრდება. შესაბამისად, მას მოჰყვება არა მარტო ეკონომიკური ეფექტი, არამედ მორალურიც, რაც აუცილებელი ფაქტორია ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ჩვენს საზოგადოებაში მიკროგარემოს ეფექტიანი ზემოქმედება არსებითად დამოკიდებულია კომუნისტთა ქცევაზე, პარტიული ორგანიზაციის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პოზიციაზე. როგორც ცნობილია, პარტიულ ორგანიზაციას გააჩნია ადმი-
ნისტრაციული ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება.
თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ვიყენებთ მას. გარდა ამი
პარტიული ორგანიზაციის პირდაპირი მოვალეობაცაა საფუძვლიანად და
ღრმად აუხსნას შრომითი კოლექტივის ყველა წევრს პარტიის მიმდინარ
და პერსპექტიული პოლიტიკის არსი, სოციალისტური თანაცხოვრების
პრინციპები. მეორე მხრივ, პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს
პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცი-
ების საქმიანობასაც. არსებითად მის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებ
ლი შრომითი კოლექტივის ნორმალური მორალურ-ფსიქოლოგიური და ღირებ
ლებითი ორიენტაციები. შესაბამისად, არანაირი მოსაზრებებით არ შე-
იძლება გამართლებულ იქნას კომუნისტთა, პარტიული ორგანიზაციის პა
ურობა როგორც სოციალური ნორმების დარღვევის, ასევე მშრომელთა პო
ტიური სოციალური აქტივობის დროს.

ჩვენი რესპუბლიკისა და ქვეყნის ცხოვრებაში ამ ბოლო დროს არა-
ერთი პარტიის წევრი იქნა მხილებული სოციალური ნორმების დარღვევა
ბუნებრივია, რომ ასეთ დროს პარტიულ ორგანიზაციას არათუ უფლება გ
აჩნია, არამედ იგი ვალდებულიცაა შესაბამისი შეფასება მისცეს მათ
პარტიული ორგანიზაციის პრინციპულობაზეა დამოკიდებული შრომითი კო
ტივის სოციალური და მორალური პოზიციის სიცხადე. პარტიულმა ორგანი
ზაციამ ისეთი შემთხვევებიც უნდა აქციოს განსჯის საგნად, როცა მი
მა წევრებმა თავიანთი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარ
ობის გამო იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ ჩადენილი დარღვევების შესა-
ხებ, მაგრამ მათზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

გულგრილი შემყურის, ჩაურევლობის პოზიციის გამო ყველას მოეთხ
ვება პასუხისმგებლობა, მათ შორის იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებ-
საც და მათს წევრებს, რომელთა საქმიანობასაც პარტიული ორგანიზაც
ხელმძღვანელობს. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პასიური

შემყურის, ჩაურევლობის პოზიციის არჩევა დანაშაულში თანამონაწილეობის ტოლფასია და იგი კვდომით ემუქრება ადამიანის განმსაზღვრელ სოციალურ ბუნებას.

შეგნებულობა და მოქალაქეობრივი სინდისი მაშინაა აქტიური, როცა სოციალისტური ცხოვრების წესისაგან ნებისმიერი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ ჭეშმარიტების პოზიცია გვიჭირავს, როცა არაფრად ვაგდებთ პირად უსიამოვნებებს, რაც, როგორც წესი, არ შეიძლება არ შეგვხვდეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე. ამ საქმეში საგულისხმო როლს ასრულებს სწორი საზოგადოებრივი აზრი.

სამუშაო ადგილის მიხედვით მიკროგარემოს პასიურობა, პირველ რიგში, ვლინდება შრომის დისციპლინის დარღვევის, შრომითი კოლექტივის წევრების მიერ თავიანთი უშუალო მოვალეობების ზერელე, ფორმალური შესრულების დროს. მსგავს დარღვევათა უმეტესობა უმტკივნეულოდ და უმნიშვნელოდ აღიქმება.

მიკროგარემოს ეფექტიანი ზემოქმედების პრინციპები უეჭველ პასუხისმგებლობას მოითხოვს მიკროგარემოს ყველა იმ ელემენტისაგან, ყველასაგან, ვინც თავისი პასიურობით თუ მხარდაჭერით დემორალიზაციის ატმოსფერო შექმნა და გზა გაუხსნა დანაშაულებრივ ქმედებას. რამდენი მაგალითის გახსენება შეიძლება, როცა მიკროგარემოს მთავარი ელემენტებისათვის ცნობილი იყო "სასტარტო" შეღავათები, რომელიც ცალკეულ პირებს ეძლეოდათ, თვალის ახვევა, პარაზიტიზმი და ა.შ., მაგრამ ისინი დუმილს არჩევდნენ. ასეთ ვითარებაში, დამეთანხმებით, დუმილს არათუ ოქროს ფასი, არამედ დადებით ღირებულებათა სკალაზე არავითარი ღირებულება არ გააჩნია. დუმილის სოციალური შინაარსი სავსებით სწორადაა გახსნილი იმ მოარულ ჭეშმარიტებაში, რომლის თანახმადაც, დუმილი თანხმობის, მხარდაჭერის ნიშანია!

არანაკლებ საზიანო და საშიშია ყალბი ანგარიშები, წამატებები საწარმოო შედეგების შესახებ. ზოგჯერ ამით დაინტერესებულ. ა როგორც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეურნეო ხელმძღვანელი, ასევე თვით შრომითი კოლექტივიც. გაკვირვ
ბას იწვევდა და იწვევს ის გარემოება, რომ ამგვარ უარყოფით და არც
იშვიათ მოვლენებს დროდადრო კონსტატირებას კი ვუკეთებდით, მაგრამ
მათ ჯეროვან პრინციპულ შეფასებას მაინც არ ვაძლევდით. ამ მხრივ,
სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის,
საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სა
ვშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შეს
ხებ, რომ მეცხოველეობის ანგარიშგებაში გამოვლენილ ნამატებათა ფაქ-
ტებთან დაკავშირებით ამოირიცხოს მოლდავეთის სსრ იმ რესპუბლიკათა
რიცხვიდან, რომლებიც 1985-86 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წა
მატებული გამოზამთრების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და
შესყიდვის გადიდებისათვის გამოცხადებული სოციალისტური შეჯიბრების
შედეგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის
მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო კომ
კავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით და ფულადი პრემ
იებით დაჯილდოვდნენ.

ნამატებები სხვა არაფერია, თუ არა შეგნებული და ანგარებითი
დეზინფორმაცია, რეალური მდგომარეობის ფალსიფიკაცია. ასეთი ქმედებ
ნი კანონის მიერ კვალიფიცირებულია როგორც სამსახურებრივი დანაშაუ
ბანი, მათ მივყავართ კოლოსალური სახსრების განიავებისაკენ, რაც
გამოიხატება უკანონო პრემიების გაცემაში, იმ ყალბი ინფორმაციის გა
რცელებაში, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მართვის ორგანოები, რაც
შესაბამისად, მშრომელთა ფართო მასების ცნობიერებაში ამკვიდრებს სო
ციალიზმისათვის უცხო შეხედულებებს, გრძნობებს, განწყობილებებსა და
სტერეოტიპებს, აუკუღმართებს ახალგაზრდობის ცნობიერებას.

ჩვენ მიერ მინიშნებული სიტუაციები, ნეგატიური მოვლენების შემ-
ცირებისა და აღკვეთის საქმეში მიკროგარემოს ეფექტის უდიდეს მნიშ-
ვნელობას წარმოაჩენს, რაც დამატებითი მატერიალური, ფინანსური და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მორალური სახსრების მოპოვების საშუალებას იძლევა და განუზომლად უწყობს ხელს სოციალისტური სინამდვილის ზნეობრივი პრინციპების გან-მტკიცებას, უფლებათა და მოვალეობათა დინამიზმსა და მათი რეალიზა-ციის კულტურის აღზრდას, ჭეშმარიტი სოციალური პასუხისმგებლობისა და თავისუფლების შინაარსის წვდომას.

Пацация Г.Г.

## СОЦИАЛЬНАЯ МИКРОСРЕДА И ВОСПИТАНИЕ МОЛОДЕЖИ

### Аннотация

В статье рассматривается проблема специфики возникновения и живучести негативных явлений при социализме и показана роль микросоциальной среды в их устранении, как решающего фактора воспитания молодежи в духе социалистической сознательности. В ней ставится вопрос о партийной, материальной, моральной и юридической ответственности социальной микросреды в процессе воспитания и борьбы с негативными явлениями.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის
კათედრა

ლ.მ.კირვალიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის

საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, რომელიც წამოაყენა 1985 წლის აპრილის პლენუმმა და ყოველმხრივ დაასაბუთა სკკპ XXVII ყრილობამ, უდიდეს ამოცანებს სახავს ახალგაზრდობას შორის ეფექტიური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა საბჭოთა სახელმწიფოს არსის გამოხატულება და მისი საერთო-სახალხო საქმეა. იგი საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი მიზანია ია სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების ძირითად მოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა პროექტში დასახულია მაღალი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომელიც მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უმაღლესი დონეზე წარმართვას.

ახალგაზრდობამ, რომ განაგრძოს უფროსი თაობის მიერ დაწყებული კეთილი საქმეები, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა და კომუნიზმის მშენებლობა, იგი უნდა აღიჭურვოს უფროსი თაობის საუკეთესო თვისებებით და კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებით, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებით. ახალგაზრდობა ყოველთვის მზად უნდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყოს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. ამ თვისებების აღზრდა უმაღლესი სკოლის უპირველესი მოვალეობაა. ამ მიმართულების მოქმედების ზუსტი პროგრამა მოცემულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში. სკკპ დიდი მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდობის ნიჭს, მის ძიებას მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. განსაკუთრებული ყურადღებით, სათუთად და დიდი პატივისცემით ექცევა შემოქმედებით ახალგაზრდობას. შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის დადგენილებაში "შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", სადაც აღნიშნულია, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი თაობა გაბედულად შემოდის და მტკიცედ მკვიდრდება ცხოვრებაში. პარტია მხარს უჭერს ნიჭიერ ახალგაზრდობას, ეფექტიანად წარმართავს მის აღზრდას, უქმნის შესანიშნავ პირობებს ნიჭის სრულყოფისა და გამოვლენისათვის. საკავშირო პრესა, რადიო, ტელევიზია სისტემატურად აშუქებს შემოქმედებითი ახალგაზრდობის მიღწევებს. მისი წახალისების მიზნით დაწესებულია შემოქმედი ახალგაზრდობის საკავშირო დათვალიერების ლაურეატის წოდება, დიპლომები, პრემიები. 1970 წლიდან ტარდება საკავშირო დათვალიერება, რომელიც ეფექტურ შემოქმედებას ახდენს ახალგაზრდობის აღზრდასა და განვითარებაზე და მისი შემოქმედებითი ძალების გამოვლენაზე.

დღეს, როდესაც საბჭოთა კულტურა ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებას, მათ დაახლოებას, აქტიურად იბრძვის რეაქციისა და ომის წინააღმდეგ, გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების იდეურ სიმდიდრეს და სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას, მის რეალურ ჰუმანიზმს, წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი პროგრესის მძლავრ ძალას, ქმნის მომავლის კომუნისტური კულტურის სახეს.

ახალგაზრდული პრობლემები თანამედროვეობის ყველაზე არსებითი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებია: ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის დევიზმა: "მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა" გამოავლინა ახალგაზრდობის გულწრფელი მისწრაფება, გააძლიერონ მშვიდობისათვის ბრძოლა, მტკიცედ დაიცვან ხალხთა შორის მეგობრობა და თანამშრომლობა. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სრულყოფის საკითხებმა თანამედროვე ეტაპზე ასახვა ჰპოვა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მათს ყოველდღიურ საქმიანობაში. სკკპ ცკ დადგენილებამ - "კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ" - განსაზღვრა თანამედროვე პირობებში საბჭოთა ახალგაზრდა თაობასთან მუშაობის აქტუალური საკითხები. სკკპ ცკ 1985 წლის 11 მარტის რიგგარეშე პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტია ყოველმხრივ განავითარებს ახალგაზრდობის შემოქმედებითს ინიციატივას.

1985 წელს სკკპ მიერ მთელ საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის ჩატარება ჩვენი დიდი სამშობლოს მიღწევების ჭეშმარიტ დათვალიერებად იქცა სოციალიზმმა ახალგაზრდა თაობის სამსახურში ჩააყენა სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრე, ახალგაზრდობა ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამდიდრების აქტიური მონაწილე გახდა. ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღებით სარგებლობს; იგი აქტიურად მონაწილეობს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის საყოველთაო განმტკიცებაში, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებაში. ახალგაზრდობა მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მტკიცედ იბრძვის მშვიდობის დასაცავად. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XV საერთაშორისო ფესტივალმა ცხადჰყო მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის კონსოლიდაცია, მისმა მონაწილეებმა და სტუმრებმა საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარი თვალით იხილეს, თუ როგორი სრული უფლებებით და შესაძლებლობებით სარგებლობენ ახალგაზრდები საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ამ წელმა ხელი შეუწყო ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი ზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, მისი შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლებას, შრომის, განათლების, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის სრულყოფას.

ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის ღონისძიებებმა გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობა გამოირჩევა მაღალი იდეურობით, პოლიტიკური მომზადებით, შრომითი აქტიურობით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ღრმა ერთგულებით. მსოფლიო ახალგაზრდობამ დაინახა, რომ სოციალისტური წყობა საქმით უზრუნველყოფს ახალგაზრდობას, აძლევს მას სოციალ-პოლიტიკურ უფლებებს, შემოქმედებითი შრომის, განათლებისა და კულტურის დაუფლების უპირატეს ასპარეზს, უნერგავს მომავლისადმი რწმენას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობა ყოველდღიურად აწყდება უმწვავეს პრობლემებს. იმპერიალიზმის გამალებული შეიარაღება და სამხედრო ავანტიურისტული კურსი, მილიტარიზმი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური რეაქცია სწამლავს კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის გულსა და გონებას.

სკკპ დიდად აფასებს სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წვლილს მშვიდობისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მონაწილეობის საქმეში. საფესტივალო მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების საქმეში. ფესტივალი გახდა მთელი პლანეტის ახალგაზრდობის ნამდვილი, მასობრივი, შთამბეჭდავი, ომის საწინააღმდეგო, ანტიიმპერიალისტური ღონისძიება.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ნათქვამია, რომ იდეურ-აღმზრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ახალგაზრდობის ა
რდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, რათა მათ მთელი ძალ-ღონ
მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის და გამარჯვების საქმეს, სოცი
ალისტური პროგრესისა და მშვიდობის დაცვის საქმეს. სკკპ მის უმ
რეს ამოცანად მიაჩნია გამოუმუშაოს ახალგაზრდობას ღრმა პოლიტიკ
კულტურა, რათა მან შესძლოს მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან შე
სოს საზოგადოებრივი მოვლენები, იყოს ერთგული კომუნიზმის იდეალ
სა. პარტიის პროგრამული მოთხოვნილებაა – ბრძოლა უცხოური იდეოლ
ისა და მორალის გამოვლინების წინააღმდეგ, ყველა იმ ნეგატიური
ლენების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც ადამიან
შეგნებასა და ყოფაქცევაში შემორჩენილი წარსულის გადმონაშთებთან
ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში მუშაობის ნაკ
ვანებებთან. პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დის
ციპლინის დამრღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, ლოთობისა
ხულიგნობის, სპეკულაციისა და მუქთახორობის, კერძომესაკუთრული
ქოლოგიისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ მტკიცე თანმიმდევრულ ბრ
ლას. პარტიის დამოკიდებულება ახალგაზრდობისადმი ზრდის და ამაღ
ახალგაზრდობის შრომის ენთუზიაზმს, მის როლს სოციალისტური სამშ
ლოს კომუნისტური წინსვლისათვის ბრძოლაში.

## პარტიის ზრუნვა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში

სკკპ თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უმნ
ვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდა კადრების მომზადება,
ში მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის და იდეური რწმენის განმტ
ცება, მათ აღზრდას კომუნიზმისადმი ღრმა ერთგულების სულისკვეთ
რათა ყველა სფეროში გვყავდეს პოლიტიკურად მომწიფებული, კომპეტ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტური, ინიციატივიანი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ ორგანიზატორული ნიჭი, სიახლის გრძნობა და წარმატებით უხელმძღვანელებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს – წარმოებას, განათლებას, კულტურას და სხვ. ახალგაზრდობა უნდა იყოს კულტურული, წესიერი, პატიოსანი, წიგნიერი, პრინციპული, დისციპლინიანი, კარგი ავტორიტეტის მქონე, რომელიც შეძლებს დროულად და შინაარსიანად და ამავე დროს ხარისხიანად შეასრულოს დაკისრებული დავალება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 22 აპრილის დადგენილებაში "იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" განსაზღვრულია თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდობის პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა. თანამედროვე ახალგაზრდობას თავისი იდეების წარმატებით განხორციელებაში ეხმარება შეგნებული მტკიცე დისციპლინა და ნებისყოფის მაღალი მორალური სულისკვეთება, ზნეობრივი სიმტკიცე და სიწმინდე, გულახდილობა, პირდაპირობა, თავმდაბლობა, უანგარობა, პატიოსნება.

სკკპ თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდობისგან მოითხოვს, რათა ახალგაზრდობა არამარტო დაეუფლოს ცოდნას, არამედ ეწეოდეს პატიოსან შრომას, ცხოვრებას ხედავდეს რწმენის პოზიციებიდან, იყოს კულტურული, ორგანიზებული, იცოდეს საკუთარი და სხვისი ფასი, პატივს სცემდეს უფროსებს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობის პრობლემებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

პარტიის სამოქმედო პროგრამა ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ შეიმუშავა ვ.ი.ლენინმა. იგი თხოვდა სოციალ-დემოკრატებს, რომ ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი ახალგაზრდობის რევოლუციური გამოსვლებისათვის, რადგან მას რევოლუციური ახალგაზრდობა მიაჩნდა უფროსი თაობის ტრადიციების კანონიერ მემკვიდრედ. ვ.ი.ლენინი ახალგაზრდა რევოლუციონერებს მოუწოდებდა, გაერთიანებულიყვნენ მ[illegible]ათა ორგა-

ნიზავიებთან, ყოფილიყვნენ პარტიასთან მტკიცე კავშირში, ვინაიდ მხოლოდ ასეთი გაერთიანებითა და კავშირით შეძლებდა ახალგაზრდობ წარმატების მოპოვებას თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ვ.ი.ლენინი მოითხოვდა, რომ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე, მისი ბრძ ლა საერთო პროლეტარული ინტერესებისათვის, სოციალიზმისა და კომ ნიზმისათვის განუყოფელი ყოფილიყო პარტიის ამოცანებისაგან. სწავ- ლობდა რა ახალგაზრდობის მძიმე მდგომარეობას რუსეთში, ბელადს მ აჩნდა, რომ რუსეთის ახალგაზრდობას შეეძლო უდიდესი როლი ეთამაშ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. რუსეთის პროგრესულად მოაზრ ნე მოწინავე ადამიანები მართავდნენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, მსჯელობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკ თხებზე. თვითმპყრობელობა სტუდენტთა ამ მოქმედებას მკაცრი, დაუ დობელი რეპრესიებით პასუხობდა. ვ.ი.ლენინი მიესალმებოდა თვითმპ რობელობის წინააღმდეგ ახალგაზრდობის გაერთიანებას. იგი წერდა: "სტუდენტთა შეტაკება მთავრობასთან ჩვენ ყველა შესაძლებლობას გვ ძლევს დავაჩქაროთ თვითმპყრობელობის ყველა მტრული საზოგადოებრი ძალთა მობილიზაციის საქმე".[I]

1903 წელს ვ.ი.ლენინმა დააყენა საკითხი ახალგაზრდობის სოცი დემოკრატიული მოძრაობასთან დამოკიდებულების შესახებ.

1903 წელს რსდმპ II ყრილობას ვ.ი.ლენინმა წარუყენა პარტიული დოკუმენტი "მოსწავლე-ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახე რომლის თანახმად პარტია მხარს უჭერდა მოსწავლე-ახალგაზრდობაში რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებასა და გამოცოცხლებას, წინადადებას აძლევდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, დახმარება აღმოეჩინათ ახალგაზრდობის რევოლუციური გამოსვლებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სწავლა-აღ

- - - - - - -

I ლენინი ვ.ი., თხზ.,ტ.6, გვ.91-92.

რდის საქმე ფართო მასების სამსახურში ჩადგა, ახალგაზრდობის აღზრდა მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებლობას. აღზრდის მიზანი გახდა ახალგაზრდობის მომზადება ახალი საზოგადოებრივი წყობილების აქტიურ მებრძოლებად.

საბჭოთა წყობილების პირველ წლებში სწავლა-განათლების აღმზრდელობითი დანიშნულების შესახებ გამოთქვამდნენ ყალბ შეხედულებას. მიაჩნდათ, რომ ახალგაზრდობის ბედი განისაზღვრებოდა ბიოლოგიური მემკვიდრეობით და უცვლელი სოციალური გარემოთი. პარტიამ მკაცრად გააკრიტიკა მათი მცდარი შეხედულებანი სწავლა-აღზრდის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ "პედაგოგიურ დანიშნულებათა შესახებ **განსახკომის სისტემაში**". დაჰგმო პედოლოგია როგორც ცრუმეცნიერება და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საშუალო და უმაღლესი სკოლის წინაშე დასახა სერიოზული პრაქტიკული ღონისძიებანი.

მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით აღზრდას უდიდესი როლი ენიჭება, მაგრამ აღზრდის როლის შესახებ შეფასების დროს გარკვეული ზომიერების დაცვაა საჭირო. მარქსისტული თვალსაზრისით ადამიანის ცხოვრება დაკავშირებულია საზოგადოებრივ გარემოსთან, რომელიც სოციალურ პირობებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების შინაარსს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრით, განსხვავება ახალგაზრდობის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია. ადამიანი არ იბადება ცნობიერების, იდეების, ხასიათის, ინტერესებისა და სხვათა მზა ფორმებით. ყველა ადამიანს დაბადებიდანვე აქვს ობიექტური გარემოს განცდის უნარი, ობიექტური სამყაროს შემეცნება კი უვითარდება გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში, საზოგადოებრივი გარემო გავლენას ახდენს პიროვნების ჩა-

მოყალიბებაზე, რომელიც გეგმაზომიერი, მიზანდასახული სწავლებისა და აღზრდის პროცესში ხორციელდება.

### თეატრალური ინსტიტუტი – შემოქმედი ახალგაზრდობის ჩამოყალიბების ძირითადი ცენტრი

შემოქმედი ახალგაზრდობის პროფესიულ ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს ის სოციალური გარემო, რომელშიც მას სტუდენტობის პერიოდში უხდება ყოფნა. მომავალი შემოქმედის პიროვნული თვისებების, ინტერესებისა და მისწრაფებების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება აღმზრდელ პედაგოგებს, რომლებიც სტუდენტ-ახალგაზრდობაში ნერგავენ შემოქმედებით მიდრეკილებებს და ხელს უწყობენ მათში კოლექტივიზმის გრძნობის, ჰუმანიზმის, პრინციპულობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალგონივრული თვისებების გამომუშავებას.

აკადემიურ ჯგუფებში. კუფის ხელმძღვანელები პირველ დღიდანვე ზრუნავენ, რომ ჯგუფის ყველა ახალგაზრდა შეკრან, შეაკავშირონ მჭიდრო კოლექტივად და გამოავლინონ მათში შემოქმედებითი ნიჭი და შესაძლებლობანი, განაწყონ ისინი ერთი მიზნით და საქმიანობით. ყველა სტუდენტის ფსიქოლოგიურ თავისებურებას შეისწავლის ჯგუფის ხელმძღვანელი. ამ თვისებების დადებითი მიმართულებების გამომჟღავნებითა და განვითარებით პედაგოგები შემოქმედებით ახალგაზრდობას ზრდიან მაღალი იდეურობით, პრინციპულობით და პროფესიისადმი ერთგულების ნიშნით. სტუდენტობის წლები საუკეთესო დროა მომავალი ხელოვანის – რეჟისორის, მსახიობის თუ კულტმუშაკის პროფესიული ოსტატობის გამოსამჟღავნებლად. სტუდენტობის დროს შეძენილი ნიშან-თვისებანი პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოავლენს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფის ხელმძღვანელი ჯგუფის შერჩევისთანავე ეცნობა, თუ როგორი მონაცემებისა და მისწრაფებების ახალგაზრდებისაგან კომპლექტდება მისი ჯგუფი. ასეთი გზით შესაძლებელი ხდება გამოიძებნოს საჭირო ხერხი მომავალი შემოქმედის პროფესიული ოსტატობის დაუფლებისათვის. მომავალი ხელოვანის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ოჯახურ ტრადიციებში იზრდება იგი. ცალკეული სტუდენტის ცხოვრების პირობები და ოჯახური ტრადიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომავალი შემოქმედის ჩამოყალიბებაზე. რეჟისორის კარგი ხელი, მიდგომის სწორი პედაგოგიური უნარი, სრულ შესაძლებლობას ქმნის შემოქმედის სულიერი სამყაროს, მისი ნიჭის გამოსავლენად. რეჟისორი, რომელიც ვერ სწვდება მომავალი შემოქმედის სულიერ სამყაროს, მის, თუნდაც, ფარულ შესაძლებლობებს, ყოველთვის წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს ხვდება ჯგუფში, რადგან სტუდენტი ღიზიანდება, როცა მისი უნარი, შესაძლებლობანი და ძალები გამოუვლინებელი რჩება, ეს კი ჭეშმარიტად კარგ პედაგოგს არ უნდა გამოეპაროს. შემოქმედი მხოლოდ იქ მიაღწევს წარმატებას, სადაც გრძნობს, რომ მის შესაძლებლობებს და ძალას გამოავლენენ.

სამსახიობო ჯგუფის კოლექტივის ორგანიზაციის, მიზნებისა და ამოცანების გამოვლენაში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მიგნებულ ძალთა შესაძლებლობებს. ამ ძალების განსაზღვრაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა აინტერესებს ჯგუფის წევრებს, რა მოთხოვნილებები აქვთ მათ. მაგ. ინსტიტუტში ბოლო ათი წლის მანძილზე დადგმულ შესანიშნავ სპექტაკლებში: "ახალგაზრდა გვარდია", "ბაკულას ღორები", "სამოთხის ჩიტი", "სამანიშვილის დედინაცვალი", "ცილინდრი", "დარისპანის გასაჭირი" და სხვ. რეჟისორების მ.თუმანიშვილის, დ.ალექსიძის, გ.ჟორდანიას, ა.შალიკაშვილის მიერ სწორად, ღრმა პედაგოგიური ალღოთი შერჩეულმა როლებმა სტუდენტებისათვის, დიდად შეუწყეს ხელი მომავალი მსახიობების პროფესიულ დაოსტატებას.

პედაგოგიური დაკვირვების პრაქტიკა იმასაც გვიჩვენებს, რომ მომავალი მსახიობისა და პედაგოგ-რეჟისორის ურთიერთდამოკიდებულებანი ფსიქოლოგიურ საფუძველსაც ემყარება. პედაგოგ-რეჟისორი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში ვერ უზრუნველყოფს მომავალი მსახიობის ჩამოყალიბებას, თუ იგი არ ეყრდნობა ფსიქოლოგიური მეცნიერების საფუძვლებს. "ადამიანის ყოველგვარ მოქმედებასა და მათ შორის სწავლას, მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქიკური წინაარსი და მექანიზმები აქვს. თვით ფსიქიკა, როგორც უაღრესად ორგანიზებული მატერიის თვისება, რომლის ძირითად არსს შეადგენს ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილის ასახვა და, მაშასადამე, სწავლაც, როგორც ამ ასახვის სპეციალური მხარე, აქტივობის გამოვლენაა... პიროვნების ფორმირებისა და თვით ამ უნარების შემდგომი განვითარების ეს უაღრესად რთული და სოციალური პროცესები აღზრდის გზით ხორციელდება. ესაა მიზნობრივი მართვადი პროცესი"[I], რომლის თვითმართვის დროსაც რეჟისორი სწვდება მომავალი მსახიობის ფსიქიკურ კანონზომიერების ღრმა საიდუმლოებას და ამ კანონზომიერების ცოდნის საფუძველზე ისეთ სააღმზრდელო-პედაგოგიურ ღონისძიებებს ატარებს, რომლებიც ღრმა კვალს სტოვებენ მომავალი შემოქმედი პიროვნების სოციალური ფორმირების ჩამოყალიბებაზე. ასეთი ღრმა, სწორი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენების საფუძველზე სტუდენტ-ახალგაზრდობას შესაძლებლობა ეძლევა განუვითარდეს ნიჭის სრული უნარის გამოვლენის ტენდენციები, მისწრაფება პიროვნების სრულყოფისადმი. ეს მოთხოვნები დგება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, შემდეგ კი სრული სახით გამოვლინდება და იხვეწება სასცენო ხელოვნებაში, ცხოვრებაში დამოუკიდებლად გასვლის პერიოდში.

თეატრთან პრაქტიკული კავშირი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს ეხმარება დაოსტატების სრულყოფაში. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის და-

I ლორთქიფანიძე დ. დიდაქტიკა, თბ., 1983, გვ.61.

ბულება ადამიანის ცხოვრებასთან პრაქტიკული დამოკიდებულების შესახებ თეატრალურ ხელოვნებაშიც იჩენს თავს. ცნობილი პედაგოგი სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებს მოსწავლის პიროვნების ფორმირებაში სასკოლო კოლექტივის დიდ მაორგანიზებელ ძალას, როგორც ადამიანთმცოდნეობის მთავარ სასწავლო სახელოსნოს. ასევეა თეატრიც; თეატრი ხომ პრაქტიკულად ცოცხალი სახელოსნოა სამსახიობო ოსტატობისა. თეატრთან ცოცხალი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება მომავალი მსახიობის ფსიქოლოგიური ხასიათი.

ახალგაზრდობაზე დიდ გავლენას ახდენს ჯგუფში არსებული ურთიერთობა, როდესაც ჯგუფში სიყვარულისა და მეგობრობის ატმოსფეროა, მაშინ ახალგაზრდები ლაღად, ბედნიერად, ხალისიანად, ენერგიულად გრძნობენ თავს, ერთმანეთის წარმატებებს სიხარულით ხვდებიან, თავდაუზოგავად შრომობენ, ადვილად სძლევენ სიძნელეებს. ჯგუფის ხელმძღვანელთა ზრუნვა ნორმალური ურთიერთობის, ჯანსაღი ვითარების შექმნისა და შენარჩუნებისათვის ყოველთვის დადებითად მოქმედებს ახალგაზრდა შემოქმედზე.

უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის ცხოვრების პირობების შესწავლას და გაუმჯობესებას. ამ მხრივ მუშაობა განსაკუთრებით ეფექტური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: "ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ-იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ.თბილისისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ". დადგენილება ყურადღებას ამახვილებს სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდას და სახავდნენ გზებს ახალგაზრდა თაობის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, დადგენილება შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, მაგრამ მასში

დასაბუთი ძირითადი დებულებანი გასათვალისწინებელია უმაღლესი სკ
ლის და მათ შორის შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების სასწა
ლო-საალმზრდელო მუშაობის გასაუმჯობესებლადაც. ამ დადგენილებიდა
გამომდინარე, უმაღლესმა სკოლამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სა
ფო მუშაობას, შრომით კოლექტივებთან სტუდენტთა კავშირს, მათ მჭ
ცე ურთიერთობის დამყარებას რაიონების სამრეწველო საწარმოებთან,
მუშებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, აგრონომ
თან, მექანიზატორებთან, ტრაქტორისტებთან და ა.შ. უმაღლესი სკოლ
მეგობრობა, განსაკუთრებით კი შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებ
ბის მეგობრობა ამ საწარმოებთან მისაბაძ მაგალითს უნდა იძლეოდე
ისინი ყურადღებით უნდა ექცეოდნენ თავისუფალი დროის ორგანიზაციის
საკითხებს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. საქართველოს კომ
პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა საქარ
თველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე განაცხადა
"სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, ადამიანთა ფაქტორის გააქტიურე
ბა მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს ხალხის ფსიქოლოგიასა და შეგნებ
ში. ეს სერიოზულ ამოცანებს უსახავს იდეოლოგიურ მუშაობას".[I] ეს
განცხადება შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების იდეოლოგიური
მუშაობის სტიმული უნდა გახდეს, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ამო
ცანების წარმატებით გადაჭრას. იდეოლოგიურმა მუშაობამ ძლიერი გა
ლენა უნდა მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზ
ხელი შეუწყოს შრომითი კოლექტივების პრაქტიკულ საქმიანობას, საწ
მოო, სოციალური და ზნეობრივი პრობლემების გადაჭრასთან იდეურ-აღ
ზრდელობითი მუშაობის კავშირის ყოველმხრივ განმტკიცებას. ინსტიტ
ში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ მიიღოს პრო
რამით გათვალისწინებული ცოდნა, გაიაროს შრომითი და საზოგადოებრ

- - - - - - - -

I გაზ. "კომუნისტი", 1986, 25 ივლისი.

პრაქტიკის სკოლა. ეს პრაქტიკა დიდად ეხმარება ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ახალგაზრდობის პროფესიული ოსტატობის, იდეურ-ზნეობრივი და შრომითი ჩვევების გამოწრთობაში. ინსტიტუტის მთლიანი კოლექტივი ზრუნავს თითოეულ სტუდენტში განავითაროს აქტიურობა, შეგნებული დისციპლინა და პასუხისმგებლობა, გახადოს სიტყვისა და საქმის ერთიანობა მათი ცხოვრების ყოველდღიური ქცევის ნორმად, გადააქციოს ცოდნა და დადებითი იდეები რწმენად და ჩვევად, ქცევისა და შრომის მოტივებად. ინსტიტუტის საუკეთესო აღმზრდელები და საუკეთესო რეჟისორები ე.გუგუშვილი, მ.თუმანიშვილი, ვ.კიკნაძე, გ.ჟორდანია, გ.ლორთქიფანიძე, გ.ნიკოლაიშვილი, გ.ჯოლიძე, ნ.ანდრონიკაშვილი, მ.აბულაძე, რ.შაფთიშვილი და სხვანი უნერგავენ მოზარდ თაობას საუკეთესო მისწრაფებას და უმუშავებენ უნარს, რომ ახალგაზრდობა ეწეოდეს თვითაღზრდას, ასწავლიან მათ, დამოუკიდებლად შეივსონ ცოდნა, გაერკვნენ მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის მძლავრ ნაკადში. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდობას, რომ თავიანთი სურვილები ქცევები შეუხამონ საზოგადოებრივ პრინციპებსა და ნორმებს, იცხოვრონ დიდი საზოგადოებრივი მიზნებისათვის.

აღზრდის სწორი მიმართულებით წარმართვაში ერთობლივ მუშაობას ეწევა ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული ორგანიზაცია, ინსტიტუტის იდეოლოგიური სექტორი, კომკავშირის კომიტეტი, საზოგადოებათმცოდნეობის კათედრები.

აღზრდის კომპლექსურ სისტემას ინსტიტუტი წარმართავს სკკპ ცნობილი დადგენილების საფუძველზე, რომელშიც განზოგადებულია იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილება, განსაზღვრულია მისი გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი. იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი საკითხები სრულიად საკავშირო პრაქტიკულმა კონფერენციებმა განიხილეს, რომლებიც მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის ისეთ საკვანძო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საკითხებს, როგორიცაა: შრომის დისციპლინის აღზრდა (ტულა), საწარ კოლექტივების როლი კომუნისტურ აღზრდაში (სვერდლოვსკი), პრესის რო სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებაში (ვილნიუსი), სოფლის საყოფაც ვრებო კულტურის ამაღლება და აღზრდის სრულყოფა სოფლად (ტაშკენტი) სოციალისტური დაგეგმვა და იდეოლოგიური მუშაობა (ლენინგრადი), ახალგაზრდობის აღზრდა (მინსკი), იდეოლოგიური აღზრდისათვის კადრების შერჩევა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ (1972) და სხვ. შეძენილი გამოცდილების განზოგადებას და გამოცდილებას იდეოლოგიური მუშაობის დარგში სტუდენტ-ახალგაზრდობას წორის ხელს უწყობს პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობები, რომელიც უშვებს სერიალს "იდეოლოგიური მუშაობა, გამოცდილება, პრობლემები, გამოცემები, რომლებიც უშვებენ ლიტერატურას, აღზრდაში შრომის კოლექტივების, სკოლის, ოჯახის როლის საკითხებზე და ა.შ.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებამ ხელი უნდა შეუწყოს აღზრდის ეფექტური შემოქმედებითი გზების ძიებას და დამკვიდრებას. აღზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ზრუნვა XII ხუ-წლედის მთავარი ამოცანაა. ინსტიტუტი სტუდენტთა აღზრდისათვის იყენებს აღზრდის ისეთ ფორმებს როგორიცაა: დღესასწაულები, საღამოები, დისკუსიები, კრებები, ტურისტული ლაშქრობები, შრომის გმირებთან და მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები და სხვ. შრომის გმირებთან სისტემატურმა შეხვედრებმა ინსტიტუტის ახალგაზრდობას არაერთი უფროსი მეგობარი შესძინა: ო.ხიზანიშვილს, ლ.მახნიაშვილს, ნ.ასათიანს, ა.ლობოვს, ლ.ასკურავას, ნ.ჯიქიას, მ.აბაიშვილს, ნ.დავითაშვილს, ფ.ყუშიტაშვილს, ზ.ლიპარტელიანს, დ.ღვთისიაშვილს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ პოეტ-აკადემიკოს ი.აბაშიძესთან, რეჟისორ ე.შენგელაიასთან, გამოჩენილ შრომის გმირებთან და მშრომელებთან მ.აკოფ

ვთან, გ.რიმნისთაველთან, ვ.ქემაშვილთან, ტ.როსტიაშვილთან, ე.მაზანაშვილთან, ვ.ბოროდავკასთან, გ.კურტანიძესთან და სხვ.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ინტელიგენციასთან და შრომის გმირებთან დამეგობრებამ სტუდენტებს საუკეთესო მაგალითი მისცა, არასოდეს დაავიწყდებათ ამ ადამიანებთან შეხვედრები და უშუალო კონტაქტები.

შემოქმედი ახალგაზრდობის ცხოვრებაში განსაკუთრებული პატივისცემით და დიდი სიყვარულით სარგებლობენ ვეტერანი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც უშრეტი ენერგიით, მაღალი ზნეობრივი იდეალებით ერთგულად ემსახურებიან საყვარელ საქმეს, სამშობლოს, პარტიას, ხალხს. მათ თვალწინ გაირბინა საბჭოთა ხელისუფლების პირველმა წლებმა, მწყობრში ჩადგა უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები, დაილაშქრა კოსმოსი, გატყდა ყამირი, რკინიგზის ქსელით დაუკავშირდა ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო ცენტრები, განმტკიცდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, მშვიდობისათვის ბრძოლა მსოფლიო ხალხთა სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. ამ დიდი საქმეების უშუალო, აქტიური მონაწილე იყო და არის შემოქმედი ინტელიგენცია. მათი მაგალითი ბრწყინვალე ნიმუშია მომავალ შემოქმედთათვის. ვეტერანთა გამოცდილება, ცოდნა განსაკუთრებით სჭირდება ახალგაზრდებს. პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1983 წლის 15 აგვისტოს ითქვა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არის თაობათა შორის, მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტი, თუმცა, ამა თუ იმ ფორმით მათ შორის კამათი ყოველთვის მიმდინარეობდა. ახალგაზრდა თაობა არაფრით ჩამოუვარდება ძველს, ყოველი მათგანი იზიარებს წინა თაობის გამოცდილებას და თავისებურად აფასებს მათ. ისინი თავიანთი შემოქმედებით, ახალი დროისა და პირობების შესაბამისად გამოირჩევიან ახლებური ძიებით. დღეს მარტო ჩვენი ინსტიტუტის კინოფაკულტეტის ნამუშევრები საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ახალგაზრდობის

ჯანსაღ პოზიციებზე. ახალგაზრდების ნამუშევრები: "ლაქა", "ბეღურე-ბის გადაფრენა", "ჭირი", "წვიმა", "ადგილის დედა", "ადამიანის სე-ვდა" და მრავალი სხვა განსაკუთრებით თვალში საცემია.

ახალგაზრდობა წინა თაობის ღირსეული მემკვიდრეა, რომლებთანაც საჭიროა დაუღალავი შრომა, ენერგიული, თავდადებული მუშაობა, მათი თავისებურებათა გათვალისწინებით, ახალი პირობებით, რომლებშიც ისი-ნი ცხოვრობენ. ყველა შემოქმედებითი შრომის ვეტერანი ახალგაზრდო-ბის საუკეთესო დამრიგებელი უნდა იყოს, ღირსეულად უნდა დაუთმოს ადგილი ახალგაზრდობას. ვეტერანებს უნდა სწამდეთ, რომ მათ შესცვლიან ახალგაზრდები, რომლებიც აწარმოებენ თეატრისა თუ კინოს, მუსი-კისა თუ ცეკვის დიდებულ ესტაფეტას.

ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდის პროცესში უნდა გვახსოვდეს ვ.ი.ლენინის მითითება: "ჩვენ უკეთესად ვიბრძვით, ვიდრე ჩვენი მამები იბრძოდნენ, ჩვენი შვილები კიდევ უფრო უკეთ იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ". ვ.ი.ლენინის ეს პარტიული მიდგომა გასათვალისწი-ნებელია შემოქმედებითი ახალგაზრდობის წვრთნის დროს, რომლებიც ჩვე-ნი სახელოვანი შემოქმედებითი ინტელიგენციის დიადი საქმის მემკვიდ-რენი არიან.

ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალა უმუშევარი რჩება; თეატრი მოწოდებულია, დააკმაყოფილოს ახალგაზრდა კადრების მზარდი მოთხოვნილებანი, შეუქმნას მათ შემოქმედებისათვის საჭირო პირობები, ხელი შეუწყოს ნიჭის გამოვლენაში, ოსტატობის დახვეწაში, მისცეს მორალური სტიმულირება, რათა გაიზარდოს და ამაღლდეს მათი თავდადება თეატრისადმი, განმტკიცდეს შეგნებული დისციპლინა. ყოვე-ლივე ეს დამოკიდებულია თეატრის რეჟისორზე. ახალგაზრდები ფორმალუ-რად არ უნდა იყვნენ დაკავებული თეატრში, თორემ მათ დაეკარგებათ "მომავლისადმი რწმენა". შემოქმედებითს ახალგაზრდობას ახასიათებს განსაკუთრებული მგრძნობელობა, - განაცხადა რესპუბლიკის იდეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიური აქტივის კრებაზე თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ე.ნ.გუგუშვილმა, - მას შეურაცხყოფას აყენებს ყველა ტყუილი, უსამართლობა, უკანონობა და, თუ ის ხედავს, რომ ბოროტება არ ისჯება, მას ეკარგება იდეალების რწმენა".[I]

სისტემატური, თანმიმდევრული დატვირთვა ხელოვნების წინსვლის საწინდარია, ამის გარეშე ხელოვანის შემოქმედება მოკლებულია რწმენის, იმედის, სიმართლის, ჭეშმარიტების, შემოქმედებითი წვის სურვილს; რწმენის გარეშე ვერ შეიქმნება მაღალი ხელოვნების ნიმუშები, რომლითაც ასე ამაყობს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებების ღრმად შეცნობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები. ნ.გურაბანიძემ ზემოთ აღნიშნული აქტივის კრებაზე ყურადღება გაამახვილა შემოქმედ-ახალგაზრდობასთან მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე. მან აღნიშნა, რომ "თავის დროზე ბრძოლა გამოვუცხადეთ ჯაზს, მაგრამ ახალგაზრდობამ ჩვენ არ დაგვიჯერა და ინტუიტურად გამოავლინა მისკენ ლტოლვა. რაც უფრო ვუშლით ხელს ამ დემოკრატიული მუსიკალური ფორმის გავრცელებას, რომლის საწყისებს უბრალო ხალხის შემოქმედებაში უდევს საფუძველი, იგი ჩვენდა დაუკითხავად მაინც ვრცელდება. მაშასადამე, არასწორმა ეთიკურმა პოზიციამ გამოიწვია არასასურველი შედეგი. ასევე არასწორმა დამოკიდებულებამ დისკოთეკებისადმი კი არ შეაფერხა ახალგაზრდობის მისწრაფება მისკენ, არამედ არასასურველი ფორმები მისცა. თითქოს ძალზე კონკრეტული და უმნიშვნელოვანესი საკითხია. რა მოხდა, რაღაც პერიოდის განმავლობაში ჯაზი ითვლებოდა ჩვენთვის მიუღებელ მუსიკალურ მიმართულებად. სამაგიეროდ ახლა, რამდენი ჯაზ-ორკესტრი და რამდენი ჯაზ-ანსამბლი

- - - - - - -

I გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1985, 9 აგვისტო.

გვაქვს, ჯაზის ფესტივალებსაც კი ვაწყობთ... მართალია, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ფრთები მოეჭრა არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას და ამ მცირე პერიოდმა განსაზღვრა არამხოლოდ მათი ბედი, არამედ მომავალი თაობის თავისებურებები, მისწრაფებები, გემოვნება, განსაზღვრა ჩვენი ესტრადის დღევანდელი სახეც. სწორედ იმ მცირე დროის განმავლობაში ხელოვნურად შეფერხდა პროცესი, რომელსაც ასე თამამად ჩაუდგნენ სათავეში 20-30-იანი წლების საუკეთესო მუსიკოსები. 50-იანი წლების ახალგაზრდები ჩვენი მამები არიან და ჩვენ კარგად ვიცით რა ბედი ეწიათ იმ ერთ დროს გატაცებულ, ნიჭიერ ადამიანებს, რომლებსაც არ ამოუდგნენ მხარში, არ მისცეს თავიანთი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება. ბევრმა სხვა გზა აირჩია, და, ალბათ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ბევრი ხომ მართლაც დაიკარგა ხელოვნებისათვის. ვინ იცის, იქნებ მხოლოდ მაშინ მოეძია ჩვენს ესტრადას თავის თვითმყოფადი, განუმეორებელი სახე და დღეს ჩვენი საზმოთა ჯაზი არ წარმართულიყო მეტწილად მიმბაძველობითი გზით. ან იგივე დისკოტეკების საკითხი. ვინც ხშირად უყურებს ცენტრალური ტელევიზიის გადაცემას "დოკუმენტური ეკრანი", რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის პრობლემებს, უთუოდ შენიშნავდა, რა დიდ ყურადღებას ანიჭებენ დისკოტეკებს არა იმიტომ, რომ დისკოტეკები გართობის ადგილია, ეს არის ურთიერთობის ერთ-ერთი თანამედროვე საშუალება, რაც, გკრძალავ თუ არ გკრძალავ, საკმაოდ დიდი ხანია არსებობს. განა 40-50-იან წლებში და უფრო ადრე ბაღებსა და სკვერებში საცეკვაო მოედნები სხვა დანიშნულებებს ასრულებდნენ? და მათ არავინ კრძალავდა. დღეს, უბრალოდ, შეიცვალა მუსიკა, მისი ტემპო-რიტმი და თავისებურებანი და სწორედ ეს გვაფრთხობს ჩვენ. მაგრამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დისკოტეკები უკვე თამამად იკავებენ თავიანთ პოზიციებს. საქართველო, ალბათ, განსაკუთრებით ჩა-

მორჩა ამ მოძრაობას. გადავავლოთ თვალი თბილისს, რამდენი კლუბი, თავშეყრის ადგილი აქვს ახალგაზრდობას, სადაც სისტემატურად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, თავისუფლად, ლაღად იგრძნობდნენ თავს. არასწორია, ვიფიქროთ, რომ თუ თავისუფლება მიეცათ ახალგაზრდებს, ათასგვარ უბედურებას დაატრიალებენ. პირიქით, უბედურებას, ჩხუბს და აყალ-მაყალს იქ აქვს ადგილი, სადაც ზედმეტ ყურადღებას ვუთმობთ მათ და ვაღიზიანებთ ჩვენი რჩევითა და მეთვალყურეობით. თბილისელ ახალგაზრდებს, საღამოს გასატარებელი ადგილ-საყოფელი ისევ

ბარები და რესტორნები რჩებათ. ვის აძლევს ეს ხელს, ალბათ ისევ იმ გამომძალველებს, რომლებიც უსაფრდებიან მთვრალ ბიჭებს, გამოსაფხიზლებლებში მიჰყავთ, ეფუქრებიან, მცირე მორიგების შემდეგ ანთავისუფლებენ. ალბათ, დროა შევიმუშაოთ ამ საკითხების გადაჭრის რეალური ფორმები, შევქმნათ პირობები, რათა არ მოგვიხდეს ქუჩებში დევნა ადამიანების და შემდეგ მათზე ზემოქმედების სხვადასხვა ხერხების გამოყენება. მით უფრო, რომ ყოველთვის არ ვართ გარანტირებული, რომ ამ საქმეს კეთილსინდისიერი ადამიანები ჰკიდებენ ხელს. დადგენილებები არ სრულდება მათი ციტირებით, ამაზე დიდი ხანია ვლაპარაკობთ. დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ხდება მხოლოდ კონკრეტული ნაბიჯების, კონკრეტული საქციელების შედეგად და არა მოჩვენებითი ღონისძიების ჩატარების მეშვეობით".[1]

აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას დიდი ყურადღება მიექცა პარტიის XXVII ყრილობაზე." ყრილობამ მოითხოვა, რომ თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციებში აუცილებელ მოთხოვნილებად დადგეს ზნეობრივი, პოლიტიკური, ესთეტიკური, ფიზიკური, მხატვრული აღზრდის ერთდროული წარმართვა და შეიქმნას შემოქმედებითი ატმოსფერო კომუნისტური სულისკვეთებით ახალგაზრდობის გარდასაქმნელად. ამ მიმართულებით ღონისძი-

- - - - - - - - -

1 გაზ."ლიტერატურული საქართველო", 1985, 9 აგვისტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ებების ჩაბარება რაოდენობის გადიდებას კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ იმას, რომ თითოეული კომკავშირული უჯრედის მუშაობაში შევიტანოთ მეტი სიცოცხლე, აქტიურობა, დამაჯერებლობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში განვახორციელებთ გარდაქმნას ახალგაზრდობის კომუნისტური, ზნეობრივ-ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მიმართულებით.

ახალგაზრდებში ყველა ღონისძიების ჩატარებას სერიოზულად უნდა მივუდგეთ, ჩატარებული ღონისძიებანი პრობლემად არ უნდა დარჩეს, უ და ვასწავლოთ ახალგაზრდობას დასახული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება. სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის, აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებას. ამიტომ, კვლავ დგას საკითხი, ჩამოვაშოროთ ახალგაზრდობა მავნე ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, რომელიც სოციალისტური ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება და ვაზიაროთ ახალი, პროგრესული საზოგადოებისათვის მისაღები წეს-ჩვეულებებს.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში შრომა გამოცხადებულია როგორც პიროვნების კომუნისტურად აღზრდის საფუძველი, ხოლო კომუნისტური მორალის დამკვიდრების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად აღიარებულია ადამიანის აქტიური, ქმედითი, ჰუმანისტური პოზიცია, რომელიც ვერცერთ დროს ვერ ეგუება გულგრილობას, საქმისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას. სკოლა მოწოდებულია, ჩაუნერგოს ბავშვებს უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების სიყვარული და პატივისცემა. აღზარდოს ისინი სწავლისა და შრომის ხარისხისადმი დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, სკკპ ახალი რედაქცია აღზრდაში დიდ როლს ანიჭებს თვითმმართველობის განვითარებას. სკკპ XXVII ყრილობა ბრძოლას უცხადებს ფორმალიზმს, რადგან ფორმალიზმი ძალზე მავნე, გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდობაზე.

საბჭოთა ახალგაზრდობას აქვს საშუალება, სრულად გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობა. მას აღელვებს არასრულწლოვანთა დანაშა-

ულებრივი მოქმედება, ნარკომანიის გავრცელება, ლოთობა და სხვა არასასურველი მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს ახალგაზრდობის მცირე ნაწილში. უფროსმა თაობამ, აღმზრდელმა მასწავლებელმა, ლექტორმა უნდა ასწავლოს ახალგაზრდობას ლამაზი ქცევა, ჩაუნერგოს შრომისადმი სიყვარული, უფროსებისადმი პატივისცემა, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, შეურიგებლობა ნეგატიური მოვლენებისადმი. ახალგაზრდობისათვის აღმზრდელი პედაგოგი, ლექტორი უნდა იყოს სიწმინდის ეტალონი. პედაგოგობა მოწოდებაა და არა პროფესია. ადამიანი, რომელიც ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, ვერ გახდება მასწავლებელი. ახალგაზრდობა ღიზიანდება, როდესაც უფროსების სიტყვები და საქმეები სცილდება ერთმანეთს. 1979 წელს მთელმა საზოგადოებამ გაილაშქრა ფორმალიზმის წინააღმდეგ ყველგან დაწესებულებებში, ქარხნებში, სკოლებში, ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში გაძლიერდა ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმც რიგ შემთხვევაში ამ ბრძოლას არ მოჰყვა სასურველი შედეგი, რადგან ზოგან ბრძოლა არასწორი მიმართულებით წარიმართა. ბევრ დაწესებულებაში და მასწავლებელში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ გადაჭარბებული ფორმალური ხასიათი მიიღო. აი, რა მოგვითხრო თეატრთმცოდნეობის ფაკულტეტის ყოფილმა აქტიურმა სტუდენტმა ანუკა ჭავჭანიძემ, რომელსაც მის ჯგუფში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ვსაუბრობდით: "ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩატარდა 46-ე სკოლაშიც, სადაც მე ვსწავლობდი, ეს იყო იშვიათი მომენტი ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც შენთვის მოულოდნელი, ახალი სახით გამოჩნდებიან შენთვის ნაცნობი ადამიანები, როდესაც რაღაც უცნობი ძალა ჩაგბერავს სულს და გათქმევინებს დიდი ხნის მანძილზე დაგროვილ წუხილს. მთელი ინიციატივა ხელში აიღეთ ბავშვებმა, ვლაპარაკობდით თამამად, ლაღად, და როგორც ბავშვებს სჩვევიათ, სასტიკად. მახსოვს ერთ-ერთმა მოს-

წავლეთ როგორ დაასრულა გრძელი, არასაინტერესო მოხსენება, ფურცელი გვერდზე გადასდო: ფორმალურ მხარეს მოვრჩი, ახლა ჩემს სათქმელ ვიწყებო და დაიწყო... დარბაზი სულგანაბული უსმენდა, ხან ერთბაშად იქუხებდა. მასწავლებლები ბავშვებს ამშვიდებდნენ, კალინინის კომკავშირის რაიკომიდან მოსული დამსწრეები მაგიდაზე კალმისტრებს აკკუნებდნენ. ბოლოს, ჩატარდა ნამდვილი მიტინგი. გავიდა ხანი და სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრები დაგვიბარეს კომკავშირის კალინინის რაიონული კომიტეტის შესაჯამებელ კრებაზე დასასწრებლად. მთელი დღის განმავლობაში ვუსმენდით ვრცელ, უინტერესო მოხსენებებს. მშივრები, დაღლილები ვუყურებდით რაიკომის წევრთა ასევე დაღლილ სახეებს. საბოლოო სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი გ.ახალაია, რომელმაც შეაჯამა გაწეული მუშაობა და მოგვახსენა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში და სკოლაშიც ფორმალიზმის წინააღმდეგ მიმართული კრებაც ფორმალურად ჩატარდაო. დაასახელა რამოდენიმე სკოლა და მათ შორის ჩვენიც. მთელი კრების მანძილზე პირველად გამოვცოცხლდით, გავოგნდით, გვინდოდა წამოხტომა, ყვირილი, მაგრამ... დღეს, როცა ამ შემთხვევიდან რამდენიმე წელი გავიდა, ვფიქრობ: რა იყო ეს? სათანადოდ მოფიქრებული და გამიზნული აქცია, თუ გულგრილობის და ფორმალიზმის შედეგი. არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, ვინაიდან ერთიც და მეორეც დანაშაულის საფუძველია. რა მოტივიც არ უნდა ჰქონოდა ამ განცხადებას, ჩვენ დამცირებული და განადგურებული აღმოვჩნდით.

ანუკა სავსებით სწორად მსჯელობს. დიახ, რამდენიც არ უნდა მოვუწოდოთ ახალგაზრდობას, გამოიჩინონ მეტი აქტიურობა და ინიციატივა, რამდენადაც არ უნდა მოვიზიდოთ ისინი საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთ ასეთ შემთხვევას შეუძლია ყოველგვარი ინიციატივა, რწმენა მოუსპოს ახალგაზრდობას, ყოველგვარი საქმიანობის სურვილი ჩაუკლას მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საზოგადოება ღიზიანდება, როდესაც ახალგაზრდები ამბობენ, რომ არ სჯერათ, დაკარგული აქვთ მომავლის იმედი, რწმენა. ამგვარ "წვრილმან", "კერძო" შემთხვევებს ღრმად დაკვირვება და ჩაწვდომა სჭირდება. საჭიროა სწრაფი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა ეს წვრილმანები რთულ პრობლემათა რიგად არ ჩამოყალიბდეს და დანაშაულებამდე არ დავიდეს. საქართველოს კპ ცკ მდივანმა ჯ. პატიაშვილმა რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე 1985 წლის 3 აგვისტოს აღნიშნა: "საქმე ის კი არ არის, რომ სოციალისტური საკუთრების ყოველი დიდი დატაცება საზოგადოებრივი დოვლათისათვის, რესპუბლიკისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისადმი მიყენებული ზარალია, არამედ ისიც, რომ ეკონომიკური დანაშაულებანი, მაქინაციები, თანამდებობრივ მოქმედებასთან შეზრდილი, განსაკუთრებით საშიშია, გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა დამოკიდებულებაზე ჩვენი საზოგადოების სოციალური, დემოკრატიული მონაპოვრისადმი, პარტიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტისადმი...

შრომისადმი თავდადება, რაოდენობისა და ხარისხისადმი ზრუნვა ყოველი ხელმძღვანელისა და დაწესებულებების მისაბაძ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამას მიუთითებდა მ.ს. გორბაჩოვი ლენინგრადის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე. შემოქმედებითი ახალგაზრდობა ძალიან კარგად გრძნობს და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს დაგროვების, მომხვეჭელობის, პროტექციონიზმის, გამომძალველობის, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას. ამის მკაფიო მაგალითია ახალგაზრდა რეჟისორის ფილმი "ლაქა".

გარდაქმნის პროცესში შემოქმედებითი ახალგაზრდობის მთავარი ამოცანაა, ყოველდღიური დაუღალავი შრომა, მიღწეულით დაუკმაყოფილება, შემოქმედებითი გზების დაუსრულებელი ძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Кирвалидзе Л.М.

## ДЕЯТЕЛЬНОСТЬ КОМПАРТИИ ГРУЗИИ ПО ПОВЫШЕНИЮ ЭФЕКТИВНОСТИ ВОСПИТАНИЯ ТВОРЧЕСКОЙ МОЛОДЕЖИ

А н н о т а ц и я

В работе освещаются постановления ЦК КП Грузии о творческой молодежи и мероприятия, осуществляемые в целях улучшения воспитательной работы с ней, а также активное участие творческой молодежи в перестройке и обновлении нашей страны.

სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრა

ზ.რ.ფირჩხაია

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ი.რ.ფირჩხაია

## სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკა და მისი როლი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პროცესში

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა ორ დაპირისპირებულ მსოფლმხედველობას – სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის მახვილი, როგორც წესი, უმთავრესად მიმართულია საბჭოთა საზოგადოების ყველაზე დინამიკური ნაწილის - ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის დეზორიენტაციისაკენ. იმპერიალისტური პროპაგანდა მიისწრაფვის, დაუკარგოს ახალგაზრდობას რწმენა კომუნისტური იდეალებისადმი, შეასუსტოს მისი რევოლუციური ენთუზიაზმი, რისთვისაც იგი ცდილობს გამოიყენოს ახალგაზრდა თაობისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური თავისებურებანი. სახელდობრ, ემოციურობა, მაქსიმალიზმი, რომანტიზმი, სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, სურვილი, გარდაქმნას ცხოვრება მისი იდეალების შესაბამისად.

მოწინააღმდეგე იდეოლოგიური მანქანა შეუსვენებლად მუშაობს და არ თაკილობს არავითარ ხერხსა და ხრიკს, აშკარა სიცრუესაც კი, რათა დაეუფლოს ახალგაზრდობის გრძნობასა და გონებას, შეარყიოს მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ბურჟუაზიული იდეოლოგიის "დებულებანი აშკარაა: რადაც უნდა დაუჯდეს, შეალამაზოს კაპიტალიზმი, მიჩქმალოს მისი ბუნებრივი ანტიადამიანურობა და უსამართლობა, თავს მოახვიოს ცხოვრებისა და კულტურის თავისი სტანდარტები; ყოველნაირად გათახსოს სოციალიზმი, გააუკუღმართოს ისეთ ღირებულებათა აზრი, როგორიც არის დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, სოციალური პროგრესი".[1]

ასეთ პირობებში ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ახალგაზრდების "...უნარს - მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, იცავდნენ სოციალისტური საზოგადოების იდეალებსა და სულიერ ღირებულებებს".[2]

უმაღლესი განათლების სისტემაში სტუდენტი - ახალგაზრდობის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება ძირითადად ხორციელდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის პროცესში. ამ თვალსაზრისით გან-

---

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ.135

2 იქვე, გვ.257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური თეორიის სწავლებას, რაც განპირობებულია ამ სასწავლო დისციპლინის სპეციფიკით. პოლიტიკური ეკონომია იკვლევს საზოგადოების ეკონომიკურ საფუძვლებს, გვიჩვენებს წარმოებითი ურთიერთობების დიალექტიკას. იგი ხსნის კანონზომიერებებს, თუ როგორ ხდება წარმოების წესის დაბალი საფეხურიდან უმაღლესი საფეხურისაკენ განვითარება.

პოლიტიკური ეკონომიის სწავლების პროცესში უნდა გათვალისწინდეს თითოეული განყოფილების თავისებურება. სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის კურსი იწყება განყოფილებით – სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება. ამ პრობლემის გაშლა მოითხოვს დიდი რაოდენობის მასალის გამოყენებას სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიიდან. სახელდობრ, საჭიროა უფრო ვრცლად იქნეს განხილული წარმოების საშუალებათა სოციალისტური განსაზოგადოებული ეტაპების და ტემპების, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების პროცესის, სოციალიზმის ეკონომიკური სიმწიფის ეტაპების საკითხები. ამასთან, ამ საკითხების ვადმოცემის დროს, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია მოვლენებს შორის გენეტიკური კავშირების ჩვენება, ეკონომიკური კატეგორიების ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოდგენა.

ამ განყოფილებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნაწილი, სადაც მოცემულია სოციალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ბურჟუაზიული, რეფორმისტული და რევიზიონისტული თეორიების კრიტიკა.

სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკას აქვს როგორც შემეცნებითი, ისე დიდაქტიკური მნიშვნელობა. დამაჯერებელი, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა ამაღლებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას, ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა



უწყობს სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, მასში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

სოციალისტური მეურნეობის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკის პრობლემების სწავლების დროს პირველ რიგში აუცილებელია იმ ობიექტური მიზეზების გაანალიზება, რომლებმაც ბიძგი მისცეს სოციალიზმის შესახებ ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების წარმოშობას. სახელდობრ, საჭიროა ხაზი გაესვას გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს და წინააღმდეგობებს, ერთი-მეორის გვერდით სახელმწიფო და კერძო სექტორის წინააღმდეგობრივ ფუნქციონირებას.

სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკის პრობლემების გადმოცემას წითელ ზოლად უნდა გასდევდეს იმპერიალისტური პროპაგანდის კლასობრივი მიმართულების გამოაშკარავება, მისი სიყალბისა და ტენდენციურობის მხილება.

თანამედროვე ახალგაზრდობას არ გაუვლია კლასობრივი ბრძოლის ის გზა, რომელიც წილად ხვდა უფროს თაობას. მას არ გამოუცდია სასტიკი ომები, როცა ბოლომდე გამოაშკარავდა იმპერიალიზმის ნამდვილი სახე, მისი სიძულვილი სოციალისტური წყობილებისადმი. ახალგაზრდობას რეალური სოციალიზმის ისტორიული გზა ძირითადად წიგნებით თუ აქვს შესწავლილი. სტუდენტ-ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ეს არ არის საკმარისი. შეცდომები პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, მტრული იდეოლოგიის შესაძლებლობათა შეუფასებლობა იწვევს იმას, რომ ზოგჯერ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის შეგნებასა და ქცევაზე იმპერიალისტური პროპაგანდა მავნე ზეგავლენას ახდენს. "აი, რატომ არის საჭირო, - აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, - ფართოდ გავშალოთ შეტევითი კონტრპროპაგანდისტული მუშაობა არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც".[1]

- - - - - - - - -

1 გაზ. "კომუნისტი", 1983 წლის 15 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონტრპროპაგანდა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის სის-
ტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი ძირითადი ამოცანა
იდეოლოგიური დივერსიების მხილება, სტუდენტ-ახალგაზრდობისათვის
იდეოლოგიური იმუნიტეტის გამომუშავება. როდესაც ახალგაზრდობას
სწორი წარმოდგენა აქვს დემოკრატიის, თავისუფლების შესახებ, დარ
წმუნებულია სოციალისტური წარმოების წესის პროგრესულობაში, მაშ
იგი არ მოექცევა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

ამიტომ არის აუცილებელი, სტუდენტ-ახალგაზრდობას გამოვუმუშავ
მოვლენების შეფასებისადმი მკვეთრი კლასობრივი მიდგომა, მტრული
იდეოლოგიის წინააღმდეგ კრიტიკული, მებრძოლი, შეურიგებელი სული
თება. სანამ არსებობს კლასები და კლასთა ბრძოლა, კლასობრივი მი
გომა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვის ჭეშმარი
მეცნიერულ მეთოდს. "ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და
იქნებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების უგუნური მსხვერპლნი, - მ
უთითებდა ვ.ი.ლენინი, - ვიდრე ისინი არ შეიგნებენ იმას, რომ ყო
გვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ფრაზებსა, განც
დებებსა და დაპირებებში ამა თუ იმ კლასის ინტერესები უნდა ეძი

სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტა
ციის კრიტიკის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი სოციალ-ეკონომი
რი ლიტერატურა. მაგრამ მათი დიდი ნაწილის გაცნობისას სტუდენტ
ნება შთაბეჭდილება, რომ კრიტიკა არ არის ბოლომდე დასაბუთებული.
ხდება იმიტომ, რომ სოციალ-ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ
რჟუაზიული ეკონომისტების ცალკეული მოსაზრებები გაკრიტიკებულია
მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებიდან ამოღებული ც
ტატების საშუალებით.

ჩვენი აზრით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკის ასეთი ფორმა

- - - - - - -

1 ლენინი ვ.ი თხზ., ტ.19, გვ.9.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის საკმარისი. კრიტიკა მაშინ იქნება ეფექტური და დამაჯერებელი, თუ სტუდენტ-ახალგაზრდობას საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ისტორიიდან კონკრეტული მაგალითებით დავუსაბუთებთ ბურჟუაზიული თეორიების სიყალბეს და ტენდენციურობას.

წინამდებარე სტატია სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების შესახებ ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკას სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილავს.

სოციალისტური მეურნეობის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკას აქტუალური მნიშვნელობა აქვს. იგი იძლევა არა მხოლოდ სოციალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბების რეალურ სურათს, არამედ წარმოგვიდგენს საერთოდ სოციალისტური წარმოების წესის ბუნებას, გვიჩვენებს მის პროგრესულობას კაპიტალისტური წარმოების წესთან შედარებით.

სწორედ ამიტომ ესხმის თავს ბურჟუაზიული იდეოლოგია განსაკუთრებული სიმძაფრით სოციალისტური წყობის საფუძვლებს, გეგმიანი მეურნეობის ფორმირების კანონზომიერებებს და ყოველნაირად ცდილობს "დაასაბუთოს", რომ სოციალიზმის წარმოშობა კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან გადახვევას წარმოადგენს. სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების დამახინჯებული ჩვენებით ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს მოახდინოს თანამედროვე სოციალიზმის დისკრედიტაცია, სახელდობრ, იგი წარმოადგინოს როგორც რეგრესული, არაეფექტური საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც არ შეუძლია მის წინაშე მდგარი წინააღმდეგობების გადაჭრა.

სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიულ თეორიებს შორის პოპულარულია "მბრძანებლური ეკონომიკისა" და "საბაზრო სოციალიზმის" თეორიები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის წარმომადგენლები სოციალის-ტურ ეკონომიკას განიხილავენ როგორც ადმინისტრაციულ ორგანიზმს, რო-მელიც ემყარება ჯარის პრინციპებს. ბურჟუაზიული ეკონომისტების ლ. ზესისა და მ.ვებერის აზრით, სოციალიზმის დროს არ არსებობს არავი-რი ეკონომიკური მექანიზმი და სახალხო მეურნეობის მართვა ხორციელ-დება ცენტრალური ორგანოების ბრძანებით, რის გამოც მართვა ატარებ-წმინდა ადმინისტრაციულ ხასიათს. რ.არონის წიგნებში ხაზგასმულია, რომ სოციალისტურ ეკონომიკაში გაბატონებულია სახელმწიფო ცენტრი, რომელიც ყოველგვარი საზოგადოებრივი პროცესის დაგეგმვის მონოპოლი-ურ სუბიექტად გვევლინება.

ამრიგად, "მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის წარმომადგენლე შეხედულებების განსხვავებული ფორმებით წარმოდგენის მიუხედავად, რი ერთია - სოციალისტური მეურნეობა გაიგივებულია მკაცრ იერარქიუ სისტემასთან, სადაც მართვა ხორციელდება ბრძანებების მეშვეობით.

"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის დებულებების სიყალბეს ამ-ხელს საბჭოთა ეკონომიკის ჩამოყალიბების ისტორია. ამ თეორიის უსა-ფუძვლობა ნათლად დასტურდება ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის, სა-ხელდობრ საქართველოს გეგმიანი მეურნეობის ფორმირების ანალიზის მეშვეობით.

"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის ჩასახვას ბიძგი მისცა იმ სიძნელეებმა და წინააღმდეგობებმა, რომლითაც ხასიათდებოდა გარ-დამავალი პერიოდის პირველი წლები. ამ პერიოდში სამრეწველო საწარ-მოთა დიდი ნაწილი არასრული დატვირთვით მუშაობდა. იგრძნობოდა ნედ-ლეულის, სათბობის, საწვავის დეფიციტი. მკვეთრად დაეცა შრომის ნა-ყოფიერება. სოფლის მეურნეობაში შემცირდა ნათესი ფართობების საერ-თო რაოდენობა, დაეცა მოსავლიანობა. ასეთ პირობებში აუცილებელი გა-ხდა მართვის მკაცრი ცენტრალიზაცია, ადმინისტრირების მეთოდის ფარ-

თორ გამოყენება, რესურსების თავმოყრა ცენტრში იმისათვის, რომ შემდგომ ისინი განაწილებულიყო სახალხო მეურნეობისათვის საარსებო სფეროებში.

კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიული ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ სახალხო მეურნეობის მართვის ამ მხარეზე და მას საერთოდ სოციალისტური ეკონომიკის ხელმძღვანელობის ერთადერთ ფორმად მიიჩნევენ. ამასთან, ისინი ერთმანეთს უპირისპირებენ ხელმძღვანელებს და შემსრულებლებს, უარყოფენ მართვაში დემოკრატიზმის არსებობას.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არამეცნიერული და ტენდენციურია. ობიექტურად სოციალისტური მეურნეობა სრულიადაც არ მოითხოვს მართვაში ადმინისტრირების მეთოდის ფართოდ გამოყენებას. გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში იგი იძულებით, დროებით მოვლენას წარმოადგენდა და სამეურნეო ნგრევით იყო განპირობებული.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მართვის მკაცრი ცენტრალიზაცია ამ პერიოდშიც არ წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ერთადერთ ფორმას.

ფაქტიურად, გეგმური მეურნეობის ჩასახვიდანვე სახალხო მეურნეობის მართვაში გარკვეული ზომით გამოიყენებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. ამ პერიოდში მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ მრეწველობის მართვაში, რაც გამოიხატებოდა წარმოებაზე მუშათა კონტროლში. "მრეწველობის კონტროლი რომ ნამდვილად ხორციელდებოდეს, - წერდა ვ.ი.ლენინი, - იგი უნდა იყოს მუშათა კონტროლი, რომ ყველა პასუხსაგებ დაწესებულებაში უმრავლესობას მუშები უნდა შეადგენდნენ და ადმინისტრაცია თავის მოქმედებაში პასუხს უნდა აგებდეს მუშათა ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის წინაშე".[1]

- - - - - - - - -

1 ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.24, გვ.677-678.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორია ქადაგებს, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პროლეტარიატი თვითნებურად ქმნიდა მართვისა და დაგეგმვის ორგანოებს, თითქოს ეს პროცესი ხშირად ობიექტური მოთხოვნებით არ იყო განპირობებული.

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ამ შეხედულებას აქარწყლებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების რეალური პროცესი. ვაჩვენოთ ეს პროცესი საქართველოში მართვის ცენტრალური ორგანოების ჩამოყალიბების მაგალითზე.

საქართველოში ეკონომიკის მართვის ცენტრალური ორგანოების ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნა. ამ ორგანოს საჭიროების საკითხი დღის წესრიგში იდგა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის სხდომაზე ჯერ კიდევ 1921 წლის 28 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 11 მარტს იგი დაარსებულ იქნა რევოლუციური კომიტეტის დეკრეტის საფუძველზე.

სმუს დაევალა მოემზადებინა ორგანიზაციული პირობები ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციისათვის, მიეღო საჭირო ზომები სამრეწველო საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფისათვის, ხელი შეეწყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

სმუს პირველი სტრუქტურული სახე შექმნის მომენტში შემდეგნაირად გამოიყურებოდა: პრეზიდიუმი და საქმეთა მმართველობა, საინფორმაციო, სარედაქციო-საგამომცემლო, საფინანსო-სააღრიცხვო, იურიდიული, მომარაგების, ქიმიური, მექანიკური, სტატისტიკური, ელექტრიფიკაციის განყოფილებები; სატყეო, სამთო, სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტები; საუწყებათაშორისო სალიკვიდაციო კომისია.[1]

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცენტრალური აპარატის ფორმირების პარალელურად იქმნებოდა მართვის ადგილობრივი ორგანოები -

---

1 Материалы по отчету ВСНХ за 1922 г.(Статистико-экономический сборник), ტფ., 1923, გვ.3.

სახალხო მეურნეობის საბჭოები (მსხვილ სამეურნეო ცენტრებში) და ეკონომიკური განყოფილებები (რაიონებში).

1921 წლის 20 მარტს შეიქმნა ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭო. თავდაპირველად მასში 14 განყოფილება ჩამოყალიბდა. მაგრამ მალე განხორციელდა მისი რეორგანიზაცია. აპარატი შემცირდა და შეიქმნა ორი დიდი წარმოებისა და მომარაგების განყოფილება. მართვის აპარატის გამარტივებამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის საბჭოს ოპერატიული მუშაობის განხორციელებას.

აფხაზეთში სახალხო მეურნეობის საბჭო შედიოდა იმ სახალხო კომისარიატის განმგებლობაში, რომელიც განაგებდა ფინანსებისა და შრომის მოწყობის, მიწათმოქმედებისა და სურსათით მომარაგების საქმეებს.

სამხრეთ ოსეთში მრეწველობა თითქმის არ იყო განვითარებული. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ რეგიონში შექმნა სახალხო მეურნეობის საბჭო. იგი მუშაობას 1921 წლის დამლევიდან შეუდგა. სახალხო მეურნეობის საბჭოს მოვალეობას შეადგენდა, ყოველნაირად ხელი შეეწყო სამხრეთ ოსეთში სამრეწველო საწარმოების შექმნისათვის, ხოლო შემდგომ მათი მართვა თავის ხელში აეღო.

საქართველოს მთელ რიგ მაზრებშიც შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოები. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე წლებში მათ დიდი მუშაობა გასწიეს პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის. განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩეოდნენ ოზურგეთის, სენაკის, ტყიბულის, თელავის და სიღნაღის მაზრების სახალხო მეურნეობის საბჭოები.

სმუს ცენტრალური აპარატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ფორმირებამ გარკვეული მთლიანობა მიანიჭა მრეწველობის მართვის სისტემას. სმუს კოორდინაციას უწევდა ადგილობრივი ორგანოების მუშა-

ობას, განსაზღვრავდა მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

თავდაპირველად ადგილობრივი ორგანოების მუშაობას აბრკოლებდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - ურთიერთკავშირის გაურკვევლობა მართვის ცენტრალურ აპარატთან. ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა ხშირად ცენტრალური ორგანოებისაგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა რაიმე საერთო წესები და ინსტრუქციები ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ. 1921 წლის ივლისში სმუს და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულებათა მიღებამ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა; მალე სმუს და მის ადგილობრივ ორგანოებს შორის დამყარდა მჭიდრო კავშირი, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

1921 წლის ივლისში სმუს დებულების მიღებას გარკვეულად "ხელი შეუწყო მისი ორგანიზაციული მხარის ერთგვარმა გამოკვეთამაც. სახელდობრ, ამ პერიოდამდე სმუს ორგანიზაციული სტრუქტურა ხშირად იცვლებოდა: მიმდინარეობდა წინათ არსებული ზოგიერთი განყოფილების შეცვლა, ან ლიკვიდაცია და ახლის ფორმირება. ასე, მაგალითად, სტატისტიკური განყოფილება გარდაიქმნა სტატისტიკურ-ეკონომიკურ განყოფილებად, ადმინისტრაციულმა განყოფილებამ შეცვალა საქმეთა მმართველობა და ა.შ. შეიქმნა ახალი განყოფილებანიც: თამბაქოს, კვების მრეწველობის და სხვ. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ საქართველოს სმუს შედგებოდა პრეზიდიუმისა და 17 განყოფილებისაგან: ადმინისტრაციული, მომარაგების, საფინანსო-სააღრიცხვო, სტატისტიკურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სატყეო, სამთამადნო, სახელმწიფო ნაგებობათა, ქიმიური, ტყავის მრეწველობის, თამბაქოს, კვების მრეწველობის, ლითონის, საფეიქრო, სამკერვალო, პოლიგრაფიული და სატრანსპორტო-მატერიალური."[1]

- - - - - - - -

[1] Материалы по отчету ВСНХ за 1922 г., с. 3.

სმუს აღნიშნული სტრუქტურა წლის ბოლომდე ძირითადად უცვლელი დარჩა, ხოლო შემდეგ, 1922 წლის დასაწყისში განხორციელდა ცენტრალური აპარატის ერთგვარი გადახალისება და განყოფილებათა საქმიანობის ნაწილობრივი შეცვლაც.

სმუს ასეთმა ორგანიზაციამ დიდად შეუწყო ხელი მასზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებაში. მისმა სტრუქტურულმა რგოლებმა, განსაკუთრებით განყოფილებებმა, დიდი როლი შეასრულეს საქართველოს მრეწველობის განვითარების საქმეში.

ამრიგად, მრეწველობის განვითარების პარალელურად და მისი გავლენით მიმდინარეობდა სმუს ორგანიზაციული სრულყოფა. ამ ორ პროცესს შორის არსებობდა გარკვეული დიალექტიკური კავშირი. მრეწველობის წინსვლა ახალ მოთხოვნებს უყენებდა მართვის ცენტრალურ ორგანოს, აიძულებდა მას შეეცვალა სტრუქტურა კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, მრეწველობის განვითარებას აჩქარებდა.

სმუს საქმიანობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენის, ინდუსტრიალიზაციის, პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. გარდამავალი პერიოდის პირველ ნახევარში სმუს საქმიანობამ დადებითი შედეგები გამოიღო, შემდგომში წარმოების მასშტაბების ზრდის და ახალი დარგების ჩამოყალიბების გამო სმუს არ შეეძლო თავის ხელმძღვანელობაში მოექცია მთელი მრეწველობა. ამიტომ, 30-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო სმუს გარდაქმნის პროცესი. მის ბაზაზე შეიქმნა ადგილობრივი, მსუბუქი, სატყეო და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატები. ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა ახალ ეტაპს მრეწველობის მართვის ორგანოების განვითარებაში.

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ყალბ შეხედულებას საბჭოთა ხელისუფლების მიერ მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების თვითნებური შექმნის შესახებ ამხელს საგეგმო ორგანოების ფორმირების რეალური პროცესი.

საქართველოში საგეგმო ორგანოს პირველ ფორმას წარმოადგენდა სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი (სტკ), რომელიც შეიქმნა 1921 წლ მარტში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან.

თავდაპირველად კომიტეტის ამოცანას წარმოადგენდა სამეცნიერ და ტექნიკური ხასიათის საკითხების განხილვა და მათზე დასკვნებ შემუშავება. მაგრამ, მალე დაგროვდა სხვა დიდი რაოდენობის სახა თაღრიცხვო მასალები, რომელთა დამუშავებაც კომიტეტს დაევალა.

დაიბადა აზრი, კომიტეტთან შექმნილიყო განსაკუთრებული საწა ნუსხური კომისია იმ ტექნიკური საკითხების განსახილველად, რომლ ბიც დაკავშირებული იყო ფულადი სახსრების ასიგნებასთან, აგრეთვ ნუსხებისა და საწარმოო პროგრამების შემუშავებასთან. მალე ასეთ კომისია შეიქმნა. საწარმოო-ნუსხური კომისია სამეცნიერო-ტექნიკ კომიტეტის წამყვან ორგანოს წარმოადგენდა. კომიტეტის სხვა სტრუ ტურული ქვედანაყოფები ფაქტიურად ხელს უწყობდნენ საწარმოო-ნუსხ კომისიის საქმიანობას.

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტისა და მისთ საწარმოო-ნუსხური კომისიის შექმნით საქართველოში საფუძველი ჩა რა სახალხო მეურნე ობის დაგეგმვას. კომიტეტის შექმნის იდეა თა პირველად არ გულისხმობდა მის მიერ დაგეგმვის ფუნქციის განხორც ლებას. ეს უკანასკნელი მას შემდგომი მუშაობის პროცესში დაეკის და მთელი მისი საქმიანობის მანძილზე ამ ორგანოს მთავარ ფუნქცი გვევლინებოდა.

1921 წლის სექტემბრის ბოლოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტე ნაცვლად შეიქმნა ცენტრალური საწარმოო-ტექნიკური განყოფილება.

საგეგმო განყოფილების საქმიანობის ანალიზი საშუალებას გვა ლევს დავასკვნათ, რომ წინა ორგანოსთან შედარებით მისი მოქმედე სფერო და ამოცანები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, თვისობრივად შე ვალა მისი ფუნქციები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკავშირო ორგანოს დაევალა არა მხოლოდ სმუს განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი საწარმოო პროგრამების განხილვა და ერთმანეთთან შეთანხმება (რასაც კომიტეტი ასრულებდა), არამედ სახელმწიფო მრეწველობის ერთიანი გეგმის შემუშავებაც.

ცენტრალური საწარმოო-ტექნიკური განყოფილების შექმნით დემოკრატიზმი მართვაში კიდევ უფრო გაძლიერდა: განყოფილების უმაღლესი ორგანოს - კოლეგიის წევრები სმუს პრეზიდიუმის მიერ ინიშნებოდა მხოლოდ პროფკავშირთან შეთანხმების შემდეგ. საკავშირო განყოფილებამ დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად დიდი მუშაობა გასწია. მიუხედავად ამისა, სმუს ორგანოთა დიდი ნაწილის მიერ საწარმოო პროგრამები დროულად მაინც არ იყო შედგენილი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სახელმწიფო მრეწველობის ერთიანი გეგმის შედგენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ყველაფერი ეს გამოწვეული იყო დისციპლინისა და ანგარიშგების არარსებობით, რამაც სახალხო მეურნეობის მრავალ განყოფილებას შეუქმნა წარმოდგენა საკავშირო განყოფილებაზე როგორც სრულიად ზედმეტ ორგანოზე. ამასთან, სმუს ორგანოებში არ ესმოდათ საკავშირო სამუშაოთა დიდი მნიშვნელობა.

სმუს პრეზიდიუმის 1923 წლის 4 იანვრის დადგენილების საფუძველზე განხორციელდა საკავშირო განყოფილების რეორგანიზაცია, შეიქმნა ეკონომიკური სამმართველო შემდეგი განყოფილებებით: სტატისტიკური, საწარმოო-ტექნიკური, სამართლებრივი და სარედაქციო-გამომცემლობითი.

საკავშირო განყოფილების სამმართველოდ გარდაქმნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საკავშირო ორგანოს უფლებები, რამაც უზრუნველყო მისი პრივილეგირებული მდგომარეობა სმუს სხვა განყოფილებებს შორის. ეს უკანასკნელნი ეკონომიკური სამმართველოს ყველა განკარგულების შესრულებას სავალდებულოდ მიიჩნევდნენ. ამის შემდეგ სმუს საკავშირო მუშაობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი, ცენტრალური საწარმოო-ტექნიკუ[რი] განყოფილება და ეკონომიკური სამმართველო დაგეგმვას მხოლოდ სმუს ფარგლებში ახორციელებდა. ამასთან, მთელი რიგი სახალხო კომისარიატები და უწყებები ერთიანი მგეგმავი ორგანოს გარეშე რჩებოდა. თითოეული მათგანი სხვათა ინტერესების გათვალისწინების გარეშე დამოუკიდებლად წარმართავდა თავის საქმიანობას. არ არსებობდა კავშირი სახალხო მეურნეობის თვით მომიჯნავე დარგების მართვის ორგანოებს შორისაც. ასეთი მდგომარეობა ეკონომიკის დარგებს შორის დისპროპორციებს იწვევდა და საბოლოო ანგარიშით, სახალხო მეურნეობის განვითარებას აფერხებდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უკვე პირველსავე დღეებში მთელი რიგი საწარმოების ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით იგრძნობოდა ერთიანი საგეგმო ორგანოს დაარსების აუცილებლობა, მაგრამ მაშინ ასეთი ორგანოს შექმნის შესაძლებლობა არ არსებობდა. არ შეიძლება იმის უარყოფა, - წერდა ფ.მახარაძე, - რომ პირველად, დასაწყისში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასეთი საგეგმო ორგანო უფრო მუხრუჭ[ი] იქნებოდა აღმშენებლობისა, მაგრამ შემდეგ მისი უქონლობა საგრძნობ[ი] ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე".[1] ეს აზრი მთლიანად შეესაბამება საქართველოში სახალხო მეურნეობის მასშტაბით ერთიანი ცენტრალური ორგანოს შექმნის საკითხსაც. ამ ორგანოს მიერ შემუშავებული გეგმა არ იქნებოდა რეალური აღრიცხვის, კონტროლის და ზუსტი სტატისტიკური მასალების არარსებობის გამო.

მხოლოდ სახალხო მეურნეობის მართვაში გამოცდილების დაგროვებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დიდი სამუშაოების ჩატარების შემდეგაც იქცა რეალობად ასეთი ორგანოს შექმნის შესაძლებლობა. უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს 1923 წლის 19 დეკემბრის დადგენილების სა-

- - - - - - - -

1 მახარაძე ფ., თხზ.,ტ.8, გვ.144

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფუძეებზე შეიქმნა ეკონომიკის დაგეგმვის ცენტრალური ორგანო, რითაც რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქმიანობის სფეროდ იქცა მთელი სახალხო მეურნეობა, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის გავლენას თანდათან ავრცელებდა მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე, იცვლებოდა მისი სტრუქტურა, იზრდებოდა ამოცანები და ა.შ.

1924 წლის დასაწყისში სახელმწიფო საგეგმო კომისია შედგებოდა 4 სექციისაგან (სასოფლო-სამეურნეო, შინაგანი ვაჭრობის, სამრეწველო და საერთო). ამავე წლის ბოლოს მასთან შეიქმნა კიდევ ორი სექცია: ეკონომიკური-სტატისტიკური და ელექტრიფიკაციის.

ელექტრიფიკაციის სექცია დიდი მონდომებით შეუდგა მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას, მაგრამ მუშაობა ფერხდებოდა იმით, რომ ელექტრიფიკაციის სექციის მიერ განხილული საკითხების უმრავლესობა ვერ წყდებოდა მათი სამრეწველოსთან შეთანხმების გარეშე. ამიტომ, მალე სამრეწველო სექციამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის ხელმძღვანელობა თავის ხელში აიღო, ხოლო ელექტრიფიკაციის სექცია გაუქმებულ იქნა.

სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ფუნქციონირებდა შინაგანი ვაჭრობის სექცია, რომლის მთვალეობას შეადგენდა ბაზრის სტაბილურობის რეგულირება. აღდგენითს პერიოდში "ფასების მაკრატლის" არსებობის, ბაზრის მერყეობის გამო ამ სამუშაოს განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უკვე აღდგენითი პერიოდის ბოლოს ეს პრობლემა გარკვეულად გადაიჭრა და შინაგანი ვაჭრობის სექციის დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა მოიხსნა. ამ პერიოდში სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეიქმნა ბიუჯეტურ-საფინანსო სექცია, რომელიც ძირითად მოვალეობასთან ერთად ვაჭრობის საკითხებსაც განიხილავდა. ამ გარემოებების გამო შინაგანი ვაჭრობის სექცია ლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვიდირებულ იქნა და მისი ფუნქციები ბიუჯეტურ-საფინანსო სექციას გადაეცა.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის ბოლოს სახელმწიფო საგეგმო კომისია 5 სექციისა და რაიონების კომისიისაგან შედგებოდა. იგი სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ორგანო გახდა.

რესპუბლიკაში ნორმალურ საგეგმო მუშაობას ხელს უშლიდა მთელ რიგ სახალხო კომისარიატებსა და უწყებებში საგეგმო ორგანოების არარსებობა, რის გამოც სახელმწიფო საგეგმო კომისია მასალებს უშუალოდ ამ ორგანოების განყოფილებებიდან ღებულობდა. ამ დოკუმენტებში სხვა განყოფილებათა ინტერესები ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამასთან, ისინი სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოთხოვნების მიხედვით არ მუშავდებოდა. ყველაფერი ეს საგეგმო მუშაობაზე და საბოლოო ანგარიშით სახალხო მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა. სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები სახალხო კომისარიატებსა და უწყებებში საგეგმო ორგანოების შექმნას მოითხოვდა.

სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეიქმნა საგეგმო კომისია, რომელსაც დაევალა მთელი რიგი საკითხების გადაჭრა, მათ შორის: ა) სტატისტიკური სამუშაოების რესპუბლიკური გეგმის შედგენა; ბ) სტატისტიკური ოპერაციების მეთოდოლოგიის შედგენა, გ) სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა.

საგეგმო მუშაობამ ჯანმრთელობის დაცვის სფეროც მოიცვა. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 14 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა საგეგმო კომისია. ამ კომისიის მუშაობამ ხელი შეუწყო საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის გეგმაზომიერ განვითარებას.

რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 31 ივლისის დადგენილებამ, რომლის საფუძველზეც მიწათმოქმედების, ფინანსების, შრომის, იუსტიციის, განათლების, ვაჭრობის სახალხო კომისარიატებში და ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოში შეიქმნა საგეგმო კომისიები.

რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები და უწყებები გეგმების შედგენისას უკვე "ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და მეთოდიკით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მართვისა და დაგეგმვის ხარისხი. რესპუბლიკაში შეიქმნა საგეგმო ორგანოების გარკვეული სისტემა: სახელმწიფო საგეგმო კომისია, სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საგეგმო ორგანოები."

ამრიგად, საქართველოში საგეგმო ორგანოების ჩამოყალიბების ისტორია თვალნათლივ ადასტურებს, რომ სოციალისტურ მეურნეობაში მართვისა და დაგეგმვის ორგანოების შექმნა არ იყო რაღაც თვითნებური პროცესი, როგორც ამას ბურჟუაზიული ეკონომისტები წარმოადგენენ, არამედ ის იყო კანონზომიერი მოვლენა და გამოხატავდა სახალხო მეურნეობის განვითარების ძირეულ ინტერესებს.

საგეგმო ორგანოების შექმნის პროცესი და სახალხო მეურნეობის განვითარება დიალექტიკურ კავშირში იმყოფებოდა. ეკონომიკის ზრდა საგეგმო ორგანოებს სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა, რის შედეგადაც სრულყოფილი ხდებოდა მათი სტრუქტურა, ფართოვდებოდა ამოცანები და სხვ. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესის დაჩქარებას.

"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის წარმომადგენლები ვერ ხედავენ სოციალიზმის დროს იმ რეალური საფუძვლების არსებობას, რომლებიც ობიექტურად მოითხოვდნენ ცენტრალური საგეგმო ორგანოების ფორმირების

აუცილებლობას. კაპიტალიზმის პირობებში საგეგმო ორგანოების შექმნა მართლაც თვითნებური პროცესი იქნებოდა, რადგანაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება ობიექტურად განაპირობებს საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ სტიქიურ განვითარებას.

საგეგმო ორგანოების ფორმირება სოციალისტური წარმოების წესის ჩამოყალიბებისათვის დამახასიათებელი ობიექტური პროცესია. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება ობიექტურად მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების წარმართვას ერთიანი გეგმით, რაც, თავის მხრივ, საგეგმო ორგანოების დაარსების აუცილებლობას წარმოშობს.

"მბრძანებლური ეკონომიკის" წარმომადგენელთა შეხედულებით, სოციალისტურ ეკონომიკას შეუძლია წარმატებები მოიპოვოს სახალხო მეურნეობის მხოლოდ ცალკეულ, ვიწრო უბნებზე რესურსების დისპროპორციული განაწილების საფუძველზე. მათი აზრით, სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების პროცესში მრეწველობის სწრაფი ზრდა შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის განვითარების შეზღუდვისა და მოხმარების მკვეთრი შემცირების ხარჯზე.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1924–1925 სამეურნეო წელს წინა სამეურნეო წელთან შედარებით გაიზარდა 38%-ით, ხოლო 1925–1926 სამეურნეო წელს – 52%-ით. სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია კი ამავე წლებში გაიზარდა 97,7 და 184,7 პროცენტით.[I]

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საქართველოში მრეწველობის აღდგენისა და განვითარების პროცესი სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სახალხო მეურნეობის ეს ორი მთავარი დარგი დისპროპორციულად ვითარდებოდა. გარდამავალ პერიოდში სახალხო მეურნეობის გეგმის შედგენის თვით პრინციპი ფაქტიურად გამორიცხავდა ეკონომიკის

- - - - - - - - -

I ავაქოვი ვ. საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი უახლოესი პერსპექტივები, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", №1-2, 1927, გვ.13-14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცალკეულ სფეროებს შორის დისპროპორციების შესაძლებლობას. პარტია და მთავრობა ხელს უწყობდა მრეწველობის უპირატესი ტემპებით განვითარებას, რამდენადაც იგი ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა და საბოლოო ანგარიშით ობიექტურად განაპირობებდა სხვა დარგების აღმავლობასაც.

"მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიის წარმომადგენლები გეგმურ მეურნეობას ნატურალურ მეურნეობასთან აიგივებენ. ამ შეხედულების წარმოშობას გარკვეულად ხელი შეუწყო ზოგიერთი ჩვენი იმდროინდელი ეკონომისტის მიერ გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მცდარმა გაგებამ. ასე, მაგალითად, ლ.ლიტოშჩენკო სოციალისტურ მეურნეობას განმარტავდა როგორც ნატურალურ მეურნეობას. იგი დაგეგმვას უპირისპირებდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობას და მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი სოციალიზმის დროსაც არსებითად არ იცვლის თავის ბუნებას.[I]

მცდარ პოზიციებზე იდგა ა.ჩაიანოვიც. მას გაცვლა დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ კერძო სექტორში. ა.ჩაიანოვს დაგეგმვა დაჰყავდა დანახარჯებსა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას შორის ნატურალური პროპორციების განსაზღვრამდე. იგი სოციალისტურ ეკონომიკას მიიჩნევდა როგორც "ერთიან კოლოსალურ ნატურალურ სამომხმარებლო შრომით მეურნეობას."[2]

მეურნეობის "ნატურალისტური" კონცეფცია ეყრდნობოდა გარდამავალი პერიოდის პირველი წლების რეალურ ვითარებას. ეკონომიკის დარგებს

- - - - - - - -

I Литощенко Л.Закон падающей выручки и оптимальное сочетание факторов производства,-Бюллетень Государственного научно-исследовательского Института сельскохозяйственной экономики.-М.,1928, № I-4, с.74.

2 Чаянов А. Понятие выгодности социалистического хозяйства.-"Труды Высшей Семинарии с/х экономики и политики при Петровской с/х академии", вып.2, М., 1921, с.I3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შორის კავშირების დარღვევის, ფულის გაუფასურების გამო ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან ნატურალიზაციას. მაგრამ იგი დროებით მოვლენას წარმოადგენდა და უშუალოდ იყო დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ნგრევასთან.

მეურნეობის "ნატურალისტური" კონცეფციის წარმოშობას ხელი შეუწყო გეგმისა და ბაზრის დამოკიდებულების არამეცნიერულმა ახსნამ. ამ კონცეფციის ავტორების შეხედულებით, თუ ბაზარი რეალურად ასრულებს მის ფუნქციებს, მაშინ იგი წარმოების სტიქიური რეგულატორის როლში გამოდის. მათი აზრით, დაგეგმვა ყოველთვის ობიექტურად მოითხოვს ეკონომიკური კავშირების ნატურალიზაციას და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ლიკვიდაციას.

ბურჟუაზიული ეკონომისტი ლ.მიზესი გეგმიანი მეურნეობის ძირითად მიზნად ბაზრის ლიკვიდაციას აცხადებდა. ჩ.კარსონი "მბრძანებლურ ეკონომიკას" განიხილავდა როგორც "ბაზრისა და ჰორიზონტალური კავშირების ანტითეზას".

ბაზრისა და გეგმის დაპირისპირება მაშინ არის გამართლებული, თუ ვიგულისხმებთ სტიქიურ ბაზარს, რომლის ფუნქციონირება მთლიანად ღირებულების კანონის მოქმედების საფუძველზე სტიქიურად ხორციელდება. ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის სტიქიურობის გარეშე საერთოდ არცერთი ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობს. სინამდვილეში რეალური სოციალიზმის დროს ბაზრის განვითარებას გეგმაზომიერი ხასიათი ეძლევა, არსებითად იცვლება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შინაარსი, მისი მოძრაობის ფორმა, მოქმედების მასშტაბები და სხვ.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობის პირობებში გეგმა და ბაზარი ერთიმეორეს არ გამორიცხავენ. გეგმაზომიერად ორგანიზებული ბაზარი გეგმის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

სოციალიზმის შესახებ ბურჟუაზიულ თეორიათა შორის მნიშვნელოვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნი ადგილი უჭირავს "საბაზრო სოციალიზმის" თეორიას. ეს უკანასკნელი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე წარმოიშვა. ამ თეორიის მიხედვით ერთიმეორის გვერდით შეიძლება მშვიდობიანად იარსებოს ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ და ბაზრის სტიქიამ. "საბაზრო სოციალიზმის" თეორიამ თავიდან დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა, 50-იან წლებში კი საერთოდ დავიწყებას მიეცა. 60-70-იან წლებში ეს თეორია განახლებული სახით მოგვევლინა. მის აღორძინებას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში 1965 წლის სამეურნეო რეფორმის ტენდენციურმა გაგებამ.

უკანასკნელ პერიოდში კაპიტალისტურ სამყაროში თავისებური რეაქცია გამოიწვია საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნებმა, განსაკუთრებით კი კანონმა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ ეს მოვლენა შეაფასა როგორც სოციალიზმის უკანდახევა კაპიტალიზმისაკენ. სინამდვილეში, როგორც მ.ს.გორბაჩოვმა ინდოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღნიშნა, "ყველაფერი ეს სოციალიზმის ფარგლებშია".[I]

ამ უკანასკნელი მოვლენების ტენდენციურმა ინტერპრეტაციამ "საბაზრო სოციალიზმის" თეორია შეავსო ახალი "დებულებებით" და თანამედროვე პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერა მისი პოპულარობა. ამიტომ, ამ თეორიის ანტიმეცნიერული ხასიათის მხილებას დღეს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

"საბაზრო სოციალიზმის" თეორიის ნამდვილი სახის გამოაშკარავებისათვის საჭიროა ამ მიმდინარეობის ფორმირების სათავეების გამოკვლევა.

"საბაზრო სოციალიზმის" თეორიის წარმოშობას ბიძგი მისცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებამ გარდამავალ პერიოდში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების დროს ნაციონალიზებული, ცუდად მომუშავე წვრილი საწარმოები მათ ყოფილ მფლობელებზე იჯარით იქნა გადაცემული. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის აღდგენას, მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებას, მაგრამ გამოიწვია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძო სექტორის დროებითი რაოდენობრივი ზრდა და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სფეროებში კრიტიკული ელემენტების გაძლიერება. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა არასწორად შეაფასეს გარდამავალ პერიოდში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. მათი აზრით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკულად წვრილბურჟუაზიული კაპიტალიზმისაკენ უკანდახევას, კომუნისტური მშენებლობის მარქსისტული სტრატეგიიდან კარდინალურ გადახვევას წარმოადგენდა.

კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიული იდეოლოგები დამახინჯებულად წარმოადგენენ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსს. გეგმური მეურნეობის ფორმირება სინამდვილეში მარქსისტულ-ლენინური სტრატეგიის მიხედვით ხორციელდებოდა. სახალხო მეურნეობაში წამყვანი როლი სოციალისტურ სექტორს ეკუთვნოდა, ხოლო კერძო სექტორის განვითარებას სახელმწიფო გეგმაზომიერად წარმართავდა.

გარდამავალ პერიოდში კერძო სექტორი ძირითადად სოფლის მეურნეობას და ვაჭრობას მოიცავდა. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გეგმაზომიერი ზემოქმედების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში საქართველოში წარმოიშვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების სრულიად ახალი ფორმა – კონტრაქტაციის სისტემა.

კონტრაქტაცია წარმოადგენდა ორმხრივ იურიდიულ შეთანხმებას დამამზადებლებსა და მწარმოებლებს შორის, რომლის მიხედვითაც სამრეწველო საწარმოები ვალდებულნი იყვნენ დროულად გაეცათ სესხი გლეხურ მეურნეობებზე, მოემარაგებინათ ისინი შრომის იარაღებით, თესლით და სხვ. გლეხები, თავის მხრივ, ვალდებულნი იყვნენ დაეთესათ განსაზღვრული ფართობი და დამამზადებლისათვის მოსავალი დადგენილ ვადებში და სახელშეკრულებო ფასებით ჩაებარებინათ.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ახალი

ტორმა პირველად 1927-1928 სამეურნეო წელს იქნა გამოყენებული. ხელშეკრულება დადებულ იქნა თამბაქოს ტრესტსა და გლეხურ მეურნეობებს შორის. ამ დოკუმენტის მიხედვით, გლეხი ვალდებული იყო თამბაქოს ტრესტისათვის ჩაებარებინა პროდუქცია განსაზღვრულ ვადებსა და დაწესებულ ფასებში. თავის მხრივ, თამბაქოს ტრესტი იღებდა ვალდებულებას,სხვა ღონისძიებებთან ერთად სესხი გაეცა გლეხური მეურნეობის თითოეულ ჰექტარზე 250 მანეთის ოდენობით. 1927-1928 სამეურნეო წელს საქართველოში კონტრაქტაცია დადებულ იქნა 9181 ჰა თამბაქოზე. იმავე წელს კონტრაქტაცია დადებულ იქნა ბამბაზე (6982 ჰა), კანაფზე (11 ჰა) და ა.შ.[1]

კონტრაქტაციამ დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი ორგანიზაციის საქმეში. მან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის ზრდას, ქალაქსა და სოფელს შორის ორგანიზებული საქონელბრუნვის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის რეგულირების ისეთი ბერკეტების გამოყენებას, როგორიც იყო ფასების სისტემა. მათი დახმარებით სახელმწიფო საგეგმო კომისიამ არაერთგზის დაძლია სიძნელეები, რომლებიც წარმოიშობოდნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში დაფნის ფოთოლზე მოთხოვნილება შემცირდა, რის გამოც მასზე ფასები მკვეთრად დაეცა. ამ პერიოდში ერთი ფუთი გამხმარი დაფნის ფოთოლი მოსკოვში იყიდებოდა 6,5 მანეთად, ხოლო მის გადასაზიდად გაწეული ხარჯები მხოლოდ სამტრედიიდან ცხაკაიამდე 3 მანეთს შეადგენდა.[2]

- - - - - - - - - -

1 Отчет деятельности Правительства ССР Грузии за 1926/27 и 1927/28 гг. - Тб., 1929, с.227.

2 საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, ინფორმაცია, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", 1926 წ., №4, გვ.102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფნის ფოთლის საცალო ფასი მის ღირებულებასაც კი ვერ ფარავდა, დაიწყო დაფნის პლანტაციების მკვეთრი შემცირება.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციამ შეისწავლა დაფნის ფოთლის წარმოების შემცირების მიზეზები და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა წინადადებები ასეთი მდგომარეობის აღმოფხვრისათვის. წინადადებებში მითითებული იყო: ა) დაუყოვნებლივ გადასინჯულიყო ფასები დაფნის ფოთლის ტრანსპორტირებაზე და შემცირებულიყო ისინი 43%-ით, რაც ერთი ფუთი ფოთლის მოსკოვში გადაზიდვის ღირებულების 1 მანეთითა და 30 კაპიკით შემცირებას გამოიწვევდა; ბ) თანხა მთლიანად უნდა მიმართულიყო დაფნის ფოთლის შესასყიდი ფასების გასადიდებლად.[I]

ეს წინადადებები მოწონებულ იქნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და მათი ცხოვრებაში გატარების შედეგად ამ კულტურის წარმოების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამრიგად, ფასების დახმარებით სახელმწიფო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა სახალხო მეურნეობის ცალკეულ სფეროზე, განსაზღვრავდა მათი განვითარების მიმართულებას.

სამეურნეო პროცესებზე გეგმაზომიერი ზემოქმედებისათვის აუცილებელი იყო, სახელმწიფოს ჰქონოდა ფართო ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფ. მახარაძე წერდა: როდესაც გვეცოდინება ყველა ის საიდუმლოება, რაც ხდება ეკონომიკურ პროცესებში, მაშინ ჩვენ შევძლებთ ვმართოთ ეს პროცესები".[2]

აღდგენითი პერიოდის პირველ წლებში სახელმწიფო ცუდად იყო ინფორმირებული ქვეყნის სამეურნეო სიტუაციის შესახებ, რის გამოც მას არ

---

I საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, ინფორმაცია, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", 1926 წ., №4, გვ. 102

2 მახარაძე ფ. თხზ., ტ.3, გვ.145.

შეძლო ბაზარზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოეხდინა. აღდგენითი პერიოდის ბოლოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეიქმნა ეკონომიკურ-სტატისტიკური სექცია, რომელსაც სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა და კონიუნქტურული მიმოხილვების შედგენა დაევალა. კონიუნქტურის შესწავლის მასალების გამოყენება დადებით ზემოქმედებას ახდენდა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, რაც დასტურდება შემდეგი მაგალითით: სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1924 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა ნოემბრის თვის კონიუნქტურული მიმოხილვა.[1] მიმოხილვაში განსაკუთრებით ვრცლად იყო წარმოდგენილი ბაზრის მდგომარეობა. სახალხო მეურნეობის აღნიშნული სფერო შედარებით ძნელად ექვემდებარებოდა მართვას და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ ადგილს წარმოადგენდა.

მიმოხილვაში ნაჩვენები იყო საქონელზე ფასების ზრდა ცენტრიდან დაშორების შესაბამისად, კოოპერაციულ და კერძო ვაჭრობას შორის ძალთა თანაფარდობის ცვლილება კერძოს სასარგებლოდ. პერიფერიებში კერძო ვაჭრობის საქონელზე ფასები კოოპერაციულთან შედარებით თითქმის ორჯერ მაღალი იყო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ადგილებში კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი სუსტად იყო განვითარებული და ფაქტიურად კერძო ვაჭრობა ბატონობდა.[2]

ასეთი მდგომარეობის აღმოფხვრისათვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სხდომაზე დასახულ იქნა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ მალე დადებითი შედეგები გამოიღო. კოოპერაციული და კერძო ვაჭრობის საქონელთა ფასებში განსხვავება უმნიშვნელო გახდა. კერძო ვაჭრობამ თანდათან დაკარგა თავისი პოზიციები და ქვეყნის საქონელბრუნვაში მისი წილი მკვეთრად შემცირდა.

ყველაფერი ეს მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ეკონომიკურ-სტატისტიკური სექციის მიერ მოპოვებულ და გაანალიზე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბულ ინფორმაციას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

ამრიგად, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება სრულიადაც არ იყო უკანდახევა წვრილბურჟუაზიული კაპიტალიზმისაკენ, როგორც ამას ბურჟუაზიული ეკონომისტები წარმოადგენენ. უკვე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში სახელმწიფო გეგმაზომიერად ზემოქმედებდა კერძო სექტორის განვითარებაზე ისეთი ეკონომიკური ბერკეტების დახმარებით, როგორიც იყო ფასები, კონტრაქტაცია და სხვ. ამ ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედება განსაკუთრებით ეფექტური გახდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ სახალხო მეურნეობის კონიუნქტურის შესწავლა დაიწყო. შედეგად უკვე გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში სახელმწიფო აქტიურად ერეოდა კერძო სექტორის საქმიანობაში და არეგულირებდა მის განვითარებას.

საქართველოში გეგმიანი მეურნეობის ჩამოყალიბების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ "საბაზრო სოციალიზმისა" და "მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიები მათს ძირითად პუნქტებში ყალბად ასახავენ სოციალისტური მეურნეობის ფორმირების რეალურ პროცესს. ამ თეორიის წარმომადგენლები ეკონომიკის რომელიღაც ცალკე სფეროს განიხილავენ, იღებენ მისგან სოციალიზმის ბუნებისათვის შეუსაბამო ნეგატიურ ნიშანს და მას განაზოგადებენ მთელ ეკონომიკაზე.

"საბაზრო სოციალიზმისა" და "მბრძანებლური ეკონომიკის" თეორიები ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ მიმდინარეობებს წარმოადგენენ. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ სოციალიზმის შესახებ ვერ შექმნა ერთიანი თეორია, თუნდაც ერთიანი მიმართულება. ბურჟუაზიული იდეოლოგია ჩასახვისთანავე კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც გრძელდებოდა და ძლიერდებოდა ათეული წლების მანძილზე. დღეს კი რეალური სოციალიზმის წარმატებებმა კიდევ უფრო გაამწვავა ეს კრიზისი, კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფრო აშკარა გახდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის სიყალბე და კლასობრივი ტენდენციურობა.

Пичхаия З.Р.

Пичхаия И.Р.

Критика буржуазной интерпретации формирования социалистической экономики и ее роль в процессе коммунистического воспитания молодежи

## АННОТАЦИЯ

В работе показана необходимость правильного и всестороннего освещения вопросов истории, становления социалистической экономики и ее роль для формирования коммунистического мировоззрения молодежи ; критикуются буржуазные теории становления социалистической экономики, в частности теории "командной экономики" и "рыночного социализма"; рассматриваются вопросы становления экономики Советской Грузии, формирование органов управления и планирования, особое внимание уделяется развитию Высшего Совета народного хозяйства (ВСНХ) и Госплана республики, анализируются формы и методы хозяйствования, сочетания административных и экономических методов управления экономикой.

На этих конкретных примерах показана несостоятельность и классовая тенденциозность буржуазных теорий становления социалистической экономики.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის
კათედრა

მ. დ. თოქმაზიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

## სოციალიზმის წინააღმდეგობების შესახებ ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკის მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში

თანამედროვე ომისშემდგომი ისტორიული პერიოდი ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური კურსის - სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ბრძოლის გამწვავებით. იგი ეხება ცხოვრების ყველა სფეროს - ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურას, იდეოლოგიას და ზემოქმედებს ადამიანის იდეურ ფორმირებაზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგე იდეოლოგთა თეორიული დებულებების უსაფუძვლობის დასაბუთებას, მათი ფალსიფიკაციის გამოაშკარავებას. სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილის შემეცნებით ფუნქციასთან ერთად ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა ადამიანის აქტიური, ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი პირობის როლს ასრულებს.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ დაამტკიცონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შეუსაბამობა თანამედროვეობასთან, ჩაუნერგონ საზოგადოებას აზრი, თითქოს სოციალისტურ ქვეყნებში გაბატონებულ მოძღვრებას არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმ-ლენინიზმთან, ცდილობენ დაამახინჯონ სოციალიზმის მშენებლობისა და განვითარების პრაქტიკა, სოციალურ-ეკონომიკურ კანონზომიერებათა რანგში აიყვანონ და გაზვიადებული მასშტაბით წარმოადგინონ ის დროებითი სიძნელეები, რომლებიც წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იშვება საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

უკანასკნელ პერიოდში ბურჟუაზიული იდეოლოგების განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი გახდა სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები. ობიექტივიზმის სახელით ისინი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობების აღიარებასთან ერთად პარალელს ავლებენ სოციალიზმის დროს არსებულ წინააღმდეგობებთან და ცდილობენ სოციალიზმის არამარტო თეორიის ფალსიფიკაციას, არამედ სოციალიზმის პრაქტიკაში ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის, მათი არაანტაგონისტური ბუნების გამოვლენის იმ გზების უნაყოფობის დამტკიცებას, რომელიც განსხვავებულია კაპიტალისტურისაგან.

სოციალისტური საზოგადოების განვითარება, რა თქმა უნდა, არ წარიმართება უმტკივნეულოდ, დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების გარეშე. იგი ვითარდება ძველისა და ახლის, დრომოჭმულისა და მზარდის, რეაქციულისა და პროგრესულის შორის "ბრძოლის" გზით. ეს წინააღმდეგობები არ გამოვლინდებიან ანტაგონისტურ-კლასობრივი წინააღმდეგობების სახით, რამდენადაც სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს არცერთი კლასი, ან სოციალური ფენა, რომელიც დაინტერესებული იქნება მოძველებული, რეაქციული ფორმების შენარჩუნებით. ამიტომ, კლასობრივი ბრძოლაც, როგორც მათი დაძლევის გზა, სოციალიზმის დროს მოხსნილია.

მართალია, სოციალიზმის წინააღმდეგობებს არაანტაგონისტური ბუნება აქვს, მაგრამ მათი მოქმედება და გადაჭრა მოითხოვს საზოგადოების შეუნელებელ ყურადღებას, იმ ახალი ფორმებისა და გზების დროულ გამოძებნას, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებს განავითარებს საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, წარმოების ურთიერთობათა სტრუქტურულ ელემენტებს მოიყვანს საწარმოო ძალების დონისადმი შესაბამისობაში. წინააღმდეგობათა განვითარების და გადაჭრის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროცესი ხორციელდება კომუნისტური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების გზით. ცხადია, რომ საზოგადოების მართვის პროცესში არ შეიძლება მთლიანად გამორიცხოს ცალკეული გადახრები და შეცდომები, რომლებიც კიდევ უფრო ამწვავებენ სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების მოქმედებას და ქმნიან დაბრკოლებებს საზოგადოების შემდგომ წინსვლაში. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებული კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, მთელი საზოგადოების საერთო ინტერესები გამორიცხავენ ანტაგონისტური ძალების წარმოშობასა და კონფლიქტის შესაძლებლობებს სოციალიზმის დროს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებები იმ წინააღმდეგობების გადასაწრელად, რომლებმაც თავი იჩინეს 70-იან წლებში, გამწვავდნენ გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო და თავისი უარყოფითი შედეგი დატოვა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. "დღეს პარტიის, მთელი ხალხის უპირველესი ამოცანაა, - აღნიშნავდა მ.ს.გორბაჩოვი, - დაძლიონ არასასიკეთო ტენდენციები ეკონომიკის განვითარებაში, მიანიჭონ მას სათანადო დინამიზმი, ფართო ასპარეზი მისცენ მასების ინიციატივასა და შემოქმედებას, ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნებს".[I]

სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების არსებობა ბურჟუაზიულ-აპოლოგეტების იდეური შთაგონების წყაროდ გადაიქცა. ისინი ცდილობენ ჩაუნერგონ ადამიანებს, რომ ეს წინააღმდეგობები ორგანულად არის დამახასიათებელი სოციალისტური მეურნეობის სისტემისათვის და მათი გადაჭრა სოციალიზმის პირობებში შეუძლებელია. ამასთან ერთად არ თაკილობენ "გამოიგონონ" და მიაწერონ სოციალიზმს არარსებული წინააღმდეგობებიც. ამის შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ სვამენ საკითხს, თუ რომელი წარმოების წესს, სოციალიზმს თუ კაპიტალიზმს, შეუძლია

- - - - - - - - -

I სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ.36.

მისცეს მეტი კეთილდღეობა ხალხს, რომელი მათგანია უფრო ეფექტური და ჰუმანური, რომელს ეკუთვნის მომავალი.

ორი იდეოლოგიის ბრძოლის პირობებში თავის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ფორმირების საკითხები. ბურჟუაზიული იდეოლოგების და ყველა რჯულის ანტიკომუნისტების მოღვაწეობა, მიმართული სოციალური მოვლენების დისკრედიტიზაციისა და ფალსიფიკაციისაკენ, სპეკულაცია ფსიქოლოგიური კომფორტის შეგრძნებასა და "ჭაბუკური ავანგარდიზმის" განწყობაზე, ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობის იდეურ ფორმირებაზე.

ახალგაზრდობას განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. იგი მზარდი ადამიანია და საკუთარი თავის დამკვიდრების, თვითრეალიზაციის ძლიერი მოთხოვნა განსაკუთრებულ აქტივობას ანიჭებს მას, შესაძლებლობას აძლევს მკაცრად, უკომპრომისოდ რეაგირებდეს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების მიმდინარეობაზე. იგი გამოირჩევა მაღალი მგრძნობიარობით უსამართლობის, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების მიმართ, ახასიათებს მაღალი ფსიქოლოგიური დინამიზმი, სურვილი, გარდაქმნას ცხოვრება თავისი იდეალების და მოთხოვნების შესაბამისად. თავის დროზე ვ.ი.ლენინი თაობებს შორის განსხვავების შესახებ აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობა "აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები".[I] ახალგაზრდობა ცდილობს ყოველი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა მოათავსოს იმ თეორიულ ჩარჩოებში, რომელსაც მას ასწავლიან და თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ მის თვალში ილახება და კომპრომეტირებული ხდება სახელმძღვანელო დებულებები, სასწავლებლებში მიღებული ცოდნა. იგი პოლიტიკურად მოუთმენელია, სოციალურ ამბებში ხშირად გულუბრყვილოა და ახასიათებს მაქსიმალური განწყობილება. მის "მაქსიმა-

- - - - - - - -

I ლენინი ვ.ი. თხზ.,ტ.23. გვ.210.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიზმს" უცილობლად სჭირდება მყარი თეორიული ბაზა და იდეური რწმენა.

ახალგაზრდობა სოციალიზმს აღიქვამს როგორც საზოგადოების ბუნებრივ მდგომარეობას. მათ არა აქვთ ნანახი და განცდილი კლასობრივი ბრძოლები და არ არიან გამოწრთობილნი ასეთ ბრძოლებში. მათ წინაშე დგას სრულიად განსხვავებული ამოცანა, ვიდრე მათს წინამორბედებს ჰქონდათ. ამასთან, ძველი თაობის ახალგაზრდობა უფრო მეტად იყო დაშორებული სოციალიზმის კონკრეტულ წარმოდგენასთან, ვიდრე ეს თანამედროვეს გააჩნია. შესაბამისად, ის წინააღმდეგობები, რაც ძველმა თაობამ გადალახა, თანამედროვე ახალგაზრდობისათვის გამოცდილების მიღების სარბიელს არ წარმოადგენს. ამჟამად არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც მთელი სიმწვავით მოქმედებენ, წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის ბრძოლის ასპარეზს. ასეთ პირობებში ახალგაზრდობის სოციალური აქტივობის ორიენტირს განსაზღვრავს მათ მიერ ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის ფორმების ცოდნა, მათი გადალახვის შესაძლებლობის რწმენა. ამის გამომუშავება კი ხდება, ერთი მხრივ, ამ წინააღმდეგობებთან შეჯახების პირადი გამოცდილების შეძენის გზით, ხოლო, მეორე მხრივ კი, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის რწმენად გადაქცევის მეშვეობით.

ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ენიჭება საბჭოთა ქვეყნის წინსვლასა და მის წარმატებებს, ცხოვრებაში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების გატარების მაგალითს, სოციალისტური ცხოვრების წესის ყოველმხრივ დამკვიდრებას. ყოველგვარი გადახვევა ამ გზიდან, მისი ამსახველი ცალკეული მაგალითები იწვევს რწმენის შელახვას, მოძრაობის სტიმულის დაკარგვას. ეს განსაკუთრებით მწვავედ აისახება ახალგაზრდობის ქცევაში, რომლებიც ყველაზე მტკივნეულად რეაგირებენ ამ პროცესებზე. ახალგაზრდობამ იცის, რომ

არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა თეორიული საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება და იგი მომავალშიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ორიენტირი უნდა იყოს. ამ მოძღვრების ქმედითობას ისინი ადგენენ ქვეყნის განვითარების რეალური სურათით და ცნობიერად თუ ქვეცნობიერად სოციალიზმის პროგრესული განვითარების შესაბამისად უვითარდებათ რწმენა, რომელიც მათ აქცევს მშენებლობის აქტიურ ძალად.

ახალგაზრდობის ფორმირების ამ ჯზაზე უარყოფითად მოქმედებს ის სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები, რომლებიც თეორიისა და პრაქტიკის გათიშვის შედეგად წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, 60-იან წლებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ღრმად მოიკიდა ფეხი ნეგატიურმა მოვლენებმა. ამჟამადაც მთელი სიმწვავით დგას სოციალიზმისათვის მავნე ზნე-ჩვეულებების, უშრომელი შემოსავლის სოციალური უსამართლობის პრობლემები. მათი არსებობის მიზეზი გახლდათ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების არათანმიმდევრული გატარება ცხოვრებაში. ცალკეულმა ფენამ, რომლებმაც არაკანონიერი გზით დაიგროვა სიმდიდრე და მოიხვეჭა სახელი, გახდა ცხოვრების პრივილეგირებული ძალა. ამ პირობებში შენელდა ახალგაზრდობის რწმენა, დაეცა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ახალგაზრდობის განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ გააჩნიათ მაღალი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დონე, ხოლო მოსახლეობის სხვა ფენასთან განსხვავებით, მატერიალური შემოსავალი გაცილებით დაბალი. ეს წინააღმდეგობრიობა, რომელიც ამჟამადაც გადაუჭრელია, ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პირობად იქცა. ამას დაემატა ცდები, სახელმძღვანელოდ გამიზნულ სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში შეელამაზებინათ სოციალიზმი, რომლის საწინააღმდეგო მოვლენებსაც

აშკარად ავლენდა ცხოვრება. პრაქტიკაში არსებულმა სირთულეებმა თავისი დაღი დაასვა საზოგადოებათმცოდნეობის იდეოლოგიურ ფუნქციას.

სოციალიზმის დროს არსებული წინააღმდეგობების და სირთულეების ფალსიფიკაციის სხვადასხვა პროპაგანდისტული ხერხებით ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ადამიანის, უპირველეს ყოვლისა, ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებას. ისინი ზედაპირული მოვლენების დახასიათებისას უარყოფენ მათ სიღრმისეულ შინაარსს, ლაპარაკობენ გეგმებზე და ფასებზე, აღნიშნავენ მათ წინააღმდეგობებს და გადააქვთ ისინი გეგმაზომიერების და ღირებულების კანონის მოქმედებაზეც. ასეთი მეთოდოლოგიური "ცოდვების" შედეგად სახეს უცვლიან სოციალიზმის კანონების მოქმედებას და მის კანონზომიერებებს წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცნობიერებაში ასახული დამახინჯებული მოვლენების სახით.

ყოველივე ამის შედეგად ბურჟუაზიულ იდეოლოგებს გამოაქვთ დასკვნები, რომ სოციალიზმის დროს "ცენტრალიზებული დაგეგმვა გამორიცხავს დემოკრატიას" (ი.ხაბერმასი, ი.ვეიკი); "გეგმა ეწინააღმდეგება ადამიანის თავისუფლებას" (ბოშე და სხვ.); "ეკონომიკური სისტემა შეუთავსებადია პოლიტიკურ კონტროლთან" (ვ.პრიორი); "ცენტრალიზებული დაგეგმვა არაეფექტურია" (ი.იუნკერი); "სოციალიზმის დროს ადგილი აქვს "ტექნოლოგიურ", "სტრუქტურულ" უმუშევრობას" (დ.ლარსონი, ნ.მაკენზი, ა.ნოუვი); "გეგმური სისტემა შეუთავსებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან" (ჟ.მარჩევსკი, პ.უაილზი, ფ.ჰანსონი, ლევენტალი და სხვ.); "სოციალიზმის დროს ადგილი აქვს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და ა.შ. კრიზისებს" (ზ.ბჟეზინსკი, ე.ტოლერი, გ.კანი, დ.ბელი და სხვ.).

ბურჟუაზიულ პრესაში ლაპარაკია საბჭოთა კავშირში მოქალაქეების კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის "რენესანსზე", მათ მიერ საზოგადოებ-

რივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე უარის თქმაზე, კოლექტივის მიერ პიროვნების გათელვაზე და ა.შ.

აქედან გამომდინარე, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის დროს არსებობენ "მტრული" კლასები და სოციალური ჯგუფები. მ.ალეს განმარტებით, ეს დაპირისპირებული კლასები არის ელიტა ანუ ხელმძღვანელობა, რომელთა "შრომისა და აზროვნების წყალობით" შეიქმნა თანამედროვე ცივილიზაცია და მასები, რომლებიც თხოულობენ ყველა იმ უპირატესობებს, რაც ელიტას გააჩნია.[1] წინააღმდეგობა ელიტასა და მწარმოებლებს შორის არის ექსპლუატაციის თანადროული გამოხატულება.

სოციალიზმის დროს ექსპლოატაციის არსებობას ბურჟუაზიული სოვეტოლოგები ამართლებენ იმ გარემოებითაც, რომ სოციალისტური სახელმწიფო მიაჩნიათ "ჩაგვრის" ორგანოდ. ამერიკელი სოვეტოლოგის ს.შვარცის აზრით, "ჩაგვრა" სოციალიზმის დროს აუცილებელია და იგი არის არა შეგნებული მიზანი, არამედ საერთო პოლიტიკის "თანმიყოლილი რეზულტატი". სახელმწიფოს, როგორც "ჩაგვრის" ორგანოს, მიზანია საზოგადოების წევრები ჰყავდეს მოხმარების რაც შეიძლება დაბალ დონეზე, რათა მიითვისოს წარმოებული ზედმეტი პროდუქტი, ხოლო ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები არის სახელმწიფოს "დათმობა", რაც ინგლისელი სოვეტოლოგის ა.ნოუვის აზრით, მოწმობს "რეჟიმის სისუსტესა და არამდგრადობას".[2]

ადამიანი და მისი ადგილი სოციალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიულ იდეოლოგთა კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საგანია. მათი წარმოდგენით რეალური სოციალიზმი გაიგივებულია ძალადობასთან ინდივიდზე. საბოლოო შედეგად, მათი აზრით, ადამიანი და მისი ნაკლოვანებები არის ის სასინჯი ქვა, რომელიც სოციალიზმს არ შეუძლია გადალახოს. ამერიკელი პროფესორი უ.ნატერს მიაჩნია, რომ ტიპური საბჭოთა

- - - - - - - -

I იხ. Мызникова Г.М. Критика буржуазных теорий политической экономии социализма . М., Экономика, I983, с.42.

2 "კომუნიზმის პრობლემები", იანვარი-თებერვალი, 1960. (ინგლ. ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დავიწყებულია იმათ მიერ, ვინც მას მართავს. მის მუშაობას გეგმავენ, ცოდნას აძლევენ დოზებით, მის აზრს უწესებენ ნორმებს, გემოვნებას კარნახობენ, მის რეაქციას ითვალისწინებენ. ადამიანი იგეგმება საწარმოო პროცესში როგორც მანქანა და ნედლეული. როდესაც ადამიანს მართავენ როგორც საგანს, მაშინ იგი კარგავს თავის სუბსტანციას, მისი ინტერესები შეზღუდულია, რამდენადაც საწარმოო მიზნებს მგეგმავები განსაზღვრავენ ადამიანის როგორც მომხმარებლის სურვილების, მოთხოვნილებების მიუხედავად.

სოციალისტური დემოკრატია ბურჟუაზიული იდეოლოგების ერთ-ერთი ტრადიციული თავდასხმის ობიექტია. მას ისინი წარმოგვიდგენენ როგორც წინააღმდეგობას, რომელიც თითქოსდა ხელს უშლის მუშათა მონაწილეობას მართვაში. ბურჟუაზიულ თეორეტიკოსს ლავინს მშრომელთა მონაწილეობა მართვაში მიაჩნია შეზღუდულად. მისი აზრით, მშრომელები პასიურები არიან, ნაკლებად აინტერესებთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან. ამას იგი ხსნის იმით, რომ მშრომელებმა თითქოს იციან თავიანთი მოქმედების საზღვრები მოცემულ სფეროში. ამ სიტყვების დასამტკიცებლად ლავინი იმოწმებს სოციალისტური ქვეყნების პრესას, სადაც გაკრიტიკებულია სოციალისტური დისციპლინის და შეჯიბრების დარღვევების შემთხვევები და ასკვნის, რომ მშრომელთა როლი განისაზღვრება მხოლოდ "ზემოდან" მიღებული საწარმოო გეგმების შესრულებით.

ფრანგი მეცნიერი ჟ.მარჩევსკი აღნიშნავს, რომ რეალური სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა "ადმინისტრაციულ და ღირებულებით სტიმულებს შორის". ამ შეხედულების მომხრე იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ სოციალიზმის დროს საწარმოებს დაკარგული აქვთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ისინი მოქმედებენ როგორც ე.წ. ავტომატები, რომლებიც რეალიზაციას უკეთებენ "ზემოდან" მიღებულ გეგმურ დავალებებს და ჯილდოვდებიან არა შრომითი შედეგების მიხედვით, არა-

ნეე "ბრძანების შესრულებისათვის".

სოციალიზმის დროს არსებულ ნეგატიურ მოვლენებზე სპეკულაციას წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გავრცელებული "მეორე ეკონომიკის" ანუ "ჩრდილოვანი ეკონომიკის" ბურჟუაზიული თეორია. მისი მიმდევრები გ.გროსმანი, გ.შროედერი, ბ.სევერინი, გ.პენდკარპი, ბ.სუიზი და სხვ. "მეორე ეკონომიკას" განსაზღვრავენ როგორც გეგმური ეკონომიკის საზღვრებს გარეთ განხორციელებულ მეურნეობას და მასში პირადი დამხმარე მეურნეობის გარდა შეჰყავთ ყველა ის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ასეთი ეკონომიკა, მათი აზრით, არ ექვემდებარება სოციალისტური სახელმწიფოს კონტროლს და მის შინაარსში იგულისხმება ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, სპეკულაცია დეფიციტური საქონლით, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა, მიწერები; ამასთანავე, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაც. მათი აღმოფხვრა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს მიაჩნიათ უტოპიად, რამდენადაც ყოველივე ამას ისინი სოციალიზმისათვის ორგანულად დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევენ.

ამგვარად, ბურჟუაზიული იდეოლოგების მთელი მისწრაფება მიმართულია იქითკენ, რათა დაამტკიცონ სოციალიზმის დროს პიროვნების ინტერესების შეზღუდულობა, მათი მსჯელობები თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, კონფლიქტებზე, შრომითს იძულებასა და ექსპლუატაციაზე ეყრდნობა ან სოციალიზმის დროს არსებული ნეგატიური მოვლენების გადმოცემას, ან კიდევ გამოგონებულ წინააღმდეგობებს რიგით მშრომელსა და "ტექნოკრატიულ ელიტას" შორის, "მმართველებს და სამართავებს" შორის, პარტიულ-სახელმწიფო და სამეურნეო აპარატს შორის, აგრეთვე "ტექნოკრატიულ" და "პოლიტიკურ" ინტელიგენციას შორის და ა.შ.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ინდივიდისა და კოლექტივის სახელმწიფო აპარატთან დამოკიდებულებას ახასიათებენ როგორც წარმოების აგენტების

ეროვნული ბიბლიოთეკა



კავშირს, რომელიც დამყარებულია მხოლოდ მათივე ინტერესების რეალიზაციაზე. ამასთანავე, სახელმწიფო აპარატის მმართველი ორგანოების გაბატონებული ინტერესები, მათი აზრით, ზღუდავს ინდივიდის და კოლექტივის ინტერესებს და უსპობს მათ თავისუფლებას. ასეთი პოზიცია უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის დროს, ფ.ენგელსის გამოთქმით, საზოგადოების ყველა წევრის ინტერესთა ერთობლიობა აყვანილია ძირითად პრინციპამდე, სადაც საზოგადოების ინტერესი უკვე აღარ განსხვავდება ცალკეული პირების ინტერესისაგან.[1] ეს ერთიანობა ბუნებრივია, წინააღმდეგობის მატარებელიცაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზომაზე მეტი ცენტრალიზაცია ზღუდავს ადამიანის ინიციატივას, ხოლო დამოუკიდებლობა და საბაზრო მეთოდების განვითარება - ასუსტებს საზოგადოების ინტერესებს. განვითარების ყოველი ეტაპი მოითხოვს მათ შორის შესაბამისობის დაცვას, ოპტიმალურ თანაფარდობას. ბურჟუაზიულმა თეორეტიკოსებმა ეს წინააღმდეგობა დაიყვანეს კონფლიქტამდე და მისი გადაჭრის გზად დასახეს ალტერნატივა: - "ან გეგმა - ან ბაზარი" და ამით დააყენეს საკითხი" ან სოციალისტური ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი ან ინდივიდის თავისუფლება".

გარდა ამისა, ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა ნეგატიური მოვლენები სოციალიზმის დროს გაათანაბრეს დიალექტიკური წინააღმდეგობების არსთან როგორც მოძრაობის წყაროსთან და ამით უგულებელყვეს წინააღმდეგობის დიალექტიკური ბუნება. სახელდობრ ის, რომ სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობები მოიცავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. მათ არ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი როლი, სხვანაირად წინააღმდეგობები წარმოუდგენელია. მისი განვითარების ყველა ეტაპზე წინააღმდეგობები ასრულებენ მოძრაობის წყაროს როლს, მაგრამ მისი მოქმედება იცვლება თავისი ევოლუციის სხვადასხვა

- - - - - - - - - -

[1] იხ. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т.2, с. 538.

სტადიების გავლასთან დაკავშირებით. წინააღმდეგობები მისი წარმომობის სტადიაზე ასრულებს მამოძრავებელი ძალის როლს, სიმწიფის სტადიაზე იგი თხოულობს გადაჭრას და ინარჩუნებს იმპულსის როლს. წინააღმდეგობის გადაჭრის შეფერხება აფერხებს განვითარებასაც, მაგრამ ამ სტადიაზეც იგი რჩება მოძრაობის წყარო, რამდენადაც დაპირისპირებულ მხარეთა "ბრძოლა" გრძელდება და იწვევს მოვლენაში ვარკვეულ ცვლილებებს. ამასთან, ბურჟუაზიული იდეოლოგებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის აზრი, რომ სოციალიზმის წინააღმდეგობების გადაჭრა ხდება საკუთარ საფუძველზე და ნიშნავს სოციალიზმის როგორც საზოგადოებრივი სისტემის კვლავწარმოებას უფრო მაღალ დონეზე, ძველის, დრომოჭმულის უარყოფას და ახალი შესაძლებლობების გამოვლენას.

ინტერესთა წინააღმდეგობებზე დაყრდნობით ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა წამოაყენეს "სოციალისტური მეურნეობის არაეფექტიანობის" თეორია. ეს თეორია ეფუძნება, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, თითქოს მშრომელთა ინტერესები არ ემთხვევა "ცენტრის" ინტერესებს, მათ შორის არსებობს წინააღმდეგობა, ხოლო, მეორე მხრივ კი, ა.ვებერის, ვ.ოიკენის, გ.გროსმანის, პ.უაილზის და სხვათა დახასიათებით, სოციალისტური ეკონომიკა არის "მკაცრად ცენტრალიზებული", "ტოტალიტარული", "ბიუროკრატიული" და მას არ აქვს უნარი კეთილდღეობის წარმოება შეუთავსოს ინდივიდების მოთხოვნილებებს.[I] ისინი სოციალიზმს განიხილავენ როგორც "მბრძანებლურ", "პოლიტიზირებულ" ეკონომიკას, აგრძელებენ ამ მიმართულებით იდეების "განვითარებას", რომლის თანახმადაც სოციალიზმი უარყოფს მომხმარებლის სუვერენიტეტს, ამიტომ ვერ აკმაყოფილებს მათ რეალურ მოთხოვნილებებს. სოციალისტური სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის გამო მომხმარებლის ინტერესები "შელახულია". ამის საილუსტრაციოდ მოვყავთ საბჭოთა

- - - - - - - -

I იხ. Критика буржуазных воззрений на экономическую систему социализма. Под.ред. В.В.Голосова, М., I984, с. 39.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კავშირში "სასურსათო კრიზისის" მაგალითები. ამასთან, ლენინის კოოპერაციულ გეგმას უწოდებენ "ფსევდოკოოპერაციულს", რადგან მათი აზრით, სახელმწიფო ზღუდავს კოოპერატივების თავისუფლებას, დაბოლოს, ასკვნიან, რომ სოციალიზმს არ შესწევს უნარი, გადაჭრას ეს კრიზისი.

70-იანი წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში სოვეტოლოგებმა წამოაყენეს "სოციალიზმის არაეფექტიანობის" ახალი ვარიანტი. თითქოს, ჩვენს საზოგადოებაში არსებობს კონფლიქტი სოციალიზმსა და "ინდუსტრიალიზმს" შორის. ამ კონცეფციის არსი, რომელიც ათეული სხვადასხვა ვარიანტით არის შედგენილი, მდგომარეობს იმაში, რომ სოციალიზმი ეფექტური იყო მხოლოდ მისი განვითარების დასაწყისში, როდესაც ჩამორჩენილი ქვეყნის ექსტენსიური განვითარება იძლეოდა მაღალი ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობას, მაგრამ, როდესაც საჭირო გახდა ინტენსიურ სტადიაზე გადასვლა და წინა პლანზე წამოიწია არა ინდუსტრიული ბაზის შექმნამ, არამედ მისმა გამოყენებამ ადამიანის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სოციალიზმი ჩამორჩა ეფექტიანობის მხრივ კაპიტალიზმის განვითარებას. ეს თეზისი წარმოადგენს რეაქციას სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის 70-იანი და 80-იანი წლების სტრატეგიულ კურსზე. "ჩვენს ეკონომიკას უდიდესი რეზერვები აქვს, - აღნიშნავს მ.ს.გორბაჩოვი, - ბევრი მათგანის გამოყენება ჯერ, კაცმა რომ თქვას, არც დაგვიწყია... ჩვენ ვალდებული ვართ... წარმოებაში მოვაქციოთ ეკონომიკის ყველა რეზერვი, განვამტკიცოთ შემდგომ გარდაქმნათა საფუძველი".[1] ასეთმა მიდგომამ ფაქტიურად უნდა უზრუნველყოს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის თვისებრივად ახალ საფეხურზე ასვლა.

"სოციალისტური ეკონომიკის არაეფექტიანობის" თეორიის მონათესა-

---------

I სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1935, გვ.64-66.

ვე კონცეფციაა ბურჟუაზიული სოვეტოლოგების მიერ სოციალიზმის დროს სხვადასხვა "კრიზისების" აღიარება. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის დაცემის "ამსახველი" ეკონომიკური მაჩვენებლების, ამასთანავე, ფონდუკუგების, შრომის ნაყოფიერების და სხვა ეკონომიკური ფაქტორების მანიპულაციის საფუძველზე ისინი ანვითარებენ "ნედლეულის" "ენერგეტიკული", "სასურსათო", "დაგეგმვის", "სოციალიზმის როგორც სისტემის კრიზისების" კონცეფციებს და ამით კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები გადმოაქვთ სოციალიზმის პირობებში.

"საბჭოთა ეკონომიკის კრიზისის" მითი გავრცელდა იმ მიზნით, რომ დაამტკიცონ, თითქოს სოციალიზმს ახასიათებს ანტაგონისტური წინააღმდეგობები. ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ იმ ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სირთულეებს, რომლებიც გვხვდება სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის გზაზე. სოციალიზმს ახასიათებენ როგორც სისტემას, რომელიც მოწოდებულია "საგანგებო" ზომებით უზრუნველყოს ჩამორჩენილი ქვეყნების დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარება. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ სოციალიზმის სპეციფიკური ისტორიული მისია დამთავრებულია. იწყება "კრიზისები", რომლის მთავარ მიზეზად მიაჩნიათ წინააღმდეგობა ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის. მათი აზრით, მეურნეობის საბჭოთა მოდელი ნაკლები ხარისხით ასახავს ეკონომიკურ ხელმძღვანელობას და უფრო მეტად არის "პოლიტიკური მოქმედება". ამ მოდელში გამოიხატება "ფუნდამენტური კონფლიქტი" ეკონომიკაზე ტოტალიტარული კონტროლის იმპერატივსა" და ეკონომიკურ ურთიერთობათა რაციონალურ სისტემაში ნებისმიერი ინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა მათ მიაჩნიათ შეუძლებლად, რამდენადაც იგი ემყარება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და მის პრიმატს სახელმწიფოზე.

რეფორმისტულ დოქტრინას დამორჩილებული მთელი რიგი ბურჟუაზიული კონცეფციები უარყოფენ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმას როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის საფუძველს, აიგივებენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წინააღმდეგობებს და წინა პლანზე გამოჰყავთ ან ზოგადისტორიული წინააღმდეგობები წარმოებასა და მოხმარებას შორის, ან კიდევ გარეგანი წინააღმდეგობები ეკონომიკას, პოლიტიკას და კულტურას შორის. "ტრაგიკული ფილოსოფიის" წარმომადგენლებს ყველა საზოგადოების წინააღმდეგობები დაჰყავთ გადაუჭრელ, ტრაგიკულ კონფლიქტებამდე (აქედან წარმოსდგება მათი სახელწოდებაც) და განვითარების ბუნებრივ მდგომარეობას ხედავენ მხოლოდ ანტაგონიზმში.

ყველა ზემოთ აღნიშნული კონცეფცია, მართალია სრულად ვერ ასახავს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა შეხედულებებს სოციალიზმის წინააღმდეგობების შესახებ, მაგრამ , ცხადია, რომ ყველა ისინი ეყრდნობიან საერთო საფუძველს, იმის მტკიცებას, რომ წინააღმდეგობების ერთ-ერთ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს კონფლიქტი, დისპროპორციები, კლასობრივი ბრძოლა და ა.შ. მათი აზრით, თუ სოციალიზმი არის კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი საფეხური, მით უმეტეს, ამ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს ანტაგონიზმები. ზოგიერთმა რევიზიონისტმა "დაადანაშაულა" კომუნისტური პარტია იმაში, რომ სოციალიზმის დროს ანტაგონიზმების უგულებელყოფით მათ "მიივიწყეს" დიალექტიკა. სწორედ არაანტაგონიზმების აღიარებაში ხედავენ ისინი დიალექტიკის უარყოფას და აყენებენ ასეთ ალტერნატივას: სოციალიზმის დროს წინააღმდეგობებმა ლოგიკურად უნდა გამოიწვიოს კრახი, რევოლუცია, მაგრამ თუ ჩვენ ამას უარვყოფთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ ის, რომ დიალექტიკამ, და მაშასადამე ისტორიამ, მიაღწია მის აღსასრულს. ფრანგი ფილოსოფოსი ა. შამბრა აღნიშნავს, რომ "იმ ზომით, რა ზომითაც მიაჩ-

ნიათ, რომ სსრ კავშირში აღარ არის ანტაგონისტური წინააღმდეგობები და ექსპლუატირებული მუშები, ისტორიის მამოძრავებელი ძალები, როგორც იგი ესმოდა კ.მარქსს, ქრებიან... საბჭოთა კავშირის განვითარების ჰორიზონტზე ისახება დიალექტიკის სიკვდილი".[1]

ბურჟუაზიული სოვეტოლოგები: გ.ვეტერი, გ.რორმოზერი და სხვანი ცდილობიან იმ მტკიცებას, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია უარყოფს წინააღმდეგობებს სოციალიზმის დროს და დიალექტიკა ამ შემთხვევაში "იხსნება დღის წესრიგიდან", იწყება დიალექტიკის "გაყინვა", რის შედეგადაც ერთ ადგილზე "იყინება" სოციალისტური საზოგადოებაც.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსების ამ დებულებებში არის მისწრაფება, "დიალექტიკის დაცვის" სახელით გააბუნდოვნონ დიალექტიკა. თავის დროზე ვ.ი.ლენინი მიუთითებდა, რომ ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა ერთი და იგივე არ არის. პირველი ქრება, ხოლო მეორე კი დარჩება სოციალიზმის დროს.[2] სწორედ ამ დებულების უარყოფა არის ბურჟუაზიულ იდეოლოგთა თეორიული საზრდო, რომლიდანაც წარმოიშვება სოციალისტურ ურთიერთობათა ფალსიფიკაციათა სხვადასხვა განშტოება.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი თეორეტიკოსები აშკარად აღარ გამოდიან მარქსიზმის წინააღმდეგ. თანამედროვე რევიზიონიზმი ხმამაღლა აღიარებს და მოუწოდებს იდეოლოგებს - უკან, მარქსიზმისკენ", რაც განპირობებულია იმით, რომ ვ.ი.ლენინის განმარტებით, მარქსიზმის ყოველი ახალი წარმატება აიძულებს მათ მოირგონ მარქსისტების ნიღბები.[3]

- - - - - - - -

1 Вопросы философии, 1966, № 2, с.135.

2 იხ. Ленинский сборник, т.XI, с. 357.

3 იხ.: ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.18, გვ.707.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თუ ადრე რევიზიონიზმის მამამთავარი ბერნშტეინი უარყოფდა მუშათა კლასის ბრძოლის იზანს - სოციალიზმს ("საბოლოო მიზანი არაფერია, მოძრაობა - ყველაფერი"), არ ცნობდა მარქსიზმში დიალექტიკის მთავარ მხარეს - მოძღვრება განვითარების შესახებ როგორც დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობა და "ბრძოლა", ამჟამად თანამედროვე რევიზიონიზმი "იბრძვის" ჭეშმარიტი სოციალიზმისათვის", "განახლებული", "არადეფორმირებული" სოციალიზმისათვის. ისინი დიალექტიკას ცვლიან ეკლექტიკითა და სოფიზმით და მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის განვითარება არ შეესაბამება მარქსიზმის თეორიას. ამიტომ, მათი აზრით, უნდა შეიქმნას "ჭეშმარიტი" სოციალიზმის მოდელი, რომელიც დაემსგავსება "საბაზრო სოციალიზმს", "პლურალისტულ სოციალიზმს" და ა.შ. ყოველივე ამას ისინი ახალ სიტყვად მიიჩნევენ სოციალიზმის შესახებ. სინამდვილეში კი, გოეთეს ფაუსტის სიტყვების მიხედვით, მათი "ყოფიერების სიბრძნე" მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ "ყოველივე ახალს კერავენ ძველმანებისგან".

თანამედროვე რევიზიონიზმის მეტამორფოზი განპირობებულია იმით, რომ, როგორც ყოველი მიმდინარეობა, იგი დამოკიდებულია ცხოვრების მატერიალურ პირობებზე. სოციალიზმი ამჟამად გადაიქცა უდიდეს ძალად, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიო მოვლენების მსვლელობაში. იგი გადაიქცა კაპიტალიზმის დაპირისპირებულ მსოფლიო სისტემად, რომლის უგულებელყოფა ყოვლადშეუძლებელი გახდა.

ბურჟუაზიული ეკონომისტები ამახინჯებენ სოციალიზმის სინამდვილეს, ახდენენ წინააღმდეგობების აბსოლუტიზაციას. და ამით ცდილობენ შექმნან იმის ილუზია, რომ არ შეიძლება სოციალისტური მეურნეობის ოპტიმიზირება. ამის მაგალითად მოჰყავთ ის ფაქტები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება, კაპიტალისტურ მეურნეობაში გეგმური დავალებების შეუსრულებლობა, ასევე, გეგმური დავალებების

მუსრულებლობა მაღალი ხარისხისა და განსაზღვრული ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებაში, მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებაში ნაკლოვანებები და ა.შ. მათი ინტერესები სოციალიზმის პრაქტიკისადმი სულ უფრო იზრდება, მაგრამ სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ სუბიექტური, წინასწარ აკვიატებული შეფასება ასრულებს დომინირებულ როლს და ამის შედეგად სოციალიზმის საბჭოთა მოდელში ხედავენ მხოლოდ უარყოფით მხარეებს. ამასთანავე, თვითონვე "აფერადებენ" სოციალიზმის თეორიას და პრაქტიკას შორის წინააღმდეგობებს და ქმნიან კონცეფციებს ამ სისტემის უნიადაგობის შესახებ. ისინი იძლევიან ყველა სახის "რჩევას" სოციალიზმის "გაუმჯობესებისათვის". ამ მიზნით, მათ მიერ წამოყენებულია სოციალიზმის ტოტალიტარული და კონვერგენტული მოდელები, რომლებმაც, მათი აზრით, უნდა გადაჭრას ზემოთ აღნიშნული "წინააღმდეგობები" და უზრუნველყოს მეურნეობის რაციონალური, ეფექტური განვითარება.

ზემოთ აღნიშნული და მათთან ერთად კიდევ სხვა მრავალ ბურჟუაზიულ კონცეფციებს სოციალურ-ეკონომიკური კანონების მოქმედების ახსნის პრეტენზია აქვს და ამით თითქოს მეცნიერულ საფუძველს ემყარება.

XVII საუკუნის ფრანგი მოაზროვნის ფრანსუა დე ლაროშფუკოს თქმით, "ჭეშმარიტება ისეთ სიკეთეს ვერ ქმნის, როგორ ბოროტებასაც სჩადის მისი მოჩვენებითობა".[1] ასეთი მოჩვენებითი ჭეშმარიტებით თანამედროვე ანტიკომუნიზმი ცდილობს მისი ფალსიფიკატორული მტკიცებები გაასაღოს როგორც მართალი ინფორმაცია და ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაზე. მათი კლასობრივი საფუძვლები ნათლად არის გამოვლენილი. ისინი ასრულებენ იმპერიალიზმის სოციალურ შეკვეთებს, მიისწრაფვიან "დაამუშაონ" და "დანერგონ" სხვადასხვა ფილოსოფიური და სო-

---

[1] Де Ларошфуко Ф. Максимы и моральные размышления. М ., 1959, с.14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციოლოგიური დოქტრინები "სახალხო კაპიტალიზმის", დემოკრატიული კაპიტალიზმის, "კონვერგენციის", "ტექნოკრატიული საზოგადოების", "დეიდეოლოგიზაციის", "ღია ანტიკომუნიზმის" და სხვა თეორიები. ამასთან, რაც უფრო ნაკლებად უხდებათ მათ იმ ისტორიულად გარდამავალ სიძნელეებზე დაყრდნობა, რომლებიც არსებობენ სოციალისტურ მეურნეობაში, მით უფრო მეტად ხდება მათ მიერ ამ წინააღმდეგობების დამახინჯება.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზემოქმედებას თანამედროვე ახალგაზრდობა სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით განიცდის. მათ ეს თეორიები მხოლოდ თანამედროვეობასთან კავშირში აინტერესებთ. ბურჟუაზიული პროპაგანდას სოციალ-ეკონომიკური ცხოვრებისაგან ამოაქვს ყველაზე ზედაპირული ფაქტები, რომელთა ინტერპრეტაციაც ხელს აძლევს მათ კლასობრივ პოზიციას. მათ წინააღმდეგ ქმედითი კონტრპროპაგანდისტული მუშაობა მოითხოვს ახალგაზრდობაში არა ბურჟუაზიული იდეოლოგიის მისასვლელი გზების გადაღახვის მკაცრი პოლიტიკის გატარებას, რომელიც უცილობლად წარმოშობს "აკრძალული ხილისადმი" გარკვეულ ინტერესს, არამედ მათ ფართო გამოაშკარავებას და კრიტიკას. კ.მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმატების იმედით მოქმედება თხოულობს იმ მასალის ცოდნას, რომელზეც მოგვიწევს ზემოქმედება.[I] ახალგაზრდობის იდეური ფორმირების პერიოდი ამჟამად უფრო მეტ დროს მოიცავს, ვიდრე უწინ იყო. მთავარი ყურადღება გადატანილია მის განათლების მიღებაზე, რომელიც სულ უფრო რთულდება ინფორმაციის მოზღვავების პირობებში. ამასთან, ბურჟუაზიული პროპაგანდისტული ინფორმაციის მიღება მასობრივი კომუნიკაციების მეშვეობით სულ უფრო იოლი ხდება, რაც ართულებს ამ ემპირიული ინფორმაციის სწორ და ოპერატიულ თეორიულ-პოლიტიკურ უზრუნველყოფას ახალგაზრდას ცნობიერებაში. წარმოიშვება წინააღმდეგობა ამ ინფორმაციასა და მასზე ახალგაზრდობის სწორ იდე-

- - - - - - - -

I იხ. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т.16, с.195.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოლოგიურ რეაგირებას შორის, რომელიც უმთავრესად საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლების პროცესში ხდება.

თუ ამჟამად სოციალური ინფორმაციის მიღება გამარტივდა მისი მოზღვავების გამო, სამაგიეროდ გართულდა მისადმი ახალგაზრდობის მიერ სწორი პოზიციის შემუშავების პროცესი, ფაქტიურად კი – მსოფლმხედველობის გამომუშავება. ეს წინააღმდეგობრივი პროცესი ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება იმაში, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ დიდი სოციალური ინფორმაცია ახალგაზრდას უყალიბებს ცოდნის ილუზიას, ხოლო ცხოვრებასთან შეჯახებისას აღმოჩნდება, რომ მას არასაკმარისი ორიენტირება გააჩნია მატერიალური და სულიერი ღირებულების შეფასებაში. ახალგაზრდობას ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული სისტემური ცოდნა, ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილება კი არ არის მისთვის საკმარისი სოციალური ფასეულობების შეცნობისა და საკუთარი თავის ადგილის პოვნისთვის. ამიტომ, მისი მსოფლმხედველობის ფორმირება არის სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგადაძალვის პროცესი.

მარქსისტულ მოძღვრებაზე დაყრდნობით ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა, მათი ფართოდ გამოაშკარავება უნდა ასაბუთებდეს სოციალიზმის იდეების სიძლიერეს. მის სწავლებას არ უნდა ჰქონდეს ინფორმაციული ხასიათი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათში წარმოიშვება ინფანტილური დამოკიდებულება საზოგადოებათმცოდნეობისადმი, შესაბამისად, ცხოვრებისეული მოვლენების პრაგმატულად აღქმის საშიშროებაც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა შორს არის უტილიტარიზმისაგან. ამიტომ, საზოგადოებათმცოდნეობის მთავარ ამოცანად ვ.ი.ლენინს მიაჩნდა ნათელი, ერთიანი – სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება.[I]

- - - - - - - -

I იხ. Ленин В.И. Полн.собр.соч., т.I6, с.II5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, მარქსისტული პროპაგანდა მაშინ შეიძლება იყოს ქმედითი, თუ იგი ადამიანის კონკრეტულ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული და არ ექნება აბსტრაქტული ხასიათი. "წმინდა" თეორია პრაქტიკისაგან მოწყვეტით უსარგებლოდ იქცევა, ასევე ზიანის მომტანია პრაქტიკის ახსნა მარქსისტული თეორიის გარეშე. "ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, - აღნიშნავდა ვ.ი.ლენინი, - ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყოს ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი".[1]

თანამედროვე პერიოდში ამ გარემოების უგულებელყოფამ განაპირობა საზოგადოებათმცოდნეობის იდეოლოგიურ ფუნქციის დაქვეითება. მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის სოციალური პრესტიჟისადმი თანდათანობით დაიკარგა პატივისცემა არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ, რაც ყველაზე სამწუხაროა, საგეგმო და სამეურნეო ორგანოების მუშაკთა შორისაც. საზოგადოებრივ აზრში თეორიაში მეცადინეობა გაიგივებული გახდა სიტყვიერ ეკვილიბრისტიკასთან.[2]

ამ ვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე, სადაც აღინიშნა, რომ "ჩვენი ფილოსოფიურ-ეკონომიკური, მთელი საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერება გარკვეულწილად დაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებებს... ვერ შევურიგდებით მდგომარეობას, როცა ლექციებზე ლაპარაკობენ ერთს, რეალურ ცხოვრებაში კი სტუდენტი სხვა რამეს ხედავს... საჭიროა... მივუახლოვოთ სწავლება პრაქტიკას, გავათავისუფლოთ ლექციები და სემინარები სოციალიზმზე გამარტივებული წარმოდგენებისაგან... როცა მასწავლებელი თავს არიდებს მწვავე საკითხებს და სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობებს, ზედაპირულად განიხილავს მათ, იგი არ ზრდის სტუდენტებს".[3]

- - - - - - - - -

1 ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.31, გვ.354.
2 იხ. Экономические науки, 1984, № 4, с.37.
3 გაზ. "კომუნისტი", 2 ოქტომბერი, 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამჟამად საზოგადოებათმცოდნეობისადმი მთავარი მოთხოვნაა სოციალური მასალის არა პასიური გადაცემა ახალგაზრდობისათვის, არამედ შემოქმედებითი შესწავლა მის სინამდვილის ფაქტებთან და მოვლენებთან კავშირში. ახალგაზრდობის აღზრდა უნდა ხდებოდეს არა აბსტრაქტულად, არამედ საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს კლასობრივი ხაზის გატარებას. მარქსისტული თეორიის საფუძველზე ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა ახალგაზრდობაში უნდა აყალიბებდეს საზოგადოებრივი მოვლენების შეფასების კლასობრივ პოზიციებს, იმის უნარს, რომ თვალსაჩინო გახდეს მათთვის კლასების მამოძრავებელი მოტივები. ეს პოზიციები უნდა იყოს ნათელი, ზუსტი და, რაც მთავარია, არგუმენტირებული. დაუსაბუთებელი დებულებების გადმოცემა უმრავლეს შემთხვევაში ცხოვრებისეულ პრაქტიკასთან მიმართებაში დისკრედიტირებული აღმოჩნდება ხოლმე.

ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ფორმირებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმას, რომ გაარკვიონ სოციალიზმის სიღრმისეულ და ზედაპირულ წარმოდგენათა განსხვავება, არსსა და მის გამოვლენის ფორმებს შორის წინააღმდეგობათა კანონზომიერებები, რათა ალტერნატიულად არ მიუდგნენ საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზს, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები აკეთებენ და ეჭვის ქვეშ დააყენონ საკითხი, თუ რომელია ჭეშმარიტი - თეორია თუ პრაქტიკა.

სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები, მათი ბურჟუაზიული ინტერპრეტაციები აყენებენ პრობლემებს, ქმნიან სიტუაციებს, სადაც ნათლად ჩანს მათი გადაჭრის სირთულე. იგი მოითხოვს მსჯელობის, დასაბუთების, კრიტიკის უნარის განვითარებას.

სოციალიზმის დროს არსებული წინააღმდეგობების გადალახვის აუცილებლობის შეგნება მისი სწორ იდეოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ახალგაზრდობა გამოიმუშავებს პრინციპულობას, შეუპოვრობის უნარს რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, დაუპირისპიროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეები ცხოვრებას და გამოიტანოს სწორი დასკვნები, დაინახოს ანტიკომუნისტური თეორიები, წინააღმდეგობა და მათი იდეების შეუსაბამობა ცხოვრებასთან. მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი ახალგაზრდობის იდეური გამოწრთობა, შეძენილი ცოდნის, იდეური მრწამსის და პრაქტიკული საქმიანობის ერთმანეთთან დაკავშირება.

Токмазишвили М.Д.

Мировозренческое значение критики буржуазных теорий о противоречиях социализма в деле коммунистического воспитания молодежи.

## А Н Н О Т А Ц И Я

Работа посвящена критическому анализу домыслов буржуазных теоретиков о противоречиях в советской жизни, разоблачению их антикоммунистической фальсификации. Особое внимание уделяется влиянию реальных социально-экономических противоречий социализма на формирование мировоззрения молодежи и утверждается, что возникшее в последнее время индиферентное отношение к обществоведению и прагматическое отношение к жизни у части молодежи можно преодолеть только через восстановление единства теории и практики, освобождение теории социализма от упрощенного представления и абстрактных трактовок.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრა

მ.გ.გოგუაძე

## ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა - გარდაქმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ახალი ამოცანების სიღრმე და მასშტაბურობა კიდევ უფრო ზრდის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ინტერესს სოციალური სინამდვილის სრულყოფის პრობლემებისადმი. ამ თეორიით შეიარაღებულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 ) პლენუმზე შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დაამტკიცა როგორც სტრატეგიული კურსი. იგი დღის წესრიგში აყენებს მოსახლეობის ფართო მასების სოციალური აქტივობის შემდგომი ამაღლების ამოცანას, რომლის მიღწევაც, თავის მხრივ, გულისხმობს კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიის, ძლიერი სოციალური პოლიტიკისა და მიზანდასახული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობას. დაჩქარებაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება. მაგრამ, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღნიშნა; სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ.ს.გორბაჩოვმა, "დაჩქარების კურსი არ იფარგლება ეკონომიკის დარგში მიღწეული გარდაქმნებით. იგი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების თანამიმდევრულ დამკვიდრებას. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის... დაძლევას".[1]

დასახული მიზნების მიღწევის მთავარ გარანტიად პარტია მოსახლეობის ფართო მასების, მათ შორის ახალგაზრდობის, ცოცხალ შემოქმედებას, მათს სოციალურ აქტივობას, საერთოდ, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას მიიჩნევს.

ცნებები "დაჩქარება" და "სოციალური აქტივობა" ურთიერთგანპირობებული ცნებებია. დაჩქარება წარმოუდგენელია სოციალური აქტივობის შემდგომი ამაღლების გარეშე, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი არ მოიაზრება იმ სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული, კულტურულ-ტექნიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ორგანიზაციულ-პოლიტიკური ფაქტორების გარეშე, რომლებსაც ესოდენ დიდი ადგილი უჭირავს დაჩქარების კონცეფციაში. მაშასადამე, სახეზეა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმ ორ ფენომენს შორის. ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ შეიძლება გარკვევით ითქვას: დაჩქარება მიზანიცაა და მისი მიღწევის საშუალებაც, ე.ი. სოციალური აქტივობის ამაღლების საშუალებაც და ამ გზით საზოგადოების განვითარების დაჩქარებაც.

კიდევ უფრო "ხელშესახები" ურთიერთკავშირი ცნებებისა - "დაჩქარება" და "ახალგაზრდობის სოციალური აქტივობა". სწორედ იმის გამო, რომ ახალგაზრდობა საზოგადოების ყველაზე უფრო დინამიკური სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფია, სიახლის ათვისება და ცხოვრებაში რეალიზება სავსებით პასუხობს მის ბუნებრივ მდგომარეობას. ახალგაზრდა თაობა ადვილად თავისუფლდება ძველი სოციალურ პოლიტიკური გადმონაშთებისაგან, დრომოჭმული და მავნე ტრადიციებისაგან, მისთვის მიუღებელი წეს-ჩვეულებებისაგან. ის ყველაზე ძნელად ურიგდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯ

- - - - - - - - - - -

I საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ.32.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, გადახვევებს სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებისგან, სიტყვისა და საქმის დაშორებას, ინერციას, უძრაობასა და კონსერვატიზმს. ასეთი პოზიცია კი ჩვენი საზოგადოების დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მაგრამ, ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამომუშავება ავტომატურად მიმდინარეობს. ამიტომ, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლება სკკპ მიაჩნია უმნიშვნელოვანეს პარტიულ, სახელმწიფოებრივ, საერთო სახალხო საქმედ.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი გულისხმობს ღრმა გარდაქმნებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ცნებები "გარდაქმნა" და "სოციალური აქტივობა" ასევე ურთიერთგანპირობებული ცნებებია. სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე ეს ცნებები უერთმანეთოდ არ მოიაზრება, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 ) პლენუმზე აღნიშნა ამხანაგმა მ.ს.გორბაჩოვმა,"გარ აქმნა ეს არის მოდუნების პროცესების მკვეთრი დაძლევა, დამუხრუჭების მექანიზმის დამსხვრევა... ეს არის მასების ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობა... დემოკრატიის, სოციალისტური თვითმმართველობის ყოველმხრივი განვითარება, ინიციატივის, თვითმოქმედების წახალისება, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში..."[1] იგი მიზნად ისახავს დავძლიოთ წინააღმდეგობანი, მივაღწიოთ სოციალისტური საზოგადოების ახლებურ თვისებრივ მდგომარეობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987) პლენუმზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს,რომ გარდაქმნის პროცესმა წინა პლანზე წამოსწია

- - - - - - - -

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27-28 იანვარი, თბ.,1987, გვ.20.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, განახლების, შემოქმედების, აღმშენებელი ინიციატივის მოთავეებს და, მეორე მხრივ, კონსერვატიზმს, ინერციას, ანგარებას შორის.

ამ წინააღმდეგობის დაძლევა და გარდაქმნის საბოლოო მიზნის - ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლების განხორციელება წარმოუდგენელია დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების გარეშე. სწორედ დემოკრატია, რომლის არსია მშრომელი კაცის ძალაუფლება, წარმოადგენს მისი ფართო პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების რეალიზაციის, გარდაქმნების განხორციელებაში პრაქტიკული მონაწილეობით მისი დაინტერესების ფორმას. ამიტომ, სახავს გადაუდებელ ამოცანად პარტია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის შემდგომ გაღრმავებას. ამას გულისხმობს სწორედ სკკპ XXVII ყრილობის, აპრილის, იანვრის, ივნისის პლენუმების კურსიც, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარებაა.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987) პლენუმზე აღინიშნა, ხალხის ინიციატივისა და შემოქმედების ნამდვილ გაძლიერებას მაშინ შევძლებთ თუ ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტები აქტიურად და რეალურად მოახდენენ გავლენას საქმის ვითარებაზე ყოველ შრომით კოლექტივში. ამიტომაც მიენიჭა ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა დემოკრატიის განვითარებას შრომით თუ სასწავლო კოლექტივებში, ნამდვილად თვითმმართველობითი საწყისების თანამიმდევრულ დანერგვას მათ მუშაობაში.

მართვაში მშრომელთა, მათ შორის ახალგაზრდობის, მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებს ამტკიცებს კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1987 წლის 30 ივნისის დადგენილებით სამოქმედოდ იქნა შემოღებული 1988 წლის 1 იანვრიდან. კანონი მოწოდებულია, ძირფესვიანად შეცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლის მეურნეობრიობის პირობები და მეთოდები ეკონომიკის ძირითად რგოლში, დაამკვიდროს საწარმოთა საქმიანობაში საგეგმო საწყისისა და სრული სამეურნეო ანგარიშის, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის შეხამება, დააკანონოს თვითმმართველობის ახალი, მასების შემოქმედებით შობილი ფორმები. მასში აღნიშნულია, რომ სოციალისტური თვითმმართველობა ხორციელდება ფართო საჯაროობის პირობებში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლში მთელი კოლექტივისა და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის, ხელმძღვანელთა არჩევითობისა და საწარმოს მართვაში ერთმმართველობის გზით. თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია მშრომელთა მეცადინეობის გაერთიანება და ინიციატივის განვითარება თვალსაჩინო შედეგების მიღწევისათვის, მუშაკთათვის ორგანიზებულობისა და დისციპლინის დასანერგად, მათი პოლიტიკური შეგნების ასამაღლებლად.

აქედან ნათელია, რომ სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დგას მოსახლეობის ფართო ფენების, მათ შორის ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლების ამოცანაც. ამ ამოცანის გადაწყვეტის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა სკკპ XXVII ყრილობამ, საკავშირო ალკკ XX ყრილობამ.

უკანასკნელი წლების პარტიულ და კომკავშირულ დოკუმენტებში განსაკუთრებითაა აღნიშნული პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის ჩაბმის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ამ კუთხით ჯერ კიდევ არაა სრულად დაკმაყოფილებული საზოგადოების მოთხოვნილება და ამიტომ ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლება ქმნის სოციალური სინამდვილის თავისებურ "პრობლემურ ველს". მით უმეტეს, რომ "ბოლო წლებში წარმოქმნილი სოციალური კოროზიის ელემენტები ნეგატიურ გავლენას ახდენდა საზოგადოების სულიერ განწყობილებაზე... ამის გარდაუვალი შედეგი იყო საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესის შენე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლება".[1] ეს კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლების პრობლემის დამუშავებისა და მართვის მნიშვნელობას.

"საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის" ცნება გავრცელებული ცნებაა საბჭოთა ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ინფორმაციის მასობრივი საშუალებების, ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის "ღირებულებათა სკალაზე" მას ერთ-ერთი მაღალი ადგილი უკავია, ნათელია, რაოდენ დიდ ინტერესს იწვევს საკვლევი ფენომენის როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ასპექტები. ასეთი ინტერესი გამოწვეულია როგორც თეორიის განვითარების თავისებურებებით, ასევე საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნითაც. ჯერ კიდევ კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა მოგვცეს მნიშვნელოვანი კანონზომიერების ფორმულირება: "რაც უფრო ფართო და რაც უფრო ღრმაა საზოგადოებაში მომხდარი გადატრიალება, მით უფრო ბევრნი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ გადატრიალების შემოქმედნი არიან..."[2] ანვითარებდა რა ამ აზრს ვ.ი.ლენინი, წერდა: "...რაც უფრ. ძნელია, რაც უფრო დიდია, რაც უფრო პასუხსაგებია ახალი ისტორიული ამოცანა, მით უფრო მეტი უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთა მილიონები ჩაბმულ უნდა იქნან ამ ამოცანათა გადასაწყვეტად დამოუკიდებელ მონაწილეობაში".[3]

სწორედ ფართო და ღრმა, ძნელი და პასუხსაგები, ამავე დროს უდიდესი ამოცანა იქნა დასახული სკკპ XXVII ყრილობის მიერ – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, სოციალური სინამდვილის ყველა სფეროს გარდაქმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში იზრდება ადამიანის ფაქტორის როლი, რადგანაც "ყოველი საქმის წარმატება გადამ-

- - - - - - - -

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27-28 იანვარი. თბ.,1987, გვ.15

2 მარქსი კ. და ენგელსი ფ. თხზ.,ტ.III. თბ. 1930, გვ.105

3 ლენინი ვ.ი. თხზ.,ტ.27, გვ.575.

წყვეტილად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად აქტიურად და შეგნე-ბულად მონაწილეობენ მასში მასები".[1]

როგორც სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაშია აღნიშნული, სოციალის-ტური საზოგადოება ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებს, თუ ცხოვრების ყველა სფეროში არ მიაგნო მასების შემოქმედებითი საქმიანობის გან-ვითარების ახალ გზებს.[2] ამიტომ, დღის წესრიგში დგას მშრომელთა ფარ-თო მასების სოციალური აქტივობის შემდგომი ამაღლების ამოცანა, რად-განაც "...მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა... ანიჭებს მძლავრ დაჩქარებას საზოგადოებრივ პროგრესს".[3]

ამგვარად, თვით საზოგადოებრივი პრაქტიკა აყენებს სოციალურ სუ-ბიექტთა, მათ შორის ახალგაზრდობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტი-ვობის ამაღლებას ჩვენი საზოგადოების აქტუალურ პრობლემათა რიგში. ამის შესაბამისად სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის თანამედრო-ვე ეტაპი კიდევ უფრო ზრდის თეორიულ ინტერესს მისდამი. ეს განსაკუთ-რებით ეხება დღევანდელ დღეს, როცა "დაჩქარების მრავალმხრივ ამო-ცანებს, მის ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებს - პოლიტიკურს, ეკონო-მიკურს, მეცნიერულ-ტექნიკურს, სოციალურს, კულტურულ-სულიერსა და ფსიქოლოგიურს - შემდგომი ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი ესაჭი-როება".[4]

ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის განსაზღვ-რისათვის აუცილებელია ზოგიერთი საკითხების წინასწარ გარკვევა. რო-

- - - - -- - - - -

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალე-ბი. თბ., 1986, გვ.35

2 იქვე, გვ.217

3 გორბაჩოვი მ.ს. საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა. თბ., 1985, გვ.20-21

4 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალე-ბი. თბ., 1986, გვ.130-131.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორც ვ.ი.ლენინი წერდა: "...ვინც კერძო საკითხებს სწყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაუწყვეტლად, თავისდა შეუგნებლად ყოველ ნაბიჯზე გარდუვალად "წააწყდება" ამ ზოგად საკითხებს".[1]

როგორც ცნობილია, ახალგაზრდობის სოციოლოგია იკვლევს ერთი თაობის მიერ მეორე თაობისათვის "ესტაფეტის გადაცემის" პროცესს. ის პასუხობს კითხვას, თუ რა გადაეცემა, რას წარმოადგენს თვითონ "ესტაფეტა", ანუ უფრო ზუსტად, იკვლევს რა საზოგადოებრივ ურთიერთობათა აღწარმოებას თაობათა ცვლის გზით, ახალგაზრდობის სოციოლოგია მიდის ფუნდამენტურ სოციოლოგიურ კითხვამდე, თუ ვისი აღწარმოება ხდება, რას წარმოადგენს საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს როგორც თავისი საკუთარი. ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია ამოდის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ახალგაზრდობა, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, მისი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრულია მთელის, ე.ი. საზოგადოების კანონზომიერებებით.

ჩვენი საზოგადოება მაღალგანვითარებული ეკონომიკის საზოგადოებაა, სადაც დღენიადაგ უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, გადაიჭრა უდიდესი სოციალური პრობლემები, სიმწიფის ახალ საფეხურზე ავიდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა, განმტკიცდა მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირი. ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევის გზაზე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ერებისა და ეროვნებების აყვავება ორგანულად ეხამება მათ ყოველმხრივ დაახლოებას. თითოეული ადამიანის შეგნებაში დამკვიდრდა გრძნობა, რომ იგი ეკუთვნის ერთიან ოჯახს - საბჭოთა ხალხს, როგორც ახალ სოციალურ და ინტერნაციონალურ ერთობას. კიდევ უფრო განვითარდა დემოკრატია. მაგრამ ეს წარმატებები გაცილე-

- - - - - - -

1 ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.12, გვ.606.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბით დიდი იქნებოდა ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, თავი რომ არ ეჩინა არასასიკეთო ტენდენციებს. "წლების მანძილზე, და არა მარტო ობიექტური ფაქტორების, არამედ, აგრეთვე, უპირატესად, სუბიექტური რიგის მიზეზების გამო, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკული მოქმედება ჩამორჩებოდა დროის, თვით ცხოვრების მოთხოვნებს. ქვეყნის განვითარებაში პრობლემები უფრო სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იჭრებოდა. ინერტულობა, მართვა-გამგეობის ფორმებისა და მეთოდების გაქვავება, მუშაობაში დინამიზმის შენელება, ბიუროკრატიზმის ზრდა - ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებდა საქმეს. საზოგადოების ცხოვრებაში თანდათან იჩინა თავი უძრაობის მოვლენებმა".[1] სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოცემული ეს შეფასება ნათლად ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში 70-იანი - 80-იანი წლების მიჯნაზე.

ასეთ ვითარებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდულ პოლიტიკაზეც. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში ორმა ტენდენციამ იჩინა თავი: პირველი, მეცნიერული კვლევა დაიყვანებოდა მკვლევარის ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაზე, რომლის დროსაც სამეცნიერო ამოცანები მოწყვეტილი იყო რეალურ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, არ ითვალისწინებდა პრაქტიკულ მიზნებს ან ფორმალურად უკავშირდებოდა მათ; მეორე, ადგილი ჰქონდა პრაქტიკული მიზნების მიღწევის გამარტივებულ გაგებას, რომლის თანახმადაც ამ მიზნების მიღწევა თითქოს შეიძლებოდა არა მეცნიერული შემეცნების სპეციფიკის გათვალისწინებით, არამედ პირდაპირ, უშუალოდ.

პირველი ტენდენცია უფრო ხშირად გვხვდებოდა თეორეტიკოსებში, კვლევის ავტორებში, მეორე - პრაქტიკოსებში, კვლევის დამკვეთებში

- - - - - - - -

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ.4-5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უნდა ითქვას, რომ ორივე ეს ტენდენცია ჯერ-ჯერობით ბოლომდე არაა დაძლეული). პირველ შემთხვევაში გააბსოლუტებული იყო მეცნიერული შემეცნების ავტონომიურობა, მეორეში - პრაქტიკული მიზანი. არადა, სწორედ აღზრდის ცნებაში ჩადებული კონკრეტული შინაარსი, ამის საფუძველზე კი პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევა ერთი მიმართულებით განსაზღვრავს მასოციალიზებელი ინსტიტუტების საქმიანობის ქმედითობას აღზრდის სფეროში.

როგორც ცნობილია, კარლ მარქსს აღზრდაში ესმოდა სამი რამ: გონებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და ტექნიკური სწავლება. სამივე ერთად და არა რომელიმე ერთი. სამივეს თანასწორობა და არა რომელიმე ერთის პრიორიტეტი. აღზრდის პროცესის დიალექტიკა სწორედ ამაშია. თორემ იმას არავინ არ უარყოფს, რომ ინჟინერმა განსაკუთრებულად მიუგდოს ყური ტექნიკურ აზრს, სპორტსმენმა ფიზიკურ მომზადებაზე გადაიტანოს აქცენტი, მეცნიერს კი გონებრივმა შრომამ ათქმევინოს - ევრიკა!

რატომ დაგვჭირდა ზემოთ მოტანილი მსჯელობა აღზრდასთან დაკავშირებით? პასუხს პრაქტიკა გვკარნახობს. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ვხვდებით აღზრდის ცალმხრივ გაგებას და, აქედან გამომდინარე, ცალმხრივი ღონისძიებების გატარებას - სიმძიმის ცენტრი გადაგვაქვს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე საკითხზე, რაც, ლოგიკის თანახმად, სხვადასხვა დროს იწვევს ამ მესამის, მეორეს, პირველის "თამაშგარე მდგომარეობაში" გაყვანას. საკითხისადმი უწყებრივმა მიდგომამ აქა-იქ აღზრდის სფეროშიაც შეაღწია. პარტია კი აღზრდას არ განიხილავს რომელიმე ერთი უწყების საქმედ. სკკპ XXVII ყრილობამ მოგვაწოდა აღზრდის მთელი საქმე, კერძოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა განვიხილოთ როგორც საერთო სახალხო, სახელმწიფოებრივი, პარტიული საქმე.

ამ საქმის სწორად დაყენებაში დიდი თეორიული და პრაქტიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა



მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის მახასიათებლების დაძებნას და მათს ანალიზს. ეს კი გულისხმობს, პირველ ყოვლისა, გავერკვეთ თაობათა ურთიერთობის დიალექტიკაში.

როგორც ცნობილია, წინა თაობების მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ათვისების საფუძველზე ყოველ ახალ თაობას რაღაც ახალი შემოაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვანაირად თაობათა მემკვიდრეობითობა და სოციალური პროგრესი აზრს დაჰკარგავდა. "თაობები არ არიან იზოლირებული ერთმანეთისაგან, მათ შორის არსებობს ორგანული კავშირი. თაობები, ძველი ბერძნების შედარება რომ გამოვიყენოთ, ტალღებს გვანან. თაობაც ისევე მისდევს თაობას, როგორც ტალღა ტალღას. ძველი თაობის ადგილს ახალი თაობა იჭერს, ეს უკანასკნელი კი ძველ თაობად იქცევა დროთა განმავლობაში. ეს ასეც უნდა იყოს: საზოგადოება სამყაროს ნაწილია და ისევე ემორჩილება ცვალებადობა-განვითარების დიალექტიკურ კანონზომიერებას, როგორც მთელი სამყარო. თაობათა ცვლა რომ არ იყოს, მაშინ მათ შორის კავშირი გაწყდებოდა და განვითარებასაც არ ექნებოდა ადგილი საზოგადოებაში".[1]

თაობათა მონაცვლეობის პროცესში ყოველი ახალი თაობა მემკვიდრეობით იღებს წინა თაობისაგან როგორც საწარმოო ძალებს, ასევე წარმოებით ურთიერთობათა უკვე არსებულ ფორმებს. აღნიშნულის გვერდით თაობათა კავშირი მკვიდრდება, აგრეთვე, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ეს კავშირი მნიშვნელოვანი სოციალური კანონზომიერებაა, რომლის გარეშე არც არსებობს კაცობრიობის ისტორია.

ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უფროსი და ახალგაზრდა თაობების მახასიათებლები აბსოლუტურად იდენტური იყოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არც იქნებოდა თაობათა შორის კავშირი.

ახალგაზრდა თაობის მახასიათებლების დაძებნის მეთოდოლოგიურ

---

1 ლუტიძე ბ. თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში. თბ., 1971, გვ.29.

საფუძველს წარმოადგენს ვ.ი.ლენინის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა "...აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები".[1] აქედან ნათელია, რომ ზოგადი სურათის, ზოგადი დახასიათების ნაცვლად ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სპეციფიკურად ახალ მომენტებზე, რაც ახალგაზრდობას შემოაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამედროვე ეტაპზე. რაც უფრო ზუსტად ვიცით, არა საერთოდ, ახალგაზრდა ადამიანების, არამედ თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანების თვისებები, მათი მოთხოვნილებები და ინტერესები, მით უფრო მიზანმიმართულად შეიძლება დაიგეგმოს და განხორციელდეს ახალგაზრდული პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმეში დიდია ახალგაზრდობის შრომითი წვლილი. როცა თანამედროვე ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანია მისი როლი შრომისა და შრომისადმი ზნეობრივი დამოკიდებულების ახალი კულტურის შექმნაში. რაც უფრო რთულდება წარმოება, რაც უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები ინერგება მასში, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს შრომის ხარისხი, იცვლება შრომითი მოღვაწეობისადმი ზნეობრივი დამოკიდებულებაც. როგორც ცნობილია, ჩვენი საზოგადოების ეკონომიკის სფეროს თანამედროვე იერს სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი გაერთიანებები და საწარმოები. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით გვაქვს ისეთი საწარმოებიც, სადაც სჭარბობს ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომა. ახალგაზრდობის სოციოლოგიის ენაზე თუ ვიტყვით, საქმე გვაქვს გარკვეული სახის პრობლემასთან - თანამედროვე ახალგაზრდობა (ე.ი. ერთი და იგივე თაობა) ემზადება ისეთი შრომითი პროცესისათვის, სადაც შრომის მიზ-

- - - - - - - -

1 ლენინი ვ.ი., თხზ., ტ.23, გვ.210.

ზიდველობა მთავარი პირობაა და ისეთი პროცესისათვისაც, სადაც იგი ასეთი არ არის. ასეთ წინააღმდეგობრივ პირობებში ყალიბდება თანამედროვე ახალგაზრდობის დამოკიდებულება შრომისადმი. ამიტომ, ახალგაზრდობის პრობლემების დარეგულირების კუთხითაც აქტუალურია პარტიის მიერ დასახული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვისებრივად გარდაქმნას.

თანამედროვე ახალგაზრდობა ქმნის თავისუფალი დროის ახალ კულტურას. როგორც წესი, ახალგაზრდა ადამიანები თავიანთი მშობლებისაგან მემკვიდრეობით არ ღებულობენ თავისუფალი დროისადმი ტრადიციულ დამოკიდებულებას. მშობლების ჩვევები ამ სფეროში ხშირად ახალი პირობების არაადექვატურია. რას ვღებულობთ? ერთი მხრივ, საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არა აქვს თავისუფალი დროის გამოყენებისათვის საკმარისი მატერიალური საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ კი, რაც არის, იმასაც, რიგ შემთხვევაში ოპტიმალურად ვერ იყენებს ახალგაზრდობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებისათვის ყველაზე დიდ დანაკარგს დროის დანაკარგი წარმოადგენს. ცდისა და შეცდომის გზით ახალგაზრდა თაობა მაინც წინ მიდის თავისუფალი დროის ახალი კულტურის შექმნაში.

თანამედროვე ახალგაზრდობა ქმნის პიროვნებათაშორის ურთიერთობის ახალ კულტურასაც, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამოუკიდებლობისადმი მეტი სწრაფვა, ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს ასეთი გარემოებაც: ახალგაზრდობის სოციალურ ღირებულებათა სკალაზე უკანასკნელ წლებში ერთ-ერთი მაღალი ადგილი დაიკავა თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილებამ. მართალია, ეს ღირებულება, როგორც იტყვიან, "ახალი ხილი" არ არის ახალგაზრდობისათვის, მაგრამ, როცა უკანასკნელი წლების ცვლილებებზეა საუბარი, მხედველობაში გვაქვს 3-12 წევრისაგან შემდგარი არაფორმალური მცირე სოციალური ჯგუფების წარმოშობა ახალგაზრდულ გარემოში. მათში გაერთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანებული ახალგაზრდების ცნობიერებასა და ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს ჯგუფში აღიარებული ღირებულებები. ეს მოვლენა, დიპლომატიური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, დე-ფაქტოა. ამიტომ, გაუმართლებლად მიგვაჩნია მათდამი სკეპტიკური დამოკიდებულება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთი მასოციალიზებელი ინსტიტუტის მხრივ. ამ ჯგუფებში მიმდინარე პროცესები მართვადია. აქ გადამწყვეტი სიტყვა კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა თქვას სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

კიდევ შეიძლება ჩამოითვალოს ის სპეციფიკურად ახალი, რაც ახალგაზრდობას შემოაქვს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ, ყველა მათგანისათვის ერთი საერთო ნიშანია დამახასიათებელი – სწრაფვა დამოუკიდებელი სტატუსის მოსაპოვებლად. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გარკვეულ წინააღმდეგობრივ სიტუაციას ქმნის დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვების პროცესში: ერთი მხრივ, ის ამუხრუჭებს დამოუკიდებელი სტატუსის მიღებას, ახანგრძლივებს რა ახალგაზრდობის მომზადების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, დღის წესრიგში აყენებს ახალგაზრდობის შემოქმედებითი პოტენციალის უფრო სრულად გამოყენების აუცილებლობას, ე.ი. დამოუკიდებელ სტატუსზე გადასვლის აუცილებლობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის კითხვა: სპეციფიკურის ძებნის მიღმა ხომ არ იმალება თაობათა დაპირისპირების საშიშროება? არა; რადგანაც სწორედ მისი გახსნის გზით შეიძლება დავინახოთ ის საერთოც, რაც თაობებს შორისაა. "ისტორია, – წერდნენ კ.მარქსი და ფ.ენგელსი, – სხვა არაფერია, თუ არა თანმიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თითოეული იყენებს ყველა წინამავალი თაობის მიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალსა და მწარმოებლურ ძალებს; ამის გამო, მოცემული თაობა, ერთი მხრივ, აგრძელებს გადმოცემულ მოქმედებას სრულიად შეცვლილ პირობებში, მეორე მხრივ კი, მთლიანად შეცვლილი მოქმედების საშუალებით სახეს უცვლის ძველ პირობებს".[1]

---

1 მარქსი კ. და ენგელსი ფ. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა. თბ.,1968, გვ.60.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი თაობების მიერ "გადმოცემული მოქმედების გაგრძელება" წარმოადგენს სოციალიზაციის პროცესს, ხოლო "ძველი პირობებისათვის სახის შეცვლა", რომელიც ახალი თაობების ძალისხმევით ხდება, წარმოადგენს საზოგადოების განახლების პროცესს. მაშასადამე, " სოციალიზაცია" არის ცნება, რომელიც აღწერს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ახალგაზრდობის ინტეგრირებისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ ზემოქმედებას. "საზოგადოების განახლება" კი არის ცნება, რომელიც აღწერს ახალგაზრდობის მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობაში შეტანილ ცვლილებებს. ის ეხება შეცვლილ პირობებს, რომელშიც მიმდინარეობს მემკვიდრეობით მიღებული მოღვაწეობა.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდობის აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის პროცესს ორი მხარე აქვს - ახალგაზრდობის სოციალიზაცია და საზოგადოების განახლება. ისევე, როგორც მთლიანად პროცესს, მის ორივე მხარესაც უწყვეტი ხასიათი აქვს. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. რთავს რა ახალგაზრდობას არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, ცვლილებას განიცდის თვით საზოგადოება: სოციალიზაციის პროცესი გადაიზრდება საზოგადოების განახლების პროცესში. თავის მხრივ, ცვლის რა საზოგადოებას, ახალგაზრდობა იცვლება თვითონაც, რომ განახორციელოს საზოგადოებრივი გარდაქმნა, ახალგაზრდობა ერთვება საზოგადოებრივ მექანიზმში და საზოგადოების ნაწილი ხდება. საზოგადოების განახლების პროცესი გადაიზრდება სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაცია მოიცავს პროცესს, რომელშიც საზოგადოება "ზრდის" ახალგაზრდობას, საზოგადოების განახლება-პროცესს, რომელშიც ახალგაზრდობა "ქმნის" საზოგადოებას.

ახალგაზრდობის სოციალიზაციასა და საზოგადოების განახლებას შორის სიღრმისეული ერთიანობაა. სოციალურ სისტემაში ახალგაზრდობის სრულფასოვანი ჩართვა, მისი სოციალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითა-

რების დაჩქარებაში, ე.ი. საზოგადოების სრულფასოვან განახლებაში, მის სრულყოფაში. და პირიქით, სრულფასოვანი სოციალური შემოქმედება, ე.ი. საზოგადოების განახლება შესაძლებელია მხოლოდ მემკვიდრეობითობის საფუძველზე, ე.ი. სრულყოფილი სოციალიზაციის შემთხვევაში.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარეს შორის დინამიკურ თანაფარდობას. ეს თანაფარდობა მოიცავს პრობლემას ახალგაზრდულ გარემოში მიმდინარე პროცესების მართვისა და მართვაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ, ახალგაზრდობაზე აღმზრდელობითი ზემოქმედებისა და ახალგაზრდობის აქტივობის შესახებ.

ახალგაზრდობის სოციალიზაციისა და საზოგადოების განახლების თანხვედრის ადგილს წარმოადგენს ახალგაზრდობის სოციალური აქტივობა. სოციალური აქტივობის დროს ახალგაზრდობა პასიურად კი არ ეგუება საზოგადოებას, არამედ აქტიურად ერთვება და ინტეგრირდება მასში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხთა ფართო მასების, მათ შორის ახალგაზრდობის, აქტივობის ამაღლების საკითხებს.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა ნაშრომში "წმინდა ოჯახი", ანუ „კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა" 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე აჩვენეს, რომ სოციალური რევოლუციები მაშინ შეასრულებენ თავიანთ მისიას, როდესაც მათი მიზნები შეესაბამებიან ფართო მასების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს და როდესაც ეს მიზნები გაცნობიერებულია მასის მიერ. კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა დაადგინეს კავშირი ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასა და მასში მონაწილე მასის ზომას შორის და გამოიტანეს დასკვნა იმის შესახებ, რომ "ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად... გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის ქმნილებასაც იგი წარმოადგენს".[1] აღნიშნულთან დაკავშირებით

---

1 მარქსი კ. ენგელსი ფ. თხზ., ტ.III, 1930, გვ.105.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კ.მარქსი და ფ.ენგელსი იქვე მიუთითებდნენ, რომ "რაც უფრო ფართო და რაც უფრო ღრმაა საზოგადოებაში მომხდარი გადატრიალება, მით უფრო ბევრნი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ გადატრიალებას ახდენენ, რომლებიც ამ გადატრიალების შემოქმედნი არიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით".[1]

ამ საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი დებულება ჩამოაყალიბა ვ.ი.ლენინმაც. სტატიაში "რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?" მან მიუთითა, რომ "ადამიანთა ისტორიული მოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს იმ მოსახლეობის მასის რაოდენობაც, რომელიც შეგნებული ისტორიული მოქმედია".[2] ვ.ი.ლენინმა არამარტო აღიარა მარქსის კანონი, არამედ შემოქმედებითად განავითარა იგი. ის წერდა: "რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები".[3]

ხალხთა ფართო მასების სოციალური აქტივობის ამაღლების საკითხები ვ.ი.ლენინის მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო. ის უდიდეს ძალისხმევას ახმარდა პრობლემის როგორც თეორიულ, ასევე მის პრაქტიკულ გადაწყვეტას. მთელი ლენინური მემკვიდრეობა ამის დასტურია. ცხოვრების რომელ სფეროსაც, რომელ საკითხსაც არ უნდა შეხებოდა ვ.ი.ლენინი თავის შრომებში, ყველა მათგანში ხაზგასმულია მშრომელთა ფართო ფენების რევოლუციური და შრომითი აქტივობის როლი და მნიშ-

- - - - - - - - -

1 მარქსი კ. ენგელსი ფ. თხზ.,ტ.III, 1930, გვ.105

2 ლენინი ვ.ი. თხზ.,ტ.2. გვ.653

3 იქვე, ტ.31, გვ.612.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვნელობა ძველისა და რეგრესულის წინააღმდეგ ახლისა და პროგრესულის ბრძოლაში.

1918 წლის მარტში ვ.ი.ლენინი წერდა, რომ "...საზოგადოებრივ მშენებლობაში ხალხის ახალი ფენების ჩაუბმელად, ...ფართო მასების აქტივობის გაუღვიძებლად არავითარ რევოლუციურ გარდაქმნაზე არ შეიძლება ლაპარაკი"[1] და იქვე აღნიშნავდა "...რაც უფრო ძნელია, რაც უფრო პასუხსაგებია ახალი ისტორიული ამოცანა, მით უფრო მეტი უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთა მილიონები ჩაბმულ უნდა იქნან ამ ამოცანათა გადასაწყვეტად დამოუკიდებელ მონაწილეობაში".[2] ვ.ი.ლენინი ამ აზრს არაერთხელ მიბრუნებია. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1919 წლის 20 იანვარს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა II ყრილობაზე ის აღნიშნავდა, რომ ახალი საზოგადოების შემქმნელნი "...მხოლოდ მრავალმილიონიანი მასები შეიძლება იყვნენ. როგორც ბატონყმობის ეპოქაში ასეულები იყვნენ ეს შემქმნელნი, როგორც კაპიტალიზმის ეპოქაში ათასები და ათეულები ათასები აშენებდნენ სახელმწიფოს, ისე ახლა, სოციალისტური გადატრიალება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ათეული მილიონები მიიღებენ აქტიურ, უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში".[3]

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებებიდან, ერთი მხრივ, ნათელია, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ზეაღმავალ მონაცვლეობასთან და საზოგადოების განვითარების დაჩქარებასთან ერთად იზრდება ხალხთა მასების აქტივობა, ხოლო, მეორე მხრივ, ისიცაა ნათელი, რომ აქტიური მასის რაოდენობის ზრდაც არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარების დაჩქარებაზე.

ისტორიაში ხალხთა მასების აქტივობისა და როლის ამაღლების კანო-

- - - - - - - -

I ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.27, გვ.244

2 იქვე, გვ.575

3 იქვე, თხზ., ტ.28, გვ.537.

ნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985) პლენუმმა წამოაყენა და დაასაბუთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების და ამ საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის ვრცელი კონცეფცია. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების მატერიალურად და სულიერად მდიდარი, სოციალურად დინამიკური ცხოვრება მშვიდობის პირობებში, კიდევ უფრო სრულად და ნათლად გამოავლინოს სოციალისტური წყობილების განსახიერებული ისტორიულად ახალი ტიპის ცივილიზაციის შესაძლებლობანი და უპირატესობანი.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მ.ს.გორბაჩოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: "ყველა ჩვენი მიღწევის საწინდარი ხალხის ცოცხალი შემოქმედებაა. მშრომელთა ღრმა დაინტერესება თავიანთი სოციალისტური სამშობლოს სვე-ბედით, მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა - აი, ყოველთვის რა ანიჭებდა და ანიჭებს მძლავრ დაჩქარებას საზოგადოების პროგრესს, რა გვაძლევდა ყველა სიძნელისა და დაბრკოლების წარმატებით გადალახვის შესაძლებლობას. და ახლა ერთობ საჭიროა მაქსიმალურად სრულად გავუხსნათ გზა მასების საზოგადოებრივ ინიციატივას, მოვახმაროთ იგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ძირეულ პრობლემათა გადაჭრას".[I]

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ახალგაზრდა თაობას. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, კერძოდ, მისი აქტივობის ამაღლების საკითხები

---

I გორბაჩოვი მ.ს., საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა, თბ.,1985, გვ.20-21.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველთვის იდგა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყურადღების ცენტრში; მას უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის "გენერალური რეპეტიციის", რუსეთის 1905–1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში, 1905 წლის 11 თებერვალს ა.ბოგდანოვისა და ს.გუსევისადმი გაგზავნილ წერილში ვ.ი.ლენინი ხაზს უსვამდა: "საჭიროა ახალგაზრდა ძალები... ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც..."[1]

ამიტომ ბუნებრივია, რომ ისტორიაში ხალხთა მასების აქტივობისა და როლის ამაღლების კანონს ისინი ახალგაზრდა თაობაზეც ავრცელებდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არც კ.მარქსი, არც ფ.ენგელსი და არც ვ.ი.ლენინი არსად, არცერთ შრომაში არ განიხილავენ აღნიშნული კანონის მოქმედებას როგორც ავტომატურ პროცესს. პირიქით, სავსებით სამართლიანად ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მასოციალიზებელი ინსტიტუტების გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ მუშაობას სოციალური აქტივობის ამაღლების საქმეში. აღნიშნული განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე.

სოციალური აქტივობის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. მის ძირითად ღერძს წარმოადგენს ზოგადკლასობრივი, პარტიული, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოღვაწეობა. პოზიტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ძირშივე გულისხმობს თანამიმდევრულ კლასობრივ მიმართულობას. ვ.ი.ლენინს არასაკმარისად

- - - - - - - - - - -

1 ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.8, გვ.159–160.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიაჩნდა ისეთი აქტივობა, რომელიც მხოლოდ უახლოეს ეკონომიკურ ამოცანებთან იყო დაკავშირებული. "...ჩვენ გვინდა - წერდა ვ.ი.ლენინი - დაწვრილებით გავეცნოთ პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ყოველ და თითოეულ პოლიტიკურ მოვლენებაში".[1] აქედან ნათელია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის მიმართულობა მდგომარეობს მოქალაქეების მიერ კლასობრივი ინტერესების რეალიზაციაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეების გადაწყვეტაში პრაქტიკულ მონაწილეობაში. აღნიშნულთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ხასიათდება კლასობრივი ინტერესებისადმი პიროვნების სუბიექტური დამოკიდებულებით, რადგანაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა არამხოლოდ მოქმედების აქტია პოლიტიკურ სფეროში, არამედ პიროვნების გარკვეული პოზიციაა, მისი დამოკიდებულებაა სახელმწიფო ხელისუფლებასთან, კლასობრივ ინტერესებთან, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და ა.შ. ეს უკანასკნელი მის პოლიტიკურ პოზიციაზე ლაპარაკობს. აქტიური პოლიტიკური პოზიცია გულისხმობს პირადი ინტერესების ჩარჩოდან გასვლას. ეს კი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაჩვენებელია.

აქტიური პოლიტიკური პოზიცია მჭიდროდაა დაკავშირებული ობიექტური კლასობრივი, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გაცნობიერებასთან, მათდამი შეგნებულ დამოკიდებულებასთან, რის შედეგადაც ადამიანის შეგნებულობა მჟღავნდება მის პრაქტიკულ მოქმედებაში, სოციალურ ფაქტებში. ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ "მუშათა კლასის შეგნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად პოლიტიკური შეგნება,... ჭეშმარიტად კლასობრივი შეგნება, თუ მუშებმა კონკრეტული და თან აუცილებლად საჭირბოროტო (აქტუალური) პოლიტიკური ფაქტებითა და ამბებით არ ისწავლეს თვითეული სხვა საზოგადოებრივი კლასის, ამ კლასთა გონებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა გამოვლინე-

- - - - - - -

1 ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.5, გვ.524-525.

ბის დაკვირვება; - თუ არ შეისწავლეს მოსახლეობის ყველა კლასის, ფენის და ჯგუფის ცხოვრების და მოქმედების ყველა მხარის მატერიალისტური ანალიზისა და მატერიალისტური შეფასების პრაქტიკული გამოყენება".[I]

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის გაცნობიერებული ხასიათი საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მასზე როგორც შემოქმედებითს, თავისუფალ მოღვაწეობაზე, რომელიც რეალიზდება მიზანმიმართულ, აქტიურ მოქმედებებში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა სოციალურ სუბიექტთა შეგნებული და მიზანმიმართული მოღვაწეობაა არსებული სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებისა და სრულყოფისათვის, რომელიც რეალიზებულია საზოგადოებისათვის ღირებულ სოციალურ ფაქტებში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობაა, სადაც ობიექტურს წარმოადგენს პიროვნების პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ხოლო სუბიექტურს - ამ მოღვაწეობისადმი პიროვნების ღირებულებითი დამოკიდებულება, მოღვაწეობის მოტივები, იმ ძირითადი ამოცანების გაცნობიერება, რომელთა გადაწყვეტასაც ემსახურება ეს აქტივობა. ობიექტურისა და სუბიექტურის ეს ერთიანობა საშუალებას იძლევა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა შევაფასოთ კრიტერიუმთა ორი ძირითადი ჯგუფის - ობიექტურისა და სუბიექტურის მეშვეობით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ობიექტური კრიტერიუმი ასახავს პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობით მიღებულ საზოგადოებისათვის ღირებულ შედეგებს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასებისას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ობიექტური კრიტერიუმი მიიღება მხედველობაში. ვ.ი.ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ პიროვნე-

- - - - - - - - -

I ლენინი ვ.ი. თხზ., ტ.5, გვ.519.

ზათა "რეალურ ზრახვებსა და გრძნობებზე" უნდა ვიმსჯელოთ იმ სოციალური ფაქტების მეშვეობით, რომლებიც პიროვნების საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს.

მართალია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასებისას მთავარს ობიექტური კრიტერიუმი წარმოადგენს, მაგრამ მარტო ის არ არის საკმარისი. მის გვერდით არსებობს სუბიექტური კრიტერიუმიც, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის სუბიექტურ კრიტერიუმთა შესახებ ლიტერატურაში შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. ავტორთა ერთი ჯგუფი ერთ კრიტერიუმს აძლევს უპირატესობას, მეორენი - მეორეს და ა.შ. გვხვდება ავტორები, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასებისათვის რამდენიმე კრიტერიუმს იღებენ. მაგალითად, ასახელებენ სამ კრიტერიუმს: 1) შესასრულებელი საზოგადოებრივი დავალების მნიშვნელობა, 2) კეთილსინდისიერება საზოგადოებრივ საქმიანობაში და 3) ინიციატურობა. პირველი კრიტერიუმის დახასიათებისას მხედველობაში აქვთ დავალების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი მასშტაბურობა, ხასიათი (მუდმივი და დროებითი დავალებები), მოცემული დავალების ადგილი საზოგადოებრივ დავალებათა სისტემაში, აგრეთვე აქტივისტის სოციალური ფუნქციის თავისებურებანი (ხელმძღვანელი ან შემსრულებელი) და ბოლოს, ყოველივე ეს როგორ აქვს გაცნობიერებული პიროვნებას. მეორე კრიტერიუმის დახასიათებისას ყურადღებას აქცევენ საზოგადოებრივი დავალების შესრულების ხარისხს, ამ დავალების ბოლომდე მიყვანას, საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფისადმი შეურიგებლობას. მესამე კრიტერიუმის დახასიათებისას აქცენტი აღებულია ახალ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღებაზე, მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად ახალი გზებისა და საშუალებების ძიებაზე, საკუთარ წინადადებათა და რეკომენდაციათა წამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიტერიუმები საკითხთა გარკვეულ წრეს მოიცავენ, ისინი მაინც არ არიან საკმარისნი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის დასახასიათებლად. მხედველობის გარეთ რჩება ისეთი მომენტები, რომლებითაც შეიძლება საზოგადოებრივ საქმიანობაზე დახარჯული დროის ანალიზი, ამ საქმიანობისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების ანალიზი და მრავალი ისეთი მომენტი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის სრული დახასიათება. მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის კრიტერიუმები უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: პირველი, კრიტერიუმმა უნდა დააფიქსიროს სუბიექტის მოღვაწეობითი მდგომარეობა; მეორე, კრიტერიუმი უნდა ატარებდეს ინფორმაციას იმის შესახებ, აქვს თუ არა ადამიანის მოქმედებასა და ქცევას თვითშემოქმედებითი ხასიათი, არის თუ არა იგი გაცნობიერებული; მესამე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის კრიტერიუმი უნდა პასუხობდეს კითხვას, ეთანხმება თუ არა ადამიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მუშათა კლასისა და საერთოდ მშრომელთა ინტერესებს; და, ბოლოს, მეოთხე, კრიტერიუმმა უნდა დაახასიათოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის რიცხობრივი პარამეტრები, მისი გამომჟღავნების ინტენსივობა და ექსტენსივობა.

ცალ-ცალკე ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება ვერ ქმნის ერთ მთლიან სურათს. მაგალითად, შეიძლება პიროვნება ჩაბმული იყოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ მისთვის უცნობი იყოს ამ საქმიანობის საბოლოო მიზანი, არ ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი მოღვაწეობა. ეს, საბოლოო ანგარიშით, ხელს უშლის პიროვნებას, სწორად დაგეგმოს თავისი მუშაობა და მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ან, შესაძლებელია პიროვნების საზოგადოებრივმა საქმიანობამ სასურველი შედეგები მოგვცა, მაგრამ მოღვაწეობის პერიოდში პიროვნება მხოლოდ პირადი ინტერესებით - სამუშაოზე დაწინაურების, საბინაო პირობების

გაუმჯობესების და ა.შ. პირიქით, ისინი, ვინც შემოქმედებითად გამოიჩინეს თავი საზოგადოებრივ საქმიანობაში, კიდევ წინაურდებიან სამსახურში და იუმჯობესებენ საბინაო პირობებსაც. მაგრამ, როდესაც საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის მოტივს მხოლოდ პირადი გამორჩენის სურვილი წარმოადგენს, ასეთი მოღვაწეობა არ ჩაითვლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონედ, მას შეიძლება უარი კერძო აქტივობა ვუწოდოთ. ამიტომ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის კრიტერიუმთა საკითხი იღებს უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობასაც, რადგანაც გარკვევა იმისა, პიროვნება საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობს თუ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით – სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (პოლიტიკური მნიშვნელობის – მ.გ.) საქმეა, რომლის საბოლოო გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს საზოგადოებაში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრას.

როგორც ვხედავთ, საკითხთა ეს წრე ვერ გადაწყდება "ხელის ერთი მოსმით". საჭირო ხდება კრიტერიუმთა მთელი კომპლექსის გამოყენება, რათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა სწორად იქნეს შეფასებული. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით შეიძლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის კრიტერიუმთა შემდეგი ჯგუფების გამოყოფა:

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ობიექტური კრიტერიუმები: 1. საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ფაქტი. ესაა ობიექტურ კრიტერიუმებში პირველი მაჩვენებელი, ურომლისოდაც აზრი არა აქვს სხვა კრიტერიუმებზე და საერთოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე ლაპარაკს. როდესაც დადგინდება საზოგადოებრივ საქმიანობაში პიროვნების მონაწილეობის ფაქტი, შემდეგ სხვა კრიტერიუმების გამოყენებით შეიძლება ამ პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასება; 2. შესასრულებელი სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზოგადოებრივი დავალებების სირთულე, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რაც უფრო მეტი მნიშვნელობისაა საზოგადოებრივი დავალება, მით უფრო მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული მისი შესრულება. ამ ნიშნით საზოგადოებრივი დავალებები (და საქმიანობანი) ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან; 3. საზოგადოებრივ დავალებათა ხასიათი. დავალებები შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი ხასიათის; 4. მოღვაწეობის მასშტაბი. სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობა სხვადასხვა მასშტაბისაა, ერთნი არ სცილდებიან იმ ადგილს, სადაც პიროვნება მუშაობს, მეორენი მთელი კოლექტივის (საწარმოს) მასშტაბით ვრცელდებიან და ა.შ.

მეორე ჯგუფი მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის სუბიექტურ კრიტერიუმებს. ესენია: 1. საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება. ამ კრიტერიუმში შედის ინტერესი. თუ პიროვნებას არ აინტერესებს საზოგადოებრივი საქმიანობა, იგი მისთვის ზედმეტი ხდება და ფორმალურ ხასიათს ატარებს; 2. ინიციატურობა და შემოქმედებითობა. აქ შედის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ახალ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღება, მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად ახალი გზებისა და საშუალებების ძიება და ა.შ. ეს მაჩვენებლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შეგვიძლია ადამიანის იდეალად დავსახოთ პიროვნების დონემდე ამაღლებული ადამიანი, ისეთი, რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იქნება იქითკენ, რომ გამოამჟღავნოს და განავითაროს არამარტო საკუთარი უნარები და შესაძლებლობანი, არამედ გაამდიდროს სხვა ადამიანებიც, იმპულსი მისცეს მათ შემოქმედებით მოღვაწეობას; 3. მოღვაწეობის მოტივები. იმის ცოდნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის საზოგადოებრივ საქმიანობას, აუცილებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასებისათვის. ის მოტივები,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომლებიც საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან გამოდის, ითვლება საზოგადოებრივი მოღვაწეობის დადებით მოტივებად; 4. მოღვაწეობით კმაყოფილება. ეს კრიტერიუმი დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ პიროვნების განწყობაზე. თუ პიროვნება კმაყოფილია თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით, მას წარმატების მეტი გარანტია აქვს მოღვაწეობის ამ სფეროში და პირიქით. ამდენად, ეს კრიტერიუმი აუცილებელი ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შეფასებისათვის.

მესამე ჯგუფში გაერთიანებულია დროითი მაჩვენებლები: 1. საზოგადოებრივ საქმიანობაზე დახარჯული დროის სიდიდე; 2. ამ დანახარჯების პერიოდულობა; 3. დროის საერთო ბიუჯეტში ამ დანახარჯების სიდიდე.

მეოთხე ჯგუფში შედის ზოგადი ხასიათის კრიტერიუმი. ესაა პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის თანხმობა მუშათა კლასისა და საერთოდ მშრომელთა ინტერესებთან, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დიდი და მცირე საქმე, რომ დიდი და პატარა საზოგადოებრივი საქმიანობა ერთნაირად საპატიო და აუცილებელია, მაინც შეიძლება მოტანილი კრიტერიუმების საშუალებით შევქმნათ პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის იდეალური მოდელი: პიროვნება მაშინ ამჟღავნებს მაღალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას, როდესაც იგი ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში, მუდმივად და ფართო მასშტაბით ასრულებს რთულ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დავალებებს, აქვს საზოგადოებრივი საქმიანობისადმი დადებითი დამოკიდებულება, ინიციატივიანია და შემოქმედებითად უდგება საზოგადოებრივ საქმიანობას, როდესაც მისი მოღვაწეობის მოტივი საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამოდის, მოღვაწეობით კმაყოფილია, ხარჯავს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საზოგადოებრივი დავალებების შესრულებისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ დროს და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ხელს უწყობს სოციალური სინამდვილის ყველა სფეროს გარდაქმნას.

ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს სოციალისტურ თვითმმართველობაში მონაწილეობა. ზოგადი სახით იგი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ისეთი დემოკრატიული სისტემაა, რომელიც მოქმედებს არამარტო მშრომელთათვის, არამედ თვით მშრომელთა ძალისხმევით. სწორედ ამ სპეციფიკურად ახალ მომენტზე მიუთითებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. შემოქმედებითად განავითარა იგი სკკპ XXVII ყრილობამაც. პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ხაზგასმულია ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის თანამიმდევრული და გაუხრელი განვითარების საჭიროება, რადგან სოციალისტური წყობილება წარმატებით ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი რეალურად მართავს თავის საქმეებს, როცა მილიონობით ადამიანი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სოციალისტურ თვითმმართველობაში მონაწილეობა ახალგაზრდობის სოციალური რეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი დავალებების სწორად განაწილება ამ სფეროში. იმ შემთხვევაში, თუ ეს დავალებები არასწორადაა განაწილებული, შეიძლება მივიღოთ შემდეგი სიტუაცია: უფრო რთულ დავალებებს ასრულებს ახალგაზრდა, რომელსაც არა აქვს ის თვისებები, საჭირო მონაცემები, მაშასადამე შესაბამისი უნარები, რომლებიც საჭიროა ამ დავალებების შესასრულებლად. ამავე დროს, ლოგიკის თანახმად, მათი შესრულებისათვის მომზადებული ახალგაზრდა იძულებულია თავისი შესაძლებლობების მინიმუმი გამოამჟღავნოს, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ახალგაზრდას არ შეუძლია თავისი პიროვნების რეალიზაცია სოციალისტურ თვითმმართველობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მთავარი კრიტერიუმის, საბოლოო შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული რეალიზაცია არ შეუძლია იმას, ვინც თავისი შესაძლებლობების "ზევით" მუშაობს და არც იმას, ვინც ამ შესაძლებლობების მინიმუმს ამჟღავნებს. ეს თავისებური "მოჯადოებული წრეა". ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი სიტუაციის რეგულირების ორგანიზაციულ, პოლიტიკურ, მორალურ, პედაგოგიურ და სხვა ასპექტებს, რადგან არ შეიძლება პასუხისმგებლობის ჩანერგვა პასუხსაგები საქმეების დაუვალებლად და მათ სწორად გაუნაწილებლად. აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით შესაძლებელია ახალგაზრდამ "იპოვოს თავისი თავი" სოციალისტურ თვითმმართველობაში და გარკვეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნაში.

ГОГУАДЗЕ М.Г.

## ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ АКТИВНОСТЬ МОЛОДЕЖИ – ВАЖНЫЙ ФАКТОР ПЕРЕСТРОЙКИ

### А н н о т а ц и я

В статье анализируется процесс включения молодого поколения в общественную жизнь и рассматривается соотношение между воспитательным воздействием на молодежь и ее активностью. Обосновывается, что полноценное включение молодежи в социальную систему возможно лишь в том случае, когда она вносит свой вклад в ускорение социально-экономического развития общества. Раскрываются сущность общественно-политической активности молодежи и тесная взаимосвязь между этой активностью и перестройкой общественной жизни.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის
კათედრა

ვ.ა.ბურდული
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

## საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები გარდაქმნის თანამედროვე პირობებში

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ცხოვრების განახლების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნის სასიკეთო პროცესი. საბჭოთა საზოგადოების განვითარების ეს ახალი გეზი დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების მიერ. გარდაქმნის იდეა წარმოიშვა იმ რთული სიტუაციის ანალიზის შედეგად, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა უკანასკნელ ხანს. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, საზოგადოების ცხოვრებაში თავი იჩინა ინერტულობამ, მართვა-გამგეობის ფორმებისა და მეთოდების გახევებამ, მუშაობაში დინამიზმის შენელებამ, უძრაობის მოვლენებმა, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკული მოქმედება ჩამორჩებოდა დროისა და ცხოვრების მოთხოვნებს. გარდაქმნა განაპირობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე ჩამოყალიბებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, მათი გამოსწორების, დაძლევის აუცილებლობამ, რადგან ისინი ხელს უშლიდნენ ჩვენი წინსვლის ნორმალურ მსვლელობას. სკკპ ~~თავის~~ XXVII ყრილობაზე და ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ღრმად გაანალიზა ქვეყანაში შექმნილი რთული და წინააღმდეგობრივი სიტუაციის შექმნის მიზეზები, დაასაბუთა გარდაქმნის ობიექტური აუცილებლობა და მეცნიერულად ჩამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აყალიბა გარდაქმნის რაობა. პარტიას მიაჩნია, რომ გარდაქმნა გულისხმობს მოდუნების პროცესების მკვეთრ დაძლევას, დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას, ეკონომიკის განვითარებაში ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერებას, მეცნიერებისა და პრაქტიკის საქმიანი პარტნიორობის მიღწევას, სოციალური სფეროს პრიორიტეტულ განვითარებას, საზოგადოების განთავისუფლებას სოციალისტური მორალის დამახინჯებებისაგან. გარდაქმნის საბოლოო მიზანს, როგორც აღნიშნულია მ.ს.გორბაჩოვის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, წარმოადგენს "ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება, სოციალიზმისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე ფორმების მინიჭება, ჩვენი წყობილების ჰუმანისტური ხასიათის რაც შეიძლება სრულად გამოვლენა მისი ყველა გადამწყვეტი ასპექტით - ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტით".[I]

ახალი ობიექტური პირობების შესაბამისად, სკკპ საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა მასშტაბური ამოცანები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ყველა დარგის სპეციალისტთა პროფესიული და მარქსისტულ-ლენინური მომზადების ძირეულ გაუმჯობესებას. ეს რთული ამოცანა უნდა გადაჭრას ქვეყნის უმაღლესმა სკოლამ, რომელიც დღეს ვითარდება ფართო სახალხო განხილვის შედეგად მოწონებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული "უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების" საფუძველზე. ამ ძირითადი მიმართულებების მიხედვით უმაღლესი განათლების გარდაქმნა ისეთნაირად უნდა წარიმართოს, რომ მისმა შედეგებმა ხანგრძლივი გავლენა მოახდინოს ეკონომიკის განვითარებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ პროგრესზე, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, ცხოვრების სოციალისტური წესის დამკვიდრებას, ადამიანის

---------

I საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 27-28 იანვარი. თბ.,1987, გვ.21

ფაქტორის გააქტიურებას.

უმაღლესი სკოლის წინაშე დგას სასწავლო პროცესის ძირეული გარდაქმნის ამოცანა, რომლის მთავარ შინაარსს წარმოადგენს სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება და მათთან ინდივიდუალური მუშაობის სისტემის დანერგვა, სპეციალისტების მომზადების დონის ამაღლება. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს შესაბამის ცოდნასა და პედაგოგიურ ხელოვნებას დაუფლებულ მასწავლებელთა კადრებს. დღეს, როგორც არასდროს, იზრდება უმაღლესი სკოლის პედაგოგის როლი, რადგან უმეტესად სწორედ მასზეა დამოკიდებული სასწავლო პროცესის მუდმივი დახვეწისა და სრულყოფის ბედი. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი სკოლის საკადრო პოლიტიკას, რომლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესებაში, პედაგოგთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფაში, თუ გნებავთ, მასწავლებელთა შემადგენლობის გაახალგაზრდავებაში.

უმაღლესი განათლების, უმაღლესი სკოლის მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. ამ საქმეში წინა პლანზეა წამოწეული განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის განხორციელება, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გააქტიურება და მისი როლის ამაღლება სპეციალისტების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში, დამთავრებული თემებისა და შრომების დანერგვა წარმოებაში, უმაღლესი სკოლის აქტიური მონაწილეობა მეცნიერებისა და ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიის პერსპექტიული მიმართულებების დამუშავებაში.

უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დგას ჯერ კიდევ შემორჩენილი ინერციისა და აზროვნების კონსერვატიზმის დაძლევის, მუშაობის ახალი მეთოდების ენერგიული, საქმიანი და მაქსიმალური ეფექტიანობის მომვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მი ძიების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

უმაღლესი განათლებისა და მთლიანად უმაღლესი სკოლის მთელი საქმიანობის გარდაქმნაში დიდი როლი განეკუთვნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს, მათს პედაგოგიურ პერსონალს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და, საერთოდ, საზოგადოებათმცოდნეობის შემდგომი ამოცანები პარტიის დღევანდელი კურსის რეალიზაციაში კონკრეტულად განისაზღვრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე, რომელიც 1986 წლის ოქტომბერში ჩატარდა. ამხანაგ მ.ს.გორბაჩოვის მიერ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში შემდგომი განვითარება ჰპოვა სკკპ XXVII ყრილობის მითითებებმა საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მარქსიზმ-ლენინიზმში მეცნიერული კვლევის გაფართოებისა და გაღრმავების შესახებ. მ.ს.გორბაჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იდეურ-თეორიული საქმიანობის, როგორც სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალის, გააქტიურების ამოცანას, ნათლად გააშუქა ახლებურად აზროვნების - დიალექტიკური აზროვნების, პრაქტიკასთან თეორიის კავშირის განმტკიცების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ფორმებისა და მეთოდების, ახალგაზრდობაში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დიდად საყურადღებო საკითხები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებათმცოდნეების მუშაობაში. თათბირზე ყურადღება გამახვილდა იმ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ უმაღლესი სკოლის როგორც სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო, ისე იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში. ესაა - უძრაობის მოვლენები, მოძველებული ფორმები და მეთოდები, ფორმალიზმი და სქოლასტიკა, მედავითნეობა და დოგმატიზმი. ამასთან, თათბირზე გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნეები აქტიურად იბრძოლებენ აღნიშნული ნაკლოვანებების დასაძლევად და თავის მოწოდებად და უმაღლეს მოვალეობად ჩათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლიან იმას, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საპროგრამო დოკუმენტების არსი და სულისკვეთება გადააქციონ ახალგაზრდა სპეციალისტების ცხოვრებისეულ პოზიციად, მათი პრაქტიკული საქმიანობის სახელმძღვანელოდ. ეხება რა საზოგადოებათმცოდნეების მუშაობის გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს, ამხანაგმა მ.ს.გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ "საზოგადოებათმცოდნეობას არამც და არამც არ უნდა რჩებოდეს მხედველობიდან მთავარი ამოცანა – აყალიბებდეს საბჭოთა ადამიანის პიროვნების სულიერ საფუძვლებს, აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციებს, განსაზღვრავდეს მის საქციელს".[I]

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გარდაქმნა მოითხოვს სკკპ ისტორიის, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერული კვლევის აქტივიზაციას და ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მის დაახლოებას, სტუდენტებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. ეს რთული და ძნელად შესასრულებელი ამოცანებია. მათი განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები სწორად და აქტიურად წარმართავენ მუშაობას. კათედრა სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და აღმზრდელობითი მუშაობის, პროფესორ-მასწავლებელთა დაოსტატების, მათი პედაგოგიური სრულყოფის თავისებური სკოლაა. და, თუ მის ყოველდღიურ ცხოვრებაში სათანადოდაა ორგანიზებული აქტუალური სასწავლო, სამეცნიერო, აღმზრდელობითი ხასიათის საკითხების საქმიანი განხილვა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, აზრთა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მუშაობაში კოლეგიალობისა და დემოკრატიულობის პრინციპების დამკვიდრება, დისციპლინა და კონტროლი, თუ შექმნილია გულწრფელობისა და პარტიული პრინციპულობის, კრიტი-

– – – – – – –

I მ.ს.გორბაჩოვი, სიტყვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე. გაზ."კომუნისტი", 1986, 2 ოქტომბერი.

კისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, მაშინ თითოეულ პედაგოგს უფრო მეტი შესაძლებლობები შეექმნება მოვალეობის წარმატებული შესრულებისათვის.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს სასწავლო პროცესი წარმოადგენს. მისი მაღალ იდეურ-თეორიულ და მეცნიერულ დონეზე წარმართვა დროის მოთხოვნაა. დღევანდელ პირობებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი მიზანი ის არის, რომ სტუდენტებს ჩამოვუყალიბოთ მაღალი იდეურობა და შეგნებულობა, თითოეულ მათგანს განუვითაროთ პოლიტიკური მებრძოლისა და მასების ორგანიზატორის, გარდაქმნის ამოცანის აქტიური განხორციელების თვისებები, ჩავუნერგოთ იმის გრძნობა, რომ მუდამ მზად იყოს, საზოგადო ინტერესებს დაუქვემდებაროს პირადი ინტერესები და უანგაროდ ემსახუროს ხალხს. თუ ამას მივაღწევთ, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ამოცანასაც წარმატებით გადავჭრით. ყოველივე ამის გაკეთება უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა მოვალეობაა და მისი შესრულებისათვის საჭიროა, რომ თითოეული მათგანი ღრმად ფლობდეს მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკას, კარგად ერკვეოდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონებში, შემოქმედებითად იაზრებდეს დღევანდელ სინამდვილეს და თავის ცოდნასა და უნარს ოსტატურად იყენებდეს სასწავლო პროცესში. იმისათვის, რომ სწავლება დღევანდელი მოთხოვნების მიხედვით განხორციელდეს და საჭირო შედეგები მოგვცეს, ჩვენი აზრით, რამდენიმე პირობაა საჭირო. მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: 1) ახალგაზრდის მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნის დონეს, მისი მომზადებულობის, განათლების ხარისხს; 2) სტუდენტის დაინტერესებულობას სწავლით, საქმის სიყვარულს და ცოდნის შეძენის წყურვილს; 3) უმაღლესი სკოლის მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმსა და პედაგოგიურ ხელოვნებას; 4) მასწავლებლისა და სტუდენტის მტკიცე საშე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სრულებით დისციპლინასა და ორგანიზებულობას. სათანადოდ მომზადებული სტუდენტისა და კარგი პედაგოგის ერთობლივი აქტიური მუშაობა სასწავლო პროცესის წარმატებული წარმართვის უშუალო ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა უშუალოდაა დამოკიდებული სწავლების ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაზე. უმაღლესი განათლების გარდაქმნის ამოცანის გადაჭრა პრინციპულ ცვლილებებს საჭიროებს სწავლებაში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ძველი, ფაქტიურად სკოლარული მეთოდებით მუშაობისას შეუძლებელია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ლექციების უბრალოდ, ახსნითი წესით წაკითხვამ, სემინარული მეცადინეობის გამოკითხვის ფორმით ჩატარებამ ის გამოიწვია, რომ სტუდენტებს ვერც სათანადო დონეზე ვაწვდიდით და ვასწავლიდით საპროგრამო მასალას და ვერც აზროვნებასა და მსჯელობას ვაჩვევდით, მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახლა ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლები, რომ სწრაფად და კარგად უნდა ვისწავლოთ - როგორ ვასწავლოთ. ახალმა დრომ, გარდაქმნის აუცილებლობამ მოითხოვა სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც უნდა გამოიძებნოს და შემუშავდეს ლენინური მოთხოვნების საფუძველზე იმის შესახებ, რომ ჩვენთვის საჭიროა ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, რომელიც შეგნებაში გადამუშავდება.[I] ამ მხრივ სალექციო და სასემინარო მუშაობის გარდაქმნა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაიწყო და იგი მიმდინარეობს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1987 წლის 8 იანვრის N1 საინსტრუქციო წერილის - "სასწავლო პროცესის გარდაქმნაში კათედრათა ინიციატივის განვითარების, პასუხისმგებლობის ამაღლებისა და უფლებათა გაფართოების სა-

- - -.- -.- - -

I იხ. ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.31, გვ.344.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფუძეებზე უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სრულყოფის შესახებ" - მითითებათა შესაბამისად. საინსტრუქციო წერილი ითვალისწინებს ლექციების პრობლემური, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ხასიათის გაძლიერებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკვანძო საკითხების შესწავლაში მათი როლის ამაღლებას, თანამედროვე ეტაპზე პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის ყოველმხრივ და ღრმა შეცნობას, სალექციო მუშაობაში დიალოგის ფორმის გამოყენებას. საინსტრუქციო წერილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სემინარული მუშაობის ისეთი აქტიური მეთოდებისა და ფორმების გამოყენებას, როგორიცაა: დისკუსიები, რეალური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივ-ეთიკური სიტუაციების ანალიზი, უახლესი ანტიმარქსისტული და ანტიკომუნისტური კონცეფციების კრიტიკული განხილვა, სტუდენტების მიერ მომზადებული მოხსენებების გარჩევა. კათედრებს უფლება მიეცათ სალექციო საათების შემცირების ხარჯზე გაზარდონ საათების რაოდენობა სემინარული მეცადინეობისა და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის, მაგრამ ისე, რომ უზრუნველყონ სტუდენტების მიერ შესაბამისი კურსის შინაარსის სრული ათვისება. ბუნებრივია, რომ აღნიშნული და სხვა ღონისძიებებიც, რომელთაც საინსტრუქციო წერილი ითვალისწინებს, ხელს შეუწყობს უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებას, მისი ეფექტიანობის გაზრდასა და დღევანდელ პრაქტიკულ ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. უწინარეს ყოვლისა კი ის, რომ სწრაფად გადაწყდეს სკკპ ისტორიის და მარქსიზმ-ლენინიზმის სამი შემადგენელი ნაწილის სწავლებაში ზუსტი კოორდინაციის უზრუნველყოფის მეთოდური საკითხები, რათა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებში ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მსოფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლმხედველობის ჩამოყალიბება. ასევე, საჭიროა სწავლების ახალი, თანამედროვე მეთოდების სერიოზული დამუშავება პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უახლესი მიღწევების შესაბამისად, იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე უკანასკნელ ხანს დაგროვდა.

ჩვენთან, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე უკვე მკვიდრდება ზემოაღნიშნული საინსტრუქციო წერილით რეკომენდებული სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა ინდივიდუალური მეცადინეობა, სავალდებულო-საკონტროლო გასაუბრება, სემინარის ჩატარება დისკუსიისა და სხვადასხვა რეალური სიტუაციების ანალიზის მეთოდების გამოყენებით, თემის მნიშვნელოვან საკითხებზე წერითი პასუხის გაცემის მოწყობით და სხვ., და, უნდა ითქვას, რომ სიახლე ზოგჯერ წინააღმდეგობრივი გზით იკიდებს ფეხს, რაც იწვევს გარკვეულ ხარვეზებს. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გეზი სწორადაა აღებული და ახლა საჭიროა მიღწეულის შეჯამება და დაზუსტება, მისი განმტკიცება და განვითარება სხვა კათედრების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. მთავარი აქ ის არის, რომ ლექციების პრობლემური, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ხასიათის გაძლიერებასთან ერთობლიობაში სწავლების ამ ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ზუთხვა-დაზეპირების, დოგმატიზმისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლას და სტუდენტებში დამოუკიდებლად, შემოქმედებითად აზროვნების უნარის დანერგვასა და განვითარებას. ეს კი სწორედ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომელსაც პარტია უყენებს უმაღლესი სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გარდაქმნაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია სპეციალური კურსებისა და სპეციალური სემინარების ჩატარებას. სპეციალური კურსების შემოღებით გათვალისწინებულია

საზოგადოებრივი განვითარებისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლა და მომავალი სპეციალისტების მსოფლმხედველობრივი და ზოგადკულტურული მომზადების გაღრმავება. სპეციალური სემინარები კი უნდა მიეძღვნას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომების უფრო ღრმად შესწავლას. ჩვენს კათედრაზე უკვე დაგვიგროვდა სპეცკურსებისა და სპეცსემინარების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამოცდილება. სპეცკურსებისა და სპეცსემინარების თემატიკას განვსაზღვრავთ სასწავლო წლის დასაწყისშივე, ვაცნობთ მათ სტუდენტებს, რომელთაც შეუძლიათ თავისი ინტერესების შესაბამისად ამოირჩიონ სპეცკურსი და სპეცსემინარი. კათედრის სხდომაზე ვიხილავთ და ვამტკიცებთ სპეცკურსების პროგრამებს და სპეცსემინარის გეგმებს. გათვალისწინებული გვაქვს მათი ჩატარების მეთოდური საკითხების დამუშავება, სპეცკურსებისა და სპეცსემინარების კიდევ უფრო მეტად დაახლოება ინსტიტუტის სპეციფიკასთან და მათს ჩასატარებლად სპეციალისტების მოწვევა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორიცაა - სალექციო და სასემინარო მეცადინეობა, სპეცკურსებისა და სპეცსემინარების ჩატარება, ინდივიდუალური მეცადინეობა, სავალდებულო-საკონტროლო გასაუბრება. მათ ემატება, აგრეთვე, ჩათვლები და გამოცდები, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი. ყველაფერი ეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ყველა წევრის კომპეტენციაში შედის და მის გასაკეთებელ საქმეს წარმოადგენს. აქ ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით უმაღლეს სკოლაში პედაგოგების დიდი როლისა და პასუხისმგებლობის საკითხს. ყველა საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლის მოვალეობაა, სწავლების აღნიშნული ფორმების სათანადო გამოყენებით, სწორი მიმართულებით წარმართოს მუშაობა სტუდენტებთან, აამოძრაოს მათი ინტელექტუალური ძალები, აღმოაჩინოს და განუვითაროს დაფარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარი, ასწავლოს მსჯელობა და აზროვნება, უხელმძღვანელოს კოლექტიური შემეცნების პროცესს, ობიექტურად შეაფასოს სტუდენტის აკადემიური წარმატება თუ წარუმატებლობა. თითოეული პედაგოგი საფუძვლიანად უნდა ფლობდეს სპეციალობას, ღრმად ერკვეოდეს საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ჩვენი სოციალური სინამდვილის მწვავე საკითხებსა და წინააღმდეგობებში და შეეძლოს მათ შესახებ ლენინური სიმართლის მიტანა ყოველ მეცადინეობაზე. ყოველივე ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გარდაქმნის წარმატება ძირითადად დამოკიდებულია მათი წევრების დაინტერესებასა და პასუხისმგებლობაზე, საქმისადმი მათს დამოკიდებულებაზე, მათს ცოდნასა და პედაგოგიურ ხელოვნებაზე, პროფესიონალურ ზრდასა და ოსტატობის დახვეწაზე.

სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურის - საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლის გააქტიურებისათვის, რასაც მუშაობის გარდაქმნის ამოცანები მოითხოვს, საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე შეიქმნას გულწრფელობის, პატიოსნების, მომთხოვნელობისა და პარტიული პრინციპულობის ატმოსფერო, ამაღლდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლი, თავისუფალი, ამხანაგური კრიტიკა ორგანულად შეერწყას კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებას. კათედრის მუშაობის გარდაქმნის ინტერესებში შედის სისტემატური კონტროლის განხორციელება პედაგოგების მუშაობაზე. ჩვენს კათედრაზე, მაგალითად, დამკვიდრდა კონტროლის ისეთი ფორმები, როგორიცაა - ანგარიშების მოსმენა, მეცადინეობაზე ურთიერთდასწრება და შედეგების კრიტიკული, საქმიანი განხილვა, ლექცია-სემინარების მაგნიტოფონური ჩაწერა მათი შემდგომი რეცენზირებითა და კათედრის სხდომაზე განხილვით და ა.შ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასწავლებელთა მუშაობაზე მუდმივი კონტროლის განხორციელება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკის გათვალისწინებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლო პროცესსა და აღმზრდელობით საქმიანობაში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მუდმივად ითვალისწინებდეს ინსტიტუტის ძირითად მიზანს - აღზარდოს კარგი პროფესიონალი სპეციალისტი და მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს მისი, როგორც კონკრეტული დარგის სპეციალისტის, სწორი მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბებისაკენ. ჩვენს კათედრაზე სათანადო ყურადღებას ვაქცევთ ამ საკითხს, ვითვალისწინებთ თეატრალური ინსტიტუტის სპეციფიკურ დანიშნულებას, რაც ძირითადად ქართული საბჭოთა თეატრისა და კინოსათვის მსახიობების, რეჟისორების, თეატრმცოდნეებისა და კინომცოდნეების მომზადებაში გამოიხატება. ვითვალისწინებთ მათს მომავალ როლსა და ადგილს ხელოვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იმასაც, რომ სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტების სტუდენტები ყოველდღიურად მძიმე და ხანგრძლივ შრომას ეწევიან სპეციალობის დაუფლების მიზნით. ჩვენს მუშაობაში მხედველობაში ვღებულობთ თეატრის დიდი საბჭოთა რეჟისორის, მსახიობის, პედაგოგისა და თეორეტიკოსის კ.ს.სტანისლავსკის შეხედულებებს მსახიობის საპასუხისმგებლო და მომქანცველ შრომაზე.[I] ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, სასწავლო პროცესის დროს, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კულტურისა და ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების მეცნიერულ ანალიზსა და დახასიათებას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე. მაგალითად, ჩვენს სალექციო და სასემინარო მუშაობაში ვიყენებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისეთ დადგენილებებს, როგორიცაა -"შემოქმედებით

\- - - - - - - -

I იხ. "Еженедельник московского художественного театра", т.I, М., 1946, გვ. 39.

26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", "კინო-ფილმების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისა და კინემატოგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ", "შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ" და სხვ. სტუდენტებს ვაცნობთ და ვასწავლით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს "შემოქმედებით ძალას - პარტიული ზრუნვა" და "ქართული კინოს ახალგაზრდა ძალას - პარტიული ზრუნვა", რომელნიც უშუალოდ თეატრალურ ინსტიტუტს შეეხებიან, მისი მუშაობის დადებით მხარეებს აღნიშნავენ და ჩვენი თეატრალური და კინოხელოვნების კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების გზებს განსაზღვრავენ. ზემოაღნიშნული დოკუმენტები ხელოვნების განვითარებისა და კულტურის მუშაკების მიმართ უდიდეს მზრუნველობას გამოხატავენ და ამიტომ მათ შესწავლას სტუდენტების მიერ დიდი პროფესიონალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენ ვეძებთ შეხების წერტილებს სპეციალურ კათედრებთან კარგი პროფესიონალისა და მოქალაქის აღზრდის ამოცანის გადასაჭრელად, მათთან და სტუდენტებთან ერთად ვიხილავთ სპექტაკლისა თუ კინო-ფილმის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, პიესის, ფილმის სიუჟეტის განვითარების/დროინდელი ვითარების, მაშინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ანალიზი, ზნე-ჩვეულებათა და ტრადიციების ხასიათი, ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებანი და სხვ.) და ამით ვამდიდრებთ სტუდენტის ცოდნას, რაც მას დიდ სამსახურს უწევს სპეციალობის დაუფლების საქმეში.

ჩვენი ინსტიტუტის სპეციფიკურ მხარეს წარმოადგენს, აგრეთვე, მცირერიცხოვანი სასწავლო ჯგუფების არსებობა. მართალია, ასეთ პირობებში კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები იქმნება სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თი მუშაობა, თუ ის სწორად წარიმართება, მეტად შრომატევად ხასიათს ატარებს. ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ ყველაზე მოწინავე მეთოდიკაც კი არ გამოდგება უკლებლივ ყველა სტუდენტისათვის. უმაღლესი სკოლის პედაგოგი შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს თითოეულ სტუდენტს, გაითვალისწინოს მისი ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ხასიათი, ინტერესები და მისწრაფებები, სულიერი მოთხოვნილებები, რომელნიც, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის პიროვნებას განსაზღვრავენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით მან უნდა შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდური ხერხი, რომლის გამოყენებითაც ხელს შეუწყობს თითოეული სტუდენტის პასუხისმგებლობის გაზრდას, სწავლით, ცოდნის შეძენით მის დაინტერესებას და შრომისადმი სერიოზული მიდგომის ჩვევების გამომუშავებას. და, ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს არა იმდენად სალექციო და სასემინარო საათებში, რამდენადაც არააუდიტორიულ დროში, რომლის დეფიციტსაც (სასწავლებლის სპეციფიკის გამო) სტუდენტები მტკივნეულად განიცდიან. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ხაზი გაუსვათ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროებასაც და სიძნელეებსაც; თუმცა, ძალიან კარგად გვესმის სიძნელეების დაძლევის საჭიროებაც და აუცილებლობაც.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეული გარდაქმნა წარმოადგენს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე, ისევე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნეობითი დისციპლინების მასწავლებელთა რესპუბლიკურ თათბირზე აღინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სამეცნიერო პოტენციალის სულ უფრო სრულად გამოყენების საჭიროება. უმაღლესი სკოლის საზოგადოებათმცოდნეებს ამოცანად დაუსახეს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ რევოლუციური თეორიის შემდგომ შემოქმედებით გან-

ვითარებასა და პროპაგანდაში, ფუნდამენტური ფილოსოფიური შრომების შექმნაში, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების, ღრმა ისტორიული გამოკვლევების დამუშავებაში. სამეცნიერო გამოკვლევათა იდეურ-თეორიული დონის, ეფექტიანობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის ამაღლებას მოითხოვს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეხებოდა რა თეორიული ფრონტის აქტივიზაციის საჭიროებას, მ.ს.გორბაჩოვი აღნიშნავდა, რომ "...დაჩქარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის კურსის რეალიზაცია წარმოუდგენელია იდეურ-თეორიული საქმიანობის გააქტიურების გარეშე, განვითარებადი სოციალიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებების საიმედო მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე".[I] სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს მითითება საფუძვლად დაედო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობას, რომელთაც დროულად უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, ახალ მოთხოვნებს დაუქვემდებარონ სამეცნიერო კვლევა, იბრძოლონ მისი შედეგების ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში დანერგვისათვის და ყურად იღონ ის ფაქტი, რომ იზრდება საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების კათედრებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობა სამეცნიერო გამოკვლევათა ორგანიზაციისა და შედეგებისათვის.

უმაღლეს სკოლაში საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ავკარგიანობა დამოკიდებულია კვლევისათვის შერჩეულ პრობლემებსა და შესრულების ხარისხზე. სწორად შერჩეულ აქტუალურ თემას მაღალ დონეზე შესრულებაც სჭირდება. მაგალითად, ჩვენს კათედრაზე თითქოს ურიგო პრობლემა არ მუშავდება ("შემოქმედებითი

- - - - - - - - -

I მ.ს.გორბაჩოვი. სიტყვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე. გაზ."კომუნისტი", 1986. 2 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე"), მაგრამ ამოცანას შესრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავთვლით, თუ კვლევის შედეგები ხელს შეგვიწყობს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებაში.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნას ემსახურება საწარმოებსა და დაწესებულებებში, რეგიონებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ფილიალების შექმნის პრაქტიკის შემოღება. ასეთმა ფილიალებმა ადგილებზე მეთოდური დახმარება უნდა გაუწიონ პოლიტიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტებს; ჩაატარონ ლექციები; მოაწყონ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, დისპუტები; ჩაატარონ აქტუალური პრობლემების სამეცნიერო კვლევა და მიღებული შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები დანერგონ პრაქტიკაში."

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტიული გაუმჯობესებისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტებში კვლევის უნარის გამომუშავებას, ახალგაზრდა მკვლევართა მომზადებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში დიდი ნაკლოვანებანი და სიძნელეები არსებობს. სტუდენტთა ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, უპირველეს ყოვლისა, სპეციალობების მიხედვით და, თანაც, ნებაყოფლობითობის მკაცრი დაცვის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად ხერხდება ხოლმე ამ ორივე პრინციპის დაცვა, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო მათი დარღვევაც ხდება. ამ საქმეში დიდ სიძნელეებს აწყდებიან იმ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები, სადაც არ არსებობს სპეციალობები საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინებში. სამეცნიერო მუშაობის სურვილისა და კვლევის უნარის მქონე სტუდენტები სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმული არიან სპეციალობების მიხედვით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს კი ისღა რჩებათ, რომ ამ საქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეში გამოიყენონ ამ უნარს მოკლებული დანარჩენი სტუდენტები. მათ არჩევანის შეზღუდული, უფრო სწორად, მცირე შესაძლებლობები აქვთ. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მით უმეტეს, თუ მას ფართო ხასიათი ეძლევა, სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება. მართალია, კათედრების, პროფესორ-მასწავლებლების მუშაობა ზოგჯერ წარმატებით მთავრდება (მაგალითად, კონკურსებში გამარჯვებით), მაგრამ, მთლიანობაში ნაკლოვანებები და სიძნელეები კვლავ ძალაში რჩება. გამოსავალს აქ იმაში ვხედავთ, რომ საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინებში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ და მხოლოდ კვლევითი უნარის მქონე ახალგაზრდების მოზიდვისა და ნებაყოფლობითობის პრინციპის მტკიცედ დაცვით.

ჩვენს კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრე აქტიურად მუშაობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წრის წევრთა მიერ მომზადებული მოხსენებები ყოველთვის ვერ პასუხობს მოთხოვნებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო წრემ მრავალი კარგი ღონისძიება ჩაატარა, სამეცნიერო კონფერენციები მიუძღვნა სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს, ვარძიის 800 წლისთავს, მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა საინსტიტუტო და ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში მოაწყო შეხვედრა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებთან. ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები ქ.ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან ერთად, რომელთანაც მჭიდრო საქმიანი კავშირი გვაქვს დამყარებული. ყველა ასეთ ღონისძიებაზე სამეცნიერო წრეს გააქვს ფართო თემატიკის კარგად მომზადებული საინტერესო მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხსენებები (მაგალითად, უკვე წაკითხული მოხსენებებიდან აღსანიშნავია: "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა", "ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში", "სკკპ XXVII ყრილობა იდეოლოგიის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრების შესახებ", "სოციალიზმი და თავისუფალი დრო", "თანადროულობა სტუდენტის თვალით", "გარდაქმნა და ახალგაზრდობა", "პარიზი XIX საუკუნის პრესის ფურცლებზე" და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრების მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებთან ურთიერთობის უკვე წლობით დამკვიდრებული ტრადიცია. სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა საწარმოების მოწინავე მუშების შრომით საქმიანობას, მათ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, წმინდა ადამიანურ თვისებებს, ოჯახურ მდგომარეობასა და ურთიერთობას და "თანამედროვე მუშის პორტრეტს" მოხსენებების სახით წარმოადგენენ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებიან სტუდენტები და მუშები, ინსტიტუტის თანამშრომლები და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ასეთ კონფერენცია-შეხვედრებზე იმართება მსჯელობა ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, საბჭოთა საზოგადოების კონკრეტულ ამოცანებზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა მიერ თანამედროვე ცხოვრების უკეთ შეცნობას. ამრიგად, ასეთი ღონისძიება ასრულებს არა მარტო სამეცნიერო კვლევის ჩვევების დაუფლების ამოცანას, არამედ - მას აქვს, აგრეთვე, მეორე დატვირთვაც - აღმზრდელობითი ფუნქცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წინაშე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი ამოცანებია დასახული. კვლევა მთლიანად უნდა დაექვემდებაროს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს და წარიმართოს მის მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად. გათვალისწინებულ უნდა იქნას საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირო თათბირზე გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თეორიული აზროვნების მოვალეობაა ღრმად წარმოაჩენდეს სოციალიზმის თანამედროვე სტადიის თავისებურებებს, უახლესი ათწლეულებისათვის თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის ცალკეულ ეტაპებს, დღევანდელი მსოფლიოს მეცნიერულ-ობიექტურ სურათს. ამასთან, სწორად მიგვაჩნია საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნეობითი დისციპლინების მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირის რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ კომუნისტური მორალის, ზნეობის, მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის, კულტურის სფეროში სკკპ პოლიტიკისა და სხვა მსგავსი პრობლემების სერიოზულ კვლევას. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების ძირითადი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზისა და შეფასების უნარის გამომუშავებას, კვლევითი მუშაობის ახალი ფორმების პრაქტიკაში გამოყენებას.

გარდაქმნის თანამედროვე პირობებში უმაღლეს სკოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღმზრდელობითი მუშაობა. იგი განცალკევებული პროცესი კი არაა თავისი განყენებული მიზნებით, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების მომზადების რეალურ პრობლემებსა და საზოგადოებრივი განვითარების ამოცანებთან. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აღმზრდელობითი საქმიანობა თავის ერთობლიობაში მთლიანად ემსახურება ერთი ძირითადი ამოცანის - სათანადოდ მომზადებული სპეციალისტისა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული მოქალაქის, სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრის ფორმირების ამოცანის - გადაჭრას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დღეს, როგორც არასდროს, ფართო მასშტაბით დგას ახალგაზრდებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების და ამ საქმეში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების როლის ამაღლების საკითხი. სწორედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დროს უნდა გამოვუმუშაოთ მომავალ სპეციალისტებს ახლანდელ რთულ და წინააღმდეგობრივ სამყაროში გარკვევის უნარი, შევძინოთ ცოდნა ამ სამყაროს შესახებ და დავეხმაროთ ჩვენი კლასობრივი ინტერესებისა და იდეალების გაცნობიერებაში. ახალგაზრდობის მსოფლმხედველობრივი აღზრდა მით უფრო ეფექტური იქნება თუ ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივად იმოქმედებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სპეციალობათა კათედრები, თუ ისინი უზრუნველყოფენ მთელი სასწავლო პროცესის სწორ მსოფლმხედველობრივ მიმართულებას.

ახალგაზრდობის, სტუდენტობის კომუნისტური აღზრდა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. იგი ვერ იტანს შაბლონსა და პირფერობას, დახავსებულობასა და გულგრილობას, ინერტულობას, სოციალიზმის საწინააღმდეგო ღირებულებებისადმი შემრიგებლობას. ჩვენს საზოგადოებას სჭირდება ინიციატივიანი და პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკურად მომზადებული ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრებაში, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. ასეთი ადამიანის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების სათანადო დონეზე მოწყობილ პროცესს, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ და საინტერესოდ განხორციელებულ პოლიტიკურ ღონისძიებებს, მათთან საუბრისას ჭკუისდამრიგებლურ ტონსა და ქადაგებას მოკლებულ კოლეგიალურ საუბარსა და დიალოგს. აღმზრდელობით მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემეცნებითი, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის იდეურზნეობრივ მიმართულებას, სტუდენტი ახალგაზრდობის ერთ ნაწილის შორის გავრცელებული ნეგატიური მოვლენებისა (კმაყოფაზე ყოფნისა და მომხმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რებლური განწყობა, "პრესტიჟული" ნივთების შეძენისაკენ ლტოლვა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევა და ა.შ.) და საბჭოური ცხოვრების წესის ანტიპოდების (ლოთობა, ნარკომანია და სხვ.) წინააღმდეგ პრინციპულ და ულმობელ ბრძოლას, სწორი პატრიოტული და ინტერნაციონალური თვისებების გამომუშავებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები ეფექტურად უნდა იყენებდნენ ახალგაზრდობის აღზრდის არსებულ ფორმებსა და მეთოდებს, ზრუნავდნენ ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებაზე. აღმზრდელობითი მუშაობისას ჩვენს კათედრაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საუბრების ჩატარებას აკადემიურ ჯგუფებში პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, საბჭოთა ადამიანების უფროს თაობათა ფასდაუდებელი ისტორიული გამოცდილებისა და თანამედროვე ახალგაზრდობის წარმომადგენელთა თავდადებული შრომითი საქმიანობის საკითხებზე. დიდ აღმზრდელობით დატვირთვას ასრულებს კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით სტუდენტების მიერ მრავალფეროვანი თემატიკით მომზადებული მოხსენებები (მათი წარდგენა ხდება სამეცნიერო კონფერენციებზე, აკადემიურ ჯგუფებში, სამეცნიერო წრის მეცადინეობაზე) და მათ გარშემო მოწყობილი დისკუსიები. აღმზრდელობითი მუშაობის შესანიშნავ სკოლად მიგვაჩნია სტუდენტების სისტემატური შეხვედრები მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან, მათი ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გაცნობა, მათთან გულახდილი საუბარი. ჩვენი აზრით, სტუდენტებისათვის საინტერესო უნდა გამოდგეს აღმზრდელობითი ხასიათის ისეთი ღონისძიების პრაქტიკაში შემოღება, როგორიცაა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - "თანამედროვე ახალგაზრდის პორტრეტი", რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდების (მსახიობების, რეჟისორების, თეატრმცოდნეებისა და კინომცოდნეების, კულტსაგანმანათლებლო მუშაობის წარმომადგენ-

ლების) წარმატებები შრომითი საქმიანობის სარბიელზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ სასწავლო პროცესის დროს მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, კინოსა და თეატრის, ტელევიზიის აღმზრდელობითი შესაძლებლობები, აღზრდის ჭეშმარიტ ცენტრებად გადავაქციოთ ჩვენი მუზეუმები, მემორიალები და რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ძეგლები.

საერთაშორისო ასპარეზზე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის დღევანდელ ვითარებაში, აღმზრდელობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკომუნისტური ბურჟუაზიული შეხედულებებისა და კონცეფციების მხილებასა და დასაბუთებულ კრიტიკას. ჩვენ სათანადო ყურადღებას ვაქცევთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამ ამოცანას სწავლების პროცესშიც და არააუდიტორიული მუშაობის დროსაც. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მისი თეორიული კონცეფციების კრიტიკა თავის ასახვას პოულობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიერ შესასწავლ იმ თემებში, რომლებიც ითვალისწინებენ ბურჟუაზიული შეხედულებების მხილებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. კათედრაზე შემოღებული გვაქვს სპეცკურსი - "თანამედროვე საზოგადოებაში ახალგაზრდობის როლისა და ადგილის შესახებ ბურჟუაზიულ კონცეფციათა კრიტიკა", რომელიც ეკითხება დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. კათედრის სხდომებზე, ინსტიტუტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, საშეფო რაიონში სისტემატურად იკითხება ჩვენი ლექტორებისა და სტუდენტების მიერ მომზადებული მოხსენებები, რომლებიც ამხელენ სოციალისტური სინამდვილის ბურჟუაზიულ დამახინჯებებს, იმპერიალიზმის სოციალურ რევანშისა და მილიტარიზაციის, ხალხთა მასების დამონების იდეოლოგიასა და პოლიტიკას. გვიჩვენებენ ახალგაზრდობისა და ხელოვნების როლს იდეოლოგიურ ბრძოლაში.

**იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის წინაშე არსებული ამოცანები წარ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მატებით რომ განხორციელდეს, ამისათვის საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მონდომებული, მიზანშეწონილი ურთიერთმოქმედების გაძლიერება სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ყველა სფეროში.

• • •

უმაღლესი სკოლის მთელი მუშაობის გარდაქმნის ამოცანა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. მათ დროულად და წარმატებით უნდა დაძლიონ ახალგაზრდა სპეციალისტისა და მოქალაქის ფორმირებაში არსებული ნაკლოვანებანი - მოძველებული ფორმები და მეთოდები, ფორმალიზმი და სქოლასტიკა, მედავითნეობა და დოგმატიზმი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა უნდა მიაღწიონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების ხარისხის ამაღლებას, სამეცნიერო გამოკვლევათა აქტივიზაციას და მათ დაახლოებას თანამედროვე ცხოვრებისა და პრაქტიკის მოთხოვნებთან, სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის ორგანიზაციის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას და ყველაფერი ეს გამოიყენონ იმისათვის, რომ სკკპ XXVII ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების, პარტიის მთელი დღევანდელი საქმიანობის არსი და სულისკვეთება გადააქციონ ახალგაზრდა სპეციალისტების ცხოვრებისეულ პოზიციად.

БУРДУЛИ В.А.

## ЗАДАЧИ КАФЕДР ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК В СОВРЕМЕННЫХ УСЛОВИЯХ ПЕРЕСТРОЙКИ

### А Н Н О Т А Ц И Я

В статье рассматриваются общие задачи перестройки высшей

ეროვნული
ბიბლიოთეკა

школы и конкретные вопросы улучшения учебно-методической, научно-исследовательской и идейно-воспитательной работы кафедр общественных наук творческих вузов республики. Автор делится опытом работы кафедры КПСС и научного коммунизма Грузинского государственного театрального института имени Шота Руставели по претворению в жизнь решений XXУП съезда КПСС и рекомендаций Всесоюзного совещания заведующих кафедрами общественных наук.

თ. ლ. ქვარიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

## კულტურის აღზრდის ზოგიერთი ფაქტორი

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რადიკალური გარდაქმნის ამოცანები, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურის ამაღლების ამოცანებს გულისხმობს.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კონკრეტული სოციოლოგიის ლაბორატორიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ერთი დამახასიათებელი ტენდენცია წარმოაჩინა, რომელშიც მკაფიოდ მოჩანს, თუ რა გამოიწვია წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა უძრაობამ და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილმა, პასიურმა დამოკიდებულებამ. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე შექმნილი სპექტაკლების ნახვის სურვილი გამოთქვა გამოკითხულ მაყურებელთა უმცირესობამ. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის

ყველა სფეროს უფრო ინტენსიური შესწავლა. ეს განსაკუთრებით შეეხება მართვის სფეროს, რომელშიც ყველაზე თვალნათლივ ვლინდება ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის რეალიზაციის ხასიათი. ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების ინტენსიფიკაციის პროცესი, საბოლოო ჯამში, გამიზნულია მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის სრულყოფისკენ. ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯები გადადგმულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985) პლენუმზე, ხოლო მომდევნო პლენუმებზე და სკკპ XXVII ყრილობაზე ამ ტენდენციამ მკაფიო პროგრამის სახე მიიღო.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში სოციალური შემეცნების მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციაში ამჟამად საგანგებო ყურადღების ობიექტად იქცა სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესწავლა, ვინაიდან ეს უკანასკნელნი სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის ძირითადი დეტერმინანტებია. "დრო აყენებს საკითხს, - აღნიშნავს მ.ს.გორბაჩოვი, - რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ფართოდ გაითვალისწინონ პრაქტიკის კონკრეტული საჭიროებანი, მოითხოვს, რომ საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები ფხიზლად რეაგირებდნენ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე, თვალთახედვის არედან არ უშვებდნენ ახალ მოვლენებს, გამოჰქონდეთ დასკვნები, რომლებიც სწორ გეზს მისცემენ პრაქტიკას".[I]

ამიტომ აუცილებელია, რომ, როცა სოციალური მართვის სრულყოფის გზებს ვიკვლევთ, მოთხოვნილებათა პრობლემები, მათი როლის საკითხი მჭიდრო ურთიერთკავშირში განვიხილოთ. რა გვაქვს აქ მხედველობაში:

\- - - - - - - -

I სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ.131.

მოთხოვნილებების შესწავლა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ შევისწავლოთ მშრომელთა მასების სოციალისტური ცხოვრების სრულყოფისა და მართვის საქმეში მათი რეალური მონაწილეობა და წვლილი. საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებები და წინააღმდეგობები ყველაზე კარგად მოსჩანს სოციალური და პიროვნული მოთხოვნილებების თანაფარდობის შუქზე. თუ ჩვენ არ გამოვავლენთ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზებსა და საშუალებებს, მაშინ შეუძლებელი გახდება როგორც მატერიალური წარმოების, ასევე სულიერი ცხოვრების და, საერთოდ, მთელი ისტორიული პროცესის მეცნიერული სურათის წარმოჩენა. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ მოთხოვნილებათა სფეროში ძევს სოციალური სინამდვილის წინააღმდეგობების საფუძველი და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ამ წინააღმდეგობათა საზოგადოებრივ-გარდამქმნელი მიმართულებით წარმართვის პირობები.

კიდევ ერთი ამოცანა, რაც დღეისათვის აქტუალობას იძენს საზოგადოებრივ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში გახლავთ ის, რომ არსებითად შესწავლილი უნდა იქნას ყველა პირობა და ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ მოთხოვნილებათა ფორმირებაზე, ხოლო, საბოლოო ჯამში, ადამიანურ მოღვაწეობაზე და ცხოვრების წესზე. ამჟამად უკვე საფუძვლიანადაა გამოკვლეული ის ვითარება, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს ინიციატივიან, შემოქმედებითს, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას შრომისადმი. უფრო მეტიც: ერთ-ერთი ყველაზე არსებითი, აშკარად ფიქსირებული და თვალში საცემი ნეგატიური ფენომენი გახლავთ ის, რომ ჩამოყალიბდა ინტერესთა გაუბრალოებისა და მათი ყოფითი და საყოფაცხოვრებო ასპექტების გაფეტიშების ტენდენცია, გაიზარდა სამომხმარებლო განწყობილებები: ამას მოჰყვა თვითდისციპლინის მერყეობა, შინაგანი სოციალური პასუხისმგებლობისა და სიფხიზლის მოდუნება, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ისეთ მახასიათებელში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დავაფიქსიროთ, როგორიცაა დაბალი ყოფითი კულტურა, ურთიერთობათა კულტურის კონფორმიზაცია და ა.შ. იგი აშკარად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის საქმეს, მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში ჩაბმას.

ხსენებული გარემოება კი არაგონივრული მოთხოვნილებების წარმოშობასაც იწვევს. ეს ის მოთხოვნილებებია, რომლებიც დიამეტრულად საპირისპიროა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ინტერესებისა და მათი განვითარება საზოგადოებრივი რეგრესისთვის კარგ საფუძველს ამზადებს. ამდენად, ამ ასპექტით, აუცილებელია მშრომელთა საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის შემდგომი ინტენსიური სრულყოფა, მოხმარების კულტურის არსებითი გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცხოვრების აქცენტის გადატანა სოციალისტური ცხოვრების წესის სულიერ, კულტურულ ასპექტებზე. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური და მორალური კულტურა, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების მართვაში მშრომელთა აქტიური, საზოგადოებრივ-გარდამქმნელი მოღვაწეობის პოლიტიკურ-კულტურული და მორალურ-კულტურული ასპექტები; მაგრამ, ვიდრე მათზე შევაჩერებდეთ ყურადღებას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველ რიგში უნდა გავიაზროთ გონივრულ სოციალურ მოთხოვნილებათა და ინტერესთა ფორმირება-განვითარების პრობლემები.

როცა საკითხს ვსვამთ გონივრული სოციალური მოთხოვნილებების ფორმირების შესახებ, პირველი, რაც უნდა გვახსოვდეს მარქსიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ისაა, რომ ეს მოთხოვნილებები ისტორიულად კონკრეტული ხასიათის მატარებელნი არიან და განისაზღვრებიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ ეტაპით, რა ეტაპზედაც საზოგადოება იმყოფება. ამჟამად, როცა შეიქმნა სოციალიზმის ინტენსიური განვითარებისა და სრულყოფის რეალური პროგრამა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომზადდა ნიადაგი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მატერიალური მოთხოვნილებების და მისი შესაბამისი სულიერი მოთხოვნილებების ახალი სისტემის შექმნისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობს მოხმარების კულტურის აღზრდაში. დავსვათ ასეთი კითხვა: როცა ჩვენ გვიჩნდება ესა თუ ის მოთხოვნილება, როცა ეს მოთხოვნილება ფორმირდება, სულერთია თუ არა ჩვენთვის, მას დავიკმაყოფილებთ კულტურულად თუ არაკულტურულად? პასუხი ამ შემთხვევაში ერთია: თვით მოთხოვნილებისთვის და მისი მატარებელი სუბიექტისთვის მისი დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, სულერთი არაა. იმისდა მიხედვით, თუ როგორ კმაყოფილდება მოთხოვნილება - კულტურულად თუ პირიქით, ჩვენ ვიღებთ იმ ფორმას, რომელსაც დაკმაყოფილების პროცესში შეიძენს ესა თუ ის მოთხოვნილება. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ბევრი ის ნაკლი, რომელიც მოთხოვნილებათა ფორმირებისას გვხვდება, გამოწვეულია იმ ნაკლთა მიერ, რაც ჩვენს ქვეყანაში განაწილებისა და მოხმარების კულტურას გააჩნდა. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობა აქვს იმ დებულებებს, რომლებიც განაწილებისა და მოხმარების სისტემის სრულყოფის შესახებ პარტიის საპროგრამო დოკუმენტებშია მოცემული.

მარტო ჩვენი აზრი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სოციალიზმი კოლექტივისტურად ორგანიზებული საზოგადოებაა, მას შესწევს უნარი — გაიგოს საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი კანონი, რომელშიც ფიქსირებულია ის წინააღმდეგობა, რაც წარმოების დონესა და მუდმივად მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის არსებობს. ხსენებული კანონი სპეციფიკურად მოქმედებს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და მუდამჟამს უნდა ვითვალისწინებდეთ ამ სპეციფიკას.

ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმი ამჟამად ისეთ ეტაპზე იმყოფება, რომ აუცილებელია დაისვას საკითხი — მატერიალური თვალსაზრისით რა ესაჭიროება ადამიანს, რომ იგი განვითარდეს როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა



საზოგადოებრივი პიროვნება. ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინეთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები თანამედროვე ეტაპზე. ამჟამად ამ საკითხზე დეტალურად ვერ შევჩერდებით, შემოვიფარგლებით მხოლოდ იმით,რომ ერთ-ერთი არსებითი პრობლემის ანალიზი აუცილებელია იმისათვის, რათა სწორად გავიგოთ ადამიანის დემოკრატიული მოთხოვნილებების რეალიზაციისა და სოციალისტური საზოგადოების საქმეების მართვაში მისი აქტიური მონაწილეობის საკითხი. კ.მარქსთან საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურა ძირითადად ასეთია: 1. საკუთრივ წარმოებითი მოთხოვნილებები; 2. მატერიალური და ეკონომიკური მოთხოვნილებები, რომლებშიც ადამიანის ფიზიკური მოთხოვნილებები ხორციელდება; 3. სოციალური მოთხოვნილებები, რომლებშიც გამოხატულია ადამიანთა გარკვეულ ერთობაში თანაცხოვრების, საზოგადოებრივ ურთიერთობების სისტემაში ჩართვის აუცილებლობა და რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ კიდეც, თუ რას წარმოადგენს მოცემული საზოგადოება; 4. სულიერი მოთხოვნილებები. საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურის მარქსისეული მოდელიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურის სპეციფიკა სოციალიზმის სრულყოფისა და განვითარების სტადიაში იმაში მდგომარეობს, რომ ამ სტრუქტურაში წინა პლანზე დგება სოციალური და სულიერი მოთხოვნილებები და სწორედ მათთან შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ მატერიალური მოთხოვნილებები და მატერიალური მოხმარება, რათა რეალურად შევუწყოთ ხელი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომ სრულყოფას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ცვლილებებს მოთხოვნილებების სტრუქტურაში, სოციალიზმის პირობებში აღმზრდელობითი ინსტიტუტები აქამდე ჯეროვნად არ ითვალისწინებდნენ თავიანთ საქმიანობაში, არადა, სწორედ მათი კომპეტენციაა, ხელი შეუწყონ

ისეთი მოთხოვნილებების ფორმირებას, რომლებიც ყველაზე მეტად მისადაგება სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ბუნებას. დასამალი არაა, რომ ჯერ კიდევ სანახევროდ არაა ფორმირებული იმის მოთხოვნილება, რომ ადამიანი თავისი წარმოებისა და ქვეყნის პატრონია. ე.ი., ერთი მხრივ, არსებობს ამ მოთხოვნილების ფორმირების პრინციპული შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, - გაუგებარი ინდიფერენტიზმი ამ მოთხოვნილების ჩამოყალიბებისა და მისი რეალიზაციის მიმართ. ნათქვამიდან გამომდინარე ვღებულობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულება ადამიანებში იმ მოთხოვნილებისადმი არასაკმარის და არაადექვატურ გამოხატულებას პოულობს, რაც მოცემულ მომენტში არსებობს და, შესაბამისად, ყველაზე მეტად სჭირდება სოციალისტურ საზოგადოებას; ეს მოთხოვნილება სოციალურად საჭირო და აუცილებელი კი არის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ქცეულა ამა თუ იმ ინდივიდთა შინაგან მოთხოვნილებად.

რაც შეეხება ჩვენ მიერ აღნიშნული წარმოების პატრონის გრძნობას, ეს უკანასკნელი სოციალისტური წარმოების ერთ-ერთი სოციალური რეზერვია, რამდენადაც იგი წარმოადგენს მშრომელთა სოციალისტურად აღზრდის მაღალი დონის მახასიათებელს და პირდაპირ მიანიშნებს პიროვნების იმ გონივრულ მოთხოვნილებებზე, რაც მასების აქტიური, შემოქმედებით - გარდამქმნელი ცხოვრებისეული პოზიციის საფუძველია. ეს სოციალური მოთხოვნილება სპეციფიკურია საკუთრივ სოციალისტური ცხოვრების წესისათვის და იგი ხასიათდება შრომითი კოლექტივის, მთელი საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების საკუთარ მიზნებად და ამოცანებად გაცნობიერებით, რომ პიროვნების მისწრაფებებსა და უნარებს რეალიზაცია უყონ წარმოებისა და მთლიანად საზოგადოების საქმეების მართვაში.

როცა გონებრივ მოთხოვნილებებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება გვერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დი ავუაროთ იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც მოთხოვნილებების სფეროში ვლინდება. ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ვითარებაში ამას საგანგებო მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ აშკარად საგრძნობია სხვადასხვა სახის სამომხმარებლო ტენდენციების გაძლიერება. ამ საკითხებზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სოციალიზმის პირობებში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს მატერიალური უზრუნველყოფის სფეროში. ალბათ, არც ის ფაქტორია მეორეხარისხოვანი, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარება სპეციფიკურ ისტორიულ თავისებურებათა პირობებში მიმდინარეობდა. შეზღუდვათა ერთგვარი ციკლის შემდგომ, ხალხმა შედარებით უზრუნველი ცხოვრება დაიწყო, რამაც აქა-იქ ზომიერების რღვევაც გამოიწვია. რაც უფრო იზრდება სოციალისტური საზოგადოების მატერიალური სიმდიდრე და მისი შესაძლებლობანი, მით უფრო აუცილებელია მასში კოლექტივიზმის, სოციალისტური შრომის დისციპლინის, სოციალისტური თანაცხოვრების და ა.შ. პრინციპების განმტკიცება. სოციალური პრაქტიკა, გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, წარმოების საშუალებებისადმი საზოგადოებრივი საკუთრების პირობებშიც კი ეს პრინციპები თავისთავად არ განხორციელდება.

გონივრული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ღრმა სოციალური საზრისი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო მეტად იჩენს თავს ადამიანის საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის როლი როგორც მოთხოვნილებათა გონივრულობის განვითარებაში, ისე მატერიალური მოხმარებისადმი გონივრულ დამოკიდებულებაში. აქ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნილებები მივაკუთვნოთ გონივრულს და რომელი არა. ე.ი. საკითხი მოთხოვნილებათა შერჩევის კრიტერიუმის შესახებ. აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრიტერიუმები ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხასიათისანი არიან სოციალისტურ საზოგადოებაში, ხოლო კლასობრივ-ანტაგონისტურში - კლასობრივი ხასიათის.

სოციალური სუბიექტის მოთხოვნილებათა ჩამოყალიბების საქმეში საგანგებო როლს ასრულებს მისი კოლექტივისტური ორიენტაცია. მხოლოდ ამის საფუძველზე შეუძლია სუბიექტს იგრძნოს, გაიაზროს და გააცნობიეროს საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ინტერესები, საზოგადოების ჭირ-ვარამი და მათ მიმართ საკუთარი მოთხოვნილებების დამოკიდებულება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ახერხებს სუბიექტი საკუთარ და საზოგადოების ინტერესთა და მოთხოვნილებათა კოორდინაციასა და მათ თანხმობაში მოყვანას.

პიროვნებისა და სოციალურ ჯგუფთა კოლექტივისტური ორიენტაციის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი საშუალება და ხერხი სოციალისტურ საზოგადოებაში გახლავთ მათი ჩართვა სოციალურ მიზანთა შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ როგორაა ჩართული ესა თუ ის პიროვნება და ჯგუფი ამ პროცესში, შეუძლიათ მათ იგრძნონ და გააცნობიერონ ესა თუ ის სოციალური მოთხოვნილება, დარწმუნდნენ მისი დაკმაყოფილების აუცილებლობაში გარკვეულ სოციალურ მოქმედებათა მეშვეობით და შეუფარდონ ამ სოციალურ მოთხოვნილებას საკუთარი მოთხოვნილებები, უნარები და ინტერესები. რაც უფრო ინტენსიურია სოციალურ სუბიექტთა ჩართვა სოციალური მართვის ყველა სტადიაში, მით უფრო ფართოა მათი ინტერესები, მით უფრო ღრმაა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და კანონთა შემეცნების დონე, მაღალია მათი სოციალური აქტივობა და შინაგანი რწმენა თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობის აუცილებლობისადმი, საკუთარი და საზოგადოებრივი ცხოვრების ბატონ-პატრონის გრძნობა.

ზევით განხილული საკითხები სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს შეადგენს. მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში შემო-

ქმედებით – გარდამქმნელი, აქტიური ჩაბმის საფუძველზე სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების კულტურის ორი მნიშვნელოვანი ფორმის – პოლიტიკური და მორალური კულტურის, მათი ურთიერთმოქმედების საკითხის გარკვევა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ , როგორც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, ერთი მხრივ, ჩვენს ქვეყანაში არსებობს ყველა პირობა, რათა ადამიანს შეუმუშავდეს მოთხოვნილება თავისი წარმოებისა და ქვეყნის ბატონ-პატრონისა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს მოთხოვნილება სანახევროდ არცაა ფორმირებული. მაშ, რაშია საქმე? რა უშლის ხელს ამ თეორიული და პრინციპული შესაძლებლობის რეალიზაციას? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გვესაჭიროება პიროვნებისა და კოლექტივის მიერ სოციალისტური კულტურის ორი ძირითადი ფორმის – პოლიტიკური და მორალური კულტურის – დაუფლების დონის გარკვევა, რაც გვაპოვნინებს პასუხს ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე.

სოციალიზმის სრულყოფის პირობები პირდაპირ გულისხმობს მშრომელთა მორალური და პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, რამდენადაც კულტურის ეს ფორმები უშუალოდ უწყობენ ხელს პიროვნებათა და სოციალურ ჯგუფთა ისეთი შემოქმედებითი ძალების აქტივიზაციას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კიდეც მათს ჩართვას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში. სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი მთავარი კომუნისტური იდეალის – ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ფორმირების – რეალიზაცია.

პოლიტიკური და მორალური კულტურა თავისი ძირითადი სოციალური ამოცანის რეალიზაციის გზაზე მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება და ეს განსაზღვრულია საერთოდ პოლიტიკისა და მორალის როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ორი ფორმის ურთიერთკავშირით, ხოლო ამ ორი ფორმის ურთიერთმოქმედებაში პრიორიტეტი ეკუთვნის პოლიტიკას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რომელიც შედარებით ახლოს იმყოფება ეკონომიკასთან და უფრო უშუალოდ გამოხატავს მის ობიექტურ მოთხოვნებს. იგი თავის მხრივ, სათანადო მოთხოვნებს უყენებს საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა სხვა ფორმასაც.

სოციალისტურ საზოგადოებაში მორალური და პოლიტიკური კულტურის მჭიდრო ურთიერთმოქმედების საფუძველი საკუთრივ სოციალურ პირობებში ძევს, რამდენადაც ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნები და ამოცანები ასევე მჭიდრო ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ამ კონტექსტში, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საკითხებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა მხოლოდ სამეურნეო პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ პოლიტიკურ და ზნეობრივ პრობლემასაც და იგი ასახავს მშრომელთა არსებითს ინტერესებს. სწორედ ამიტომ, საგანგებო შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მატერიალური, სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი ზემოქმედების ფორმების სრულყოფა, იმ ზემოქმედებისა, რომელსაც ეს ფაქტორები ახდენენ პოლიტიკური და მორალური კულტურის ერთიანობის დამკვიდრებაზე.

როცა ჩვენ გვაინტერესებს დავადგინოთ, თუ როგორია პიროვნების სოციალური აქტივობა, ბუნებრივია, ვიწყებთ იმ კრიტერიუმების მოძებნას, რომლითაც შეიძლება ეს აქტივობა გაიზომოს. პიროვნების სოციალური აქტივობა, მის მიერ დემოკრატიულ უფლება-მოვალეობათა სრული რეალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მის უნარზე - "დაინახოს", დააფიქსიროს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი ამა თუ იმ პოზიციიდან, ამა თუ იმ "სათვალთვალო" პუნქტიდან და იმოქმედოს ამ ხედვათა საფუძველზე. პიროვნების ასეთი უნარის შემუშავების საფუძველიც, განმსაზღვრელიც და უზრუნველმყოფელიც პოლიტიკური კულტურა გახლავთ. ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის ყოველმხრივი განვითარებისა და სრულყოფის პირობებში გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკუთრებული ყურადღება სწორედ ამიტომ ექცევა ადამიანური ფაქტორის აქტივიზაციას, რაც სათანადოდ აისახა სკკპ XXVII ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებში. ადამიანური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა უკვე თავისთავად აყენებს დღის წესრიგში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისა და, შესაბამისად, პიროვნების პოლიტიკური კულტურის მკვეთრად ამაღლების საკითხებს. ამ სამი უმთავრესი კომპონენტის - ადამიანური ფაქტორის, სოციალისტური დემოკრატიის, პოლიტიკური კულტურის - დიალექტიკურ ერთიანობაში შესწავლის გარეშე, მათ შესახებ ცალ-ცალკე მსჯელობა განყენებული და აბსტრაქტული მსჯელობის სახეს მიიღებს და, საბოლოო ჯამში, სქოლასტიკის საზღვრებში მოექცევა.

პოლიტიკური კულტურის ამაღლების გარეშე შეუძლებელია ჩვენში აშენებული სოციალიზმის სრულყოფისათვის აუცილებელი, ისეთი საგულისხმო კანონზომიერებების რეალიზაცია, როგორიცაა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოღვაწეობის შემდგომი სრულყოფა, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს განმტკიცება და მისი თანდათანობითი გადაზრდა კომუნისტურ, საზოგადოებრივ თვითმმართველობაში. სოციალიზმის პირობებში პოლიტიკური კულტურის ფორმირება, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის ზიარებას პოლიტიკურ ცოდნასთან, წარმოდგენებთან, შეხედულებებთან, ამა თუ იმ კლასის, მთლიანად საზოგადოების იდეოლოგიურ ღირებულებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს ისეთი გარკვეული ფუნქციების შესრულებაში ჩართვას, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ პოლიტიკის სფეროსთან. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურა გამოხატულებას პოულობს ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში, მათ ჩვევებში და უნარებში, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში.

რაც უფრო მაღალია პიროვნების პოლიტიკური კულტურა, რაც უფრო ღრმად და მტკიცედ აქვს პიროვნებას ათვისებული პოლიტიკური კულტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი, მით უფრო უკეთ ახდენს იგი პიროვნების კულტურის ყველა სხვა მხარის – სამართლებრივის, ზნეობრივის, ესთეტიკურის და ა.შ. ინტეგრაციას. როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ კულტურას უდიდესი მაინტეგრირებელი ფუნქციაც აკისრია.

პოლიტიკური კულტურის ცნება რთული შინაარსისაა და ამიტომ, ბუნებრივია, მისი დეფინიციის დროს აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობა. ჩვენს მიზანს ამჟამად არა ამ ცნების ირგვლივ წარმოებულ პოლემიკაში ჩართვა წარმოადგენს, არამედ ის, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიერ პოლიტიკური კულტურის დაუფლების დონეს, რომ მან საკუთარი თავი ქვეყნისა და სახელმწიფოს პოლიტიკის სუბიექტად იგრძნოს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის ცნების ძირითად შინაარსს შეადგენს ის, რომ, რადგანაც იგი საერთო-საკაცობრიო კულტურის ნაწილსა და მომენტს წარმოადგენს, კულტურის მოცემული სახე (ე.ი. პოლიტიკური კულტურა) გამოხატავს ადამიანთა მიერ პოლიტიკის განვითარების კანონთა ათვისებასა და პოლიტიკური რეალობის ათვისების ზომას, დონეს. პოლიტიკური კულტურა ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილების ორგანიზებას ემსახურება და იქითკენაა გამიზნული, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში მისი პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციას. ე.ი. პოლიტიკური კულტურის ამაღლება, ერთი მხრივ, მოითხოვს პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის წყალობითაა შესაძლებელი, რომ თვით პიროვნება ეზიაროს, დაეუფლოს პოლიტიკურ კულტურას და ამ დაუფლების პროცესში გააცნობიეროს საკუთარი თავი პოლიტიკის სუბიექტად. შეუძლებელია მონაწილეობდე პოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტიკური კულტურის ფლობის გარეშე, რადგან სწორედ პოლიტიკური კულტურაა საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაჩვენებელი და მისი არსებობის წესის გამომხატველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეკონომიკური, სოციალური და სხვა რიგის ინტერესების გაცნობიერება პოლიტიკური ცნობიერების სახით, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის საფუძველია. ხსენებულ ინტერესთა გაცნობიერება შრომის გარკვეული სპეციფიკური სახესხვაობაა და ასეთი სახის შრომის აუცილებლობა გამომდინარეობს საკუთრივ მატერიალური და სულიერი წარმოების ინტერესებიდან. მატერიალური წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ანუ, მატერიალური წარმოების საზოგადოებრივი ფორმა, წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ პოლიტიკურ შრომას, პოლიტიკური ცნობიერების წარმოებას მისი ნამდვილი გამართლება, არსებობისა და განვითარების უფლება გააჩნია. პოლიტიკური მოღვაწეობის რეალიზაციისათვის აუცილებელია შინაგანი ფაქტორები, რომლებიც მის მიზანმიმართულებას განსაზღვრავენ. მათ რიგს მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მოთხოვნილებები და ინტერესები, პოლიტიკური ღირებულებები და მიზნები, პოლიტიკური რწმენა და ნება.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები პოლიტიკურ ინტერესს პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და მის ერთ-ერთ ფორმასთან - პოლიტიკურ ურთიერთობებთან - მჭიდრო კავშირში იკვლევენ. როცა პოლიტიკური ინტერესს განვიხილავთ როგორც სოციალურ-კლასობრივი მოღვაწეობის გამომწვევ ფაქტორს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ინტერესი პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათს განსაზღვრავს და იმავდროულად წარმოადგენს ამ პოლიტიკურ ურთიერთობათა ასპექტსაც, თვისებასაც. პოლიტიკური ინტერესი ფორმირდება პოლიტიკური მოთხოვნილების საფუძველზე და პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენების მეშვეობით ობიექტურად კლასისა თუ სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ერთობლიობათა ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას ემსახურება. ეკონომიკური პირობებისა და მდგომარეობათა სხვადასხვაობა განსაზღვრავს კიდეც განსხვავებულ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა წარმოშობა-ფორმირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიროვნებისა და კოლექტივის დამოკიდებულება მოცემული პოლიტიკური პირობების მიმართ წარმოშობს გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც ხელს უწყობს, ან პირიქით, აბრკოლებს პოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მოცემული პოლიტიკური სიტუაცია ასახავს პოლიტიკური მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების საგნის ურთიერთმოქმედებას. ამ შემთხვევაში წარმოიშობა სუბიექტის მეტად საგულისხმო მდგომარეობა - პოლიტიკური მოთხოვნილების საგნის დაუფლებისადმი პოლიტიკური სიტუაციით გაშუალებული სწრაფვა. სწორედ ეს სწრაფვა წარმოადგენს პიროვნების პოლიტიკურ ინტერესს და აქ ფართო შესაძლებლობები იშლება ემპირიული, კერძოდ, სოციოლოგიური კვლევისათვის.

პოლიტიკური ინტერესი როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა გამოვლენა, შეადგენს სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ერთიანობას. პირველ რიგში, პოლიტიკურ ინტერესში გამოხატულია მოღვაწეობის სუბიექტის პოლიტიკური პოზიციის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, პოლიტიკური ინტერესის შინაარსი ასახავს პოლიტიკური მოღვაწეობის იმ სუბიექტთა დამოკიდებულებების მომენტს, რომლებიც ერთი და იმავე პოლიტიკური მოთხოვნილების ობიექტისკენ მიისწრაფვიან. პოლიტიკური ინტერესის მესამე და, ალბათ, უმთავრესი მომენტი შეიძლება "თვითდამკვიდრების" ცნების მეშვეობით გამოვხატოთ. პოლიტიკური ინტერესის სწორედ ეს მომენტია კავშირში სუბიექტის თავისთავისადმი პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან, მის მიერ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, ანუ პოლიტიკურ თვითდამკვიდრებასთან.* ეს ყველაზე მაღალი (იდეალური) დონეა პოლიტიკური ინტერესისა და იგი მოიცავს პირველ ორ მომენტსაც. მაღალი პოლიტიკური ინტერესი პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩართვის მაღალი დონით ხასიათდება. ამ დროს პიროვნება იკმაყოფილებს არა მარტო მოცემულ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, არამედ იგი გარდამქმნელად ზემოქმედებს პოლიტიკური

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხოვრების პირობებზე და ცდილობს ეს უკანასკნელი ისეთნაირად მოაწყოს, რომელშიც მას ახალი პოლიტიკური მოთხოვნილებები და ინტერესები გაუჩნდება.

აქ შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: როდის უჩნდებათ მასებს ახალი პოლიტიკური გარდაქმნების მოთხოვნილებები და რა იწვევს მათს წარმოშობას? მასებს ახალი პოლიტიკური გარდაქმნების მოთხოვნილებები უჩნდებათ მაშინ, როცა წარმოიშობა წინააღმდეგობა მათს ეკონომიკურ ინტერესებსა და იმ პოლიტიკურ პირობებს შორის, რომლებშიც ისინი (ე.ი.ეკონომიკური ინტერესები) ხორციელდებიან. ამის საფუძველზე წარმოიშობა შესაბამისი კლასობრივი ინტერესიც. ცნობილია, რომ ამა თუ იმ კლასის პოლიტიკურ ინტერესს მისი კლასობრივი იდეოლოგია გამოხატავს. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკური კლასობრივი იდეოლოგია საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმაა, რომელსაც თვით კლასები შეიმუშავებენ, ხოლო მათი იდეოლოგები და პარტიები იცავენ ამ კლასთა ინტერესებს. სწორედ ამის საფუძველზე ახორციელებს ესა თუ ის კლასი პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელიც, საბოლოო ჯამში, გამიზნულია ხალხთა დიდი მასების მიერ მათი ძირითადი მიზნების მისაღწევად და არსებითად ორ ფორმაში - პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში და პოლიტიკურ მართვაში - ვლინდება. პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა განვიხილოთ როგორც აქტიური მიზანმიმართული ზემოქმედება მასების ქცევისადმი. მასებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმა პოლიტიკური ძალაუფლების კონკრეტულ მატარებელზე, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოებსა და პოლიტიკური ზემოქმედების ობიექტის ურთიერთობის ხასიათზეა დამოკიდებული. ფაქტია, რომ მასები ეკონომიკური გარდაქმნებისაკენ სტიქიურად მიისწრაფვიან; სწორედ ამიტომ ესაჭიროებათ მათ იდეოლოგთა დახმარება, რომლებიც ობიექტურად, ადექვატურად უნდა აფიქსირებდნენ და გამოხატავდნენ მათს პოლიტიკურ ინტერესებს. იმავდროულად, ეკონომიკური ინტერესის

გააზრების ერთი დონიდან სხვა, უფრო ახალი დონისაკენ მოძრაობა შეუძლებელია განხორციელდეს უცებ. იგი თანდათანობითი პროცესია და მასში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მასების საკუთარ გამოცდილებას, პრაქტიკას. იდეოლოგიის შედარებითი დამოუკიდებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ობიექტური წინააღმდეგობების პროგნოზირების, გამოვლენის, დანახვის უნარი შესწევს. იდეოლოგია ზემოქმედებას ახდენს მასების მოღვაწეობაზე და ეხმარება მათ იმ წინააღმდეგობების გადალახვაში.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ მასების ეკონომიკური ინტერესი და, აქედან გამომდინარე, მათი პოლიტიკური ინტერესი, ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს სათანადო ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, მასების კმაყოფილება - უკმაყოფილების მიზეზები. აქ თავისი სერიოზული სიტყვის თქმა მართებს სოციოლოგიურ მეცნიერებას. ამიტომ, ყოველთვის აუცილებელია მასების არსებითი ინტერესის გათვალისწინება, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გამოცხადება, სირთულე-სიძნელეების მიზეზების პოვნა და მათი გადალახვის მეცნიერული გზების ძიება, საჯაროობისა და ინფორმირებულობის ყოველმხრივ გაშლა-განვითარება.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ვკითხულობთ: "პარტია განუხრელად განახორციელებს მართვის, სახელმწიფო გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების პროცესის დემოკრატიზაციის გეზს, რომელიც უზრუნველყოფს მათი ოპტიმალური ვარიანტების შერჩევას, მშრომელების სხვადასხვაგვარ მოსაზრებათა და წინადადებათა გათვალისწინებასა და შედარებას. გაფართოვდება იმ საკითხთა წრე, რომელთა გამო გადაწყვეტილებანი შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ განიხილავენ შრომით კოლექტივებში... ყველაზე დიდმნიშვნელოვანი კანონპროექტები და გადაწყვეტილებანი გამოქვეყნდება საყოველთაო სახალხო განხილვისა და კენჭისყრისათვის. კვლავაც უნდა სრულვყოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამომრჩეველთა განაწესების, მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების განზოგადება-რეალიზაციის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სისტემა, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი შესრულების შედეგების შესახებ".[I]

ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის ინტენსიური განვითარებისა და დემოკრატიზაციისათვის აუცილებელია, რომ განვასხვაოთ და გავითვალისწინოთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და პიროვნებების პოლიტიკური კულტურის სიმწიფის დონე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ადამიანი მხოლოდ პერიოდულად კი არ უნდა იყოს დაინტერესებული, თუ რა ხდება მისი "ქოხის" მიღმა, რომ იგი აქტიური მონაწილე კი არ იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა, არამედ მოახერხოს მიმდინარე ინტერესების მთავარ ინტერესებთან შეჯერება, შესძლოს, დაინახოს პროგრესული ტენდენციები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პოლიტიკური ასპექტები, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური იდეალის შემუშავებაში, დაფუძნებასა და განხორციელებაში.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე იზრდება საზოგადოების მოთხოვნები მისი რაც შეიძლება მეტი წევრის მართვაში ჩაბმისა, თვით მშრომელთა-მოთხოვნილება ჩართული იყვნენ მმართველობით მოღვაწეობაში, რაც შესაბამისად, სათანადო უნარების შემუშავებას მოითხოვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნილებები ამ სფეროში ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება, რომლის მიზეზები ზოგიერთი სოციალური პროცესების მართვის აუცილებელი და არსებული დონის შეუსაბამობაში უნდა ვეძიოთ. ეს ვითარება სოციალური მართვისა და დაგეგმვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. აქ მეტად რთულ ფენომენთან გვაქვს საქმე: ერთი მხრივ, როგორც

--- ----

I სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ.247-248.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვხედავთ, აუცილებელია პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ზრდა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ეკონომიკური ინტერესების სრულყოფას; მეორე მხრივ, ეკონომიკური ინტერესების სრულყოფა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქმე გვაქვს გარკვეულ წინააღმდეგობასთან, თუ გნებავთ, ანტინომიურ ვითარებასთანაც, მაგრამ ეს პროცესები ერთდროული პროცესებია, ისინი მჭიდრო დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან და მათი მართვა ხსენებულ წინააღმდეგობას პროგრესისაკენ ზეაღმავალ ხასიათს ანიჭებს. ამ ასპექტითაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური ფაქტორის აქტივიზაციის საკითხებს და ამ ფაქტორთა გათვალისწინებას საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვის ყველა დონეზე. ამის შესაძლებლობები გააჩნია სოციალიზმს და საჭიროა მისი მაქსიმალურად რეალიზაცია. შეუძლებელია რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნების განხორციელება ისე, თუ ისინი არ დაუკავშირდა ადამიანთა ინტერესებს. პოლიტიკაში კი, უწინარეს ყოვლისა, ენგელსის სიტყვებით თუ ვიტყვით, მთავარია, გავითვალისწინოთ სურვილები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავს ადამიანთა დიდი მასები, მთელი ხალხები, ხოლო თითოეულ ხალხში, თავის მხრივ, მთელი კლასები.[I]

ამგვარი ინტერესების გამოვლენა, გათვალისწინება თანამედროვე პირობებში წინანდელთან შედარებით უფრო იოლიცაა და უფრო ძნელიც. იოლია იმიტომ, საზოგადოებაში არსებითად დაახლოვდა კლასების, სოციალური ფენებისა და ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ობიექტური მდგომარეობა. ძნელია იმიტომ, რომ უფრო მრავალფეროვანი, რთული, მოძრავი გახდა თვით ინტერესები, რომელთა შორის სულ უფრო მეტად პირველ პლანზე დგება შიდაკლასობრივი ინტერესები, რომლებიც

- - - - - - - -

I მარქსი კ. და ენგელსი ფ. რჩეული ნაწერები, ტ.2, თბ., 1964, გვ.479.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებულია ადამიანთა პროფესიულ, ასაკობრივ სპეციფიკასთან, ადგილობრივი ტერიტორიული პირობების თავისებურებასთან. სწორედ ეს ობიექტური ცვლილებები ადამიანთა სოციალურ სტრუქტურაში და მოთხოვნილებებში განსაზღვრავს სოციალიზმის განვითარებისათვის აუცილებელ, პოლიტიკური სისტემის სრულყოფისათვის მიმდინარე მიზანმიმართულ მუშაობას, რაც კიდევ უფრო ამაღლებს პარტიის როლს სხვადასხვა კლასისა და ჯგუფის ინტერესების შეთანხმების, ორგანული დაკავშირების, მიმდინარე და პერსპექტიულ პოლიტიკაში მათი ხორცშესხმის საქმეში.

ცხოვრება, სოციალური პრაქტიკა ადასტურებს, რომ, რაც უფრო სრულად გამოხატავენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს ადგილობრივი საბჭოები, პროფესიული კავშირები, კომკავშირი, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მით უფრო აქტიურად მონაწილეობენ მასები მათ მუშაობაში, და, მაშასადამე, უფრო ღრმად ებმებიან საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა უშუალო მართვის პროცესში. ასეთ ვითარებაშია მხოლოდ შესაძლებელი, რომ ადამიანმა სოციალური მართვის ობიექტი სოციალური მართვის სუბიექტად აქციოს, იქ დაინახოს თავისთავი, რაც, საბოლოო ჯამში, სოციალურ მართვას საზოგადოებრივ თვითმმართველობაში გადაზრდის.

კ. მარქსი თავის დროზე მიუთითებდა, რომ იმისათვის, რათა ადამიანმა ისარგებლოს ნივთთა სიმრავლით, მას მათი სარგებლობის უნარი შესწევდეს, ანუ, ის უნდა იყოს მაღალი კულტურის მქონე ადამიანი.[I] აქ პირდაპირი მინიშნებაა მოხმარების კულტურაზე, რომლის სრულყოფა თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამაში ძევს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გლობალური გალაშქრე-

- - - - - - - - -

I მარქსი კ. და ენგელსი ფ., თხზ., ტ.1, გვ.386 (რუსულ ენაზე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბის ერთ-ერთი გზა, რაც ასევე აუცილებლად მოითხოვს პიროვნებათა და მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის მკვეთრ ამაღლებას. ამის გარეშე სოციალისტური დემოკრატიის განვითარება-სრულყოფის სხვა, შემოვლითი გზა არც არსებობს. მხოლოდ ამ გზით დაიძლევა მაღალი პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურის აღზრდის ამოცანები.

КВАРИАНИ Т.Л.

## НЕКОТОРЫЕ ФАКТОРЫ ВОСПИТАНИЯ КУЛЬТУРЫ

### А н н о т а ц и я

В статье рассматриваются некоторые факторы, которые в условиях перестройки всех сфер общественной жизни призваны сыграть важную роль в утверждении высокой экономической, политической, нравственной и эстетической культуры.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ი.ჯ.კალანდია

კულტურის როლი ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებაში . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

რ.ა.ლომინაძე

ინტერნაციონალური აღზრდა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე . . . . . . . . . . . . . . . . . 32

მ.მ.ფაცაცია

სოციალური მიკროგარემო და ახალგაზრდობის აღზრდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 55

ლ.ბ.კირვალიძე

საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდის ეფექტიანობის ამაღლე-ბისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . 86

ბ.რ.ფიჩხაია, ი.რ.ფიჩხაია

სოციალისტური ეკონომიკის ფორმირების ბურჟუაზიული ინტერპრეტაციის კრიტიკა და მისი როლი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პროცესში . . . . . . . . . . . . . . . . . . 110

მ.დ.თოქმაჯიშვილი

სოციალიზმის წინააღმდეგობების შესახებ ბურჟუაზიული თეორიათა კრიტიკის მსოფლმხედ-ველობრივი მნიშვნელობა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში . . . . . . . . . . . . . . 138

მ.ბ.მოწაძე

ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა – გარდაქმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 161

ვ.ა.ბურდული

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები გარდაქმნის თანამედროვე პირობებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . 190

თ.ლ.ქვარიანი

კულტურის აღზრდის ზოგიერთი ფაქტორი . . . . . . . . 213

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ГРУЗИНСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТРАЛЬНЫЙ
ИНСТИТУТ ИМЕНИ ШОТА РУСТАВЕЛИ

# АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ КОММУНИСТИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ ТВОРЧЕСКОЙ МОЛОДЕЖИ В СВЕТЕ РЕШЕНИИ XXУП СЪЕЗДА КПСС

Сводный план ведомственной литературы
на 1987 год. поз.88

იბეჭდება საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის დადგენილებით

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-87 წ.
გადაეცა წარმოებას
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 9,6
შეკვ. N 127 უე 14146 ტირაჟი 300
ფასი 1.15 კაპ.

Типография АН Груз.ССР, Тбилиси 380060, ул.Кутузова, I9.

ჟ.ვ 2/2

ეროვნული ბიბლიოთეკა